

ტარიელ კვანჭილაშვილი



ახალი
ნერილმბი



ტარიელ კვანჭილაშვილის ამ წიგნში შესულია წერილები თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან პრობლემებზე და რამდენიმე ქართველ მწერალზე. მათ გვერდით ქვეყნდება კრიტიკული და პოლემიკური წერილებიც. წიგნში განხილული და შეფასებულია ცალკეულ ავტორთა ზოგიერთი წიგნიც.

რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე

რევოლუციისა და სამშობლოს უერთგულანი პოეტი

(გიორგი ქუჩუხილი)

1905 წლის რევოლუციამ ქართულ ლიტერატურაში თვისებრივად ახალი ნაკადი წარმოშვა, შემოიტანა რევოლუციური განწყობილება, პოეზია მომწოდებლური და შემტევი ხასიათისა გახადა. დროის მანძილიდან დინჯად რომ ვაფასებთ მაშინდელ საზოგადოებრივ მოვლენებსა და ქართული ლიტერატურის ხასიათს, ვრწმუნდებით, რომ სხვაგვარად ჩვენი ეროვნული მწერლობა ვერ მოიქცეოდა, რევოლუციას განზე ვერ გაუდგებოდა.

საინტერესო ისიც არის, რომ რევოლუციას ასე მგზნებარედ გამოეხმაურა არა მარტო მწერალთა ახალი თაობა, რომელიც ცხრაასიან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, არამედ კიდევ უფრო მეტად არის საინტერესო ის ფაქტი, რომ ამ ისტორიულ მოვლენას დიდო მონღომებით გამოეხმაურნენ წინა თაობების მწერლებიც. მხედველობაში გვაქვს როგორც გასული საუკუნის 90-იანი წლების მწერლობა, ასევე უფრო ადრინდელი თაობის წარმომადგენლებიც — ილია, აკაკი, ვაჟა.

ბუნებრივია კითხვა, თუ რატომ მოხდა ეს, რამ გამოიწვია ქართველ მწერალთა ასე საყოველთაო დაინტერესება რევოლუციით. ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ასეთია: რევოლუციაზე დიდ იმედებს ამყარებდა ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ყველა მოწინავე მწერალი. ისინი რევოლუციისაგან მოელოდნენ სულ ცოტა ორ დიდ შედეგს — სოციალურ განთავისუფლებას და ეროვნულ განთავისუფლებას. ამისთვის კი ნამდვილად ღირდა გარჯაც და თავდადებაც.

რევოლუციონერთა მხარდასაჭერად ილია ჭავჭავაძის გამოსვლები, აკაკი წერეთლის რევოლუციური ლექსები, ვაჟას რევოლუციური ლექსები, მათი პრაქტიკული მოქმედებაც საინტერესო და ნათელი ფურცლებია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

90-იანი წლების მწერალთაგან რევოლუციის თემატიკით დაინტერესდა შიო არაგვისპირელი, რომელმაც რამდენიმე ნოველა უძღვნა ამ თემას; რევოლუციას ეხმიანება მაშინ ახალგაზრდა მწერალი შალვა დადიანიც; ასევე იქცევა, თითქოს განზე მდგომი, ისტორიული თემა-

ტიკით გატაცებული ვასილ ბარნოვი, რომელმაც ცხრაას ხუთის თემას გარკვეული ხარკი გადაუხადა. ცალკე უნდა ითქვას დავით კლდიაშვილზე, რომელმაც ბათუმში თავისი პრაქტიკული საქმეებით რევოლუციისადმი დიდი სიმპათიები გამოხატა ისე, რომ თავისი სამხედრო კარიერა სასწრაფო შეაგდო. ამას დაუმატეთ ახალგაზრდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ჯილდო“, რომელიც 1905 წელს დაიწერა და დაიბეჭდა, რომელიც თბილისის ქუჩებში გამართულ ხელჩართული ბრძოლის სურათებს გვიხატავს — და შეიქმნება არასრული სურათი იმისა, თუ რა მონღოლებით ხატავდა ქართული მწერლობა რევოლუციას.

ცხადია, განსაკუთრებით უნდა ითქვას იმ ლიტერატურულ სკოლაზე, რომელსაც ლიტერატურის ისტორიაში რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის სახელით ვიცნობთ და რომელსაც იროდიონ ევდოშვილი მეთაურობდა.

თვითონ იროდიონ ევდოშვილი საკვირველ პოლიტიკურ და პოეტურ აღლოს ამეღავენებს იმითაც, რომ რევოლუციის დაწყებამდე მთელი ათი წლით ადრე, 1895 წელს, წერს მგზნებარე რევოლუციურ-მომწოდებლურ ლექსს — „მეგობრებს“. რაც შეეხება უშუალოდ რევოლუციის პერიოდში დაწერილ მის ნაწარმოებებს, ეს ხომ სრულიად ახალი სიტყვაა იმ პერიოდის ქართული ლიტერატურისათვის.

ასეთ პირობებში და ვითარებაში იზრდება და სამწერლო ასპარეზზე გამოდის გიორგი ქუჩიშვილი, რომელიც ირ. ევდოშვილის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ხდება.

გიორგი ქუჩიშვილისთვის მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილებისადმი ზიზღი წიგნებიდან, თეორიებიდან მიღებული და შექმნილი გრძნობა როდი იყო. მან ბავშვობიდანვე საკუთარ ზურგზე გადაიტანა იმდენი ტანჯვა და ვაება, განიცადა იმდენი გაჭირვება, დამცირება და შიმშილი, რომ არსებული წყობილების, უსამართლობისა და უწყისობის დამხობისათვის ის თავსაც გასწირავდა. ასე უშუალოდ, შინაგანი მოთხოვნით, საკუთარი რწმენით მივიდა გიორგი ქუჩიშვილი რევოლუციასთან.

შემთხვევითი არ არის, რომ იმერეთიდან თელავის მიდამოებში გამოსული და იქ დაქორწინებული ანდრეაფარ ჩხეიძის ვაჟმა გიორგიმ პოეტურ ფსევდონიმად ქუჩიშვილი აირჩია. საქმე ის არის, რომ პოეტის ადრინდელი ლექსების თემატიკა და შინაარსი უმეტესად; „ფსკერის“, ქუჩაში გაყრილი ადამიანების, ე. წ. ლუმპენ-პროლეტარიატის ცხოვრების ჩვენებით იფარგლება. გიორგი ქუჩიშვილი დიდი თანაგრძნობით ეკიდება ამ ადამიანებს, მათში ხედავს საზოგადოების უსა-

მართლობით დაჩაგრულთ, რომელთაც უნდა თანაუგრძნობდე. და პოეტი მათ გულითადად უთანაგრძნობს კიდევ.

შემდეგ და შემდეგ გიორგი ქუჩიშვილისთვის ნათელი ხდება, რომ მხოლოდ ორგანიზებულ, მებრძოლ, შეგნებულ მუშათა კლასს, პროლეტარიატს შეუძლია არსებული წყობილების ბრძოლით მოსპობა და თავისუფლების დამკვიდრება. ამიტომ არის, რომ პოეტი ქარიშხლის წინამორბედად აცხადებს თავისთავს:

მე პოეტი ვარ
მომავალი ქარიშხალისა,
დიდ საავდაროდ
ელვის ფრთებით გამოჭროლილი!
უნდა ცეცხლს მივცე
მთა — ღრუბლებით ჩამოწოლილი,
რომ წარღვის შემდეგ
მზე გამეფდეს მომავალსა.

უნდა ითქვას, რომ ამ ლექსში მოცემულ დაპირებას შემდგომში პოეტი პირნათლად ასრულებს. ცხადია, მრავალი ლექსის დამოწმება შეიძლება ამ დებულების საილუსტრაციოდ. ნიმუშად მოვიტანთ თუნდაც ერთ მათგანს:

დაჰკა! დაჰკა გრდემლს ჩაქუჩი!
დაჰკა, დააგრიალე!
მძარცველი და შრომის ურჩი
მოსპე, გაატიალე!
დაჰკა, დაჰკა, შრომის ჰანგი
მძლავრად ააწკრაალე!
აღმოდებული პერანგი
დროშად ააფრიალე! და ა. შ.

ანდა გავიხსენოთ ლექსი „მუშის სიმღერა“, რომელშიც ოპტიმიზმი, გამარჯვების იმედი ასე ხელშესახებად ჩანს. 1909 წელს დაწერილ ამ ლექსში პოეტი ამბობს:

ჩვენ არ გვიყვარს
ოხერა,
კენესა,
ჩვენ არ გვიყვარს
მოთქმა,
ცრემლი;
იმედებით ფეთქავს გული,
იმედებსვე სკედავს გრდემლი!

არ გამქრალა ხსნის იმედი,
არ გამქრება შრომის კერა:
კვლავ გუზგუზი გააქვს ქურას,
მამაცურად სკექს სიმღერა!..

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ქუჩიშვილის ლექსები არა მარტო ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, არამედ მათ პოეტი ხშირად კითხულობდა შეკრებილი ხალხის წინაშე, ლიტერატურულ სადამოებზე და ამით მსმენელზე ძლიერ გამარეგოლუციონერებელ ზეგავლენას ახდენდა. ამიტომ იყო, რომ პოლიცია მას სდევნიდა, ბევრჯერ სასწაულებრივადარჩენია პოეტი დაპატიმრებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გიორგი ქუჩიშვილის იდეალების გამარჯვებაც იყო.

პოეტი ჩადგა მოწინავე საბჭოთა მწერლების რიგებში და ახლის შენებას თავისი პოეტური სიტყვით უწყობდა ხელს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია იყო თუ სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, კოლხეთის ქაობების დაშრობა თუ სხვა დიდი სიახლეები, გიორგი ქუჩიშვილი ყველაფერს ეხმებებოდა თავისი ლექსებით; ის ყოველთვის ხალხის შუაგულში იმყოფებოდა, დიდად ხარობდა მისი წარმატებებით, იზიარებდა მის გულსიტკივილსაც.

1936 წელს ლექსში „მზე“ გიორგი ქუჩიშვილმა გამოხატა თავისი ქვეყნის წარმატებებით გამოწვეული აღფრთოვანება: „მზემ ოქროს კიბე ძირს ჩამოჰკიდა, მზეს ჩვენი მიწის ნახვა ენება, მზე სხივთა ფუნჯით ძირს ჩამოვიდა...“ ხოლო ძმის, დავით თურდოსპირელისადმი მიძღვნილ ლექსში, „გომბორის მთიდან ყვარლის მთამდე“, პოეტი წერს:

ერთი გახედეთ ზვრებს და ვენახებს:
როგორ დასხმულა და შეფოთილა!
გული ზღვად ჰქმნია გულგაშლილ კახელს,
თვალს რომ გაახელს, შეჭარის დილას!
მზე დიდებული, მზე ცეცხლისთვალა,
ისე დაჰყურებს გულღია კახელს,
რომ სხივადღერილი ალაზნის ქალა
ოქროს ჩარდახებს აგონებს მნახველს!

ეს ლექსიც 1936 წელს არის დაწერილი.

ხოლო რამდენიმე წლით ადრე, 1925 წელს, როცა ჯერ მხოლოდ იწყებოდა ჩვენი ქვეყნის დიდი გარდაქმნები, გიორგი ქუჩიშვილი მთელი განცდით გადმოგვეცემს სამშობლოზე შეყვარებული კაცის ფიქრებსა და გრძნობებს. ეს ლექსი გამოირჩევა არა მარტო სათქმელის სინატიფით, არამედ ლირიზმითაც და სიწმინდითაც. მისი სათაურია „ჩემი მხარე“.

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.
ვინც მისწვდება ჩემი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს!
საარაკო სილამაზე,
ხალხიც სასახელო, —
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო.

ამას დაუმატეთ გ. ქუჩიშვილის მშობლიური კახეთის სხვადასხვა ადგილებისადმი მიძღვნილი ლექსები („თურღოსთან“, „თელავის ქადარი“, „ნადიკვართან“, „გზად კახეთისკენ“, „ოცნება კახეთზე“ და ა. შ.), დაუმატეთ რამდენიმე ლექსი გურიაზე, რაჭაზე, ქართლზე, საქართველოს სხვა კუთხეებსა და ადგილებზე და დაინახავთ საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ პოეტს, ვისი გულიც სამშობლოს სიყვარულით ძგერს.

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ რევოლუციასზე შეყვარებულ პოეტს მთელი ძალით ხმა აღემაღლებინა რევოლუციის მონაპოვართა და სამშობლოს თავისუფლების დასაცავად, როცა გერმანელ-ფაშისტთა ურდოები მუხანათურად თავს დაესხნენ საბჭოთა ქვეყანას. ომის დაწყების მეორე დღესვე, 1941 წლის 23 ივნისს დაიწერა გ. ქუჩიშვილის მგზნებარე ლექსი „ჩვენს პოეტებს“, რომელშიც არა მარტო მოწოდებაა იარაღისკენ, არამედ ნათლად ჩანს პატრიოტი პოეტის გულისცემაც.

ხელთ იარაღი, ამხანაგებო!
დაე, კალამი შესცვალოს თოფმა!
პოეზიაში თუ ვართ ნაქები,
ბრძოლებშიც გემართებს მედგარი ყოფნა!
ვინღა დარჩება შინ ახლა, როცა
ვით ერთი კაცი აღიძრა ხალხი?!
არავინ! ვიდრე მტერს არ წარეხოცავთ,
ალარ ჩაეაგებთ ქარქაშში მახვილს!

ომის წლებში გიორგი ქუჩიშვილმა გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული ლექსი, რომლებშიც გამოსჭვივის ზიზღი მტრისადმი, ბრძოლისკენ მოწოდება, გამარჯვების ურყევი რწმენა. ყველა ეს ლექსი გმირუ-

ლი სულისკვეთებით არის გამსჭვალული და მკითხველსაც გმირობისაკენ მოუწოდებს. აღსანიშნავია, რომ სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, გიორგი ქუჩიშვილი ჩადის მოქმედ არმიებში და დიდი პათოსითა და მგზნებარებით მებრძოლებს მოწინავე ხაზზე უკითხავს საკუთარ ლექსებს და აღაფრთოვანებს მათ საგმირო საქმეებისათვის, უნერგავს მათ გამარჯვების რწმენას.

აგრეთვე, სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო, რომ გიორგი ქუჩიშვილმა 1945 წელს, როცა ჩვენ გავიმარჯვეთ, დაწერა ლექსი „სიმღერა გამარჯვებისა“, რომელიც სიხარულისა და სიამაყის გრძობებს გამოხატავს:

რა დამღლის, რა დამაბერებს
პანგთა საუნჯის მფლობელსა,
ხალხმა მშვა, ხალხი მამღერებს
მარად გულგაუქრობელსა.
შენ, ჩემო სიმხნის სიმღერავ,
სიყრმითვე ხალხის ტრფიალო,
საითაც იგი მიღლავს,
ჩანგიც იქ დავაგრილოთ.
მამულს ვუმღეროთ დიდება,
ვინც მტერი გაატილა
და დროშა გამარჯვებისა
ბერლინში ააფრალა!

ომის დამთავრების შემდეგ გიორგი ქუჩიშვილი თითქოს ანდერძით მიმართავს მშობელ ხალხს იმავე ლექსში: „შენ ძალთა ქმედი წყარო ხარ, ანკარა, დაუშრობელი, იდინე, აალორძინე: ქალაქი, დაბა, სოფელი! იდინე, აღსდგეს, აშენდეს ქვეყანა ნაპარტახალი: რომ იყოს უფრო ბრწყინვალე, მყინვარზე უფრო მაღალი!“

ხოლო 1946 წელს, როცა ჯანმრთელობაშერყეულმა პოეტმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, დაწერა ლექსი „უქანასკნელი თქმა“:

„მისწყდა სივრცეში ყივილი გედის, მეც დავასრულე სიმღერა ჩემი; როგორც სიკვდილის მოახლოება, მესმის ფრთხილი შავფრთიან ბედის“...

1947 წლის 20 იანვარს დასრულდა პოეტ გიორგი ქუჩიშვილის სიცოცხლე. იგი დიდუბის პანთეონში განისვენებს.

ერთ-ერთ ბოლო ლექსში გიორგი ქუჩიშვილმა ძალზე ლაკონურად შეაფასა და შეაჯამა თავისი პოეტური მოღვაწეობა:

ჩემი ცხოვრების უმძიმეს გზაზე,
თუმც ხშირა იყო ძეძვი და ნარი,
მაინც მარადეამ მაშვრალთა ხსნაზე
ელეროდა ჩემი სახალხო ქნარი!

სავესებით ზუსტი შეფასება! მართლაც, გიორგი ქუჩიშვილის სახალხო ქნარი მაშვრალთა ხსნაზე ჟღერდა უმეტესად.

მიხეილ მრეველიშვილი

მიხეილ მრეველიშვილი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის ერთნაირი წარმატებით მოღვაწეობდა პროზასა და დრამატურგიაში. მისი პროზაული ნაწარმოებები უყურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია მკითხველსა და ლიტერატურულ კრიტიკას, ხოლო მისი პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს რუსთაველის, მარჯანიშვილისა და სხვა მრავალი თეატრის სცენაზე მუდამ დადებითი გამოხმაურება ჰქონდა.

1925 წელს დაიწერა და 1926 წელს „მნათობმა“ დაბეჭდა მ. მრეველიშვილის რომანი „ინონ“. ამ ნაწარმოებით შემოვიდა მ. მრეველიშვილი ლიტერატურულ სარბიელზე.

„ინონში“ მოქმედება ხდება ერთ პატარა ქალაქში, სადაც შავი ქვის მადაროებია და იქ მომუშავე მუშები ფარულ კრებებს მართავენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მოქმედების დრო საგანგებოდ არ არის მითითებული, მაგრამ მისი დადგენა სხვა გზით შეიძლება. ჯერ ერთი, მეფობს ნიკოლოზ მეორე, მეორეც, რუსეთი ომს უცხადებს ავსტრო-უნგრეთს. ამით ადვილად ვხვდებით, რომ რომანში მოქმედება ხდება ჩვენი საუკუნის ათიან წლებში. ხოლო მოქმედების ადგილად ქალაქი ჭიათურა უნდა ვივარაუდოთ, რადგან ჩვენში შავი ქვის მადაროები სხვაგან არსად არის.

მემალაროე მუშათა წრიდან პერსონაჟები ინდივიდუალურად გამოკვეთილი არ არის, ნაჩვენებია საერთო მასა. გამონაკლისს წარმოადგენს სილინი. სამაგიეროდ, რომანში დასრულებულ პერსონაჟებად გვევლინებიან ქალაქის მოურავი თავადი შერვაშიძე, მისი ქალიშვილი ნაბინა, ამერიკელი კონცენსიონერი, მდიდარი მისტერ ჰაირტონი. და ბნელით მოცული პიროვნება დანიელ ჯაკომია. აქ უნდა ითქვას კიდევ ერთ „პერსონაჟზე“, რაღაც ცოცხალ არსებაზე, რომელიც დანიელ ჯაკომიას ბინაზე ყავს სავარძელში მოკალათებული, ხავერდსა და ფარჩაში გახვეული, და რომელსაც ჯაკომია ესაუბრება ხოლმე. ესაა ინონი — მაიმუნი თუ რაღაც გამოუყნობი არსება.

შვერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს პატარა ქალაქისა და მის

მკვიდრთა ცხოვრებას. აქ არის ღარიბთა გაჭირვება, მდიდართა ფუფუნება, ქორები და ა. შ.

რომანის ცენტრშია დანიელ ჯაკომია — გაიძვერა, ბოროტი, ფლიდი, უხნეო ადამიანი, რომელიც ატყუებს მუშებსაც, რომელთა წრეშიც შეძვრება და თავს ასაღებს რევოლუციონერად, ლამის ხელმძღვანელად, სინამდვილეში კი უანდარმერიის აგენტი ყოფილა, რასაც მუშებიცა და მკითხველიც გვიან იგებენ. ეს ჯაკომია მზაკვრობით გააბრუნებს ნაბინა შერვაშიძეს და ჩაითრევს მუშათა კრებებში, შემდეგ მასვე დაავალებს ტერორისტული აქტის შესრულებას. მერე ირკვევა, რომ ყოველივე ეს ჯაკომიას სჭირდებოდა იმისათვის, რათა თავად შერვაშიძისათვის ამ გზით შანტაჟი მოეწყო და ხუთი ათასი მანეთი გამოეძალა. ამავე მეთოდით დანიელ ჯაკომია ამდენივე თანხას წაგლეჯს ამერიკელ ბობოლასაც. როცა მუშების ნაწილი დააპატიმრეს, რადგან ისინი დანიელმა გასცა, დანარჩენი მუშები მიხვდებიან ჯაკომიას მუხანათობას და სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ. ამას სისრულეში მოიყვანს სილინი.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ რომანში სოციალურ-პოლიტიკური ამბების ფონზე კარგად არის ნაჩვენები პიროვნების ფსიქიკურ-ზნეობრივი თავისებურებები, ადამიანის სულიერი სამყარო. ისიც უნდა ითქვას, რომ „ინონში“ საინტერესოა სიუჟეტის განვითარების ხერხი. მხედველობაში გვაქვს ის, რომ რომანი დაყოფილია თოთხმეტ თითქოს დამოუკიდებელ ამბად, მაგრამ სიუჟეტი მაინც მთლიანი და კომპოზიციურად შეერთებულია. საინტერესოა, რომ ავტორმა რომანი ასე დაასათაურა: „ინონ ანუ უცნაურ ამბავთა კრებული“. უცნაურობა კი აქ ის არის, რომ ბოლომდე გაურკვეველი რჩება ინონის, ამ მართლაც უცნაური არსების ვინაობა. მართალია, რომანის ფინალში ნათქვამია, რომ მოქალაქეებმა ნახეს მაიმუნი, რომელსაც ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა, მივიდა რკინიგზის სადგურში, ბილეთი აიღო და გაემგზავრა, მაგრამ უცნაურობა არც ამით გამორიცხულა, რადგან მაიმუნს ბილეთის აღება არ შეეძლო. უპრიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ავტორმა ინონის სახით რომანში შემოიყვანა მისტიკური არსება, დემონური ბოროტი სული, რომელიც თავის პატრონს, ჯაკომიას, მუდამ ბოროტებისაკენ უბიძგებდა.

საინტერესოა რომანის ენა. მხედველობაში გვაქვს არა მარტო მდიდარი ლექსიკა, არამედ მოხდენილი დიალოგებიც, რაც თხრობას დინამიურს ხდის.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს რომანი დაწერა 21 წლის ჰაბუქმა და თანაც მაშინ, როცა ბევრი ქართული საბჭოთა რომანი ჯერ არ იყო დაწერილი, უეჭველად უნდა ვთქვათ, რომ ამ ნაწარმოების

შექმნა ახალგაზრდა მწერლის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო.

პატარა ადამიანის, ქუჩაში გაგდებული და გაუბედურებული ადამიანის ბედის, საზოგადოებისა და მართლმსაჯულების გულქვაობის საკითხი წამოაყენა და მხატვრული გზით გადაჭრა მ. მრეელიშვილმა მოთხრობაში „ობობა“, რომელიც 1927 წელს დაწერა.

„ობობა“ დაწერილია პირველ პირში, ვეჟილის ჩანაწერების მიხედვით, რაც ბელეტრისტის ხერხია. მოთხრობის მთავარი გმირი, გაბრიელ შაბურა, გაუგებრობის გამო, სრულიად უდანაშაულოდ დაისჯება სასამართლოს მიერ. გაბრიელი კუზინი, მახინჯი, უთვისტომო კაცია, რომელიც შიმშილსა და გაჭირვებას ქუჩაში გამოუგდია, მას სამოწყალოდ ხელიც კი გაუწვდია, მაგრამ ამითაც არაფერი ეშველა. საზოგადოების გულქვაობა, დაცინვა და შეურაცხყოფა მისი მუდმივი ხვედრია. ამ ბეჩავს მხოლოდ მასავით უბედური ქუჩის ჯამბაზი ცივან გოგია შეიკედლებს და თბილ გულს უჩვენებს, მწირ ლუკმასაც გაუყოფს, მაგრამ მისი ხვედრი არც ამით შემსუბუქდება. ისინი ქუჩაში ერთად დადიან, ცივან გოგია გააბამს მავთულს. ზედ დადის, ჯამბაზობს, ცეკვავს, გაბრიელი კი სტვირზე უკრავს. ამაზე ბრბო ერთობა, მაგრამ ქუჩის ჯამბაზებს არც ბინა აქვთ, არც ლუკმაპური. როცა ერთ-ერთი ასეთი „კონცერტის“ დროს ცივან გოგია ქვაფენილს დაენარცხება და კვდება, გაბრიელი მთლად უიმედოდ რჩება. იგი მინდვრის ყვავილებითა და ეკლებით ამკობს ცივან გოგიას საფლავს, დასტირის, მამას უწოდებს, დარდისგან გმინავს.

გაბრიელ შაბურა თავის მოკვლასაც გადაწყვეტს, მივა მდინარესთან, მაგრამ იქ მასავით უბედურ ქალიშვილს გადაარჩენს დახრჩობას. ეს არის ალა. მშვენიერი გარეგნობის ქალიშვილი, რომელმაც მდინარეში თავის დახრჩობა გადაწყვიტა. ის ყოფილა ცირკის მსახიობი, რომელსაც ცხოვრების უკუღმართობამ გადააწყვეტინა სიცოცხლის ხელყოფა. შემდეგ ალა და გაბრიელი დაახლოვდებიან, ვაჟის გულში სიყვარულიც ჩაისახება, მაგრამ ალა მას არ უპასუხებს. მოთხრობაში არის კიდევ ერთი პერსონაჟი, ალას ოცი წლის ძმა ჯუნო, რომელიც სულით არის დაავადებული. ნაჩვენებია და-ძმის უსაზღვრო სიყვარული და გაბრიელის გულითადი დამოკიდებულება ჯუნოსადმი. ბოლოს, როცა ალა მხატვარზე გათხოვდება, ჯუნო ჰკლავს სიძეს და გაიქცევა. გონებადაკარგული ალა იატაკზე ეცემა. და რადგან იქვეა გაბრიელი, მკვლელობაც მას დაბრალდება. მართლმსაჯულება არ იძიებს საქმის ნამდვილ ვითარებას და ისჯება გაბრიელი.

მოთხრობაში ბევრი დრამატული ეპიზოდია. მწერალი ამ უბრალო ადამიანებში იმდენ სინამდვილეს, იმდენ ადამიანურობას ამჩნევს. და ხატავს, რომ მკითხველი მათ მიმართ დიდი სიმპათიებით იმსკვალება.

სოციალური ფონის საგანგებო გახაზვის გარეშე, უბედურ ადამიანთა ტანჯული ცხოვრების ჩვენების გზით, მწერალს მკითხველი მიჰყავს სავსებით გამოკვეთილ დასკვნამდე, რომ უბედობაში მყოფი უნდა გებრალეობდეს, მას თანაგრძნობით უნდა ეკიდებოდეს. ასეთია მ. მრევლიშვილის ჰუმანიზმის გამოხატულება ამ მოთხრობაში.

თემითაც და მხატვრული ღირსებითაც გამორჩეულია მ. მრევლიშვილის მოთხრობა „სემიდა“, რომელშიც ნაჩვენებია თურქი ქალიშვილის სიყვარულის ტრაგიკული დასასრული იმ ქვეყანაში, სადაც ფული და ძალა განსაზღვრავს ადამიანის ბედსა თუ უბედობას.

სემიდა არის ღარიბი ვაჭრის, ვალებში ჩაფლული ნიზამის ქალიშვილი, რომელსაც უყვარს გურჯი ჰაბუჯი ჯემალი. ამ ორი ახალგაზრდის სიყვარული ძლიერი და სპეტაკია, მათი მომავალი თითქოს ნათელია, მაგრამ ბედი სხვაგვარად განსჯის. მდიდარი სოვდაგარი და მეღუჭნეთა უსტაბაში ომარ ბეგი ნიზამის ეწვევა და სემიდას ხელს სთხოვს. ნიზამი იუარებს, აცხადებს, რომ სემიდას სხვა უყვარს, მაგრამ ომარ ბეგი მუქარითა და ოქროებით მაინც გადაიბირებს სემიდას მამას. შემდეგ ეს ბობოლა ჯემალს სტამბოლში გადაიკარგავს და იქ დილეგში ჩაამწყვდევინებს, თვითონ სემიდასთან ქორწილს გამართავს. სემიდას ისევ ძლიერ უყვარს ჯემალი, ომარ ბეგი კი დასანახად სძულს. ქორწილის ღამეს, როცა ომარ ბეგი ისევ სტუმრებთან არის, სემიდა გაიპარება, თან სამკაულების ქისას წაიღებს იმ განზრახვით, რომ სტამბოლს ჩავიდეს და ჯემალი გამოიხსნას. ღამეა. ქარი ღრიალებს. თოვს. სემიდას გზა აერევა, ტანსაცმელი კლდეებზე ხოხვისას შემოეფხრინება, დაიქანცება, მიწვება და ჩასთვლემს. ეზმანება ჯემალი, რომელიც მასთან ნავით მოდის და თავის ქვეყანაში, გურჯისტანში, საბჭოთა კავშირში მიჰყავს, იქ ველარ მისწვდება უკანონობა და ომარ ბეგის კლანჭები. როცა სემიდა გაიღვიძებს და მღვერის მოახლოებასა და შეპყრობის საფრთხეს იგრძნობს, უფსკრულში გადაიჩენება, რადგან უჯემალოდ, ომარ ბეგის გვერდით მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია:

როგორც დავინახეთ, მოთხრობაში ნაჩვენებია სემიდას გაუხარელი, ტრაგიკული სიყვარულის ამბავი და ამის მიზეზად მწერალი მიგვანიშნებს ქალის უუფლებობას, სიმდიდრით გათავხედებული ომარ ბეგის ძალადობას, უკანონობას.

საინტერესოა, რომ სემიდას ყველაზე კრიტიკულ მომენტში, თუმცა ზმანებაში, მაგრამ მაინც დიდ იმედად, ნათელ სვეტად მიაჩნია საბჭოთა კავშირი, სადაც ადგილი არა აქვს უუფლებობას, სადაც სიყვარული ფულზე არ იყიდება. ეს მინიშნება მნიშვნელოვანია და ძალდაუტანებელი. მას ზუსტი იდეური დატვირთვა აქვს.

მოთხრობა დაწერილია დინამიურად. მიმზიდველია ბუნების სუ-

რათების დახატვა. მეტყველად არის ნაჩვენები გარემო, რომელშიც პერსონაჟები მოქმედებენ. ღრმად არის გახსნილი პერსონაჟთა ფსიქიკა, მათი ხასიათის ინდივიდუალური შტრიხები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მწერლის ენა, რომელიც ლაღი, მეტყველი და მიმზიდველია:

ფსიქოლოგიურ მოთხრობათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ 1933 წელს დაწერილი მოთხრობა „შიში“. მასში გახსნილია ქართლიდან კახეთს გადასული არტანელის სულიერი ტანჯვა იმის გამო, რომ იგი ადრე ციციშვილების მოურავი იყო, ფარულად ქალბატონის სარეცელსაც იყოფდა, ახლა კი კახეთის სოფელ ლაფათყურეში კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მან თავისი წარსული დამალა, არც ხალხსა და არც პარტიას არაფერი გაუმხილა და სწორედ ამისი ეშინია, რომ, ვაი თუ გაუგონ და ჩაქოლონ... მართალია, ის ენერგიული თავმჯდომარეა, მის კოლმეურნეობაში ვენახები, ყანები, საქონლისა და ცხვრის ფარები საუკეთესოა, გლეხობა მოღონიერდა, ცხოვრება გაუმჯობესდა და ამისი მიზეზი არტანელის გამჭრიახი გონება, მოუღლელობა და თავდადებაა, მაგრამ არტანელს მაინც შიში უღრღნის გულს, შიში ლანდით თან დასდევს, მის სახეს ნაოქები ემატება, ზოგჯერ გარინდებაც დასჩემდა, კაცი დარდისგან ილევა. ამას ამჩნევს ცოლიც. ამჩნევენ კოლმეურნეობის აქტივისტებიც, მაგრამ მიზეზი არავენ იცის. არტანელი ზოგჯერ გადაწყვეტს კიდევ, ხალხს შეეკრებ და სიმართლეს ვეტყვიო, მაგრამ ამას ვერ აკეთებს, რადგან ჩაქოლებისა და მოკვეთისა ეშინია. მას კი ისე შეუყვარდა სოფელიც, ალაზნის ველიც, ზვრები და ყანები, თავისი საქმე, რომ არაფერი ეთმობა. ეს შიში, წარსულის სიმძიმით გამოწვეული ეს გაუმხელელი ვარამი არტანელს მოსვენებას უკარგავს, სტანჯავს. ასე გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში.

როცა სოფელში მოწვეულ საპატიო სტუმართა შორის არტანელი იცნობს ქართლელი გლეხის შვილს, რომლის ოჯახსაც მოურავი არტანელი ავიწროებდა, ახლა კი ეს ბიჭი პარტკომის მდივანი აღმოჩნდება, არტანელი თავს დაღუპულად მიიჩნევს. სტუმარმა ღამე არტანელის ოჯახში გაათია. მათ შორის ძუნწი საუბარი გაიმართა. — მიცანიო? — გიცანიო. ახლა რას მიპირებო? ხალხისა და პარტიისთვის უნდა გეტქვა შენი წარსულიო. არტანელს არ დასძინებია, ერთხელ წასთვლიმა და საშინელი სიზმარი ნახა, თითქოს ხანჯლით განგმირა მძინარე სტუმარი... რა ბედნიერი იყო არტანელი, როცა გამოეღვიძა და მიხვდა, რომ ეს საზარელი ამბავი მხოლოდ სიზმარი იყო. ამასთან შედარებით ძნელად აღარ ეჩვენა განცხადების დაწერა და თავისი წარსულის გამხელა. ფსიქოლოგიურად დამაჭერებელია კოლმეურნეობის კრება, არტანელის მოლოდინი — თუ რას მიუსჯიან, რით დამთავრდება მისი შიში. როცა კრება მას თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლებს,

მაგრამ კოლმეურნეობის წევრად მაინც დატოვებს და საშუალება ეძლევა მუყაითი შრომით შეცდომის გამოსწორებისა, არტანელს შიში მოეხსნება, თავს ბედნიერ კაცად თვლის.

არტანელის სულიერი ტანჯვა, ჩუმი, დაფარული დარდი, შიში წარსულის ცოდვების გამო, მოთხრობაში ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით არის დახატული.

მოთხრობას აქვს ორი სხვა, არცთუ უმნიშვნელო პლანიც. ერთია კოლმეურნეობისა და სოფლის საინტერესო ჩვენება, როცა შრომა, ლხინი, ცხოვრება ასე ხორცშესხმულად არის დახატული და საერთო აღმავლობა შეიმჩნევა ყველაფერში — უხვ მოსავალშიც, მის განაწილებაშიც, გლეხების განწყობილებაშიც. ამით მწერალი სოფლის განახლებას გვიხატავს და საბჭოთა წყობილების სიკეთეზე მიგვანიშნებს.

მეორე პლანი, აგრეთვე მნიშვნელოვანი და მიმზიდველი, ეს არის კახეთის დახატვა დიდი სიყვარულით. მოთხრობაში მკითხველის თვალს იტაცებს ალაზნის ველი, ალავერდი, შუამთა, სხვა ადგილები, თვალუწვდენელი ზეგები, პურისა და სიმინდის ყანები, ტრიალი მინდვრები და ცაში აზიდული მთები, მდინარეები და ჩანჩქერები. ყველაზე მთავარი კი კახეთის მოსახლეობაა. მათ იციან თავდადებული შრომაც, მოლხენაც, სიმღერა და ცეკვა-თამაში, პირში სიმართლის მიხლაც და სიყვარულით სავსე გულის გადახსნაც. საინტერესოა შემოდგომის სურათები: რთელი, მისი რიტუალები, ქვევრების რეცხვა, გოდრების წვნა, ყურძნის საკრეფად დიდ-პატარის გასვლა, მოლხენა, ქვევრებში ჩხრიალით მიმავალი ბადაგის სურნელება, ქორწილები. მკითხველს სიყვარული იპყრობს, ამ ადგილებს როცა კითხულობს.

როგორც ზემოთ ითქვა, „შიშის“ მთავარი თემა მაინც შიშით შეპყრობილი ადამიანის ფსიქიკის გახსნაა. ამ ამოცანას მწერალი წარმატებით ართმევს თავს.

დიდი სამამულო ომის დროს, 1944 წელს დაწერა მ. მრეველიშვილმა მოთხრობა „ოქროს ზარნიშინი ხანჯალი“. ამბავი გადმოცემულია ორიგინალური ხერხით. ლაზარეთში ბუხართან იკრიბებიან დაჭრილები და მორიგეობით ყვებიან თავიანთ თავგადასავლებს, ომში რომ გადახდა თითოეულ მათგანს. დადგა ლევანის ჭერიც. მან ჭერ ის უამბო დაჭრილებს, ბრძოლის ველზე 1942 წელს თუ როგორ წააწყდა სასიკვდილოდ დაჭრილ ქართველ მებრძოლს, რომელმაც თავისი გვარის თქმა და ჩანთის ჩუქება ძლივს მოასწრო და გარდაიცვალა. ეს მებრძოლი გვარად ლალიაშვილი ყოფილა. ლევანმა მას თვალები დაუხუჭა და მიწას მიაბარა. ჩანთაში აღმოჩნდა ოქროს ზარნიშინი ხანჯალი და ნაწერები, რომელთაც ახლა ლევანი ლაზარეთში უკითხავს დაჭრილ მეომრებს.

ამ ნაწერებს გადავყავართ ისტორიულ წარსულში, როცა საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეცამეტის ავადმყოფობის დროს კახეთს შემოესევა დაღესტნის რეაათასიანი არმია, რომელსაც დაღესტნელ ბელადებთან ერთად სათავეში უდგას ალექსანდრე ბატონიშვილიც. კახელებს კი მხოლოდ ორი ათასი მეომრის გამოყვანა შეუძლიათ. ამას ემატება ექვსასი რუსი ჯარისკაცი ორიოდ ზარბაზნით. იოანე ბატონიშვილი ვინმე ლალიაშვილს მზვერავად აგზავნის დაღესტნელთა ბანაკში და წერილს ატანს ბიძასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან, ქართველთა სისხლს ნუ დავღვრით, საქართველოს ამოსაგდებად ნუ გაიმეტებო. ლალიაშვილი წარმატებით შეასრულებს ამ დავალებას და ამაში კარგ სამსახურს უწევს ის ოქროს ზარნიშინი ხანჯალი, რომელიც ეხლა მთხრობელის კუთვნილებაა. დაჭრილები ყურადღებით ისმენენ ამ ჩანაწერებს, რომლებსაც უკითხავთ ლევანი.

მერე მწერალი კვლავ უბრუნდება დიდ სამამულო ომს, გვიყვება იმ ეპიზოდებზე, სადაც ლევანს, საბჭოთა ოფიცერს, მზვერავთა მეთაურს, არაერთხელ გაუწია კეთილი სამსახური ამ ძველმა ხანჯალმა.

ავტორმა ასე დააკავშირა ერთმანეთთან ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, ძველი ბრძოლები და სამამულო ომის საბრძოლო ეპიზოდები. ისინი ერთმანეთისაგან დროის მანძილით განსხვავდებიან, მებრძოლთა გმირობა, ქვეყნისათვის თავდადების გრძნობა კი მათ აერთიანებთ. მკითხველს სულაც არ ეჩოთიერება, რომ ორასი წლის წინანდელი ამბები დღევანდელი ამბების გვერდით არის მოთხრობილი. ამ მოთხრობაში დიდი სამამულო ომის თემა ორგანულად არის გადაწნული ისტორიულ წარსულთან და ისინი ერთმანეთს განუყოფლად უკავშირდებიან პატრიოტული გრძნობის სიძლიერით.

ყოველი მწერლის შემოქმედებაში გამოირჩევა ერთი ნაწარმოები, რომელიც ყველაზე უფრო წარმოაჩენს ავტორის შესაძლებლობებს და განსაზღვრავს მწერლის ადგილს. მიხეილ მრეველიშვილის შემოქმედებაში ასეთ ნაწარმოებად, ალბათ, „ხარატანთ კერა“ უნდა მივიჩნიოთ. მასში ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოჩნდა ავტორის ბელეტრისტული ნიჭი, სათქმელის საზოგადოებრივი წონა, ადამიანის სულში ღრმად წვდომის უნარი, მხატვრული ასახვის ხერხებისა და ენის საიდუმლოებათა ფლობის მაღალი დონე.

მოთხრობა „ხარატანთ კერა“ გვიხატავს ომის წლების ქართულ სოფელს, მის მკვიდრთა ცხოვრებას. კახეთის ერთი სოფლის, პანტიანის ჩვენებით მწერალი ახერხებს მთელი ქვეყნის ცხოვრების ჩვენებას. ამ მოთხრობისათვის დამახასიათებელია თემატური მრავალფეროვნება, სიუჟეტის განშტოებანი, ქვეყნისა და ცალკეულ პიროვნებათა ტკივილების, გაჭირვებისა და დაღბინების ჩვენება. სამამულო ომის

მიმდინარეობა და სიძნელეები აქ დახატულია ზურგში დარჩენილთა განცდებით. მაგრამ ამით თვით ომის საშინელება სრულიადაც არ ფერ-მკრთალდება.

ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა ზურია ხარატელი, რომლის ერთადერთი ვაჟი გიორგი ომშია წასული. პირველ ხანებში ზურიას ოჯახს მოსდის შვილის წერილები, მისი გამირობის ამბები სხვებსაც მოაქვს, მაგრამ შეწყდა ეს წერილები და ოჯახი შავმა ფიქრმა დანის-ლა. ამას ზედ ემატება გიორგის პატარა ბიჭის გიგლას უეცარი სიკვდი-ლი და წუხილი კიდევ უფრო უსაზღვრო ხდება. ზურია ხარატელი თვა-ლით დაინახავს და გულით იგრძნობს ოჯახის დაქცევისა და კერის ჩაქრობის საშინელ საფრთხეს. დარდად ქცეული კაცი სხვის შესახე-დად არ ამყლავნებს დარდას და ვარაშს, მაგრამ მარტო რომ რჩება, მწუხარება სიცოცხლეს უსპობს. ზურიას გვერდში უდგას ერთგული, ჩუმი, ჰკვიანი მეუღლე მართა, რომელიც ტირილსა და ვაებაში იკ-ლავს გულის დარდს. ცხადია, მას არ შეუძლია ქმრის გამხსნევა.

ოჯახის იმედად, მომავლის მბეუტავ შუქად ზურიას მიაჩნია გიორ-გის ცოლი ნატო, რომელიც აგრეთვე დარდს მისცემია ქმრისგან ამბის მოუსვლელობის სავარაუდებელი საშიში აზრის გამო და მერე შვილის ანაზღად დაღუპვის გამოც.

ზურია ხარატელის ცხოვრების მთავარი აზრია ოჯახის გადარჩენა. რამდენს შრომობს, რას არ აკეთებს, რომ მოსალოდნელი დაღუპვისა-გან იხსნას კერა. რძალს ეფერება, მისთვის ათას საჩუქრებს ყიდუ-ლობს და ჩუმიად აწყობს მის ოთახში. ამით ზურია არა მარტო ეფერე-ბა თავის რძალს, არამედ იმაზეც ზრუნავს, რომ ნატომ არ იფიქროს ოჯახის მიტოვება, სხვისი კერის გათბობა. ზურია გულში ფარულად ელოლიავება იმ იმედს, რომ ეგებ ღმერთმა გადმოგვხედოს, გიორგი დაბრუნდეს და ნატომ ახალი შვილიშვილები გამიჩინოსო. ეს იმედი ჭიუტი, უტეხი კაცის იმედი.

ზურია ხარატელს სხვაც გაუჩნდა სადარდებელი. სოფელში ცუდი ხმები დაირხა. მართალია, ეს იყო ჭორი, უსაფუძვლო ჭორი, მაგრამ სოფელი ხომ აყაყანდა. შვილის სიკვდილის შემდეგ ექვსი კვირა რომ გავიდა, ნატო ინახულა სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოფლის საყვარელმა წინამძღოლმა, გიორგის მეგობარმა აქმია ხუცუ-რულმა და ნატოს შეუწყრა, დარდს თავი ხომ არ უნდა მოაკვლევინ-ო, გამოდი, კოლმეურნეობაში იმუშავე, შრომა დარდს შეგიმსუბუ-ქებს, კოლმეურნეობას კი მუშახელი აკლია და შენი შრომით სოფელს წაადგებო.

ზურია ხარატელი რძლის გარეთ გასვლის წინააღმდეგია, მაგრამ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე რომ დაიბარეს, ადრე ნათქვამი უა-

რის მიუხედავად, ნატო სამუშაოზე გასვლას დათანხმდებდა. ჩამოაყალიბებენ ქალთა ახალ რგოლს, მას სათავეში ჩაუყენებენ ხარატანთ რძალს და ზერების დიდ ფართობს მიუზომავენ დასამუშავეებლად. ნატო თავდადებით ირჩება, მოწინავე კოლმეურნე ხდება. ამ პირობებში, ბუნებრივია, თავმჯდომარე მერგოლურ ნატოს ხშირად ხვდებოდა. ამ შეხვედრებისგან აგორდა ჭორი, თითქოს აკმისა და ნატოს ერთმანეთი უყვართ. ამან ზურიას ყურამდეც მიაღწია. გადაიჩია ზურია ხარატელი, წონასწორობა მთლად დაკარგა, აკმის მოკვლა გადაწყვიტა, ოჯახის ნამუსის შელახვას არავის ვაპატიებო. ერთხელ, ღამით ზურია ხანჯალმომარჯვებული ჩაუსაფრდა კიდევ აკმის, მაგრამ მაშინ შენიშნეს და ავი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მუქარით კი სხვა დროისთვის გადადო ხუცურაულის მოკვლა.

მწერალი მოთხრობის მთავარ გმირს ზურია ხარატელს (ხარატა-შვილს) გვიხატავს სხვადასხვა სიტუაციაში ისე, რომ რაც შეიძლება სრულად გამოჩნდეს მისი ხასიათის ძირითადი ნიშნები: ოჯახის ერთგულება, უტეხი ნებისყოფა, ნამუსის კაცობა, შვილისა და შვილიშვილის სიყვარული, რძლის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, ოჯახის სახელის შეუბღალაობა, ტრადიციებისადმი ერთგულება და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ამ მოთხრობაში მტყუანი არავინ არის, გარდა ერთი ენაჭარტალა გოგოსი, რომელმაც ნატოს ჭორი მოუგონა და მთელ სოფელს მოსდო. მტყუანი არავინ არის, თუმცა დაძაბული ურთიერთობა რამდენიმე პერსონაჟს შორის აშკარაა. არ ტყუის ზურია, რომელიც ოჯახისა და რძლის სახელს უფრთხილდება; არ ტყუის ნატო, რომელიც სამუშაოდ გადის და სოფელს შრომით წაეშველება; არ ტყუის აკმია თავმჯდომარე, რომელიც ნატოს სამუშაოზე გაიყვანს და ხშირი შეხვედრების წყალობით გულშიც ჩაუვარდება, მაგრამ გრძნობას გულშივე იკლავს, ისიც გიორგის ხსოვნასა და ნატოს სახელს უფრთხილდება.

როგორც ზემოთ ითქვა, მოთხრობაში ომი დანახულია ზურგიდან, მაგრამ ომის საშინელება ამით არ ფერმკრთალდება. ომში იყო და სოფელს დაჭრილი დაუბრუნდა აკმია ხუცურაული; ომში იყო ორივე ბრიგადირი — შალვა და აიტუზა, რომელთაგან ერთი ფეხის პროტეზს ძლივს დაათრევს. ომში წასულან პანტიანის ყველა ოჯახიდან და შინ მხოლოდ დარდი დაუტოვებიათ. ხოლო სოფელში დარჩენილი ყველა მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა ქალი თუ კაცი გაორმაგებით შრომობს, რადგან ქვეყანას პური და სარჩო სჭირდება, ომში მეგრძოლებს გამოკვება უნდა. ყველა ოჯახში დიდი წუხილია, საერთო უბედურებაა ომი. ეს კარგად ჩანს ამ მოთხრობიდან.

ოპტიმისტურ-ტრაგიკულია მოთხრობის ფინალი, როცა შინ და-

ბრუნდება ზურია ხარატელის ვაჟი გიორგი, ვის შესახებაც ოჯახმა სამი წლის განმავლობაში აღარაფერი იცოდა. ტრაგედია ის არის, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში გიორგის ორივე თვალის სინათლე დაუკარგავს, მთლად დაბრმავებული და შინ დაბრუნებას აღარც აპირებდა, წერილსაც ამიტომ აღარ იწერებოდა... ასე იტანჯებოდა ოჯახს, ცოლსა და შვილს მონატრებული გიორგი, ორივე თვალით დაბრმავებული, მაგრამ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული მებრძოლი. მან მშობლიური კერის სიყვარულის გულიდან ამოღება ვერ შეძლო. ბედნიერია ნატო, რომელსაც საყვარელი ქმარი დაუბრუნდა, ბედნიერია დედა, მამა, პაპა თორნიკეც. დაბრუნების ეს ეპიზოდი მოთხრობაში დახატულია საოცარი სიბოთით და თანაც დაძაბულობით. გიორგის დაბრუნება მთელი სოფლის სიხარულად იქცა, სხვა ოჯახებსაც მიეცა იმედი, იქნებ ჩვენც დაგვიბრუნდნენ ჩვენი ვაჟაკებიო. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურია ხარატელის სულიერი მდგომარეობა. ეს კაცი უცებ შეიცვალა, იმედიანი გახდა, აღარ ეეჭვება, რომ ნატოსა და გიორგის შვილები ისევ გაუჩნდებათ და ხარატაანთ კერაზე ცეცხლი არასოდეს გაცივდება, მუდმივად ენთება. გიორგის დაბრუნებით ზურია ისე მოღობა, რომ დატკბა და აკმია ხუცუტრაულს, ვისაც ხანჭლით მოკვლას უპირებდა, შესარიგებლად ხელი თვითონვე გაუწოდა.

მოთხრობაში არის კიდევ ერთი „მთავარი გმირი“ — კახეთის ბუნება, პანტიანელთა მოქმედების გარემო: ალაზანი, ალაზნის ველი, კავკასიონის მთები, ცივგომბორის ქედი, მთვარე, მზე, კომპები, ეკლესიები... ყოველივე ეს მწერალს დახატული აქვს ისეთი სიყვარულითა და ცხოველმყოფლობით, რომ ყოველი პერსონაჟის სიცოცხლისა და მოქმედების განუყოფელი ნაწილია, შეიძლება ითქვას, რომ პერსონაჟებთან ერთად ისინიც მოქმედებენ, მონაწილეობენ მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში ოსტატურად არის დახატული ხალხი, საკოლმეურნეო ცხოვრება, ხალხის ფიქრები და განწყობილება, კოლმეურნეთა შრომა ზვრებში, ყანებში, ფერმებში. მიმზიდველად არის დახატული რთელის, მკის და სხვა სამუშაოთა დეტალები. ადამიანთა ამაღლებული განწყობილება ამ სამუშაოთა შესრულების დროს, სიმღერითა და სხვა ტრადიციებით მუშაობა. აქვე ნაჩვენებია შრომის დაფასებაც, სიამაყე უხვი მოსავლის მიღებით, შრომის კარგი შედეგებით და ა. შ.

როგორც ზემოთ ითქვა, მოთხრობის სიუჟეტი მრავალპლანიანია, მაგრამ ყოველი მათგანი ერთმანეთთან ისეთ ორგანულ კავშირშია, რომ მათი აღქმა მხოლოდ მთლიანობაში ხდება. დიდი სამამულო ომის წლებზე, ზურგისა და ფრონტის მთლიანობაზე, ხალხის ერთგულებაზე

დაწერილი ეს მოთხრობა ამავე დროს არის ზურია ხარატელის ხასი-ათის მკაფიოდ გამოძიერწი ნაწარმოებიც, ოჯახის, სახელის შეურ-ცხვენლობის, კერის გაუცივებლობის ერთგულ ადამიანზე დაწერილი მოთხრობაც. იგი უდავოდ მნიშვნელოვანი მხატვრული ფაქტია და მიხეილ მრეველიშვილის ბელეტრისტული ნიჭის წარმატებული გამოვ-ლინებაა.

მ. მრეველიშვილს წარმატება ვერ მოუტანა მოთხრობამ „მისი სუ-რათის გმირი“, რადგან მასში დასმული საინტერესო საკითხი, ახალ-გაზრდა მხატვრის შემოქმედებითს ძიებას რომ გულისხმობს, ზერელედ და ნაჩქარევად არის გადაწყვეტილი. სამხატვრო აკადემიის დიპლომანტ მაგდა ხირსელს დაავალეს დახატოს გმირი, რომელიც ჭერ ვოლგისპი-რეთში იბრძოდა, შემდეგ ბერლინში გამარჯვების დროშა ააფრიალა, ომიდან დაბრუნებული კი გმირულად შრომობს. თუ გავითვალისწი-ნებთ, რომ მოთხრობა დაიწერა 1952 წელს, დასაშვებად მიგვაჩნია ასეთი დავალების მიცემა. მაგრამ მაგდას შემოქმედებითი პროცესი მწერალს გამარტივებულად და ზედაპირულად წარმოუდგენია. მაგდამ დახატა ათლეტური აღნაგობის ვაჟკაცი, მაგრამ თვალები არ გამოდის ისეთი, როგორც მაგდას წარმოსახვას სჭირდება. მეგობარი ურჩევს სოფელში წავიდეს, ცოტა დაისვენოს და მერე დაუბრუნდეს ხატვას. წარუმატებლობით შეწუხებული მაგდა უჭერებს თავის მეგობარს და მართლაც მიდის სოფელში. მატარებლიდან ერთ პატარა ბაქანზე რომ ჩამოვიდა, უკვე შეღამებულია, გზა აებნევა, ტყეში შუქს დაინახავს და იქით წავა. სწორედ აქ წააწყდება სადარაჯო ქოხს, რომელშიც მორი-გედ არის ისეთი კაცი, ტრაქტორისტი, ვისი ბიოგრაფიაც, გარეგნო-ბაც, თვალებიც მაგდას ასე სჭირდებოდა. ამ შემთხვევითმა შეხვედრამ გადაწყვიტა მაგდას შემოქმედებითი პრობლემა.

„მისი სურათის გმირი“ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში. რომ თემატური ორიგინალობა ან აქტუალურობა ცალკე აღებული ვერ იძ-ლევს წარმატებას, თუ იგი მხატვრული ოსტატობით არ არის შესრუ-ლებული.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას იმავე 1952 წელს დაწერილ მო-თხრობაზე „იონა ოსტატი“. აქ მოთხრობილია სოფელში და მის ფარ-გლებს გარეთ სახელგანთქმული ხუროს იონა ლაცაბიძის შესახებ. მის ნამუშევარს ყველა ალტაცებაში მოჰყავდა. რა ჩუქურთმები გამოჰყავდა ხეზე, როგორ მშვენდებოდა სახლი მის მიერ გაკეთებული კარ-ფან-ჯრით. მან ბევრი შევირდიც გამოზარდა, რომელთა შორის ნიჭითა და ხელდამშვენებით გამოირჩეოდა იონას ერთადერთი ვაჟი ილია, რომე-ლიც სამამულო ომში დაიღუპა. სწორედ ამის შემდეგ იონამ ყველა-ფერზე ხელი ჩაიქნია, ოსტატობაც მიატოვა, გარინდებული შან დაჭდა,

მისი სამუშაო იარაღები დაეანგდა. ბოლოს იონას შვილიშვილი უჩა რომელიც ქალაქში სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეა, ეწვევა ოჯახს და თან ჩამოიყვანს სასწავლებლის დირექტორს ლევან ურიდიას, რომელიც ოდესღაც იონას შეგირდი ყოფილა. ისინი იონას წააქეზებენ, წაიყვანენ ქალაქში, სასწავლებლის ოსტატად დაინიშნება იონა და თავის გამოცდილებას მოსწავლეებს გადასცემს. ასეთი კეთილი დაბოლოება აქვს ამ მოთხრობას. მაგრამ ავტორს დაავიწყდა მთავარი, იონას დარდის მიზეზი, შვილის დაღუპვა. ეს მიზეზი ხომ არ მოხსნილა და მამ ასე უცებ იონა რამ შეცვალა? ამაზე მოთხრობაში დამაჩერებელ პასუხს ვერ ვხედავთ.

თემატურად ცალკე დგას მოთხრობა „საფრთხოებელა“, რომელიც 1958 წელს არის დაწერილი. მასში ნაჩვენებია ძველი დროის ვადმონაშთის, ფულს დახარბებული აკაკის, ოდესღაც შაქრო გლახოს ძე თანდილაშვილად წოდებული, ხალხის მიერ ტანტალად მონათლული კაკის უკაცური სახე. ეს ტანტალა დროის ცვლას ყოველთვის ალღოს უღებს, ვითარებას მოერგება და თავის სახეიროდ იყენებს, სათაღლითოს ყოველთვის პოულობს. ბოლოს თავის ძველ, დაჩქრებულ ეტლს, რომელსაც ხალხმა საფრთხოებელა უწოდა, ტანტალას სოფელში მდებარე საცდელ-სამეცნიერო სადგურის „სამსახურში“ ჩააყენებს, ვითომ ხელშეკრულებით მას ემსახურებაო, სინამდვილეში კი აღმა-დაღმა დააქროლებს, მგზავრები გადაჰყავს და ფულს „აკეთებს“. ტანტალა გარეთ ქლესაა, შინ კი ცოლ-შვილს აწიოკებს, აშიმშილებს, ფულს კი აგროვებს და მალავს. ტანტალასგან განსხვავებით, მოთხრობაში ნათელ შუქად მოჩანს მისი ცოლი სალომე და გერი თეონა. ასევე შეიძლება ითქვას იმ საცდელ-სამეცნიერო სადგურის დირექტორის ახალგაზრდა მოადგილე ავთანდილზეც.

ფინალში ტანტალა მარცხდება, მისი ავი ზრახვები კრახს განიცდის, ახალი ცხოვრების სიმართლე და მასთან ერთად სიკეთე იმარჯვებს.

„მწუხრის სიმღერაში“ მ. მრევლიშვილი გვიყვება მოხუცი მხატვრის მწარე განცდაზე თავისი მოხუცებულობის გამო. სიბერეში, ე. ი. მწუხრის ჟამს, მას სიცოცხლით სავსე გოგონა ჰყავს მოყვანილი ნატურად. როცა მხატვარი მის შიშველ, მშვენიერ სხეულს იხილავს, სურვილი მოეძალება, მაგრამ გოგონა მის მიმართ უგრძნობელია, სხვა უყვარს. მხატვარი ამით არის შეწუხებული, მისი ტრაგედიის მიზეზი მოხუცებულობაა. ეს ადამიანური წუხილი თითქოს ბუნებრივია და გამართლებულიც, მაგრამ მოთხრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. მოთხრობაში ეს საკითხი ფსიქოლოგიურად და მხატვრულად ბოლომდე არ არის გაშუქებული. ორიგინ-

ნალური თემა კი თავისთავად მხატვრულ ღირებულებად ვერ იქცევა. მოთხრობა „საბედისწერო მოსახვევი“ მ. მრეველიშვილმა 1963 წელს დაწერა. მასში საჭირობოროტო და საინტერესო თემა მხატვრულადაც სათანადო დონეზე არის დამუშავებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მწერლისა. ახალგაზრდობის თემა, მამისა და შვილის ურთიერთობა, ახალგაზრდა ადამიანთა ცხოვრების ნირი, მათი ინტერესები, საქმიანობა, ზნეობრივი ასპექტები აქ ერთმანეთთან ორგანულად არის გადაჯაჭვული. მოთხრობაში სიუჟეტი ვითარდება დაძაბულად, რასაც ხელს უწყობს პერსონაჟთა ფსიქიკის, მათი სულის სიღრმეების ხატვისა და გამომზეურების მწერლისეული უნარი.

სახელგანთქმული მეცნიერის, პროფესორ სარიდან ნოზაძის ვაჟის, ოთარ ნოზაძის ცხოვრება უკუღმართად წარიმართა. დედა ადრე მოუკვდა, მამას მისთვის არასდროს ეცალა, სოფლიდან ჩამოსული მამიდა ნენე კი, რომელმაც ძმისა და ძმისშვილის მოვლა იკისრა, თავისი კეთილშობილი ხასიათისა და თავდადების მიუხედავად, ბიჭს ჭეროვნად ვერ უგებს. ოთარს სულ აკლდა დედის ალერსი, სითბო და ხელი. თანდათანობით ოთარი ხდება ცინიკოსი, ნიპილისტი, უნიათო, უმიზნო. მოსკოვში სწავლის შემდეგ თბილისში დაბრუნებული ოთარი საქმეს მაინც ვერ ეწევა, ფუქსავატობს, ძმაკაცებში ქეიფობს, სხვის შრომას აბუჩად იგდებს, ყველას დასცინის. ეს აშკარად გამოჩნდა ოთარი-სა და მისი მეგობრის გაიოზ შელიას შელაპარაკების დროსაც, რაც მცხეთის რესტორანში მოხდა. ოთარი დაუახლოვდება შესანიშნავ ქალიშვილს, სარიდანის ასპირანტს მაიას, რომელიც მალე დისერტაციას დაიცავს. მაია ყოველმხრივ შემკობილი ქალიშვილია, ოთარი მას მოხიბლავს, გააბრუებს და როცა საწადელს მიაღწევს, გულს აიცრუებს, ზედმეტად მიიჩნევს.

სარიდანი გვიან ხვდება შვილის სულიერ გალატაკებას, მისი დაღუპვის მოახლოებულ საფრთხეს. ნენესთან საუბარში ის მწუხარედ კითხულობს: როდის დაირღვა ჩემსა და ჩემს ერთადერთ შვილს შორის კავშირი. მამა განიცდის, მაგრამ გვიანია.

გაიოზ შელია უნარიანი, გამრჩე, მოწინავე ახალგაზრდა ინჟინერია. მას არ მოსწონს ოთარის ცინიზმი და ფუქსავატობა, ბოლოს ყველაფერს პირში ეტყვის, მაგრამ ესაც გვიანია.

ოთარი მაშინ იღუპება, როცა მცხეთიდან ნასვამი წამოვა, თავისი „ვოლგის“ საჭეს მიუჭდება და დიდი სიჩქარით მოაქროლებს მანქანას, ყოველგვარი წესების საწინააღმდეგოდ.

მოხდა ტრაგედია. დაიღუპა ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო ქვეყნისთვის სასარგებლო ადამიანი. მწერალი

დიდი გულისტკივილით აყენებს კითხვას, თუ როგორ შეიძლებოდა ამ ტრაგედიის თავიდან აცილება. ეს არის რთული კითხვა, რაზეც ერთგანზომილებიანი პასუხი არ არსებობს. მწერალი არც ამარტივებს მას და მთელი მოთხრობის მანძილზე, სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ, სხვადასხვა ეპიზოდში ისე ხატავს ვითარებას, რომ ყველა დაფიქრდეს — მშობელიც, შვილიც, მეგობრებიც, საზოგადოებაც.

მოთხრობაში კარგად არის დახატული მამის განცდები და წუხილი, შეყვარებული ქალიშვილის სულიერი მდგომარეობა და განწყობილება, ახალგაზრდათა ქეიფის სცენა რესტორანში, ოთარისა და გაიოზის კამათის სცენა მცხეთის რესტორანში, ბუნების სურათების დაკავშირება გმირის სულიერ განწყობილებასთან (განთიადი, სვეტიცხოველი, ჭვარი, გზა...). ამ მოთხრობაში მრავალი ისეთი შტრიხია, რომ მათი მოხდენილი მომარჯვებით ნაწარმოები არა მარტო დიდი ინტერესით იკითხება, არამედ მკითხველს დააფიქრებს და მრავალ თავსატეხს გაუჩინს.

მ. მრეველიშვილის პროზა, როგორც დავინახეთ, თემატურად მრავალფეროვანია. აღნიშვნის ღირსია, რომ მწერალი ერთ თემას მეორე ნაწარმოებში არ იმეორებს, მუდამ ახალს ეძებს და აგნებს კიდევ.

უმეტეს პროზაულ ნაწარმოებში მწერალი ამჟღავნებს გმირის ხასიათის გახსნის საუკეთესო უნარს. ის ღრმად წვდება ადამიანის სულს, ფსიქიკას და მის მიმოხვრას ისე გვიხატავს, რომ უმეტეს შემთხვევაში, მისი პროზის გმირები ხორცშესხმულნი არიან, ცოცხალნი, მოქმედნი და დასამახსოვრებელნი.

მწერალს ზედმიწევნით ემარჯვება ბუნების სურათების ხატვა. საამისოდ მას არც ფერები უხუნდება და არც საღებავი ელევა. მის მიერ დახატული ბუნების სურათები ზუსტიც არის, ფერადოვანიც, მეტყველიც და ორიგინალურიც. ეს სურათები არასოდეს არის ზედმეტი, მათი კანონიერი ადგილი უჭირავთ ნაწარმოებთა სიუჟეტში.

არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეჩოთ მ. მრეველიშვილის პროზის ენას. ლექსიკის სიმდიდრე, სინტაქსური წყობის მოხდენილობა, ენის გამომსახველობითი ძალა, დიალოგში მოკლე ფრაზის გამოყენება და, საერთოდ, მეტყველი დიალოგები — ყოველივე ეს მ. მრეველიშვილის ენის მუდმივი მახასიათებლებია. ამით მწერალი უთუოდ გამოირჩევა და ეს ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია.

დრამატურგია მ. მრეველიშვილის მეორე მუზაა. აქ ჩვენ უნდა გამოვყოთ ორი ნაკადი. ერთია ჯერ ბელეტრისტულად დაწერილის შემ-

დეგ პიესად გადაკეთება (მაგ., „ხარატანთ კერა“) და მეორეა თავი-
დანვე პიესად დაწერილი დრამატული ნაწარმოებები (მაგ., „ზევი“,
„ბედი მგოსნისა“ იგივე „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „მგზნებარე მე-
ოცნებე“).

მოთხრობა „ხარატანთ კერა“ ზემოთ საკმაოდ არის განხილული,
ამიტომ ამ სახელწოდების პიესაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. იმის
თქმა კი აუცილებელია, რომ ავტორმა მოთხრობის მთავარი იდეა,
პერსონაჟთა ხასიათები, გარემოზე მიმნიშნებელი ეპიზოდები პიესაში
გადაიტანა და დაუქვემდებარა დრამატურაგის კანონებს. ისიც უნდა
ითქვას, რომ ამ პიესით შექმნილი სპექტაკლები დიდი წარმატებით
იდგებოდა რესპუბლიკის დიდ თუ მცირე თეატრებში და მათ არც მა-
ყურებელი აკლდა, არც პიესის საუკეთესო გამოხმაურება. მ. მრევლი-
შვილის ამ პიესამ გარკვეულ წლებში ქართულ თეატრს საზრდო მის-
ცა, მისი ეროვნული რეპერტუარის გამდიდრებას შეუწყო ხელი. პი-
ესა დაიწერა 1949 წელს.

1945 წელს მიხეილ მრევლიშვილმა შექმნა ისტორიულ-ბიოგრაფი-
ული ხასიათის დრამატული ნაწარმოები „ნიკოლოზ ბარათაშვილი“
(„ბედი მგოსნისა“, რომელშიც გენიალური ქართველი პოეტის გაუხა-
რელი ცხოვრება და სიღრმით სავსე შემოქმედება არის ნაჩვენები. იმის
გამო, რომ ნ. ბარათაშვილის ფიზიკური ცხოვრება ხანმოკლე იყო, თა-
ნაც რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტებით არ ყოფილა დამშვენებული, მე-
ტიც, უფერულიც კი იყო, დრამატურაგი ვერ გაჰყვებოდა პოეტის ბი-
ოგრაფიის ჩვენების გზას. მას გამოსავალი სხვა რამეში უნდა ეძებნა.
ასეც მოხდა: მ. მრევლიშვილმა პიესაში დაგვიხატა პოეტის შემოქმე-
დებითი ბიოგრაფია, ე. ი. მისი პოეზიის მთავარი სულისკვეთება და იგი
გვიჩვენა ეპოქისა და გარემოს სულისკვეთებასთან კავშირში, მიმარ-
თებაში, იმ ადამიანებთან კავშირში, ვინც იმ ეპოქის გარკვეული ტენ-
დენციების მატარებელი იყვნენ. დრამატურაგის ამ მიგნებამ გაამარ-
თლა და ხელი შეუწყო პიესის წარმატებას.

პიესა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ არის ოთხმოქმედებიანი დრამა,
რომელიც შედგება რვა სურათისაგან. პირველ მოქმედებას წინ უძღვის
პროლოგი, რომელშიც ნაჩვენებია ეკატერინე ჭავჭავაძისა და ილია
ჭავჭავაძის შეხვედრა პეტერბურგში, სადაც სამეგრელოს დედოფალი
თავის ნათესავ სტუდენტ ილიას ნ. ბარათაშვილის ლექსთა ხელნაწერ
კრებულს გადასცემს. ამ ორ ადამიანს შორის გამართულ დიალოგს,
საერთოდ ამ პროლოგს, მნიშვნელოვანი დატვირთვა აკისრია, იგი ერთ-
გვარ გასაღებს იძლევა პიესის არსში შესასვლელად.

დრამის ყველა სურათი დასათაურებულია ნ. ბარათაშვილის რო-
მელიმე ნაწარმოების სათაურით. ესენია: „ბედი ქართლისა“, „ჩინარა“,

„საყურე“, „ჩემს ვარსკვლავს“, „სატრფოვ, მახსოვს“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“ და „მერანი“. ავტორი ყოველ სურათში ამ სათაურის შესატყვის შინაარსს სდებს, სურათში გაშლილი მოქმედება ამ სათაურის შესატყვისია.

პიესის ცენტრალური ფიგურაა ნ. ბარათაშვილი. კარგად არის დახატული მისი ოჯახური წრე, მეგობრები, სამსახური, პოეტის სულის მღელვარება, დამყაყებულ გარემოსთან შეურიგებლობა, სწრაფვა სიმალლისაკენ, ცისაკენ, სიწმინდისა და სინათლისაკენ. ნ. ბარათაშვილის დამარცხება ეპოქის სიბნელისა და ადამიანთა გაუტანლობის შედეგია.

ნაწარმოებში ნათელი ფერებით არის დახატული ტატოს უსაზღვრო სიყვარული ცისიერისადმი, ეკატერინე ჭავჭავაძისადმი და ის ამალღებული გრძნობები, რომლითაც ეს სიყვარული ლამაზდებოდა. პიესაში ასევე ძლიერია ის ეპიზოდები, სადაც ნ. ბარათაშვილის სულიერი მდგომარეობაა ნაჩვენები ეკატერინეს გათხოვების შემდეგ, ძლიერადაა დახატული დამსხვრეული დიდი სიყვარულის ტრაგიკული განცდა.

ავტორი სიმართლით გვიჩვენებს ეპოქის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნებს, შეეხება ეს დალესტნის წინააღმდეგ ომის პერიპეტიებს, მეფის ნაცვლის სასახლეში გამართულ ბრწყინვალე ბალებს თუ ქართველი თავადების განწყობილებასა და მისწრაფებებს.

საინტერესოდ არის დახატული ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი, თვით პოეტისა და მისი შვილების პორტრეტები. ასევე უნდა ითქვას ორბელიანების, ლევან მელიქიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის, კონსტანტინე მამაცაშვილისა და სხვათა შესახებაც.

დრამატურგი საღებავს არ იშურებს მეფის მოხელის, პირწავარდნილი გაიძევრას ილინსკის ვერაგობის დასახატად.

პიესიდან უეჭველად უნდა გამოვყოთ ორი მოქმედი პირის სახე. ერთია ვლადიმერ ბალაშოვი, საქართველოში გადმოსახლებული რუსი დეკაბრისტი, რომელიც უმეგობრდება ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის მეგობრებს. მკითხველი დიდი სითბოთი და სიმპათიით აღივსება ამ ადამიანისადმი. მეორე მოქმედი პირია როსტომი, ალ. ჭავჭავაძის ყოფილი ყმა, აწ განთავისუფლებული გლეხი, რომელიც სიბრძნითა და სიკეთით არის სავსე, ქართველი გლეხის საუკეთესო თვისებების მატარებელია. დაუფიწყარია მისი სიახლოვე ტატოსთან, მათი ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა.

უნდა დავუმატოთ, რომ ეს პიესა დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოს მრავალ თეატრში, განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს მისი განხორციელება რუსთაველის თეატრში, სადაც გოგი გეგეჭკორის ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოირჩეოდა რომანტიკული ამალღებულო-

ბით, ემოციურობით, რის გამოც მაყურებელი აღფრთოვანებული იყო. უნარულად „ნ. ბარათაშვილს“ ენათესავება მ. მრეველიშვილის მეორე პიესა „მგზნებარე მეოცნებე“, რომელშიც გრიბოედოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლები არის ნაჩვენები, 1828 — 1829 წლები, როცა ის უკვე სახელგანთქმულია თავისი პიესით „ვაი ჰკუისაგან“ და დიპლომატიური მოღვაწეობითაც. პიესის მოქმედების გეოგრაფიული არეალი ვრცელია — რუსეთი, საქართველო, სპარსეთი.

დრამატული თვალსაზრისით საინტერესოა პიესის ისეთი ეპიზოდები, როგორიც არის პეტერბურგში ა. გრიბოედოვის აუდენცია იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან, როცა დრამატურგი ხელმწიფეს სთხოვს დასჯილი დეკაბრისტების ხვედრის შემსუბუქებას; აუდენცია თეირანში ირანის შაჰთან, შეხვედრები თბილისში და წინანდალში ალ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრებთან. დრამაში დიდი მხატვრული ძალით არის ნაჩვენები ნინო ჭავჭავაძისა და ალ. გრიბოედოვის სიყვარული, ქორწილი. შემზარავია თეირანში რუსეთის საელჩოზე ფანტიკოსთა თავდასხმა, სადაც ალ. გრიბოედოვია. შემზარავია დაცვისა და თვით ალ. გრიბოედოვის დახოცვის სცენები.

მთელი პიესა ამხელს ნიკოლოზ პირველისა და მისი მინისტრების ცბიერებასა და სიძულვილს ალ. გრიბოედოვის მიმართ, იმ ავბედით ქსელს, რასაც ისინი ფარულად ხლართავენ გრიბოედოვის წინააღმდეგ და რამაც მწერლის ტრაგიკული დასასრული გამოიწვია.

პიესაში ყველგან რელიეფურად ჩანს ალ. გრიბოედოვის ამაღლებული, პროგრესული და ჰუმანისტური იდეალები.

ნაწარმოებში მიმზიდველად არის დახატული თბილისის სცენები, მოწინავე ქართველი საზოგადოების თბილი დამოკიდებულება ალ. გრიბოედოვისადმი, რუსეთის დიდი შვილისადმი, ნაჩვენებია ქართველი მოღვაწეების მეგობრობა გრიბოედოვთან. ეს აყვანილია ხალხთა შორის მეგობრობის სიმაღლემდე.

ამ პიესის ავტორი უდავოდ კარგად ფლობს დრამატურგიის კანონებს და წარმატებით ახორციელებს მათ. პიესა დაიწერა 1956-57 წლებში.

„ნარატანთ კერასთან“ ერთად პიესა „ზვავი“ თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებია. ეს არის ოთხმოქმედებიანი დრამა, რომელშიც ჩვენი ეპოქის ადამიანთა სულის მოძრაობაა ნაჩვენები, ბოროტისა და კეთილის ჭიდილი არის დახატული ისე, რომ ზოგჯერ ძლიერად ამოვარდება მოქმედ პირთა სულის ქარიშხალი. მოქმედება მიმდინარეობს მთის სოფელში, თუშეთში.

დრამის ერთი მთავარი გმირია თინიბეგ უთურგაული — ბნელი სულის, ხარბი, ბოროტი ადამიანი, რომელიც სხვისი წარმატების გამო

შურით ივსება, ბოროტების ქსელსა ხლართავს და ბოლოს სხვისთვის დაგებულ მახეში მისი ღვიძლი შვილი გევა გაებმება, იღუპება, მამის ბოროტების მსხვერპლი ხდება, ჩაიტანს ის ზვაევი, რომელიც თინიბეგმა ამირანის დასაღუპად ხელოვნურად გამოიწვია თოფის გასროლით.

პიესაში მოქმედებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლაზრო, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კობე, მწყემსები, ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები, მოხუცი ონისე თურმანაული და სხვ.

დრამაში განსაკუთრებულად ნათელი სახეებია 21 წლის ლელა — ცხვრის ახალი ჯიშის გამომყვანი, მწყემსის, დაღუპული მინდია თურმანაულის ქალიშვილი, სოფლის მასწავლებელი და ყველაასათვის საყვარელი ადამიანი ასევე უნდა ითქვას 30 წლის ამირან რაინაულზე რომელმაც უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო, დაუბრუნდა სოფელს, დიდი მონდომებით დაიწყო ვეტექიმად მუშაობა, ამხილა თინიბეგ უთურგაულის ბოროტება და მინდიას მიერ გამოყვანილი, თინიბეგისგან დასაღუპად გამეტებული ცხვრის ახალი ჯიშის გადარჩენა ითავა.

უმჯველად უნდა ითქვას, აგრეთვე, ჩუმი, უსიტყვო, ქმრის ნებასურვილის მორჩილი ქალის, თინიბეგის მეუღლის საბედოს შესახებ. ის მუდამ მომთმენი იყო, სულ ქმარსა და შვილებს შეჰყურებდა თვალელებში. მან გაუძლო თინიბეგის ბოროტების მსხვერპლის, დაღუპული პირველი შვილის დარდაც, ითმინა, მაგრამ როცა ქმარმა მეორე შვილიც გამოაყალა ხელიდან, მაშინ კი ხმა ამოიღო. ვილასთვის უნდა ეთმინა, ვილასთვის უნდა ეცოცხლა. გამწარებულმა დედამ ხალხის წინაშე დაუნდობლად ამხილა ვერაგი მეუღლე: „... გაძეხი, სვავო, საკუთარი შვილების ხორციით? მაშ რალა გინდა, შაბაშ შენ და შაბაშ შენს საქმეს! (ხალხს) აი. ხალხო, ავის მთესველი ძმათა შორის! ვიღრე ვსა გყავთ მეზობლად და კარის მნახველად, თქვენი ყანა არ გაიხარებს, თქვენი ცხვარი არ გამრავლდება! ორივე ჩაგვეკოლეთ თქვენი ხელით! მე სუსტი დედა, ეგ მოციქული შავეთისა ამ მზიანეთში!“

თინიბეგი, მართლაც, შავეთის მოციქული, ბოროტების ქურჭელი იყო. ტრაგიკულია მისი ხვედრი, მაგრამ სიბრალულს არ იმსახურებს. ბოროტება მარცხდება და პიესის მთავარი აზრიც ეს არის. „ზვაევი“ 1955 წელს დაიწერა და რამდენიმე თეატრში წარმატებით დაიდგა.

დინამიზმი, ხასიათების გამოკვეთა, დრამატული სიტუაციების შექმნა, მოქმედ პირთა ფსიქიკის წარმოჩენა, მეტყველი დიალოგები ზომიერი და ზუსტი რემარკები, საზოგადოებრივად საინტერესო თემატიკა და მრავალი სხვა სიკეთე ახასიათებს მ. მრეველიშვილის პიესებს. ამიტომ, ისინი ქართული საბჭოთა დრამატურგიის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია.

ანა კალანდაძე

1946 წელს საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი აღინიშნა. მოულოდნელად იფეთქა ერთმა პოეტურმა სახელმა, ვისი ხმაც მყისვე მთელ საქართველოს მისწვდა. იმხანად ყველას პირზე ეკერა ანა კალანდაძის სახელი. იმავე წელს „მნათობსა“ და „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ანა კალანდაძის ლექსები, რომელმაც არა მარტო მოხიბლა მკითხველი საზოგადოება, არამედ მოაჯადოვა კიდევც.

იმ დღიდან დიდმა ღრმად განვლო, პოეტის მრავალი კრებულიც გამოვიდა, მას ბევრგან უწყობენ შეხვედრებს, პრესა, რადიო. ტელევიზია ხალხს პერიოდულად აცნობს პოეტის ახალ ნაწარმოებებს და მინც ანა კალანდაძის პოეზიის მომხიბველობა უფრო მატულობს, მკითხველი მას პირვანდელი წყურვილით ეწაფება, მისი ლექსების ფერები არა თუ არ ხუნდება, არამედ უფრო მეტ ელვარებას იძენს. ასეთია ჭეშმარიტი პოეზიის ძალა.

ანა კალანდაძე პოეტურ შემოქმედებას უხამებს საზოგადოებრივ მოღვაწეობას: რამდენჯერმე აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ა. შ. პოეტი დაჭილდოებულია მთავრობის ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით.

ყველაზე დიდი ჭილდო კი ანა კალანდაძისათვის არის ის აღიარება და საყოველთაო სიყვარული, რითაც შეამკო იგი ქართველმა და ყველა საბჭოთა ხალხმა.

* * *

ანა კალანდაძის პოეზია არის იდუმალი და ღრმა, თავისთავადი და ფიქრიანი, ნატიფი და ციური, მინორულიც და მაჟორულიც, მიწიერიც და ამბლღებულებიც, აქტიურიც და გარინდულიც და ყოველივე ეს მასში მონაცვლეობს სათქმელის ბუნების შესატყვისად. უმთავრესი კი ის არის, რომ ამ პოეტის თითქმის ყველა ლექსს შესწევს საოცარი ძალა, მოხიბლოს და დაატყვევოს მკითხველი, შეუქმნას მას განწყობილება და თავის მხარეზე გადაიყვანოს იგი, მას შესწევს კიდევ რალაც სხვა ძალა, რომელიც იმავე მკითხველს სხვა სამყაროში გადაასახლებს, ფრთებს შეასხამს და გამჭვირვალე, კრიალა ლაქვარდებში დააწყებინებს ფრენას... ამიტომ ასე ძნელია ანა კალანდაძის ლექსების ჩვე-

უღებრივი განხილვა. იგი თითქოს არც კი ექვემდებარება ანალიზს, ის მთლიანად უნდა შეიგრძნო. ანა კალანდაძის პოეზია, მისი ფერები, მუსიკა და გამოუცნობი სხვა მრავალი თვისება მკითხველზე ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენს, მის სულს ატყვევებს და თავის ნებას უქვემდებარებს, ქვეშევრდომად იხდის, მორჩილ ქვეშევრდომად.

ანა კალანდაძის შემოქმედებაში, თუ ზოგადი თვალსაზრისით შევხედავთ მას, ორი ძირითადი ნაკადი შეიმჩნევა — ციური და მიწიერი. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თითოეული ეს მთავარი ნაკადი შეიცავს განშტოებებს, რომლებიც ამრავალფეროვნებენ და ამდიდრებენ ციური და მიწიერი ნაკადების შინაარსს.

ციურ ნაკადს განეკუთვნება ის ნაწარმოებები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სულისმომკითხვის სიღრმეები და სიმალღეები — მიმართვა უზენაესისადმი, იღუმალისადმი; ზოგჯერ გაუცნობიერებელი გრძნობა — ემოციებისადმი, მითითებისადმი, ღვთისადმი, რწმენისადმი და ა. შ. ყოველივე ეს ადამიანის სულიერ სამყაროს განეკუთვნება.

მაგალითად:

მიუსაფრობის, მართობის დარეკეს ზარი
ჩუმ სავანეში დავიწყების და მწუხარების...
აქ... კვლავ იღუმალ ნათლის მოსვლას აღიარებენ,
ელიან უტყვი მოლოდინით, ელიან კვალად...
მე კი... შენ გიხმობ — უზენაესს ზენათა შორის,
გიხმობ, რამეთუ სასოების დამტოვებს ძალი..

(1969 წ.)

მოტანილი ლექსი ანა კალანდაძის ე. წ. ციური ნაკადის ლექსებში არა თუ გამონაკლისია, არამედ ძალზე დამახასიათებელიც არის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი წყების მრავალი ლექსი ერთსახოვანი როდია, ისინი მრავალპლანიანნი, ნიუანსებრივადაც და არსებითადაც მრავალგვარნი, სიღრმისეულნი, ზოგჯერ ძნელად ჩასაწვდომნი და იღუმალნი არიან. მათს დაწვრილებით განხილვას და გააზრებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ე. წ. ციური ნაკადის ლექსები შეიძლება დავალაგოთ რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც ამ ნაკადის განშტოებებად მოვიხსენიეთ.

ისიც შეიმჩნევა, რომ ამ ნაკადში შემავალი ლექსები პოეტის სულში ხედვის, სულში ჩაწვდომის, სამყაროსადმი დამოკიდებულების, სულიერი საწყისიდან მომდინარე იმპულსებიდან იღებს სათავეს. მათთვის თითქმის უცხოა საგნობრიობა, ფიზიკურად ხელშესახების, განივთე-

ბულის შემჩნევა, ამ განივებულთან პოეტის დამოკიდებულების გამა-
ჟღავნება.

მეორე ნაკადში კი, რომელსაც ჩვენ ე. წ. მიწიერი ვუწოდეთ, სწორედ ეს უკანასკნელი, საგნობრივი და განივებული, რეალურად არსებული და განცილილია მთავარი, თუმცა ისიც პოეტის სულიერ და აზრობრივ ქურაშია გადახარშული... ეს შეეხება მამულსაც (მის წარსულსა და დღევანდლობას), კონკრეტულ ადამიანებსაც, საქართველოს ცალკეულ კუთხეებსაც, ძეგლებსაც, ბუნებასაც და ა. შ. აქ შეიძლება შეგვხვდეს სევდაც. აღმაფრენაც, ნალვლიანი ინტონაციაც, ამაყი განცდაც, იმედიც, — ყველაფერი, რაც ადამიანურია და ბუნებრივია. ამ წყების ლექსებში მთავარია მიწიერება, ე. ი. ფიზიკურ-საგნობრივად არსებულის ჩვენება. თლონდ ეგაა, რომ ანა კალანდაძე სავსებით ორი-გინალურად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განწყობილებითა და გამოსახვის საკუთარი ფორმით გვიჩვენებს ყოველივე ამას. ეს კი ხშირად, მიუხედავად მისი საგნობრიობისა, მისი მიწიურობისა, იმდენად იდუმალი ინტონაციების შემცველია, რომ მათ მაინც ცაში ავყავართ:

ისევ ყვავილობ, მაშარის ძირო,
ისევ გაწვიმან მალღით წვიმები...
კვლავ ჩამოგხედავს დღლა-საღამო
ზეცით ნაკურთხი აღმას-მძიეებით...
დიდებული ხარ შენ ცათა შორის
უხვად მთოველი ვარსკვლავის ჩენით —
ისევ სიხარულს მაუწყებს გული:
საღლაც, მის მღმა მიღიან წელნი!..

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში მაშარის ძირას ყვავილობის მიწი-
ერების გვერდით მაინც შემოდის „ზეცით ნაკურთხი აღმას-მძიეები“
და „ცათა შორის უხვად მთოველი ვარსკვლავების ჩენა“, რაც ავტო-
რის გულს სიხარულს აუწყებს. მაგრამ ამ ლექსის მიწიურობიდან ცი-
ურობისაკენ მიმავალი განწყობილება მხოლოდ ცისა და ვარსკვლავე-
ბის უბრალო ხსენებით კი არ წარმოიშობა, აქ არის კიდევ რაღაც სხვა
იდუმალი ძალა, რომელიც ამ ლექსს აქვს და ამით იგი მკითხველს ცის-
კენ ეწევა.

1971 წელს ანა კალანდაძემ დაწერა ასეთი უსათაურო ლექსი:

შუღამისას მოვიხილე წმინდა საენე,
შუღამისას მოვეყვი მას ისევ და ისევ.
არ მიწიური კავშირისთვის, არ მიწიურის,
არ მიწიურის გვირგვინისთვის, არამედ... ცისა!..

ამ ლექსის ბოლო ორი ტაეპი შეიძლება მივიჩნიოთ ლაიტმოტივად პოეტის შემოქმედების იმ ნაწილისათვის, რომელსაც ჩვენ ციური ნაკადი ეუწოდეთ.

კიდევ უფრო ხელშესახებია ანა კალანდაძის პოეზიაში ციური ნაკადის აზრი იმ ლექსში, რომელიც მიგვანიშნებს, რომ „ციური ძალით და ცათავე ნებით“ გამოეცხადა პოეტ ქალს მისი რჩეული, რომელმაც გულს დასდო თავისი შავი ბეჭედი მასზე უფლებისა და ხელმწიფების ძალით, რომ იგი თეთრი და ფრთამაღი მოფრინდა, მალე ისევე განქარდა, ცამ მიმადლა და ცამვე მიიღო. აქ არა მარტო ისაა საინტერესო, რომ მისი რჩეული პოეტს ციური ძალით გამოეცხადა, არამედ უფრო ის, რომ საერთოდ იგი. ეს რჩეული, ციურია და ციდან მოსული ცაშივე მიდის...

ვამომეცხადა რჩეული ჩემი
ციურის ძალით, ცათავე ნებით,
გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი
ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით...
ეუპყარ პინაკი სასოებრთვის —
მოფრინდა იგი თეთრი და ფრთამაღ...
განქარდა ისევე... ო, წამიერი —
ცამ მომადლა და მიმიღო ცამახ...

აქ რჩეულის მიწიერება, ხორციელება სავსებით გამორიცხულია, ციურობა კი ექვს გარეშეა.

პოეტის ციური ნაკადის ლექსები თემატურად თუ პრობლემატიკით მრავალფეროვანია, ისინი სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ მათი ავტორის სულიერ მდგომარეობას, მის მრავალწახნაგოვნებას. ზოგი მათგანისათვის უცხო არ არის მისტიკაც, რაც ჭეშმარიტი პოეზიის თანამდევია არც თუ იშვიათად. ციური ნაკადის ლექსების ერთგვარი იდეალურება, ალბათ, აქედან იღებს სათავეს.

მიწიური ნაკადის ლექსების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი რამდენიმე განშტოებას ქმნიან. ისინი შეიძლება გამოიყოს თემების ან მოტივების მიხედვით.

ანა კალანდაძის პოეზიაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მოტივები: სამამულო ომის გამოძახილი, ეროვნულ-პატრიოტული მოტივი, საქართველოს ისტორიული წარსულის პოეტური აღქმა, ბუნების განცდა, ფილოსოფიური გააზრება, სხვა ერების შვილთა დახატვა და ა. შ.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული, ანა კალანდაძე რომ გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში. თუ ვივარაუდებთ, რომ ის წინა წლებშიც წერდა, მაშინ სავსებით გასაგები გახდება, რომ მისი პირველი ნაბიჯები ომის ბოლო

წლებს ემთხვევა. ცხადია, ომი ახალგაზრდა პოეტისთვის უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. ხოლო 1946 წლით თარიღდება ანა კალანდაძის ლექსი „ქარში გამო, ჭია-ჭია მარია“, რომელიც შთაგონებულია ომში ჩვენი გამარჯვების სიხარულით.

ამ ლექსში მზე იცინის, ვარდფურცლობის დარი დამდგარა, პოეტის გული სიხარულს ველარ იტყვის და სურს იგი გაუზიაროს ჭია-ჭია მარიას; ამ განწყობილების გამო პოეტისათვის ზეცა უნისლოა, ცისა და მიწის სიცილში ყაყაჩო ჩანს, რადგან ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს... პოეტი გახარებულია იმით, რომ „შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია“, რომ გავიმარჯვეთ! ჭია მარიასადმი მიმართვაში პოეტი გაოცებას არ მალავს. ჩვენი მოსვრა ანკი როგორ ინდომესო. გამარჯვებას თან მოჰყვა მშვიდობიანი შრომა: „ზღვარდარხეულ მინდორს გაუხარია, ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია, დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი... ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი!..“ მშვიდობიანი შრომა შესაძლებელი გახდა გამარჯვების მობრძანებით, როცა „ვრცელ მინდვრებს ტრაქტორები ფარავენ, ბალ-ბოსტნებში თოხნიან და ბარავენ“.

გამარჯვებით გამოწვეული სიხარული პოეტს ფრთებს ასხამს და თავის ამ ბედნიერ განცდებს იგი ჭია-ჭია მარიას უმხელს. ამ ფორმით და ამ ხერხით გამოთქვა ავტორმა თავისი სათქმელი და ასე გამოეხმაურა იგი ომში ჩვენს გამარჯვებას, მშვიდობიანი შრომის დაწყებას.

ომის გამოძახილია აგრეთვე ლექსი „ვერ წაიღეს. ვერა“, სადაც ნაჩვენებია გმირობა ქართველი მეომრისა, რომელიც კავკასიას იცავდა და მტერი უკუაგდო. „მტერს უტევდა კავკასიის მაღალ მთებთან — განა მტარვალს მიწის გოჯი მისცა?“ ამ ლექსში დახატული მებრძოლი უებრო პატრიოტია, გმირული სულის ადამიანია, მას სიცოცხლეზე მეტად თავისი სამშობლოს თავისუფლება უღირს: „კვდება გმირი? სამშობლო ხომ გადაურჩა? გავზარდეთ, იტყვის ქართველის დედა...“ და რაკი მის მიერ ბრძოლით უკუგდებულმა მტერმა ვერ წაიღო მისი სამშობლოს თავისუფლება. ამიტომ მისთვის სუნთქვის შეწყვეტაც არაფერია... „მერე რა, თუ სუნთქვას შეწყვეტს ფართე მკერდი? «ვერ წაიღეს. ვერა!»“ ამ ლექსის განწყობილება პატრიოტულია. გმირულია, ამალღებულისა. იგი გამოხატავს საბჭოთა ხალხის განწყობილებას და მასთან პოეტის ორგანულ კავშირს, მისგან განუყოფლობას.

ზოია კოსმოდემიანსკაიას ეძღვნება ანა კალანდაძის ლექსი „მუჟ-შემართული დგახარ, ტანია!“, რომელიც 1946 წლით თარიღდება. ვინც ზოიას გაუგონარ გმირობას იცნობს, ვინც ამ საოცარი ქალიშვილის უტეხი ნებისყოფა და გმირული თავდადება იცის, მისთვის კოსმოდემიანსკაიას სახელი ბევრის მთქმელია. ამ სახელით მოხიბლული და

აღფრთოვანებული პოეტი ანა კალანდაძე არჩევს ისეთ ფერებს, ისეთ საღებავებს, რომ გმირის სახელი მეტი შუქით შემოსოს, რომ ამ გონას გმირობა კიდევ უფრო აამაღლოს. სამამულო ომში საბჭოთა ახალგაზრდობის გაუგონარი შეუპოვრობის, მტრის სიძულვილის, ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენის სიმბოლოა ზოია კოსმოდემიანსკაია. იგი მატროსოვის გვერდით დგას. განსახილველ ლექსში ზოიას გმირული სახე დიდი სიყვარულით არის დახატული. „ცამდე ასული ძეგლი რად გინდა? დროშად გარხევდა ქარი, ქალ, ალვისტანიანს“. მუშტმემართული ზოია ყველას გულში დგას...

ომის გამოძახილი ძლიერი ტკივილითა და შეშფოთებით არის გაღმოცემული ანა კალანდაძის ლექსში „ოსვენციმი“. კაცთა ამ სასაკლავო შესახებ ყველამ იცის, ფაშისტთა ველურობისა და კაცთმოძულების ეს ადგილი ბევრს აქვს აღწერილი. ანა კალანდაძე თავის ამ ლექსში აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ „სახარობელაზე ვილაც ქანაობს და შემზარავი კივილი ისმის“, რომ „სადღაც, ეზოში ზვინავენ გვამებს, მიაქვთ და მიაქვთ, იწვის და იწვის...“ ამის გვერდით გამოანათებს ტყვეთა მამაცი სახეები: „თუ ვაჟკაცი ხარ, გულში მესროლე, არა ზურგში და არა კეფაში...“ და ბოლოს:

და გულდამწვარი ვტოვებ ოსვენციმს,
სავსეს ძვლებით და ოქროს კბილებით
და მგონია, რომ ჩემს სიცოცხლეში
მე არასოდეს დამეძინება!..

1965 წელს დაწერილ ამ ლექსში, ომის დამთავრებიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ, პოეტი ასე მძაფრად და დიდი ტკივილით განიცდის ოსვენციმში დატრიალებულ ტრაგედიას, რომელმაც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ვანდალიზმის სამარცხვინო ფაქტად დარჩა.

როგორც დავინახეთ, აქ განხილულ ლექსებში პოეტი სხვადასხვა მხრიდან აშუქებს სამამულო ომს და გვიჩვენებს ჩვენი ადამიანების გმირობას, გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს, ტკივილებს დაღუპულთა გამო... ყოველ მომენტში პოეტი რჩება პატრიოტად, მალალი რანგის მოქალაქედ.

ანა კალანდაძის შემოქმედებაში ახალი მხრითა და მიმზიდველი ფერებით გაშუქდა ეროვნულ-პატრიოტული განცდა, საქართველოს უდიდესი სიყვარულის გრძნობა. პოეტისათვის განსაკუთრებული სიყვარულის საგანია საქართველოს ცა, ზღვა და ხმელეთი, აღფრთოვანების გამომწვევია ქართველი ხალხის დღევანდელობა და გმირული წარსული, სახელოვან მამულიშვილთა ნაღვაწი, მათი საქმენი. ყოველივე

ამას პოეტი დიდი შინაგანი განცდით, სულის უშუალო მოთხოვნით, თბილი ტონებით, ნაზი და სათუთი ჰანგებით უმღერის, რითაც მკითხველსაც მომაჯადოებლად განაცდევინებს მამულის სიყვარულს.

სიმღერად იქცა ანა კალანდაძის ლექსი „საქართველო ლამაზო“, რომელშიც რეფრენად გამოყენებულია გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსის სიტყვები — „სხვა საქართველო სად არი?“ ლექსში დახატულია საქართველოს ვარსკვლავებით ანთებული ცა, მთვარის ამობრწყინება, ქართლის მინდვრები, მხარგაშლილი ქედები, მთაში ტყე, ტყეში ირმები, მზისთვის ჩიტთა მღერა, ლურჯი ბალახი და მასში მოგოგმანე მწყერი, თეთნულდი თავისი მარადიული თოვლით, ვენახები, ზღვის ხმაური. გორში ატირებული ატამი, აქ დაბადებული „სულიყო“, ბახტრიონს მიმავალი ლელაი და ა. შ. ეს ლექსი საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის სულის ამოძახილია, გადამღები და ამამაღლებელი.

ანალოგიურად უნდა შეფასდეს ანა კალანდაძის ლექსი „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, რომელშიც პოეტმა ქართული ცის კიდევ ერთი განზომილება და თვისება აღმოაჩინა — სიღრმე. აქვეა ამაყი განცხადება იმისა, რომ ამ ცის ქვეშ მტრად მოსულმა სამკვიდრო ვერაფერი ნახა, რომ მისი დიდების მომღერალია ოშკი და ზარზმა, ბებერი ტაო... ამ პატარა ლექსში პოეტი ეძებს და აგნებს საქართველოს სიმაღლის, მისი ცის სიღრმის გამომხატველ ისეთ სიტყვებს, რომლებიც სავსებით ახალი წახნაგით წარმოგვიდგენენ სამშობლოს და მკითხველის განწყობილებაც მალღდება.

პატრიოტული გზნებით არის დაწერილი ლექსი „ქართველი მეომრის სიმღერა“. მასში მინიშნებულია, რომ ჩვენ გვზრდიდა ქართული ნანა, შოთას სიტყვა, რომ „ნაძრახ ყოფას ჩვენ სამარის მიწა გვიჯობს. — ქართულად ხომ მას სიცოცხლე არ ჰქვია“. ამიტომ ჩვენ, სააკაძის ნაშიერნი, მოვდიოდით და მოვკაფავდით მტერს და გავიმარჯვეთ, ბერლინში, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ავზიდეთ.

პატრიოტის ამაყი გრძნობით არის დაწერილი ანა კალანდაძის ლექსი „შენ, ჩემო ძლიერო ქვეყანავ...“ აქ პოეტი მიმართავს თავის ქვეყანას: „დამცხრალა ომების ხანძარი, იშუშებ ომების იარებს... ის შენი ყაყაჩო ალაში ბერლინში, პრალაში ფრიალებს... მახვილს თუ ილე-სავს ავგული, მოვა და... კვლავ გაატიალებს“. სამშობლოს ძლიერებით აღფრთოვანების გამომხატველია ეს სტრიქონები.

საქართველოს წარსულს ანა კალანდაძე გულით უძღვნის რამდენიმე ლექსს. მათ შორის უნდა დავასახელოთ „მოდით და ნინო მთებით“, „ფეხი დამადგით“, „შორია თამარ“, „ქეთევან დედოფალი“ და ა. შ. ყოველი მათგანი ასახავს სამშობლოს წარსულის უმნიშვნე-

ლოვანეს მომენტს და უკავშირდება ისტორიულ პირებს, რომლებმაც ქვეყნისთვის დიდად იღვაწეს.

საქართველოში ქრისტიანობის შემომტანის, ნინოს მოსვლის ერთი პატარა ეპიზოდია დახატული ლექსში „მოდოდა ნინო მთებით“. ეს მოსვლა ისეთი რწმენითა და ისეთი მხრით არის გაშუქებული, რომ ნინოს ამადლებულ სახეს ვიღებთ. ამავე დროს ლექსით შუქდება საქართველოს წარსულის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი.

დავით აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლისა და მისი ადამიანურობის, უბრალოების, თავმდაბლობის უჩვეულო დახატვაა ლექსში „ფეხი დამადგით“. აქ დაძებნილია ერთგვარი დიალოგის ფორმა პოეტსა და მეფე დავით აღმაშენებელს შორის. როცა მეფე ბრძანებს — „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, საქართველოს ყოვლის მპყრობელმან ვისურვე დავით“, პოეტი გაოცებით ეკითხება — „ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო, მიუტევები?“ შემდეგ ავტორი იძლევა დავითის დიდების მაჩვენებელ ერთ, მაგრამ მეტყველ მხარეს: „ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს? გასწიე იგი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. ამას მოსდევს მეფის თავმდაბლობის პოეტისეული ახსნა: „თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით?“ ასე, ამ ხერხებით პოეტი გვიცოცხლებს დიდი მეფის დავით აღმაშენებლის სახეს. ყოველი სტრიქონი ამ ლექსისა და სტრიქონებს შორის ნაგულისხმევიც მკითხველზე ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს და დიდი წინაპრისადმი სიყვარულით ავსებს.

„შორია თამარ“ საკმაოდ დიდი ლექსია და გვიხატავს თამარ მეფის ცხოვრების იმ მომენტს, ნუქარდინის წინააღმდეგ ომს რომ ეხება, როცა „გზა ფეხშიშველმა გამოვლო თამარ თავის ხალხის და სამშობლოს გამო“ და ქართველთ ლაშქარმა თურქთა მუქარა გააცუდა, სამარცხვინო მარცხი აგება. „ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა, მან ხმლის ხმარება აკვანში იცის... გეზლო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს, ქართველი ხალხი უნდოა მტერთან... სუსტია თამარ, მძლავრია თამარ...“ ლექსის ყოველი სტრიქონი აღსავსეა ქართველი ხალხის გმირული წარსულით გამოწვეული სიამაყის გრძნობით, დიდი თამარის ბრწყინვალე მეფობით. ცნობილია, რომ თამარის თემას ბევრმა ქართველმა პოეტმა მიმართა, ყოველი მათგანი ქებით ახსენებს ჩვენს სახელოვან წინაპარს და მისი მაგალითით თანამედროვეებში ზრდის პატრიოტულ გრძნობებს. ანა კალანდაძე მიმართავს რა თამარის სახეს, არ იმეორებს წინამორბედებს, ახალი კუთხით, ახალი ხერხით წარმოაჩენს თამარს და პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალავს მკითხველს.

ქთევან დედოფლის ლეგენდარულ გმირობას, სჯულისა და სამ-

„შობლოსათვის გაღებულ მსხვერპლს, ზღაპრულ ნებისყოფასა და სიმტკიცეს წარმოაჩინეს ანა კალანდაძე თავის ლექსში „ქეთევან დედოფალი“. ცნობილია, რომ ეს თემაც არაერთხელ არის დამუშავებული ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ ქეთევანის ნამოქმედარი იმდენად დიდია, ეს ისტორიული პიროვნება ისეთი შარავანდედით არის მოსილი, რომ მას პოეტთა ახალი თაობები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან. ანა კალანდაძე თავის ლექსში წამებულ დედოფალს გვიხატავს იმ მომენტში, როცა „ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა, უდრეკ იყო დედოფალი!“ და ამის მიუხედავად „ტინად იდგა დედოფალი“. ქეთევანის სახის ახლებური გახსნა ანა კალანდაძის ლექსს სძენს ისეთ თვისებას, რითაც იგი მკითხველს ეროვნული სიამაყისა და პატრიოტულ გრძნობას უღვივებს, ამაღლებულ განწყობილებას უქმნის.

საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი ანა კალანდაძის ლექსები ამით არ ამოიწურება, მათი რიცხვი გაცილებით დიდია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ნაწილი წარმოვაჩინეთ. ვფიქრობთ, ეს ლექსები ყველაზე მეტყველად და მკაფიოდ გამოხატავენ პოეტის დამოკიდებულებას სამშობლოს წარსულისადმი, მისი სახელოვანი ადამიანებისადმი, ვისი საქმენიც სამაგალითოა ყველა ეპოქის შვილებისათვის და რაც ჩვენში ჯანსაღ პატრიოტულ გრძნობებს წარმოშობს, საქართველოსა და მისი ისტორიისადმი ძლიერ სიყვარულს გვინერგავს. ამით მიიღწევა პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც.

გამორჩეულია აგრეთვე ანა კალანდაძის მიერ საქართველოს ბუნების აღქმა და მისი განცდა. ამ გამორჩეულობის ერთი უპირატესი თვისება ის არის, რომ პოეტის ამ თემაზე დაწერილ ლექსებში ბუნება და ადამიანი როგორღაც შერწყმულად და უშუალო კავშირშია წარმოსახული. მაგალითად, ლექსში „თუთა“ ადამიანის ურთიერთობა ბუნების ამ ნაწილთან, თუთასთან, სწორედ ასე გაიაზრება: „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის თავზე გადამისვას ხელი“. აქ თუთას არა მარტო მიეწერება ადამიანური თვისება, რომ მას შეუძლია ადამიანისთვის თავზე ხელის გადასმა, დაძახება, თვალის ჩაკვრა და ა. შ.. არამედ ამ თვისებებით ადამიანთან დამოკიდებულების დამყარებაც — თუთა ხომ ყოველივე ამას ადამიანთან კავშირში ამკლავნებს: „დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი... რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!..“

პოეტს შეუძლია ესაუბროს ჰიამარიას და თავისი ფიქრი გაუმხილოს, კითხვებითაც მიმართოს. ეს ისეთი ბუნებრივობითა და უშუალობით ხდება ლექსში, რომ სავსებით გვჯერა ადამიანისა და ბუნების პაწაწინა წარმომადგენლის, ჰიამარიას ასეთი ურთიერთობა: „რატომ არ

დასველდი, თუ წვიმდა წუხელი, გეძინა სადა? თქვი, ჭიამარია, სით მიგინარია? თქვი, ჭიამარია!“.

ანა კალანდაძეს შეუძლია ორიოდე სიტყვით დაგვიხატოს პატარა ჩიტის სიმღერა ისამინდინ და ირწმუნოს, რომ ეს სიმღერა ორ ადამიანს ეკუთვნის... პოეტის კალამს შეუძლია დაგვიხატოს „ფრთაგაშლილი მთები“ და „სხივგაშლილი სერები“, მობიზინე კორდები, მზიანი ტევრები, ირმის გულისხეთქა გელას გადამტერების გამო, თეთრი ნისლეები, ნაირი ფერები, როცა „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია“ და განგვაცდევინოს საქართველოს ბუნების მშვენიერება. პოეტს შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ „ერთი პატარა ჩიორა მუხიდან მიესალმა...“, მას შეუძლია გვიჩვენოს განგებისა თუ ფიროსმანის ყალმის მიერ დახატული ია და ცნობილი „უუუუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“.

ანა კალანდაძე ზოგჯერ მოულოდნელ და გასაოცარ პოეტურ აღმოჩენებს გვთავაზობს. მას შეუძლია ბუნების მოვლენა საოცარი უშუალობით დაუკავშიროს ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენასაც კი. მაგალითად, ასეთია ლექსი „ასეთი დარი თუ იყო მაშინ...“ ავტორი ჭერ გვიხატავს ბუნების სურათს: „მზემ აიწია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“, „ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში და მიაშურეს ლილისფერ მთათა...“ და მერე მოულოდნელად კითხულობს: „ასეთი დარი თუ იყო მაშინ, ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?“ ეს მოულოდნელი კითხვა დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს არა მარტო ტრადიციულს გახსენებით, არამედ „მზის ქალაქის“ დახატვისას, ბუნების სურათების დაკავშირებით ამ ძველ ამბავთან. საქართველოს წარსულთანაა დაკავშირებული აგრეთვე ბუნების ისეთი მოვლენა, როგორც ღრუბლებია. ლექსში „ღრუბლები“ ვკითხულობთ: „მათ გადაიარეს ცა პირამიდების, ხეთა და მიდია... ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები, კვლავ საით მიდიან“. ხეთას, მიდიის, ურარტუს ხსენება ქართული მინდვრების გვერდით აქ შემთხვევითი როდია, დასახელებული ქვეყნების თავზე ღრუბლების სავალი გზა გაიზარება ამ ძველი ქვეყნების საერთო გზად და ამით ბუნების მოვლენა (ღრუბლები) ისტორიულ წარსულს გვაკავშირებს.

ლექსში „ამ სურით სვამენ“ ანა კალანდაძე ბუნებასთან ადამიანის სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას გვიჩვენებს. ეპიგრაფად აქ მოტანილია ნიზამის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ომარ ხაიამს ბუხარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყოველ წელიწადს ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო...“ თვითონ ლექსში კი ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანი ნატრობს — „ვგავდე ყაყაჩოს სათისხალიანს“, რომ „სურები შექმნეს შენი ტალახით“, რომ

„შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი“, რომ „ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით“ და ა. შ. მოტანილი ფრაგმენტებიდან კარგად ჩანს ადამიანისა და ბუნების ნაირგვარი ურთიერთობა: კაცი ყაყაჩოსთან მსგავსებას ნატრობს, მიცვალების შემდეგ პოეტს გულზე ხის ფოთლებისა და ყვავილების დაყრა სურს, კაცის სუნთქვაა ლურჯი ბალახი და ა. შ. ამ ნაირგვარობისათვის საერთო ისაა, რომ ადამიანი ბუნების გარეშე ვერც სიცოცხლეში და ვერც სიკვდილის შემდეგ ვერ წარმოიდგენს თავს, ბუნების მშვენიერება მას მუდამ იზიდავს.

ანა კალანდაძის ერთ ლექსში საოცარი სინაზითა და სათუთად არის ნაჩვენები პატარა რტოს „განცლა“, ქართან მისი მიმართება („პაწაწინა რტო ვარ“). მას ეფერება მზე, რადგან ალერსს ითხოვს; მას უგალობს თოხიტარა; ამავე დროს მას ქარი არხევს და ყვავილებს აცლის, მინდვრად იტაცებს. რტო ეხვეწება ქარს, რომ დაუყვავოს, მკაცრი ნუ იქნება. მერე მიმართავს მებაღეს, რომ მარტო ნუ დატოვებს, რადგან ეშინია — პაწაწინა რტოა. რტოს მიმართება მზესთან, ქართან, ადამიანთან აქ, მართლაც, უშუალო და თავისებურია. მას არა მარტო ადამიანივით ახასიათებს შიშის გრძნობა, ალერსის მოთხოვნა, მებაღესთან საუბრის უნარი, არამედ ამ „ადამიანური განცდების“ გამოხატვაც და გაზიარებაც. ეს ლექსი შესანიშნავად წარმოაჩენს ანა კალანდაძის მიმართებას ბუნებასთან, მის ცალკეულ გამოვლინებებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ბუნების განცდისა და ჩვენების თვალსაზრისით ანა კალანდაძის დიდ წინამორბედად ვაჟა-ფშაველა უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ მისგან განსხვავებით ანა კალანდაძესთან ბუნების: ჩვენებისას მეტი ქალური სინაზე და სისათუთეა გამომჟღავნებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნების მოვლენების დაკავშირება საქართველოს ისტორიულ წარსულთან ანა კალანდაძესთან უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

ანა კალანდაძის პოეზიაში ცალკე შეიძლება გამოვყოთ სხვა ერთა შვილებისადმი პოეტის დამოკიდებულება. გარდა იმისა, რომ პოეტი თითოეული მათგანის ეროვნულ და პირად ხასიათს რაღაცნაირი მინიშნებით გვიმხელს, ლექსების ამ წყებაში ყოველთვის გამჟღავნებულია ავტორის თბილი და სიყვარულიანი დამოკიდებულება ყოველი მათგანისადმი. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ლექსები „არაბი ხარ?“, „ბოშა ქალი“, „თათრის გოგონავ...“, „არაბები“ და ა. შ.

ლექსში „არაბი ხარ?“ ანა კალანდაძე დიდი სიყვარულით გვიხატავს. ქუჩის განაპირას მდგარ გოგონას, ვარდებს რომ ჰყიდის და პოეტის შეკითხვაზე უპასუხებს, რომ ის იეზიდია. ამ გოგონას პოეტი ადარებს ბუჩქის ძირას თავდახრილ იას, მორცხვსა და კდემამოსილს..

ლექსის რიტმი ამ განწყობილებას კიდევ უფრო ხაზს უსვამს: „დგახარ ქუჩის განაპირას, ვარდებს ჰყიდი... ჩემო კარგო, არაბი ხარ? — იეზიდი“...

ასევე დიდი სიბოლო აქვს გამომქლავნებული პოეტს ბოშა ქალისადმი: „და რა ქალი?! ხელისგულით სატარები... რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამქერი... ბოშა ქალი ვარსკვლავების სადარები... შეხედეს და შეუყურთხეს გამჩენი...“

დაირის დამკვრელ, ლერწმისტანა თათრის გოგონას ეძღვნება ანა კალანდაძის ლექსი „თათრის გოგონავ“ და აქაც პოეტის თბილი, სიყვარულიანი დამოკიდებულება არის გამომქლავნებული.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ ამ წყების ლექსებში ანა კალანდაძე ცალკეული პირების დახატვით გვიჩვენებს თავის გულთბილ დამოკიდებულებას იმ ერებისადმი, ვისი შვილებიც ეს ცალკეული პირნი არიან. ამით კი თავისებურად, ლირიკული გზით, მქლავნდება ხალხთა ძმობის იდეალი. მხოლოდ ასე შეიძლება ვიზარებდეთ ამ ლექსებს, მათი ავტორის ჩანაფიქრს.

ცალკე საკითხია ანა კალანდაძის ლექსის თავისებურებათა საკითხი. პოეტის ლექსი, მართლაც, ძალზე თავისებური და განუმეორებელია აღნაგობით, მუსიკალობით, ლექსიკით, სინტაქსით და სხვა მხარეებით, რაც, თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად, ქმნის ანა კალანდაძის შესანიშნავ პოეზიას. შეიძლება მოვიტანოთ ნებისმიერი მაგალითი და ნათქვამი სარწმუნო გახდება:

რეკენ ზარები, რეკენ...
საზმარია თუ ცხადი?
დაესვენება ჩემს წინ
დიდი თამარის ხატი...
რიდით შეარხევს ქარი
დროშის მაღალის კალთას...
— ბასიანისკენ! — იგი
კვლავ მიუთითებს სპათა...

ამ მშვენიერ ლექსში არქაული სინტაქსით გამოირჩევა პოეტური სტრიქონი „დროშის მაღალის კალთას...“, სადაც მსაზღვრელ-საზღვრული გადაადგილებულია (დროშის მაღალის) და ისინი ძველი ქართულის კანონით იკავებენ ადგილებს. ასევე არქაულია ბოლო ლექსიკური ერთეული (სპათა). დანარჩენი ამ ლექსში ყველაფერი ახალი ქართულის წესებით არის შესრულებული, მაგრამ მთელი საიდუმლო ის არის, რომ ჩვენს მიერ მინიშნებული ორი არქაული ფორმა მთელ ნაწარმოებს სძენს მსუბუქი არქაიზაციის ელფერს და აღიქმება სავსებით გამორჩეულად.

არქაიზაციის სხვა საშუალებებსაც მიმართავს პოეტი. ამათგან ერთ-ერთია ნარ-თანინი მრავლობითის ფორმების გამოყენება. მაგალითად, ნატო ვაჩნაძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი წერს: „ცისკრებრ აან-თებს მდუმარე ველთა ნათელი შენი...“ ველების ნაცვლად ველთა აქ არქაიზაციის ფუნქციას ასრულებს. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მოტანილ ნაწყვეტში „ცისკრებრ“ აგრეთვე არქაული ფორმაა. ასევეა ამ ლექსში „გრძნებით“, „შენებრ“, „შეხვედრად“ და ა. შ. ცხადია, ეს ფორმები თავის „სურნელებას“ გამოსცემენ, თუმცა ბუნებითა და ხასიათით, დანიშნულებითაც ეს ლექსი თანამედროვეობას უპასუხებს.

ანა კალანდაძის ლექსის მუსიკალობა მიიღწევა რიტმიკით, რომლის სხვადასხვა სახეს პოეტი ყოველთვის პოულობს და იყენებს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლექსის წინაშე მდგარი ამოცანის, ე. ი. სათქმელის ხასიათის მიხედვით პოეტი შეარჩევს რიტმის შესატყვის სახეს და ამის კვალობაზე — მუსიკის შესაბამის ვარიანტსაც. რიტმი კი მიღწეულია არა მარტო სალექსო სტრიქონთა მარცვლების რაოდენობის მონაცვლეობით, არამედ სხვა საშუალებებითაც. ნიმუშად ავიღოთ პოეტის ლექსი:

გავანაწყენე ბუღბული და
ბალი დაკარგე
და ეტლი ჩემი უიმედო
ნისლში ეხვევა...
არც შენ ისურვე, მეუფეო,
არც შენ ისურვე...
გონდაკარგული ქარისაგან
საროს შერბევა!..

სევდიანი ინტონაცია, მდორე რიტმით რომ არის მიღწეული, ამ ლექსში თოთხმეტმარცვლიანი სალექსო სტრიქონის შედეგია, როცა მისი დატეხილი სტრიქონები ცხრა და ხუთი მარცვლიანი. ერთ სტრიქონად აღიქმება. ამ რიტმით მიღწეული სევდიანი ინტონაცია ამავე დროს სევდიან მუსიკას წარმოშობს. ყველაფერი ეს კი ესადაგება სათქმელის ხასიათს — ბუღბულის განაწყენებით დაკარგული ბალის, უიმედო ნისლში პოეტის ეტლის გახვევის ფაქტს რომ მოჰყვა შედეგად...

სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, აგრეთვე სათქმელის ხასიათის შესატყვისად, ანა კალანდაძე ქმნის სხვაგვარ რიტმიკას და მუსიკალობას, რითაც სასურველი და ერთადერთი შესატყვისი განწყობილება წარმოიშობა. მაგალითად: ...

ფრთავაშლილი მთები არი,
სხივავაშლილი სერები...
არ ჩურჩულებს ლულანო, —
გული შეუჭრებია...

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია...

აქ რეამარცვლიანი სალექსო სტრიქონი გვაქვს და რიტმიც ასე სწრაფი, ტემპიანი ამიტომია. ეს ქმნის ხალისიან განწყობილებას, რადგან სათქმელიც სახალისო და სასიხარულოა — „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია“... რაც პოეტსაც უხარია და მკითხველსაც.

ასეა ანა კალანდაძის ყოველი ლექსი — რიტმის მონაცვლეობა იწვევს მუსიკალობისა და განწყობილების მონაცვლეობას, რაც სათქმელის ხასიათს ესადაგება.

ანა კალანდაძის ლექსის თავისებურებანი მარტო აქ ნათქვამით არ ამოიწურება. პოეტის ლექსი მრავალფეროვანია გამოსახვის პოეტური ხერხებით, რომელთა ამომწურავი წარმოჩენა საგანგებო კვლევას საჭიროებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ანა კალანდაძის ლექსებს ხშირად ახლავს იდუმალებით სავსე სიღრმე და განი, რის გამოც ყველაფრის გაცნობიერება, გაანალიზება და შეცნობა არც ხერხდება, ისინი კი არ უნდა გაიგო, არამედ უნდა შეიგრძნო...

ანა კალანდაძის პოეზიაზე ათასგვარი ნაშრომის დაწერა შეიძლება, რადგან რამდენიც მკვლევარია და კრიტიკოსია, ალბათ იმდენი ანა კალანდაძე არსებობს. არც ისაა გამორიცხული, რომ ერთსადაიმთხვე კაცს წლების მანძილზე ფიქრსა და გულში სულ სხვაგვარი ანა კალანდაძე ჰყავს, მაგრამ წერის პროცესში სულ სხვაგვარი გამოჩნდება ხოლმე. ეს უკანასკნელი საესებით ეხება ამ ნაშრომსაც და მის ავტორსაც, რომელიც წუხს, რომ ამ შესანიშნავ პოეტზე ვერ თქვა ისე, როგორც ეწადა.

ვაჟაქის მართალი მხატვარი

125 წელი შესრულდა ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან, ხოლო მისი გარდაცვალებიდან 90 წელიწადი გვაშორებს. ამის მიუხედავად ეგნატე ნინოშვილის ნამოღვაწარი, მისი მოთხრობებისა და რომანის

გმირები მუდამ ცოცხალ, მოქმედ, ამაღლებებელ ლიტერატურულ ტიპებად რჩებიან, რადგან ისინი თავისი ეპოქის შვილები არიან, იზიარებენ დროის ყველა ნიშან-თვისებას და უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებენ.

ეგნატე ნინოშვილს ქართულ მწერლობაში სამუდამო ადგილი დაუშვებია არა მარტო მისმა ბუნებრივმა ნიჭიერებამ, არამედ მახვილშეგნებულმა, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის გაგებამაც, სიმართლის ერთგულებამაც, დაჩაგრულთა ქომაგად თავის მიჩნევამაც. იმის მიუხედავად, რომ დუხჭირმა ცხოვრებამ, აუტანელმა ფიზიკურმა შრომამ და ავადმყოფობამ ეგნატე ნინოშვილს ფართო და სისტემური განათლების მიღების საშუალება არ მისცა, მან გაიარა ცხოვრების ისეთი სკოლა, ისეთი სახალხო უნივერსიტეტის სრული კურსი, რომ გახდა დაჩაგრული კლასის, გლეხობის, ყველა ტყვილის დიდი მცოდნე და მკურნალიც კი. მან ცხოვრებიდან აიღო და ასახვის ობიექტად გაიხადა ისეთი თემები და საკითხები, რომლებიც ყველაზე უფრო მკაფიოდ უპასუხებდა ეპოქის მოთხოვნებს, ყველაზე მეტი სიცხადით გვიხატავდა მოძმეთა, ჩაგრულთა ყოფას.

გარდა სიდუხჭირესა და უსამართლობაში გატანჯული გლეხების ყოფისა, რაც ძირითადი თემაა ნინოშვილის შემოქმედებისა, მწერალმა გვიჩვენა ცხოვრების სხვა მხარეებიც. ასეთებია, მაგალითად, წინამორბედ მწერალთა მიერ უკვე დამუშავებული თემა თავდაზნაურობის გადაგვარებისა და დაკნინებისა (მკლავაძე, უქმაძე, არწივაძე); ახალი მჩაგვრელი კლასის, კულაკობის წარმოშობა გლეხთა წიაღიდანვე (დავით დროიძე და მისი შვილები); ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობა წარსულში („ჯანყი გურიაში“); უკულმართი სოციალური წყობილების პირობებში ე. წ. ცხოვრების გერების წარმოშობა („ქრისტიანე“...), ცრუმორწმუნეობისა და უმეცრების დამლუპველი მოქმედება სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე და ა. შ.

ალსანიშნავი და ხაზგასმით სათქმელი ის არის, რომ რა თემასაც კი ხელი მოჰკიდა მწერალმა, ყველგან გამოქვავდა მისი მებრძოლურ-სულისკვეთება, მოწინავე პოზიცია და დაჩაგრულთა მხარეზე მისი დგომა. სწორედ ასეთი სულისკვეთება არის იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ დრო ეგნატე ნინოშვილის სახელს ბევრს ვერაფერს აკლებს, მშრომელი ხალხი მას არ ივიწყებს.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის რუსეთსა და საქართველოში წარმოიშვა გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც, ვ. ი. ლენინის გენიალური განსაზღვრით, სამი ეტაპი გაიარა. ამ ეტაპებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირია — ყოველი წინა ეტაპი მომდევნოს წინამორბედი და ბიძგის მიმცემია. ამათგან მესამე, პროლეტარული

ეტაპი რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობისა, ისევე ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, 1898 წლიდან იწყება და თვისებრივად სრულიად ახალია, განსხვავებულია წინა, დეკაბრისტული და რაზნოჩინული ეტაპებისაგან. როგორც ცნობილია, საქართველო მოქცეული იყო რუსეთის ორბიტაში და ამიტომ რუსეთში განვითარებული მოვლენები ცოტა მოგვიანებით საქართველოში ხდებოდა. 1898 წელზე ადრე გამათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპი საქართველოში ვერ დაიწყებოდა, იგი მწერლობაშიც ვერ აისახებოდა, რადგან არარსებულის ასახვა რეალისტურ ლიტერატურას არ შეუძლია. ხოლო იმის გამო, რომ ეგნატე ნინოშვილი 1894 წელს გარდაიცვალა და ამიტომ გამათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარულ ეტაპს ვერ მოესწრო, იგი დარჩა გლეხთა ყოფის მხატვრად. მაგრამ რადგან მწერალი გაეცნო მარქსისტულ მოძღვრებას და თავის პუბლიცისტურ წერილებში აშკარად გამოამჟღავნა ცხოვრებისეული მოვლენების ამ მოძღვრების შუქზე შეფასების უნარი, კლასთა შორის დაპირისპირებას, დაჩაგრული და გატანჯული გლეხობის ცხოვრებასაც ამ თვალთ შეხედა. ამიტომ მისი ცხოვრებისეული პოზიცია და იდეური თვალთახედვა გასცილდა რაზნოჩინულ და ხალხოსნურ იდეებს და მიუახლოვდა პროლეტარულს, თუმცა ბოლომდე მასთან მისვლა მას არ დასცალდა.

აღნიშნულის გამო არის, რომ ეგნატე ნინოშვილის მიერ დახატული გლეხები უეჭველად განსხვავდებიან თუნდაც ისეთი მეზობელი გლეხებისაგან, როგორებიც ილია ჭავჭავაძის ზაქრო, კაკო, გაბრო და სხვები იყვნენ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან 80-იანი და 90-იანი წლები, ცხადია, განსხვავებული იყო 60-იანი წლებისაგან. ეს ეპოქები განსხვავებულ ამოცანებს აყენებდნენ მწერლების წინაშე.

ე. ნინოშვილის კაცია მუნჯაძე, გოგია უიშვილი, სიმონა ძალაძე, ივანე, ბესია არა მარტო ილიას ზაქროსა და კაკოსაგან განსხვავდებიან, არამედ ერთმანეთისგანაც — ზოგი უფრო პასიურია, ზოგი უფრო პროტესტის გამომხატველი, ზოგი მეტად ბუნტარი, ზოგი უფრო შეგნებული და ა. შ. მაგრამ მათ საერთო ის აქვთ, რომ ყოველი მათგანი მიმხვდარა თავის გაკირვებას, მიმხვდარა სოციალურ უსამართლობას, საკუთარ უბედურებას და მის წარმომშობ მიზეზებს. მხოლოდ ეპოქის შეზღუდულობით უნდა აიხსნას, რომ გოგია უიშვილი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, ხოლო სიმონა არაორგანიზებული ბრძოლის გზას, ტერორის გზას ირჩევს. უნდა ვიფიქროთ, რომ ცოტა მოგვიანებით. მათ რომ გაპროლეტარება დასცლოდათ, ისინი თავიანთ კლასობრივ ბრძოლას სხვაგვარად წარმართავდნენ.

ე. ნინოშვილის დამსახურება მარტო გლეხთა სიდუხჭირის ჩვენება როდია. რომანში „ჯანყი გურიაში“ მწერალმა თავისი მარქსისტული

შეგნება ორიგინალურად წარმოაჩინა მხატვრული საშუალებით, როცა აჯანყებულთა ბრძოლას გამოაცალა ნაციონალური საფუძველი და კლასობრივ ნიადაგზე გადაიყვანა. მართალია, 90-იანი წლების თავისი იდეები მან 40-იანი წლების ინტელიგენტ გიორგის გამოახატვინა, მაგრამ ამაში საჩოთირო არაფერია, მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი ხერხი გამართლებულია. ინტელიგენტ გიორგის მიერ აჯანყებული გლეხებისათვის მიცემული რჩევა, რომ იარაღი მიებრუნებინათ „საკუთარი“ ბატონებისაკენ, უეჭველად უნდა შეფასდეს ე. ნინოშვილის მარქსისტული იდეური მრწამსის გამოახატულებად. თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ ე. ნინოშვილი იდგა საქართველოში წარმოშობილი პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — მესამე დასის სათავესთან, როგორც მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, გასაგები გახდება, თუ რევოლუციურმა საქართველომ, მშრომელმა მასებმა რატომ ასე ახლოს მიიტანა გულთან და გონებასთან ე. ნინოშვილის შემოქმედება, რატომ გაითავისეს და შეიყვარეს მათ ნინოშვილის გმირების სულისკვეთება.

გარდა მწერლის აქტიური საზოგადოებრივი პოზიციისა, გარდა უსამართლობის წინააღმდეგ ჯანყისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ე. ნინოშვილის ბუნებრივი ნიჭიერების წყალობით შეიქმნა მრავალი ისეთი ლიტერატურული ტიპი, რომელთა გამოძერწვამაც ასე გაუთქვა სახელი მწერალს. ასეთ ტიპთა შორის უნდა დავასახელოთ ტარიელ მკლავაძე, სიმონა, კაცია მუნჯაძე, გოგია უიშილი, ბესია, ქრისტინე და სხვები, რომელთა ბედი, ცხოვრების აზრი, კლასობრივი მდგომარეობა, სულისკვეთება და სხვა თვისებები განსხვავებულა, მაგრამ მათ საერთო ის აქვთ, რომ მწერალმა ისინი დასრულებულ, ძლიერ გამოკვეთილ ლიტერატურულ ტიპებად დაგვიხატა. ეს გარემოებაც ხელს უწყობს ე. ნინოშვილის მწერლურ დღეგრძელობას.

აღნიშნულის გამო სავსებით ბუნებრივია, რომ მადლიერი ხალხი სამაგიეროს მიაგებს თავის მწერალს ეგნატე ნინოშვილს, რომელიც თვითონაც ხალხის შვილი. მისი ინტერესების გამომხატველი და დამცველი, თავისი ეპოქის მართალი მხატვარი იყო.

ჰეზმარიტი მამულიშვილი

ამ დღეებში მარნეულის რაიონში გაიმართება ახალი ყოფისათვის დამახასიათებელი დღესასწაული — „მამულიშვილობა“. ბუნებრივია,

რომ ასეთ ვითარებაში პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ქვემო ქართლიდან, კერძოდ, მარნეულის რაიონიდან გამოსული სახელოვანი ადამიანები, ვინც ამ მხარისა თუ საერთოდ მშობელი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ასეთთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის დიდ ქართველ მწერალს მიხეილ ჭავჭავიძეს, რომელიც მარნეულის რაიონის სოფ. წერაქვში დაიბადა და ბავშვობაც იქვე გაატარა. ის დიდი მამულიშვილი იყო.

მიხეილ ჭავჭავიძეილმა ასახელა არა მარტო თავისი მშობლიური სოფელი წერაქვი და მარნეულის რაიონი, არამედ მთლიანად საქართველო, მთელი საბჭოთა კავშირიც. მისი ტალანტი სწვდებოდა ყველაფერს, რაც კი ზოგადად ადამიანს ეხება, რაც მშობელი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ემსახურება. ამ დიდმა მწერალმა მხატვრული ასახვის ობიექტად გაიხადა ისტორიული წარსულიცა და თანამედროვეობაც, 1905 წლის რევოლუციაც და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მომხდარი დიდი სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძვრებიც, მწვავე პრობლემებიცა და ადამიანის სულიერი განცდებიც, ეროვნული საკითხიცა და ინტერნაციონალიზმიც, ადამიანის ფსიქიკაც, ზნეობაც და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიხეილ ჭავჭავიძეის პროზისა და პუბლიცისტის თემატიკა ამოუწურავია.

სიდიადე ჩვენი მწერლისა იმაშიც მდგომარეობს, რომ მან ეროვნული და საკაცობრიო კულტურის მონაპოვართა ღრმა შესწავლისი და გათავისების შედეგად, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, რუსული და ევროპული ლიტერატურების მონაპოვართა დაუფლებისა და გათვალისწინების გზით განავითარა ჩვენი საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვა, კერძოდ, ქართული პროზა და იგი აიყვანა ახალ, მაღალ საფეხურზე, რითაც მან თვალი გაუსწორა ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის დონეს.

გამოსახვის საოცარი ხერხები, შეიძლება ითქვას, ჯადოქრული მხატვრული გამომგონებლობა, ადამიანის სულის ხვეულებში ჩაწვდომის ნიჭი, ტიპების ძერწვის უძლიერესი ტალანტი, აქტიური მწერალური პოზიცია, მოქალაქეობრივი გამბედაობა, აზროვნების სიღრმეები, უდიდესი ერუდიცია, სახეებით აზროვნების უჩვეულო უნარი მიხეილ ჭავჭავიძეის მოთხრობებსა და რომანებს საეტალონო ნაწარმოებებად აქცევს.

ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მწერალმა გამოძერწა უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების მიერ გათელილი, დაჩაგრული, ცხოვრების გერებად ქცეული, ფსკერზე მოქცეული ადამიანების — ჩანჩურების, კურკების, გაბოების სვეგამწარებუ-

ლი ცხოვრება და ისინი მკითხველს წარუდგინა ისეთი ელფერით, რომ მათ უნდა ვუთანაგრძნობდეთ, ისინი უნდა გვიყვარდეს კიდევ, რადგან თავიანთი სიბეჩავის მიზეზი თვითონ კი არ არიან, არამედ უკუღმართი საზოგადოებრივი წყობილების მსხვერპლნი არიან, ხოლო მსხვერპლი ყოველთვის თანადგომას ითხოვს.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისშივე დიდმა მწერალმა დახატა საკაცობრიო მასშტაბის ყალბბანდის, მედროვისა და გაქნილი ადამიანის სახე. ეს არის კვაკი კვაკანტირაძე, რომელიც შეიძლება პარპაშებდეს საქართველოშიც, რუსეთშიც, ევროპის ქვეყნებშიც, თუკი მისი უზნეო მოქმედებისათვის საზოგადოება პოხიერ ნიადაგს ქმნის. კვაკანტირაძის დაგმობით მწერალმა დაგმო ზოგადად კვაკობა და ამით ამ ტიპისა და რომან „კვაკი კვაკანტირაძის“ რეზონანსი საერთაშორისო მასშტაბისა გახდა.

ასევე შეიძლება ითქვას ჭაყობაზეც, რომლის, როგორც სოცი-ალური მოვლენის, დიდი ძალით გამომხატველი არის უდიდესი მხატ-ვრულობით გამოძერწილი ჭაყოს სახე რომანში „ჭაყოს ხიზნები“.

ამგვარად, კვაკობისა და ჭაყობის წინააღმდეგ გალაშქრება და საამისოდ მომარჯვებული მხატვრული ტალანტი მიხეილ ჭავახიშვილი-სა ამ მწერლის განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს.

მიხეილ ჭავახიშვილმა თავის შემოქმედებაში დასვა და მხატვრუ-ლი გზით გადაჭრა კიდევ ერთი საკაცობრიო პრობლემა — ცივილი-ზაციასთან დამოკიდებულების საკითხი, რომელიც ადრე ეან-ეაკ რუ-სოს, კელერმანის და ჰამსუნის მიერ იყო დასმული, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ჩვენმა მწერალმა იქადაგა არა ცივილიზაციისაგან გაქ-ცევა, არა უკან დაბრუნება, არამედ მისი მიღება და შეთვისება, ოღონდ გაუბზარავი სულით, ჭანსალი სხეულით და მაღალი ზნეობრივი პოზი-ციით.

ეს თვალსაზრისი მკაფიოდ არის გატარებული მ. ჭავახიშვილის რო-მანში „თეთრი საყელო“ და ორ სხვა მოთხრობაშიც. დასმული საკაცობ-რიო პრობლემის ასეთ მოწინავე პოზიციიდან გადაწყვეტა უეპველად ბევრს ლაპარაკობს ჩვენი მწერლის სასარგებლოდ.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და სოციალური ჩაგვრის წი-ნააღმდეგ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების გალაშქრება, ეროვ-ნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა შესანიშნავად არის დახატული მ. ჭავახიშვილის მონუმენტურ რომანში „არსენა მა-რაბდელი“, რომელშიც ავტორმა გვიჩვენა სხვადასხვა ერის შვილების შეკავშირება კლასობრივი ნიშნის მიხედვით, დაჩაგრულთა დაძმობი-ლება მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, ოსი გლეხის შვილები — ბატონ-

ყმობისაგან და თვითმპყრობელობისაგან გათელილი და დაჩაგრული აღამიანები რომანში ერთიანდებიან ერთ ბანაკში, რათა ცარიზმის მოხელეებს, ქართველ ფეოდალებს, ყველა ჯურის მჩაგვრელს ლაგამი ამოსდონ და სანატრელი თავისუფლება მოიპოვონ. ამ მხრივ დაუვიწყარია არსენა ოძელაშვილის, სევასტის, როსტომის, ზურას, ერეკლეს, ღვთისავარის, კარპიჩას, ოსტაპის, დალი ჰასანის, ბალოს, მეშთას და სხვათა სახეები. აქ მკაფიოდ გამოვლინდა დიდი ჰუმანისტი მწერლის ინტერნაციონალიზმი, რომელმაც „არსენა მარაბდელში“ მხატვრული ხორცშესხმა განიცადა. ამ რომანში გატარებული პროგრესული თვალსაზრისი, ავტორის პოზიცია და კრედო ჩვენი ეპოქის მოწინავე თვალსაზრისისა და მსოფლგაგების გამონაშუქია.

პატრიოტის იდეალები მიხეილ ჭავჭავიძის მთელს შემოქმედებას გასდევს ნათელ ზოლად, მაგრამ იგი განსაკუთრებული ძალით აისახა „მიწის ყივილში“, „ფინჯანში“ და „არსენა მარაბდელში“. მოთხრობა „მიწის ყივილი“ გვიხატავს სამშობლოდაკარგული კაცის ტრაგედიას, მის დიდ სულიერ მღელვარებას, განცდებს. მოხუცი ანდრო კაიშაური ბოლოს მიხვდება სამშობლოს ფასს, ცდილობს კიდევ საქართველოში დაბრუნებას, რათა ერთხელ კიდევ შეხედოს მშობლიურ ცას, მთებსა და მინდვრებს, აქვე ჰპოვოს სამარე, მაგრამ მისი ეს ოცნება აუხდენელი რჩება... ეს კი იმიტომ, რომ მან, სანამ შეეძლო, თავისი ძალღონე სხვას შეაღია, მაშინ საქართველო არც გახსენებია, მშობლიური ენაც დაივიწყა და ახლა, როცა აღარაფერი ძალუძს, ისიც საფრანგეთში შემთხვევით შეხვედრილი ქართველი სტუდენტის წყალობით, მასში იღვიძებს სამშობლოს სიყვარული. გვიანდაა! მოთხრობა დიდი გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც სამშობლოს არას არგებს, ვინც მას ივიწყებს.

მოთხრობა „ფინჯანში“ ნაჩვენებია ემიგრაციიდან დაბრუნებული ქართველი კაცის განცდები, ტკივილები, ამასთანავე მისი დიდი სურვილი — მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეკონომიკურ მოღონებებში და ამით მოიხადოს ვალი სამშობლოს წინაშე.

„არსენა მარაბდელში“ მრავალი ეპიზოდია დახატული საიმისოდ, რომ მკითხველი დაიმუხტოს ჭანსალი პატრიოტული გრძნობით. დიდი მამულიშვილი მიხეილ ჭავჭავიძის თავისი შემოქმედებით მკითხველსაც უნერგავს მამულიშვილობის უკვდავ გრძნობას.

1905 წლის ბოზოქარი ამბები, რევოლუციონერთა სახეები, ეპოქის დამახასიათებელი თავისებურებები მ. ჭავჭავიძელმა სიმართლითა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა რომან „ქალის ტვირთსა“ და ორ სხვა ნაწარმოებში. ამით მწერალმა გამოხატა თავისი მოწინავე პოზიცია და ერთგულება რევოლუციისადმი, რომლის აქტიური მონა-

წილედ და ამის გამო რეპრესირებული თავად იყო იმ ქარიშხლიან წლებში. ამ მხრივაც დიდია მ. ჭავჭავაძის დამსახურება.

გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ მკითხველებისათვის, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმის აღნიშვნას, რომ დიდმა მწერალმა მიხეილ ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ეროვნებით აზერბაიჯანელი ადამიანების დახატვას და მათ მიმართ სიმპათიები და სიყვარული გამოამჟღავნა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს „არსენა მარაბდელის“ პერსონაჟი დალი ჰასანი, რომელიც სოციალურმა უსამართლობამ იძულებული გახდა ყაჩაღად გავარდნილიყო. მწერლის სიმპათიები და სწორი პოზიცია აქაც იჩენს თავს: გაყაჩაღებული დალი ჰასანის შეგნება რომანში შემდეგ ამალდება, რისი წყალობითაც ეს კაცი არსენა ოძელაშვილის ძმობაში მოდის, რათა მათთან ერთად იბრძოლოს კლასობრივი მტრების წინააღმდეგ. ყოფილი ყაჩაღის გარდაქმნა, სამართლიანობისათვის მებრძოლად მისი გადაქცევა უდავოდ დიდი მნიშვნელობის ფაქტია.

კიდევ უფრო დიდი სიყვარული, გულის სითბო და ბელეტრისტის ძალა გამოამჟღავნა მ. ჭავჭავაძემ მართალი აბდულაჰის მიმართ. ეს მოთხრობა უდიდესი მნიშვნელობის მხატვრული ტილოა. მასში ძლიერად გამოვლენდა არა მარტო ჰუმანიზმი და სამართლიანობა ავტორისა, არამედ უდიდესი სიმპათიები აზერბაიჯანელი ხალხის მიმართაც, მისი საუკეთესო შვილის, უსამართლობისა და ბოროტების მსხვერპლის — აბდულაჰის მიმართ. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ მოთხრობა „მართალი აბდულაჰი“ საუკეთესო ნიმუშია არა მარტო ქართული და საბჭოთა პროზისა, არამედ იგი ტოლს არ უდებს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მოთხრობებსაც.

ასევე შეიძლება ითქვას ლამბალოს შესახებაც.

მიხეილ ჭავჭავაძის ბელეტრისტული ტალანტი, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, მოწინავე მსოფლმხედველობა, ჰუმანიზმი და მრავალი სხვა საუკეთესო თვისება მსჯელობისა და შეფასებისათვის ამოუწურავ მასალას იძლევა, მაგრამ ამ მოკლე წერილში ამის საშუალებას მოკლებული ვართ. სანუგეშო ისაა, რომ რაც აქ ითქვა, ისიც სავსებით ცხადს ხდის, რომ მიხეილ ჭავჭავაძის საამაყო შვილია საქართველოსი, მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის, ჩვენი პლანეტისათვის. თავისთავად ცხადია, რომ მისი სახელით განსაკუთრებით ამაცობენ მარნეულის რაიონის, სოფელ წერაქვის მცხოვრებნი.

დიდი ბელეტრისტი და მამულიშვილი მიხეილ ჭავჭავაძე. დიდი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ჰუმანისტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი შეგვიძლია მივიჩნიოთ მარნეულელთა სახალხო

დღესასწაულის „მამულიშვილობის“ საპატიო და ერთ-ერთ უპირველეს სტუმრად.

დიდი გიორგი

მთელი საქართველო სიყვარულითა და აღერსით წარმოთქვამს მის სახელს, დედის მიერ მოფერებით შერქმეულ სახელს — გოგლას. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულ მწერლებს მიმართავენ სახელით — შოთა, საბა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი. მხოლოდ ორი გამონაკლისი ვიცი, როცა გამოჩენილ მწერალს ბავშვობის სააღერსო სახელს უწოდებენ. ესენი არიან ტატო და გოგლა. შემთხვევითი თანხვედრაა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ორივენი 27 დეკემბერს დაიბადნენ.

სასიყვარულო და სააღერსო სახელი ხელს ვერ შეგვიშლის, რომ გიორგი ლეონიძეს დღეს მაინც, თუნდაც პირველად, ვუწოდოთ და შოთაშვილში დავუშეკვიდროთ სახელი დიდი გიორგი, რომლის ტარების უფლება მან შესანიშნავი შემოქმედებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და ერისკაცობით ნამდვილად დაიმსახურა. ჩვენმა ეპოქამ წარმოშვა მწერლის, მეცნიერის, შემოქმედი ადამიანის ახალი ტიპი. ეს არ არის თავის ფიქრებში ჩაქეტილი, მხოლოდ არჩეული პროფესიით შემოზღუდული ადამიანი, ეს არის ხალხის ინტერესებით მცხოვრები, ხალხის შუაგულში მოტრიალე, მასთან ყოველდღიურად დაკავშირებული, აქტიური, მოქმედი მოღვაწე. თუ საბჭოთა საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ვინმე ამელავნებდა ასეთ თვისებებს, მათ შორის ერთი უპირველესი სწორედ გიორგი ლეონიძე იყო. ის მასპინძლობდა საქართველოს სტუმრებს, ის ელჩობდა საქართველოს კულტურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეებს სხვა რესპუბლიკებსა და ქვეყნებში, ის თავკაცობდა მრავალ მნიშვნელოვან წამოწყებას, ის აღუღებდა სხვა ხალხებთან ჩვენს ძმობას, აგებდა სამშო ხიდებს, ის ეფერებოდა საქართველოს ყოველ კუთხეს, აღიღებდა სამშობლოს, იღწვოდა მისი უკეთესი მერმისისათვის.

ვინც გიორგი ლეონიძეს ახლოს იცნობდა, გაკვირვებული იყო მისი დაუღალავი ენერგიით, ერთუზიანობით — ამდენი პრაქტიკული საქმიანობა ხელს ვერ უშლიდა ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებების, სამეცნიერო ნაშრომების შექმნაში. თერთმეტი წლისამ აიღო ხელში კალამი და სამოცდაექვსი წლის ასაკში მხოლოდ სიკვდილ-

მა შეძლო მისი ხელიდან წართმევა. მისი ღვაწლი ჭერ კიდეც აღუნუს-ხავია ოდენობითაც და თვისებრივადაც. ორიოდეს კი მაინც ვიტყვი: საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის შექმნა და მისი გაძღოლა, წლების მანძილზე მწერალთა კავშირის თავკაცობა, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორობა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე — აი, არასრული ნუსხა მისი პრაქტიკული ნაღვაწისა, და მაინც, ჩვენთვის, მისი ტალანტის თაყვანისმცემელთათვის, მისი მშობელი ხალხისათვის, დიდი გიორგი, უპირველესად, დიდია თავისი უკვდავი და ენერგიული პოეზიით, თავისი ლირიკული და სათნოებით სავსე პროზით. ვამბობ, ენერგიული პოეზია-მეთქი. ეს ეპითეტიც, შესაძლოა, დღეს პირველად გამოჩნდა, მაგრამ ზუსტი კი გვგონია, გიორგი ლეონიძის ლექსი არა მარტო სათქმელის აზრით არის დიდი ენერგიის მქონე, არამედ მისი რიტმიც ისეა გაწყობილი, რომ მჩქეფარე შადრევანივით, აღიღებული მთის მდინარესავით მოქუხს და უდიდესი ძალით ეჯახება მკითხველის სულსა და გონებას. როგორც თვითონ იტყოდა, ტამერლანის ხმალივით დაჯახებული სიყვარულის ძალით მოქმედებს მკითხველზე. გიორგი ლეონიძის ლექსის ენერგია მისი შემქმნელის ენერგიაში იღებს სათავეს. ექსპრესიულობაზე მიუთითებენ, მე ენერგიულობას ვამჯობინებ, რადგან მკითხველზე მისი ლექსის ზემოქმედების ძალას ეს უფრო ეხამება.

სამშობლოა გიორგი ლეონიძის ლექსის სახელი, რადგან ივრის წყალში ჩაშვებული წნორის ფესვების მსგავსად, მაცოცხლებელ წვეწვს მშობელ ხალხში, სამშობლოს წარსულსა და დღევანდელობაში იწოვს, მის ტკივილებსა და სიხარულში, შრომასა და ბრძოლაში, შემოქმედებითი გენიის ნათებაში იღებს, ამაზე წერს, ამას შეხარის, ამას შესტირის, ამას ესიყვარულება, ამას შესძახის, ამას ებუღბუღება, ამას ეგუშაგება, ამით უდგას სული, ამით ცოცხლობს... „ქართლის ცხოვრებაზე“ წერს თუ „ვეფხისტყაოსანზე“; ქართული ენის დიდებას ამბობს თუ გმირი წინაპრების აჩრდილებს გამოუხმობს, ომში დაღლილი საქართველოს კრილობები სტკივა თუ ახალი შუქით განათებული მამულის წარმატებებით ხარობს, ყოველთვის და ყოველნაირად გიორგი ლეონიძე რჩება საქართველოს მიჯნურადაც, მეომრადაც, მუშაკადაც, გუშაგადაც, მესიტყვედაც, თამადადაც, ქირისუფლადაც. დიდებულ შვილადაც.

გიორგი ლეონიძესთან სიყვარულის განცდაც ისევე ვაქცაქური და რაინდულია, როგორც თვითონ პოეტი იყო. ყვიჩაღთან შეყრილი ვაჟკაცის ხმლის ქნევა ქალის გამო, მისთვის დანაცრება და მისთვის იარების არად ჩაგდება სხვაგვარად ვერ აღიქმება. ცდებოდნენ ისინი, ვინც პოეტის შემოქმედებაში მხოლოდ მოქალაქეობრივ პათოსსა და პატრი-

ოტიზმს ხედავდნენ. გიორგი ლეონიძის ლირიკა საოცარი ელვარებისა და ემოციური ზემოქმედების ძალისაა. მარტო ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსში მან ისეთი ფერები და ხატები გამოიყენა, რომ მხოლოდ განცვიფრება და აღტაცება შეიძლება ამით. ამავე ლექსში ის მშვენიერების პრობლემას სრულიად ახლებურად, გენიალური ბარათაშვილისაგან განსხვავებულად გვიხატავს და სავსებით გვარწმუნებს, რომ ფიზიკურ სილამაზესაც (რაც არ გამოირიცხავს სულის მშვენიერებას) არ უწერია გადაშენება, ისიც შეიძლება უკვდავი გახდეს, ათასი წლის შემდეგაც შეიძლება მას პოეტებმა უმღერონ. თუმცა, იმ მკერდზე, ვარდსაც რომ არ იკარებდა, ახლა მიწა აყრია, მაგრამ მისი მშვენიება დღესაც ანათებს. ანდა ავიღოთ ატმებით მსხმოიარე ცის ჩახჩახი „ნინოწმინდის ღამეში“. ეს პოეტური ხატი უმშვენიერესია. გიორგი ლეონიძის ლირიკა იმდენად თავისთავადი და ბრწყინვალეა, იმდენ სიცოცხლის ძალას და სილამაზეს შეიცავს, რომ დადგა დრო მისი ახლებური წაკითხვისა, პოეტის შემოქმედებაზე აღრე შემუშავებული ტრაფარეტული აზრის გადასინჯვისა. როგორ ღელავდა და კრთოდა გიორგი ლეონიძე, პირველად რომ გამოაქვეყნა თავისი ლირიკული პროზის ნიმუშები, რომლებიც შემდეგ ერთ მშვენიერ წიგნად შეკრა და „ნატვრის ხე“ უწოდა. გასაოცარია, რომ სახელგანთქმულ, აღიარებულ, ყველას მიერ დიდად დაფასებულ პოეტს შეეძლო დამწყები მწერალივით ეღელვა, ეთრთოლა მკითხველის მოლოდინში. ეს იყო მისი დიდბუნებოვნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის, შეუმღვრეველი სინდისის გამოხატულება, ეს იყო სავსე თავთავის თავდახრილობა...

„ნატვრის ხე“ ყველა დიდი მწერლის ნატვრის ახლომად შეიძლება მივიჩნიოთ. მწერალმა ამ წიგნით მოგვაჯადოვა, დაგვიმონა და თავისი სულისკვეთების მორჩილებად გვაქცია. როგორ არ გაოცდები, როცა პატარძელის პატარა სახლის აივანზე გიორგი ლეონიძე გარდასულ თანასოფლელთა აჩრდილებს აიყვანს, გააცოცხლებს და ესაუბრება... როცა დედის მიერ დაღვრილი ცრემლების ადგილას ლურჯ იებს ამოაბიბინებს, როცა ადამიანთა სახელის არდავიწყების აზრით გვავესებს; როცა მეოცნებე ელიოზის უმწურობას, მაგრამ ოცნებით სავსე სულს გვიჩვენებს: როცა ყველაწმინდის სათქმელად თოვლსა და ყინვაში მასპინძელთან დაბრუნებული კაცის ადათ-წესის სიმტკიცეს გვიხატავს; როცა სოფლის მეთაურად და ადამიანთა ბედის გამგებლად მოვლენილი ციციკორეს საქმეებსა და ბედზე გელაპარაკება; როცა გარდასული სილამაზისა და უსიყვარულოდ ჩამომჟინარი ფუფალას სულიერ ტრაგედიას ჯადოსნურად გვიჩვენებს; როცა მარტასა და მისი მიჯნურის ტრაგედიით აგვაფორიაქებს... რომელი ერთი ვთქვათ? ამ წიგნში სი-

კეთისა და ბოროტების ჭიდილიცაა, სადაც სიკეთე ბოლოს მაინც ზეიმობს; აქ არის ჩვენებური, გარეჯელი, კახელი, მთლიანად ქართველი ადამიანების ბედიცა და უბედობაც, ტკივილებიცა და აღმაფრენაც: ქვეყნის ბედით დაფიქრებაც და პირადი, ინტიმური ცხოვრების წვრილმანებიც, სიყვარულიცა და სიძულელიც, სათნოებაც, მაგრამ სიმკაცრეც და გაუტანლობაც — ყველაფერი, რაც ზოგადად ადამიანურია, ყოველივე ეს ნაჩვენები და დახატულია, გამოძერწილ-ჩამოქნილია ჯადოქრის ხელით, დიდი მხატვრის გრძნეულებით. ამ წიგნში ერთი ქართული სოფლის ადამიანები ზოგადად ქართველებიც და მთელი კაცობრიობის შვილებიც არიან. ამ გზით მწერალი კონკრეტული ერთიდან ზოგად მთლიანს ქმნის. იგი კახეთიდან მსოფლიოს ხედავს, ხოლო მსოფლიოდან — კახეთს. ეს წიგნი ჩვენი პლანეტის რომელ კუნძულშიც უნდა წაიკითხოთ, ყველგან აღფრთოვანდებიან და არა მარტო რუკაზე დაიწყებენ საქართველოს ძებნას, არამედ აქ ჩამოსვლისა და ჩვენი გაცნობის, ჩვენთან მეგობრობის სურვილიც აღძვრებათ. ამ წიგნის დამწერისა და მისი მშობელი ხალხის სიყვარული არასოდეს გაუნელდებათ.

გიორგი ლეონიძის — აკადემიკოსისა და საქართველოს სახალხო პოეტის — მხატვრული შემოქმედების გვერდით მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მისი სამეცნიერო-ლიტერატურული გამოკვლევები ბესიკზე, მამუკა ბარათაშვილზე, მთელ რიგ ქართველ მწერლებსა თუ ლიტერატურულ პრობლემებზე.

აღნიშვნის ღირსია მისი ლიტერატურული სცენარიც. რომლის მიხედვითაც შეიქმნა მაღალი პრემიით აღნიშნული ფილმი „ჯურღაის ფარი“.

გიორგი ლეონიძე სამგზის სახელმწიფო პრემიისა და მრავალი სხვა ჯილდოს მფლობელი იყო, მაგრამ მისთვის უპირველეს ჯილდოდ აღიქმებოდა ხალხის განუზომელი სიყვარული, აღიარება და საყოველთაო დაფასება. საქართველოში ყველა ოჯახი მას სასურველ და სანატრელ სტუმრად მიიჩნევდა, ყველა ქართველის სახლის კარი მისთვის მუდამ ღია იყო. ეს იცოდა პოეტმა, ამას აფასებდა და ამით ამაყობდა.

„გოგლაობა“ არა მარტო გარეჯელთა, არამედ მთელი საქართველოს ზეიმი, მაგრამ გარეჯელებისა მაინც კეთილი შურით გვშურს, რადგან სწორედ მათ მიწაწყალზე იშვა და აღიზარდა ცისფერთვალება ლამაზი ბიჭი გოგლა ლეონიძე, რომელიც შემდეგ გახდა მთელი საქართველოს გამოჩენილი მწერალი და საამაყო შვილი, ქვეყნის დამამშვენებელი და მასახელებელი დიდი გიორგი ლეონიძე.

1984 წლის ივნისში საქართველომ დაიტირა თავისი ერთი კარგი შვილი — პოეტი რევავ მარბიანი, რომელმაც ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო გზა გაიარა.

მესტიის რაიონის სოფელ მულახში დაბადებული რევავ მარბიანი 1935 წელს ამთავრებს თბილისის მე-8 საშუალო სკოლას და იმავე წელს ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. სწორედ სტუდენტობის წლებში მოსინჯავს ის თავის პოეტურ კალამს და წარმატებაც არ აყოვნებს. ხოლო 1940 წელს, როცა უნივერსიტეტს ამთავრებს, ის მუშაობას იწყებს „ნორჩა ლენინელის“ რედაქციაში, ხოლო 1941 წელს გადადის „კომუნისტის“ რედაქციაში. 1942 წლის დასაწყისში რევავ მარბიანი სწორედ აქედან მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში. იქაც თანამშრომლობდა საფრონტო გაზეთებში — აქვეყნებდა ლექსებს, ნარკვევებს, ფელეტონებს. 1942 წელს ყირიმის ფრონტზე, საველე სტამბაში დაიბეჭდა მისი პოემა „კომისარი გიორგაძე“.

ფრონტიდან რევავ მარბიანი თავის ლექსებს უგზავნიდა თბილისის ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც სიამოვნებით აქვეყნებდნენ მეომარი პოეტის ნაწარმოებებს. ჩვენ სწორედ ასეთ ლექსებს განვიხილავთ ამ პატარა წერილში.

„მნათობი“ 1944 წლის მე-11 ნომერში აქვეყნებს რ. მარბიანის ლექსების ციკლს „ფრონტული დღიურიდან“, რომელშიც რამდენიმე ლექსია შეტანილი. მათ შორის არის ლირიკული ლექსი „თოვს“, რომელშიც გამხელილია ბრძოლებს შორის, დასვენებისას განცდილი და ნაფიქრი ქართველი მეომარი პოეტისა, რომელიც ღბილი ფერებით იხსენებს თბილისს, ბავშვობას და ახლა ფრონტული გარემოსათვის უჩვეულოა წუთიერად ჩამოვარდნილი სიჩუქე. ნელი თოვა ნაზ განწყობილებაზე აყენებს მას: „მგონია, თითქოს თბილისში თოვდეს“. ეს იმიტომ, რომ სხეულით ფრონტზე, სანგარში მყოფი პოეტი სულით თბილისშია, თავის მშობლიურ გარემოში გრძნობს თავს ამ დროებითი სიმშვიდის წუთებში... პოეტი ბავშვობის შეხარის „ამ საახალწლო ფიფქების მოსვლას“. გარეთ იისფრად დგას პროექტორების იისფერი სვეტი, ბლინდაყებსა და სანგარებს კი ათოვს და ათოვს... ამ წუთებში პოეტი იგონებს ბავშვობას და მაშინდელ თოვას, როცა არ ისროდნენ თოფებს, ზარბაზნებს, არ ფეთქდებოდა ყუმბარები, არ კვნესოდნენ დაჭრილები... ახლაც, ფრონტზე წუთიერი შესვენებაა და პოეტის ფიქრიც არ აყოვნებს, მეხსიერებაში ამოტივტივდება თბილისი, ბავშვობა... მონატრებულ-გახსენებული და რეალური, თბილი და ცი-

ვი, ნათელი და მრუმე აქ ერთად არის. ყოველივე ეს პოეტის მიერ განცდილია ლირიკულად, ფაქიზად და ლექსიც იგებს. პოეტი აქ აღწევს იმას, რომ მკითხველმა დაინახოს კონტრასტი ომსა და მშვიდობას შორის, რათა მაქსიმალურად გაისარჯოს ომის ძლევამოსილი და მთავრებისათვის, მშვიდობის დაბრუნებისათვის.

საინტერესო ფერებს შეიცავს რ. მარგიანის ლექსი „დედისადმი“. ფრონტზე მყოფი მეგრძოლი პოეტი დედას უშუალოდ მიმართავს: „ხშირად ვღებულობ შენს ბარათს, დედი, შენ დედის გულის სინათლით მლოცავ“... ამას მოსდევს დედის ლოცვების მინიშნება: დედა გონაცვალოსო, ალერსსა და კოცნას უგზავნის დედა ფრონტელ შვილს. თავის მხრივ, შვილის წერილი დედას ამხნევებს. ნუ სწუხხარ ჩემზეო, რა დროს დარდი და გლოვააო, „გჭეროდეს, რომ მე, შენი მელექსე, გამარჯვებული შინ მალე მოვალ“. გამარჯვების რწმენა, შინ უვნებლად დაბრუნების იმედი, დედაშვილური ნაზი სიყვარულის გვერდით, ამ ლექს-წერილს მიმზიდველს ხდის, ლირიზმით ავსებს. ომის მრისხანე წლებში ამ ლექსის წაკითხვით ბევრ რამ საგულისხმოს შეითვისებდნენ. როგორც შინ დარჩენილი დედები, ასევე ფრონტზე მყოფი მეგრძოლებიც.

საინტერესო და საგანგებოდ სათქმელია ის ფაქტი, რომ ასეთი ხასიათის ლექსებში ერთი მნიშვნელოვანი პლანი ჩანს მუდამ. ეს არის საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმდიდრე, რის წყალობითაც იგი, პოეტი თუ რიგითი მეგრძოლი, ომს სულიერად კი არ გაუუხეშებია და არ გაუღატაკებია, არამედ მუდამ ინარჩუნებს ნამდვილი ადამიანის გულსა და სულს, სინაზეს, სიყვარულის უნარს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაშისტებმა არა თუ ვერ გატეხეს ჩვენი მეომრების სიმტკიცე, მათ ვერ შეძლეს შეხებოდნენ საბჭოთა ადამიანის სულს, მის სინაზესა და სისათუთეს. ეხეც იყო და არის საბჭოთა ადამიანის გამარჯვების კიდევ ერთი დამადასტურებელი, საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი უპირატესობა ფაშისტი ურდოების ზნეობრივ სიღატაკეზე.

რ. მარგიანის კიდევ ერთი ლექსია იქვე დაბეჭდილი. მას ეწოდება „ჩვენ ერთად ვიყოთ“, რომელიც გამსჭვალულია სამშობლოსათვის პატიოსანი სამსახურის გრძნობით, სიკვდილიმდე ერთგულებს გრძნობით, გამარჯვების რწმენით... „რომ მე ოცნებით და სიყვარულით მხოლოდ მივლია სამშობლოს გზაზე. დამქონდა გულით იმედი ხვალის და საქართველოს ცხელი მზე მწვავდა. მწვავდა ერეკლეს ელვარე ხმალი და ელვარება თამარის თვალთა“. საქართველოს ცხელი მზით წვის განცდა, თამარისა და ერეკლეს ამ კონტექსტში ხსენება სხვა არაფერია, თუ არა საქართველოდან შორს მყოფი მეგრძოლი პოეტის მიერ ამ ხატების მონატრება, მათით შთაგონება, ამ დიად ომში მათი ანდერძისა.

და საქმეების საკადრისად მოქმედების სურვილი. აქ იმისი განცდაც უნდა დავინახოთ, რომ სადღაც შორეული ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლით ქართველი მეომარი საკუთარი კუთხის, საკუთარი სამშობლოს ბედნიერებისთვისაც იბრძვის.

გულში ჩამწვდომია რ. მარგიანის ლექსი „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს“, რომელშიც ნაჩვენებია და სათუთად არის განცდილი მომაკვდავი ქართველი მებრძოლის მიერ სიკვდილის წინ ნამღერი სიმღერა. როცა ბრძოლის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და მომაკვდავი მებრძოლის კვნესა-სიმღერა მოესმათ, ეს მწველი სიმღერა ისეთი სევდით აღიქვეს მებრძოლებმა, რომ ისინი ერთმა ფიქრმა გააერთიანა. „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს — კვდება და მაინც სიცოცხლეს უმღერს, და მამულისთვის ანდერძად სათქმელს სიმღერად ატანს სამხრეთის ღრუბელს“. ახლა ისაა მთავარი თუ ამ ღრუბელს რა ამბავს გაატანს ქართველი მებრძოლი. იგი აბარებს, რომ შავთვალა ქალებს, ჩვენს მამულს — საქართველოს წმინდა ყამირს უამბოს ქართველი მეომრის უკანასკნელი ჰანგის შესახებ, რომ იგი „ცხრა ვერაგს მახვილით მისწვდა, მოკვდა და მაინც მოიგო ბრძოლა და უკანასკნელად სამშობლო მიწას მაინც სიმღერის ხმა გააგონა“. მომაკვდავი მებრძოლი თავისი სიმღერით ღრუბლებს იმასაც აბარებს, „რომ მშვიდად იდგნენ მშობელი მთები და საქართველო — მამული წმინდა“. აი, აქ ვლინდება უმაღლესი პატრიოტიზმი ქართველი მეომრისა, ვინც სიკვდილის წინაც კი მშობლიური მთებისა და წმინდა მამულის მშვიდობაზე ფიქრობს და ზრუნავს. ეს აზრი დაუფლებია არა მარტო მომაკვდავს, არამედ მისი სიმღერის მოსმენით გათანგულ მებრძოლებსაც. პოეტი ალაღად აცხადებს: „... და აღარ მიკვირს — იმ წუთში ყველა რა ძალამ შეგვეკრა და შეგვეაერთა“.

ომის წლების ქართულ ლირიკას ამშვენებს რ. მარგიანის ლექსი „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“. ეს ნაწარმოები გამოქვეყნებისთანავე განსაკუთრებით მოიწონა მკითხველმაც და ლიტერატურულმა კრიტიკამაც. მას ელვარება დღესაც არ დაუკარგავს, თუმცა იმ დღიდან ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა („მნათობი“, № 12, 1944 წ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან გაუძლო დროის გამოცდას.

ლექსში გამოხატულებას პოეებს ფრონტზე მყოფი ქართველი პოეტის სათუთი გრძნობები. სატრფოსაგან მიღებული ბარათი მას თრთოლვით წაუკითხავს, რამდენჯერმე გადაუკითხავს, ჭაბუკი ოცნებად ქცეულა. უცხო რამ უგრძვნია... სატრფო წერს, რომ კარგად ვარო, მაგრამ ადრესატს შეუმიჩნევია წუხილის ცრემლების კვალი ბარათზე. ამის გამო მებრძოლი პოეტი უსაყვედურებს წერილის გამომგზავნ სატრფოს, თანაც ანუგეშებს, ნუ იწუხებო, უბეში შევიწინახე შენს ბა-

რათს და რომ ჩამოვალ, ჩამოვიტანო. ის აიძვრება სატრფოს, რომ ომი დამთავრდება, მერე ერთად ვიცხოვრებთ მშვიდად, ახლა კი უნდა ვიბრძოლო, რადგან ჩვენთვის სიცოცხლე წმინდა სამშობლო არისო. შეუძლებელია ძლიერი განცდების გარეშე წაიკითხოს ვინმემ ეს ლექსი. მის წარმატებას, შთაბეჭდილებას და მკითხველზე ზემოქმედების ძალას ხელს უწყობს სათქმელის შერჩევაც და თქმის ფორმაც. ეს არის ომის ლირიკის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი, როცა წრფელი სიყვარული სატრფოსადმი აერთიანებს ასევე წრფელ სიყვარულს სამშობლოსადმი და ლექსის ლირიკული გმირი, იგივე პოეტი, აქ წარმოგიდგება მონოლითურ პიროვნებად. გაუბზარავი სულის ადამიანად, რომელიც ასეთი ამაღლებული სულისაა და ამიტომ იგი თავის არსებაში იტევს ორ ძლიერ სიყვარულს. ორივეს უღალატოდ რომ ეერთგულება და ემსახურება. სატრფო და სამშობლო, სამშობლო და სატრფო არის მისი თავგანწირული ბრძოლის ორი საგანი და მიზანი, მათ დასაცავად და მათი შეუზღველად არსებობისათვის იბრძვის მეომარი.

მღელვარების გარეშე ვერავინ წაიკითხავს ლექსის შემდეგ სტრიქონებს:

მე უბოთ ვატარებ პატარა ბარათს —
შენგან რომ მივიღე წუხელ,
ისე, ვით საუნჯე — ფართლად დამაქვს,
რატომღაც ვერავის ვუმხელ.

ანდა:

არ მახსოვს, რამდენჯერ გავხსენი ღიმილით,
კბაბუკი ოცნებად ვიქეც,
უცხო რამ, ასე ვთქვათ, ვით გულისტკივილი,
დავხედე ბარათს და ვიგრძენ.

რალა ბევრი გავაგრძელოთ, ლექსის ყოველი სტრიქონი და ყოველი მონაკვეთი მკითხველის მიერ სათუთად აღიქმება და მის გონებასა და სულს იპყრობს. მიმზიდველია ლექსის ფინალიც:

მე უბოთ ვატარებ პატარა ბარათს,
გაჩვენებ, როცა შინ მოვალ,
და გულში, იცოდე, ვარამის გვარად
ჩამჩრება ბარათის ხსოვნა.

მოსვლამდე, ვინ იცის... უბეში შექნება
და ხშირად დაეხედეთ სენსივით:
„საველე ფოსტა — 72,
მარგიანს საკუთარ ხელში“.

დიდი ადამიანური სიბოთი და სიყვარულით, ახლობელთა მონატრებით არის დაწერილი ეს ლექსი და გამომხატველია იმ ღირსებებისა, რაც საბჭოთა მეომარს ახასიათებდა დიდ სამამულო ომში. ასეთი მეომარი, რომელიც მოწოდებული იყო ეელიტა ფაშისტი ურდოები, დამპყრობლები და ელტდა კიდევ, ინარჩუნებდა გულის სათუთ გრძობებს, ადამიანობას, იგი არ იფიტებოდა, არ უხეშდებოდა, რადგან სამშობლოს იცავდა, სატრფოს იცავდა და ძვირად უღირდა ისინი. ამ კუთხიდან ამ ლექსის შეხედვა და გაახრება ამალღებულ გრძობებს ბადებს დღევანდელ მკითხველშიც კი. გვეამაყება ჩვენი ხალხისა და ჩვენი პოეტის ეს მაღალი, სულიერი თვისებები.

განხილულ ლექსებში ცხადად გამოჩნდა მებრძოლი პოეტის რევანშ მარგიანის სულიერი სიწმინდე, ფაქიზი და მოსიყვარულე გული, სიყვარულის უნარი სამშობლოსადმი, დედისადმი, სატრფოსადმი და მზადყოფნა მათი სახელის შეუბღალავი დაცვისათვის, თვით სიცოცხლის გაწირვისთვისაც, თუ ეს აუცილებელი გახდებოდა. ასე მაღალ მწვერვალზე დგას პოეტი-მებრძოლი რევანშ მარგიანი, ვის სახელსაც დღეს ჩვენ მოწიწებითა და სიყვარულით ვიხსენებთ.

აღდგომა და ამაღლება დიდი მწერლისა

ტრაგიკული ბედისა იყო მიხეილ ჭავჭავაძის: ჭერ იყო და მშობლების ოჯახი ამოუწყვეტეს, ჭაბუკი დააობლეს და გააუბედურეს. მერე ოვარძლი და შური არ მოჰკლებია, უსამართლო ლანძღვა და ტალახში ამოსვრა ბევრი შეხვდა. ადრე ციხისა და დევნის სიმწარეც განიცადა. შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში კი ბოროტების მსხვერპლი გახდა და ეს უზარმაზარი მწერალი უსაფლავოდ დარჩა... მაგრამ ბოლოს სამართალი მაინც გაჩნდა. თუ მისი ხსენება ჩვიდმეტი წლის მანძილზე აკრძალული იყო. სამაგიეროდ, რეაბილიტაციის შემდეგ მასზე ბევრი წერილი, გამოკვლევა, წიგნი დაიწერა და მის მკვდრეთით აღდგომას ამაღლებაც მოჰყვა. მწერლის ტომეულების გამოცემა, ხალხის უდიდესი სიყვარული და დაინტერესება მისი შემოქმედებით ხომ გა-

ნუზომელია. ეს კი კანონიერი და ბუნებრივია, სხვაგვარად არც შეიძლება.

მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებით გატაცებულ მკითხველს იმის პოტენციულობაც უჩნდებოდა, რომ მეტი სკოდნოდა მის ცხოვრებაზე, მის პიროვნებაზე, მოღვაწეობაზე და ა. შ. რა დასაძალია. რომ მკვლევარები ძირითადად ეყრდნობოდნენ თვით მწერლის ხელით 1936 წელს დაწერილ მოკლე ავტობიოგრაფიას, რომელიც მხოლოდ ძუნწ ცნობებს გვაწვდის მისი ავტორის შესახებ. ხალხი მოელოდა უფრო ვრცელ, ამომწურავ წიგნს, რომელიც დიდი შემოქმედის ცხოვრების მრავალ მხარეს გაგვაცნობდა. და, აი, ასეთი წიგნი ახლა ხელთა გვაქვს. მისი ავტორია მწერლის უფროსი ქალიშვილი ქალბატონი ქეთევანი, რომელმაც უსაზღვრო სიყვარულითა და ფაქტიური მასალის ზედმიწევნითი ცოდნით დაწერა წიგნი სახელოვანი მამის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე (ქეთევან ჭავჭავაძი, „მიხეილ ჭავჭავაძი, ცხოვრება და მოღვაწეობა“, „მერანი“, 1984 წ.).

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნს სხვა ვერაფერი დაწერდა. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ავტორს მწერლის არქივის ძვირფასი მასალები ჰქონდა ხელთ, რაზეც სხვას არავის მიუწვდებოდა ხელი, არც ის, რომ მან შეისწავლა სხვა არქივების, პრესის, მწერალთა დისკუსიების სტენოგრამების ან სხვა მრავალი მასალა, არც ის, რომ ქალბატონ ქეთევანს მწერლის ოჯახური ატმოსფეროს. ნათესავთა გადმოცემების, საკუთარი თვალთ ნანახისა და გულით განცდილის უძვირფასესი დაკვირვებები და მოგონებები უმაკრებდა ზურგს, არამედ ამათ გვერდით, და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფანატური. განუზომელი სიყვარული, რომლითაც ქალიშვილი დაკავშირებული იყო სახელოვან მამასთან და ის სითბო და სიყვარულიც, რომელმაც ქალბატონ ქეთევანს ეს წიგნი დააწერინა. ყოველივე ეს ერთად რომ ავიღოთ. დავრწმუნდებით, რომ ვერც ერთი სხვა ავტორი ასეთ უპირატესობას ვერ დაიჩემებდა.

საზოგადოებამ დიდი მადლობა უნდა მიაგოს ამ წიგნის ავტორს იმის გამოც, რომ მან გამოიჩინა თავანწირვამდე მიხული გმირობა, როცა საშინელი გარემოს მიუხედავად განადგურებას გადაარჩინა მიხეილ ჭავჭავაძის არქივი. ასეთი მოქმედება რისკთან იყო დაკავშირებული. ამის გამო წიგნის რედაქტორი გ. ნატროშვილი შესავალ წერილში სწორად ბრძანებს: „აქ არ შეიძლება ერთი რამ ხაზგასმით და საგანგებოდ არ აღინიშნოს: ქეთევანის ეს წიგნი არა მარტო შიშისგანაა. ლიტერატურული დოკუმენტია, არამედ იგი ნიშნავს ნამდვილი მოქალაქეობრივი გაბედულებისა და გმირობისა. კარგა ხანს, მძიმე წლების მანძილზე ქეთევანი სათუთად ინახავდა და იცავდა, თვალის

ჩინივით უფროთხილდებოდა მამის უზარმაზარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას — მან შეინახა ყველა სტრიქონი, ყოველი სიტყვა, ხელნაწერები, უბის წიგნაკები, წიგნები და ჟურნალები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, სადაც მამას რაღაც ალუნიშნავს, რაღაც მიუწერია, და მთელი ეს საქმიანობა, წარმართული მწერლის მემკვიდრეობის დასაცავად იმ მძიმე წლებში, მიდიოდა თავგანწირვის მიჯნაზე...“ ეს სავესებით სამართლიანი შეფასებაა.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა — რას გვაძლევს ეს სქელტანიანი წიგნი, რით ამდიდრებს იგი მკითხველთა გონებას?

დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით და ახლობელ-ნათესავთა გადმოცემების საფუძველზე ქეთევან ჭავჭავიძევილი, პირველად ჩვენს სინამდვილეში, ფართოდ გვაცნობს დიდი მწერლის წინაპრებს, მშობლებს, უახლოეს ნათესავებს და ოჯახურ გარემოს. ამ წიგნამდე მკითხველთათვის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ მ. ჭავჭავიძევილი დაიბადა სოფელ წერაქვში, მაგრამ თითქმის არავინ იცოდა, რომ მომავალი მწერლის მამა, საბა, ქიზიყიდან, სოფელ ზემო მაჩხაანიდან წამოსული კაცი იყო, გვარად ტოკლიკიშვილი გახლდათ, მაგრამ სოფელ წერაქვში რომ ჩავიდა და იქ დაიწყო მუშაობა, გვარად მიიღო მამამისის — ადამას სახელიდან ნაწარმოები გვარი — ადამაშვილი, რომელსაც ჩვენი დიდი მწერალი მოღვაწეობის დასაწყისში, აგრეთვე, ფსევდონიმად თუ გვარად იყენებდა. ამის გარდა ისიც გახდა ცნობილი, რომ ტოკლიკიშვილები ოდესღაც ჭავჭავიძელები ყოფილან და ამიტომ მოგვიანებით მწერალმა ძველი გვარი დაიბრუნა და ჭავჭავიძევილად იქცა.

ამ წიგნიდან შევიტყვეთ, რომ მწერლის მამა, საბა მეტად ნიჭიერი, გონიერი, შრომისმოყვარე და პრინციპული ადამიანი ყოფილა. ამის გამო, იგი ქვემო ქართლის მემამულეების ყურადღებას იქცევს და კარგი შრომით მათ მხარდაჭერასაც იმსახურებს. ამ გონიერი, გამრჯე და პატიოსანი კაცის საქმე მალე კარგად წასულა, დაოჯახებულა ელენე ბურნაძეზე, დაწვრილშვილებულა, ოჯახი მოულონიერებია და მთელ იმ მხარეში სახელი მოუხვეჭია, წიგნში დაწვრილებით ვიგებთ აგრეთვე მწერლის დედისა და მისი მამა-ძმების შესახებ. ყოველივე ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ვეცნობით მწერლის უახლოეს ადამიანებს, ვისი გენებიც მწერალს გამოჰყვა, ვისთან ახლობლობაშიც ჩამოუყალიბდა ხასიათი და ფსიქიკა, ვისგანაც ისწავლა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, ადამიანებისადმი თანადგომა, საჭიროების შემთხვევაში კი — თავგანწირვაც.

მკითხველმა თითქმის არაფერი იცოდა მწერლის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ, ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ მისადმი ინტერესი არავის ჰქონდა. არამედ იმიტომ, რომ საამისო მასალა არავის გააჩნდა.

ახლა ამ წიგნით ეს ხარვეზიც შესანიშნავად შეივსო. ქ. ჯავახიშვილმა თავის წიგნში ფართოდ გადაგვიშალა მიხეილ ჯავახიშვილის ბავშვობის წლები. გვიჩვენა მისი ბავშვობის დროინდელი გატაცებები, ჩვევები, ხასიათის თავისებურებანი — წიგნის მოყვარეობა, ახლობელთა სიყვარული, განმარტობისადმი სწრაფვა, ბუნებით გატაცება, განსაკუთრებით ტყის სიყვარული. ხეტილისადმი ტრფიალი, სიცელქე და ა. შ. ყოველივე ამის ჩვენებას ის აზრი აქვს, რომ მკითხველმა თვალი გაადევნოს დიდი მწერლის მისწრაფებათა და ხასიათის შემდგომ განვითარებას, რაც შემდეგ ჩამოყალიბებულ ხასიათს იძენს და გავლენას ახდენს მის შემოქმედებაზე.

ცხადია, ჩვენ ვიცოდით მ. ჯავახიშვილის სწავლის შესახებ ჯერად ოდნავ და პრივოლნოეს სასწავლებლებში, ისიც ვიცოდით, რომ იგი შემდეგ შედის და ამთავრებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელს და იმ წლებში საგურამოში ხვდება დიდ ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ყოველივე ეს ვიცოდით ზოგად ხაზებში, ახლა კი ამ წიგნში გადაშლილია იმ წლებში მ. ჯავახიშვილის ცხოვრების ფართო სურათი, ნაჩვენებია მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, მომავალი მწერლის მაშინდელი ცხოვრების დეტალები, ინტერესების ჩასახვა და მათი შემდგომი გავლივება, ზოგი მასწავლებლის კეთილმყოფელი გავლენა ჭაბუკის სულსა და გონებაზე. მწერლობისადმი ინტერესის გავლივებაზე და ა. შ. ამასთანავე, ძალზე მეტყველად არის წიგნში ნაჩვენები ჭაბუკი მ. ჯავახიშვილის თავყანისცემა ილია ჭავჭავაძისადმი, მისი გაღმერთება, მისით მოხიზვლა, რამაც შემდეგ ასეთი სასურველი ბეჭედი დაასვა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას, მის შინაარსსა და ხასიათს.

მკითხველმა ისიც იცოდა, რომ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მამის რჩევითა და მოთხოვნით, მ. ჯავახიშვილი სწავლას აგრძელებს ყირიმში, იალტის ნიკიტის სახელობის საბალოსნო და მეღვინეობის უმაღლესი ტიპის სასწავლებელში. ეს მოხდა 1897 წელს, მაგრამ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით მიხეილის მიერ იალტაში გატარებული თითქმის ოთხი წლის შესახებ. ეს წლები კი მეტად საინტერესო და შინაარსით სავსე ყოფილა. ავტორი გვაცნობს მასწავლებელთა პორტრეტებს, მოგვითხრობს ქართული სტუდენტების მეგობრობასა და ურთიერთობაზე, იალტაში ჩასულ დიდ რუს მწერლებთან შეხვედრებზე (ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, მ. გორკი), ლიტერატურით მიხეილის გატაცების ზრდაზეც, რის გამოც სამეურნეო პროფილის საგნებისადმი მას გული აუტრუებია, შინ დარჩენილი ახლობლებისადმი ჭაბუკის სიყვარულზეც, რაც მისი წერილები-

დანაც ირკვევა და ა. შ. ყველაფერი ეს ავსებს დიდი მწერლის ბიოგრაფიის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს.

საინტერესო და დაწვრილებით მასალებს გვაწვდის წიგნის ავტორი თავისი პაპის, საბას ოჯახის იმ ტრაგედიაზე, იმ ამოწყვეტაზე, რაც ზედაპირულად ვიცოდით, მაგრამ ასე ვრცლად და ამომწურავად არავის ჰქონდა მასზე წარმოდგენა. ამასთან მიმართება ახალგაზრდა მ. ჭავჭავიძისა, მისი განცდები, ხასიათის შეცვლა, სოფელ სიონის აყვავებული სახლ-კარის მიტოვება, ალავერდში ჩასვლა და იქ სამსახურის დაწყება, და მრავალი სხვა მომენტი მწერლის ამ წლების ცხოვრებისა, მისი ტკივილებისა, მისი ფიქრებისა, მისი მოქმედებისა ჩვენთვის დღემდე უცნობი იყო.

ძალზე საინტერესოა ქ. ჭავჭავიძის წიგნის ის ნაწილი, რომელიც მიხეილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დეტალებს, თბილისის მამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეებს, ყურნალ-გაზეთებში ახალგაზრდა მწერლის თანამშრომლობის დაწყებას, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან მის დაახლოებას. პირველ ლიტერატურულ წარმატებებს, მასზე გამოხმაურებებსა და სხვა საკითხებს გვაცნობს. ყოველივე ეს ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია მ. ჭავჭავიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასაგებად, გასააზრებლად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წიგნის ის მონაკვეთი, რომელშიც მოთხრობილია ევროპაში მ. ჭავჭავიძის ემიგრანტობის წლებზე. განსაკუთრებით კი პარიზის სორბონეს უნივერსიტეტში განსწავლულობის ამბავზე, რამდენიმე ევროპული ქვეყნის დედაქალაქების გაცნობის ფაქტზე და ა. შ. ასევე შეიძლება ითქვას ცოტა მოგვიანებით მ. ჭავჭავიძის მიერ თურქეთისა და ირანის გაცნობაზე. ამ ქვეყნებში გატარებულ პერიოდზე, იქ ნანახისა და განცდილის შთაბეჭდილებებზე და მრავალ სხვა ფაქტსა თუ გარემოებაზე. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი რამ. როგორცაა რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენის შესწავლა, ხელოვნებისა და კულტურის ძეგლების გაცნობა მ. ჭავჭავიძის მიერ და ა. შ.

წიგნის ყველაზე დიდი ნაწილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეძღვნება მ. ჭავჭავიძის სამწერლო მოღვაწეობის მრავალი საინტერესო მხარის ჩვენებას, საამისო ფაქტების მოწოდებას, მათ გააზრებებს, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი მწერლის დამოკიდებულების ჩვენებას. მჩქეფარი სამწერლო-შემოქმედებითი შრომის მრავალი ასპექტის დახატვას, მიხეილის საკუთარი ოჯახური გარემოს ჩვენებას. მამინდელი ლიტერატურული ბატალიების ხასიათის გადმოცემას, მწერლის მუდმივი ბრძოლის, შემოქმედებითი წვის, აღმავლობის, ქების, ლანძღვის, აღიარების ზრდისა და სხვა ფაქტების დახატვას. აქ წიგნის

ავტორი გვერდზე კი არ არის გამდგარი, არამედ, ჯერ ერთი, თითქმის უმეტესი მოვლენისა და ფაქტის თვითმხილველი და მონაწილეა, მეორეც, მას მუდამ აქვს თავისი პოზიცია, რომლის პრიზმაშიც აირეკლებოდა ეს ყოველივე და ამ კუთხითვე გვიჩვენებს ამ მდიდარ, ძალზე საინტერესო ამბებს, რომლებშიც აისახა არა მარტო მწერალ მიხეილ ჭავჭავაძის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი, არამედ ოციანი და ოცდაათიანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების პერიპეტიებიც და რადგან ყოველივე ეს მოთხრობილია არა მარტო საკუთარი თვალთ ნანახის საფუძველზე, არამედ მრავალი დოკუმენტის მოხმობითაც, ამიტომ ძნელია, გადაჭარბებით შევაფასოთ ამ მონათხრობის მნიშვნელობა და ღირებულება. წიგნის ეს უმთავრესი ნაწილი იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად მდიდარი და საინტერესოა, მკითხველზე ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მისი შეფასება მხოლოდ აღფრთოვანებით შეიძლება.

1954 წელს, რეაბილიტაციის შემდეგ, მიხეილ ჭავჭავაძის უდავოდ აღდგა მკედრებით, მომდევნო წლებში კი მოხდა მისი ნამდვილი ამაღლება და ეს პროცესი განუწყვეტლივ გრძელდებოდა მისი მდიდარი და უებრო შემოქმედების კვლევის, შესწავლის, პუბლიკაციების, მილიონობით მკითხველის გულსა და გონებაში ღრმა ფესვების გადგმისა და სხვა საშუალებებით, მაგრამ ქალბატონი ქეთევანის ამ წიგნის გამოსვლით მოხდა დიდი მწერლის კიდევ ერთი გაუკვდავება და ამაღლება და თუმცა ცხოვრებამ მიხეილ ჭავჭავაძის ბევრი ბალაში და შხამი აგემა, ფაქტიურად იგი განუწყვეტლივ ებრძოდა უბედურებასა და ხიფათს, რომელიც მას ბევრჯერ ჩაუსაფრდა, მისი სიცოცხლე რომ ბოროტების ზეიმით დასრულდა, მაგრამ ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ, განვაცხადოთ, რომ მაინც უბედნიერესი კაცი ყოფილა, რადგან აღუზრდია და დაუტოვებია ისეთი შვილი, რომელმაც ასე უერთგულად დიდი და სახელოვანი მამის სახელს და არა მარტო გადაარჩინა მწერლის პირადი არქივი და ხელნაწერები, მრავალი უბის წიგნაკი და დოკუმენტი, არამედ თითქმის 25 წლის შრომა გასწია, რათა ეს წიგნი დაწერილიყო და მილიონობით მკითხველს დაენახა უებრო ქართველი, დიდი პატრიოტი, მაღალი ტალანტის მფლობელი, მშრომელი, პატიოსანი, სპეტაკი, ტანჯული, დაულალავი მოღვაწე მიხეილ ჭავჭავაძის, სამშობლოს დიდი მესიტყვე და მისთვის თავგანწირული შვილი. რამდენია სხვა მწერალი, რომელთაც შვილებიცა ჰყავთ და სხვა ახლობლებიც, მაგრამ ასე ვერ უჭირისუფლეს მათ, ასე ვერ დააგვირგვინეს მათი გზისა და ღვაწლის ჩვენება. მ. ჭავჭავაძის ამ მხრივ, მართლაც, ბედმა გაუღიმა.

წიგნის ამ ძირითადი ნაწილის მეშვეობით მკითხველი ბევრ რამეს გაიგებს და წარმოიდგენს. აქ ნაჩვენებია ლიტერატურული ჯგუფების ცხარე ბრძოლები ერთმანეთში, მასთან მ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება, შემოტევები დიდი მწერლისადმი, კრიტიკოსთა უხეში და არაპროფესიონალური დამოკიდებულება მ. ჭავჭავაძისადმი, მტრული დამოკიდებულება კი.

ავტორი საინტერესო ცნობებს აწვდის მკითხველს აღმანახ „არიფონის“ დაარსებაზე, რომლის მეთაური მ. ჭავჭავაძე იყო. აქ ნაჩვენებია კრიტიკის თავდასხმა ამ აღმანახზე და განსაკუთრებით მასში დაბეჭდილ მოთხრობაზე „დამპატიყე“, რის გამოც მ. ჭავჭავაძე ბევრი სიმწარე იგემა.

წიგნში ნათლად არის დახატული საინტერესო სურათი მ. ჭავჭავაძისადმი ორგვარი დამოკიდებულებისა: ერთ მხარეს არიან მკითხველთა ათასები, რომლებიც მწერალს აღმერთებენ, აუარება აღფრთოვანებულ წერილს უგზავნიან „მარაბდელისა“ და სხვა ნაწარმოებების გამო, მეორე მხარესაა ვულგარული ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც პრესაშიც და დისკუსიებზეც პირდაპირ თათხავს მწერალს. ასეთ კრიტიკოსებს ან არ ესმოდათ მისი შემოქმედების ნამდვილი ფასი, ანდა განზრახ შავ ფერებში განიხილავდნენ მას.

წიგნის ავტორი გულსტივილით გვიხატავს თავისი მამის იმ განცდებს, იმ ტკივილებს, რასაც მიხეილი განიცდიდა კრიტიკის შემოტევის გამო. მკითხველი ხედავს, თუ რა ენერგია, თავშეკავება და ძალა ენარჩებოდა მწერალს იმ თავდასხმათა მოგერიებისათვის.

ქეთევან ჭავჭავაძის წიგნში დახატულია მწერლის ცხოვრების ნათელი დღეებიც, შეეხება ეს ოჯახურ სიტუაციას და სიყვარულს, მეგობრებთან (გ. ქიქოძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე, დ. კასრაძე და ა. შ.) გულთაღ ურთიერთობას; საკუთარი ნაწარმოებების გამოქვეყნებით გამოწვეულ სიხარულს, მისი თხზულებების თარგმნას თუ სხვა მომენტებს. ამავე ასპექტში განვიხილავთ წიგნის ავტორის მიერ სხვა ფაქტების დახატვასაც — ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად მ. ჭავჭავაძის მოგზაურობას მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში. მწერლის დაკვირვებებს ამ მოგზაურობის დროს; რუსი მწერლების ახლოს გაცნობას და მათთან დამეგობრებას, 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას და მწერლის აღფრთოვანებას ამ დადგენილების გამო; მწერალთა პირველი ყრილობის პერიპეტიებს, მიხეილის გამოსვლას ამ ყრილობაზე, მის დადებით დამოკიდებულებას ამ ყრილობისადმი; მწერლის დაჯილდოებას შრომის წითელი დროშის ორდენით და ა. შ.

მკითხველის ყურადღებას იქცევს წიგნის ის ადგილები, რომლებ-

შიც მკაფიოდ არის ნაჩვენები მ. ჯავახიშვილის უდიდესი დაინტერესება ქართული ენის სიწმინდით, ბრძოლა მისი დამახინჩების წინააღმდეგ, ქართული ენის ამაღლებისათვის თავდადება და ა. შ. აქ მიმოხილულია მწერლის წერილები და ნაშრომები ქართული ენის საკითხებზე, საჯარო გამოსვლები ამავე თემაზე და ა. შ. ყოველივე ამით ჩვენს თვალწინ წარმოდგება მშობლიური ენის დიდი ქომაგი.

წიგნში ნაჩვენებია მწერლის დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი, ზოგადად კულტურის რაობისა და დანიშნულებისადმი, ბრძოლა თანამედროვეობის ასახვისათვის, რეალიზმისათვის, ყოველგვარი ფორმალიზმის წინააღმდეგ.

წიგნს ნათელ ზოლად გასდევს მ. ჯავახიშვილის ჯანსაღი ეროვნული გრძნობის, მისი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჩვენება. ამ საკითხებზე წიგნში საგანგებოდ თითქოს არ არის ლაპარაკი, მაგრამ იგი თავისთავად გამომდინარეობს. ამ თვალსაზრისითაც ჩვენს წინაშე წარმოდგება მწერლის ძალზე მიმზიდველი სახე.

მ. ჯავახიშვილის დიდ კულტურაზე, ფართო ერუდიციაზე, მრავალფეროვან, ღრმა განსწავლულობაზე, რამდენიმე უცხო ენის ცოდნაზე, დიდ ტალანტზე წიგნში მხოლოდ გაკვრით. თითქოს სხვათა შორის არის მინიშნებული, ყოველივე ეს წარმოჩნდება რაიმესთან მიმართების გზით, მაგრამ მკითხველი ამჩნევს ამას, შეიგრძნობს და იხიბლება მწერლის ამ საუკეთესო თვისებებით.

დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი წიგნის შინაარსზე, მის ღირსებებზე, მნიშვნელობაზე, ფასზე. ყველამ უნდა წაიკითხოს ეს წიგნი და ირწმუნოს ჩვენი ეპოქის დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც ეროვნული კულტურის, ასევე საკაცობრიო მასშტაბითაც.

საჭიროებასთან და მოთხოვნილებასთან შედარებით ამ წიგნის ტირაჟი ისე მცირეა, რომ მისი მეორედ გამოცემის აუცილებლობა უეჭველია. ამიტომ გვინდა ზოგი მოსაზრება გავუზიაროთ მის ავტორს. ეგებ მათი გათვალისწინება სასარგებლო იყოს მეორე გამოცემისათვის.

წიგნის თავფურცელზე ქართულად წერია „ცხოვრება და მოღვაწეობა“, ბოლო ფურცელზე კი რუსულად ვკითხულობთ „ჟიზნი ი ტვორჩესტვო“. მიგვაჩნია, რომ ქართული ვარიანტი შეესაბამება წიგნის შინაარსს, ხოლო რუსული თარგმანი ზუსტი არაა.

სხვა შემთხვევაში ეგებ არაფერი გვეთქვა წიგნში გაპარულ კორექტურულ შეცდომებზე, აქ კი ასეთი ისე მრავლადაა, რომ პირდაპირ მიუტყევებელია. განსაკუთრებით გაუგებარია სასვენო ნიშნის — მძიმეს ხმარება, რაც ყოველგვარ წესს სცილდება. ეს კი ისე ხშირად

გვხვდება, რომ მკითხველის გაღიზიანებას იწვევს — გაიარა კი ამ წიგნმა კორექტორის ხელში? ეს დაუდევრობა არავის ეპატიება.

წიგნით ჩვენი აღფრთოვანების მიუხედავად მაინც შეიძლება შევნიშნოთ, რომ მასში გვხვდება ისეთი ადგილები, ურომლისოდაც არათუ არაფერი დაშავდებოდა, არამედ კიდევ უფრო მოიგებდა ეს წიგნი. მხედველობაში გვაქვს მწერლის ბავშვობის ძალზე წვრილმანებზე თხრობა, შემდეგ ოჯახის წევრების თავგადასავლებების მოყოლა და ამის მსგავსი ზოგი რამ. აჯობებდა, წიგნში მხოლოდ ისეთი ყოფითი დეტალები ყოფილიყო, რაც წარმოაჩენდა მწერლის ხასიათს, ბუნებას, შემოქმედებით ატმოსფეროს და ა. შ.

ავტორი აშკარა გაუბედაობას და ინტელიგენტურ თავაზიანობას ამჟღავნებს, როცა ოციანი და ოცდაათიანი წლების მოიერიშე კრიტიკოსების მკვახე, მტრულ დამოკიდებულებაზე წერს: ან არ ასახელებს მათ გვარებს, ან რალაც შემოვლითს გზას ამჯობინებს. ჩვენი ღრმარწმენით, უკვე დადგა დრო, როცა ყველაზე და ყველაფერზე სიმართლით უნდა ითქვას. სწორედ ამ წიგნში და სწორედ მისი ავტორის მიერ დღეს უნდა ამოხსნილიყო ის რებუსები, რომლებიც მ. ჭავჭავიძის დაუნდობელი დევნის გარშემო მინიშნებებით იყო ნათქვამი სხვა ავტორების მიერ. დარწმუნებული ვართ, მკითხველი საზოგადოება სიმართლის თქმას ალტაცებით შეხვდებოდა.

უემარისობის გრძნობას ბადებს აგრეთვე წიგნის ფინალური ნაწილი. სადაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მ. ჭავჭავიძის რეპრესიების მიზეზი მხოლოდ მეტეხის ეკლესიის გადასარჩენად გამომკვლავებული მისი სითამამე, ამით ერთი დიდი თანამდებობის პირის განაწყენება იყო. ეს ფაქტი თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვანია მწერლის მოქალაქეობრივი შემართების საილუსტრაციოდ, მაგრამ მისი დაპატიმრება 1937 წელს და მისი გაქრობა ხომ სხვა გარემოებისა და მიზეზის გამო მოხდა. ეს ჩვენზე უკეთ იცის მწერლის ქალიშვილმა და რაღა დასამალია? პარტიამ თვითონ ამხილა და მკაცრად დასაჯა ის პირი, ვის კისერზეც არის არა მარტო მიხეილ ჭავჭავიძის უსამართლო რეპრესირება, არამედ ზოგი სხვა მწერლისაც და მრავალი უდანაშაულო ადამიანისაც. ვფიქრობთ, რომ დადგა ის დრო, როცა ამაზე ცხადად და აშკარად შეიძლებოდა თქმა, დიდი დამნაშავეის, ბოროტებით სავსე კაცის დასახელება, მისი მზაკვრობისა და დაუნდობლობის მხილება.

ეგებ საინტერესო ყოფილიყო იმის ჩვენებაც, თუ მწერლის დაპატიმრების და ველური ძალადობის პირობებში წიგნის ავტორმა როგორ გადაარჩინა განადგურებასა და დაღუპვას დიდი მწერლის ხელნა-

წერები და ყოველივე ის, რის საფუძველზეც დაიწერა ეს შესანიშნავი წიგნი.

არ არის გამორიცხული, რომ ამ საკითხებზე განსხვავებული აზრიც უქნება, ყველა არ გაიზიარებს ჩვენს პათოსს, მაგრამ ჩვენ ჩვენი უძველესი, რადგან ღრმად გვწამს, რომ სიმართლის თქმა ჯობს.

სხვა მხრივ კი — აღფრთოვანების გარეშე ძნელია ამ წიგნზე წერა, მაღლიერების გარეშე არ შეიძლება მის ავტორზე ლაპარაკი.

P. S. როგორი დიდი სურვილი, დავაყენოთ საკითხი იმის თაობაზე, რომ ძალზე კარგი იქნებოდა მთაწმინდაზე მიხეილ ჭავჭავაძის სიმბოლური ძეგლი დაგვედგა. ეს იქნებოდა კეთილის გამარჯვება ბოროტზე. ეს იქნებოდა ჩვენი ეპოქისა და საზოგადოების დამამშვენებელი ქმედება, ეს იქნებოდა სიმართლის ზეიმი.

ომი და მშენაღი

ყველა ომგადახდილი დაგვეთანხმება, რომ ომზე წერა მისთვის ტანჯვა და უსიამოვნო გარჯაა. ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობთ. მაგრამ, ამავე დროს, წარსული დიდი სამამულო ომი იმდენად მასშტაბური და დიდმსხვერპლიანი იყო, რომ მისი დავიწყება არ შეიძლება, რადგან მისი ხსოვნა მშვიდობის განმტკიცებას უწყევს სამსახურს. ამის გამო, კი ღირს თუნდაც ტანჯვიანი გარჯა.

ომის საშინელება და მისი შემზარავი მომენტები სამუდამოდ აღიბეჭდა არა მარტო ომის მონაწილეთა სულსა და მეხსიერებაში, არამედ ზურგში მყოფი დიდად ნაჭაფი ადამიანების ხსოვნაშიც და იმდროინდელი ბავშვების ცნობიერებაშიც. და სანამ ომის რომელიმე მომსწრე ცოცხალია და მეხსიერება არ ღალატობს, ომი მუდამ ეხსომება.

მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ომის შემდგომ წლებში დაბადებულებმაც და მომავალმა თაობებმაც კარგად იცოდნენ იმ ომის შესახებ. ეს კი ისტორიკოსების გვერდით და, ალბათ, უფრო შთაბეჭდავად მწერლობას შეუძლია. ამიტომ არის, რომ ომის თემა ამდენი ათეული წლის მანძილზე რჩება მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად თემად. ამ მხრივ მოწინავე ადგილი უკავია ქართულ მწერლობას, რომელმაც მრავალი ჟანრით, მრავალწახანაგონად და სხვადასხვა ასპექტით ასახა დიდი სამამულო ომის ამბები. ომის თემას რომ ჰკიდებენ ხელს, ჩვენი მწერლები, ერთი მხრივ, გვიჩვენე-

ბენ საბჭოთა ადამიანების მასობრივ გმირობას და პატრიოტულ თავდადებას ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მეორე მხრივ, ისინი მკითხველებში აღვივებენ ომისადმი სიძულვილს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის თავდადებული შრომის სურვილს, ნგრევის ნაცვლად შემოქმედებითი შენების სურვილს. ამ ჰუმანურ, ნაღდ ადამიანურ ინტერესებს ემსახურება საბჭოთა ლიტერატურაში ომის თემის ასახვა.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად მოწინავე კაცობრიობა ემზადება ფაშიზმზე გამარჯვების ორმოცი წლისთავის ზეიმით აღნიშვნისათვის, მადლიერებით უნდა გავიხსენოთ ღვაწლი იმ მწერლების, ვინც ეს დიდი თემა ხელშესახებად და დაუფიწყრად დაგვიხატა.

ამ თვალსაზრისით ბევრ ქართველ პოეტთაგან, პროზაიკოსთაგან, დრამატურთაგან და პუბლიცისტთაგან გვინდა გამოვყოთ ორი ქართველი მწერლის ნაღვაწი. თუმცა მათი შემოქმედების ეს მხარეც საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებული, მაინც ახლა, დიდი იუბილეს წინ, ერთხელ კიდევ შეიძლება მათი გახსენება. მხედველობაში გვყავს ლეო ქიაჩილისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელები.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამამულო ომის წლებში არ დარჩენილა ქართველი მწერალი, უკვე ცნობილი თუ დამწყები, რომ ომზე არ დაეწეროს, მებრძოლთა და მშრომელთა გულებში გამარჯვების რწმენა არ ჩაენერგოს, მტრის სიძულვილი და სამშობლოსათვის თავგანწირვა არ ესწავლებინოს. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მწერლობამ თავისი კეთილშობილური ვალი პირნათლად შეასრულა. გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, რ. მარგვიანის, ი. ნონეშვილის, მ. გელოვანის და მრავალი ქართველი პოეტის ლექსებსა თუ პოემებში ომის თემა ელვარედ და დიდი ძალით აისახა. ასევე იყო ქართულ პროზაშიც, დრამატურგიასა და პუბლიცისტიკაშიც. საინტერესოა იმის მითითებაც, რომ ამ თემისადმი ინტერესი არა მხოლოდ 1941—1945 წლებში იყო შესამჩნევი, არამედ ომის დამთავრების შემდეგაც და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ომის მონაწილე მწერალთაგან, ვინც მტრის წინააღმდეგ კალმითაც და ხიშტითაც ერთდროულად იბრძოდა, ერთ-ერთია კ. ლორთქიფანიძე. ის სამხედრო კორესპონდენტის მიერ დაწერილი კორესპონდენციებით, ნარკვევებით, ჩანახატებით, ფრონტული და რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან ხშირად ელაპარაკებოდა ათასობით მკითხველს და ცოცხლად აცნობდა მათ ფრონტის ამბებს, კონკრეტულ ფაქტებს, კონკრეტულ მებრძოლებსა და ოფიცრებს, საბრძოლო ეპი-

ზოდებს. შემოქმედებითი ლაბორატორიის თელსაზრისით ისიც საინტერესოა, რომ ამ მწერლის ზოგი კორესპონდენციის საფუძველზე კ. ლორთქიფანიძემ შემდგომში თვითონვე დაწერა მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ადრე ჟურნალისტურად ნაჩვენები, ახლა უკვე მხატვრული ხერხებით დახატა. ეს საკითხი სათანადოდ არის შესწავლილი და სიტყვას აღარ ვაგრძელებ.

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ომის თემას არა მარტო ოდენობით უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, არამედ თვისებრივადაც. ისეთი ძლიერი ნაწარმოებები, როგორცაა „როგორ მოკვდა მოხუცი მეზღადური“, „მწვანე ლილი“, „სიკვდილი ცოტას მოიცილის“, „ცაბუნია“ და მრავალი სხვა, უდავოდ ამშვენებს ომის თემაზე შექმნილ ქართულ ლიტერატურას.

მარტო ვასილ ჟიგას მორალური კოდექსის ასეთი ძლიერი მხატვრული ჩვენება რად ღირს! მკითხველი დამეთანხმება, რომ მსოფლიო ლიტერატურის სიმალლიდანაც რომ შევხედოთ, ეს ნოველა ყველაზე მკაცრ შეფასებასაც გაუძლებს. მწერალი ჯერ ქმნის ძალზე დაძაბულ, ტრაგიკულ სიტუაციას, რომელშიც მოქმედებს მთავარი გმირი, შემდეგ გვიხატავს მის სულიერ ძალას. ფაშისტთა მიერ დროებით ოკუპირებულ უკრაინულ სოფელში დასაზვერად შეპარული ქართველი მეზღადურის სიცოცხლის გადასარჩენად ვასილ ჟიგა საკუთარ სიცოცხლეს სწირავს. რა ამოძრავებს მას? რატომ გაუცვალა მან მწკრივში თავისი ადგილი ამ მეზღადურს, როცა ფაშისტებმა სოფლის მცხოვრებნი და მათთან ერთად საბჭოთა მზვერავიც ერთ მწკრივად დააწყვეს და ყოველი მეხუთე უნდა დაეხვრიტათ? ჟიგამ ხომ სწრაფად გადაითვალა და ის არ იყო მეხუთე, დახვრეტა არ ელოდა. რა სულიერი ძალები, რა მორალური კოდექსი იყო ის, რამაც მას ეს თავგანწირული გადაწყვეტილება მიაღებინა? ეს იყო პატრიოტის მზადყოფნა იმისათვის, რომ მტერზე შური ეძია, რათა ჩვენი გამარჯვება დაჩქარებულიყო! დახვრეტა ქართველ მეომარს უწყევდა. ერთ-ერთი მეხუთე ის იყო, მაგრამ ის რომ დაღუპულიყო, საბჭოთა სარდლობის დავალება ვეღარ შესრულებოდა. ეს მყისვე გაითვალისწინა ვასილ ჟიგამ და რაკი იცოდა, რომ ამჟამად მტერზე გამარჯვებისათვის მას გაცილებით ცოტა რამ შეეძლო, ვიდრე იმ მეზღადურს, ასეთი გმირული არჩევანიც გააკეთა. ეს უჩვეულო გადაწყვეტილება შარავანდედით მოსავს ამ პატრიოტს. ამავე დროს, მას დიდი წარმატება მოაქვს ნოველის ავტორისთვის. „როგორ მოკვდა მოხუცი მეზღადური“ ომის თემაზე შექმნილი, ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებია.

სხვა პლანში გვიჩვენა მწერალმა ომი „ცაბუნიაში“. აქ ომი განცდილი და დანახულია პატარა სამტრედიელი გოგონას ცაბუნიას თვა-

ლითა და გულით. ომში წასული ვალიკო აბულაძის გოგონა, რომელსაც მამა ენატრება და მისგან დიდი ხანია აღარაფერი იხმის, სამტრედიის რკინიგზის სადგურზე ჩამომდგარ დაქრილთა ეშელონებს ყოველ ცისმარე თავიდან ბოლომდე აუვლ-ჩაუვლის და ყველას ეკითხება თავისი მამის ამბავს — ხომ არ შეგხვედრიათ, როგორ არისო... მწერალმა მონახა თბილი და სათუთი ფერები, რაღაც ინტიმური და ლირიული, ამავე დროს დრამატულიც, რომელთა გამოც ეს ნოველა სრულიად ახალ ელერადობას იძენს, მკითხველს სულს უფორიაქებს. წინანდობლივია, რომ ამ ნოველაში თვით ომის ჯოჯოხეთი, სროლა, ზოცვა, ნგრევა და მისთანები კი არ ჩანს, არამედ მისი საშინელი შედეგები, ზურგში დარჩენილ ადამიანებს ასე რომ სტანჯავს. აქ ომი ადამიანთა სულიერ პრინციპთა გადატეხილი და არეკლილი. ამ მხრივ საინტერესოა არა მხოლოდ ცაბუნისას სახე, არამედ იმ დაქრილი მეომრისაც, რომელმაც ბავშვის ტყუილი ამბები მოუთხრო, ვალიკო აბულაძეს როგორ არ ვიცნობდი, ერთად ვიბრძოდით, მამაშენი გმირიაო. მაგრამ შემდეგ და შემდეგ ეს მებრძოლი ველარ უძლებს თავის ტყუილებს და ლაზარეთის უფროსს ეხვეწება სხვაგან გადაყვანას, ცაბუნისას თვალებში ველარ ეუყურებ, მეტი აღარ შემიძლიაო. მწერალი ამ შტრიხით გვარწმუნებს, რომ ამ ჯარისკაცის კეთილშობილება ომს ვერ დაუზიანებია, მისი სათნო სული ვერ გაუუხეშებია. ასეთია მწერლის კიდევ ერთი სათქმელი ამ ნაწარმოებში.

და მაინც განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კ. ლორთქიფანიძის „მოვედ სინათლე“, რომელიც ერთგვარად აგვირგვინებს ომის თემას ამ მწერლის შემოქმედებაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქრონოლოგიურად გვიან შეიქმნა, არამედ იმიტომაც, რომ მასში ომის თემა ახალი წახნაგით გაშუქდა.

დასახელებულ ნოველაში მწერალი გვიჩვენებს მებრძოლთა ერთი გუნდის თავგადასავალს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ცხარე ბრძოლების შემდეგ ჩვენი მეომრების ეს გუნდი პატარა ნავით ძლივს დააღწევს თავს ზღვის ბობოქარ ტალღებსა და მტრის ავიაციის თავდასხმებს; ისინი ზღვაში ჩაძირვასა და სიკვდილს ბედზე გადაურჩებიან და ამდენი განსაცდელის შემდეგ ყირიმის ერთ ნაპირზე ძლივს გადავლენ. მებრძოლები მოძებნიან რაღაც ფარდულს, ცეცხლს დაანთებენ, გაშოშვლებიან და გათოშილნი დასველებულ ტანსაცმელსა და საცვლებს ცეცხლზე აწრობენ. არის ერთი ხორხოცი და ცეცხლისგან მონიჭებული ნეტარი ვანცდა. სულს რომ მოითქვამენ, შენიშნავენ, რომ ერთი მებრძოლი ვანზე გამდგარა, ტანზე სველი ტანსაცმელი აცვია, ძიგძივებს, მაგრამ მათკენ არც იყურება, არც ტანზე იხდის და არც ცეცხლს უახლოვდება... ეს რომ შენიშნეს შიშველმა ბიჭებმა მას ტანზე გახდა

და ცეცხლთან მიყვანა დაუპირეს. აქ კი ირკვევა, რომ ეს მებრძოლი ქალია... ამდენ შიშველ მამაკაცში ერთი ქალის შემოყვანა, მამაკაცურად ჩაცმული ქალის ამ სიტუაციაში ჩვენება საოცარ მოულოდნელობას და ათას ფიქრს იწვევს მკითხველში... მთავარი კი მათ შორის ისაა, რომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით გამოჩნდება საბჭოთა ქალების პატრიოტიზმი, თავგანწირვა, მტრის გასანადგურებლად გაღებული მათი დიდი მსხვერპლი. მკითხველი ამ ქალში შეიცნობს ჩვენი მათა წყნეთელის შორეულ შთამომავალს.

კ. ლორთქიფანიძემ ომის თემაზე ბევრი სხვა ნაწარმოებიც შექმნა, მაგრამ ყველას აქ ვერ განვიხილავთ. მთავარი ისაა, რომ ომში ნამყოფმა მწერალმა საკუთარ ზურგზე გადატანილი და განცდილი, საკუთარი თვლით ნანახი ომი დაგვიხატა მრავალი კუთხითა და წახნავით, დიდი პატრიოტის სულისკვეთებით და გვიჩვენა საბჭოთა ადამიანების ისეთი მასობრივი და ინდივიდუალური გმირობა, რომ იგი სამაგალითოდ გამოადგება მრავალ ათასობით მკითხველს, რომელსაც მწერალი ჩაუუნერგავს სამშობლოს სიყვარულს, მისი თავისუფლებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლის, გმირობის, ნამუსიანი სამსახურის კეთილშობილ გრძნობებსა და თვისებებს.

სპეციალურ ლიტერატურაში შემჩნეულია და ჩვენ მხოლოდ გავიმეორებთ, რომ ომში მყოფი მებრძოლი კ. ლორთქიფანიძეს ხშირ შემთხვევაში დაყენებული ჰყავს არჩევანის წინაშე და მებრძოლმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თვითონ უნდა გააკეთოს სამოქმედო არჩევანი. ეს ისეთი სიტუაციებია, როცა მებრძოლს შეუძლია სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაიგდოს, ის მარტოა, თავის ნამუსთანაც პირნათელია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ის მაინც სხვაგვარ არჩევანს ამჯობინებს, ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც თავგანწირვას მოითხოვს. მაგალითად, ვასილ ჟიგას ვერავინ დაავლებდა, მით უფრო ვერავინ უბრძანებდა, სოფელში მზვერავად შეპარული საბჭოთა მებრძოლისათვის მწკრივში ადგილი შეეცვალა, რათა ის გადაერჩინა, თვითონ კი დაღუპულიყო. მაგრამ ეს მან ჩაიდინა თავისი გულის კარნახით. მან მთელი ცხოვრება თითქოს იმიტომ იცხოვრა, რომ ამ მომენტში სწორედ ეს ნაბიჯი გადაედგა, თითქოს მთელი მისი ჯანვლილი გზა აქეთკენ მიდიოდა, თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე ამისთვის ემზადებოდა. ასევე უნდა განვიხილოთ სხვა ნაწარმოების გმირის, ნალიბაიძის მოქმედებაც. ის მზვერავად გაგზავნილი წააწყდება დანადგულ ველს. მას არ ევალება მისი განადმევა, მას შეუძლია ველს გვერდი აუაროს და თავისი საბრძოლო დავალება ისე შეასრულოს. მაგრამ როცა გაიაზრებს, რომ ამ მიმართულებით მალე ჩვენი ჯარების შეტევა უნდა დაიწყოს და ამ ველის განადმევას ვერ მოასწრებენ,

ხოლო ამის გარეშე ბევრი ჩვენი მებრძოლის სიცოცხლე უნდა ჩაქრეს, ნადიბაიძე აკეთებს ერთადერთ სწორ და საჭირო არჩევანს, იწყებს ველის განაღმვას, რათა სხვებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს. რთული სიტუაციაა, აქ ადამიანი ადვილად შეიძლება შეცდეს არჩევანის გაკეთებაში, მაგრამ ადამიანური ღირსებაც სწორედ ის არის, თუ რას მოიმოქმედებს იგი. ნადიბაიძემ ღირსეული არჩევანი გააკეთა, თავისი სიცოცხლის ფასად გმირობა ჩაიდინა და ამით სხვებს სიცოცხლე შეუნარჩუნა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენს ჯარებს მტრის განადგურებაში შეუწყო ხელი. უიგა და ნადიბაიძე გმირები არიან ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით, რადგან მათი გმირობა შემთხვევითს გარემოებას კი არ ემყარება, რაც არაიშვიათად ხდება ომში, არამედ შეგნებულ, გააზრებულ მოქმედებას, სწორი არჩევანით ჩადენილ ქმედებას. კ. ლორთქიფანიძის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ამაღლებს მის პერსონაჟებსაც და თვით მწერალსაც.

ლეო ქიაჩელმა ომის თემა ძირითადად ორი ნაწარმოებით წარმოაჩინა. ესენია ნოველა „მამა და შვილი“, და რომანი „მთისკაცი“. ნოველაში მწერალმა დაგვიხატა ერთი ეპიზოდი იმ კაცის ცხოვრებისა, შვილი ომში რომ ჰყავს, თითონ კი თბილისში ჩამოსულა, მისთვის უჩვეულო გარემოში მოხვედრილა, შვილის ამბის გაგებას ცდილობს. ამ ნაწარმოებშიც მწერალი არ ღალატობს საყვარელ თემას — მამისა და შვილის სიყვარულის, მათი ურთიერთობის თემას. ნოველა საესეა კოლორიტით. ამაღლებული განწყობილებით.

მთელ ქართულ პროზაში „მთისკაცი“ გამოირჩევა ომის ჩვენების არა მარტო მასშტაბურობით, დიდი სივრცითა და მრავალპლანაინობით, არამედ იმ დიდი ისტორიული მოვლენის მართალი მხატვრული ჩვენებითაც. განსაკუთრებული იყო რომანის პირველი ბეჭდვის ფაქტიც. როგორც გამოჩაქლისი, იგი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 1948 წელს. მაშინ ამ ნაწარმოებს „ჯოტოს მამა“ ერქვა. მერე, წიგნად რომ გამოვიდა, ავტორმა რომანს „მთისკაცი“ უწოდა. რომანს იმთავითვე დიდი გამოხმაურება ხვდა წილად. ამის მიზეზი მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ომი ახლადმთავრებული იყო და ხალხი ისევ ომის შთაბეჭდილებით იყო დატვირთული, რის გამოც ომზე დაწერილი ყველაფერი აინტერესებდა მას, არამედ ისიც, რომ მისმა ავტორმა მოძებნა რამდენიმე ისეთი ხერხი ამბის ჩვენებისა და გმირთა ხასიათების გახსნისა, რაც დიდად უწყობდა ხელს რომანის მხატვრულ დამაჯერებლობას და ისტორიული სინამდვილის მიმზიდველ, ნათელ დახატვას.

ავილოთ, მაგალითად, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის ბათუ ქარლუას ვაჟის, ჯოტოს ჩვენების ხერხი. ეს ახალგაზრდა კაცი, რომე-

ლიც ომის დაწყებამდე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მოწინავე კომკავშირელი და ყოველმხრივ სანაქებო ჰაბუკი, ომის დაწყების პირველივე დღეებში მოხალისედ მიდის არმიასი და შემდეგ მფრინავი-გამანადგურებელი ხდება, მტრის ავიაციას მუსრავს. შაგრამ ყოველივე ამას მკითხველი როგორღაც „დაუსწრებლად“ ხედავს. ჯოტო რომანში უშუალოდ არსად ჩანს, მის შესახებ ან უმალესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ვიგებთ, ან საქინფორმის ცნობებით, საგაზეთო მასალებით და ა. შ. გმირის ასეთი „დაუსწრებელი“ ჩვენება მწერალს ხელს არ უშლის, მის ცოცხლად, ხორცშესხმულად დახატვაში. ხოლო თუ ვიკითხავთ, რისთვის დასჭირდა ავტორს ასეთი ხერხის გამოყენება, შეიძლება ასეთი პასუხი დავძებნოთ... მწერალი რომანში ნაჩვენებია ამბებისა და პერსონაჟთა სამოქმედოდ ირჩევს გეოგრაფიულად მცირე, ლოკალურ ადგილს — სოფელ სოუს და მის მიმდებარე ადგილებს, და აქედან დანახულს გვიჩვენებს მთელ ომს. ჯოტო უშუალოდ მკითხველის თვალწინ მოქმედად რომ დაეხატა, მაშინ ავტორი უნდა გასულიყო აღებული გეოგრაფიული ლოკალიდან და სხვადასხვა ფრონტზე გადაეყვანა მკითხველიც. ეს კი უხერხული იქნებოდა ორი თვალსაზრისით: ჯერ ერთი, იმ ბრძოლის ადგილებს მწერალი უშუალოდ არ იცნობდა და ამიტომ მათი დახატვა ძალდატანებითი და არადამაჯერებელი იქნებოდა, მეორეც, ასეთი შორს გასვლა, გეოგრაფიული არეალის განვრცობა ეწინააღმდეგებოდა მწერლის შემოქმედებით პრინციპს ამ საქმეში. ხოლო ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ლ. ქიაჩელი, თითქმის ყოველთვის, როგორც წესი, ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან გვიხატავს ხოლმე დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს, მთელ საქართველოს რომ სწვდება. თუ გავიხსენებთ, რომ 1905 წლის რევოლუცია სოფ. N-ის მაგალითზე დაგვიხატა და მთელი საქართველოს ამბები კი გვაგრძნობინა, თუ გავიხსენებთ, რომ მთელი საქართველოს საკოლმეურნეო ცხოვრება „გვადი ბიგვაში“ ორკეთის მაგალითზე დაგვანახა, მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგენთ მწერლის ამ შემოქმედებით პრინციპს. ასეა „მთისკაცშიც“. სხვაგვარად რომ ვთქვათ; ზღვის გემოს გასაგებად საკმარისია მისი ერთი წვეთის დაღევა...

უნდა დავძინოთ, რომ ეს პრინციპი არ ვრცელდება მხოლოდ ჯოტოს ჩვენებაზე, იგი სხვა მომენტებსაც ეხება. ასეთებია, მაგალითად, ომის ექო მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფრონტებზე შექმნილი ვითარების მოწოდება პრესისა თუ რადიოს მეშვეობით და ა. შ.

რომანში საყურადღებო ადგილი უკავია ახალგაზრდობის დახატვას. ჯოტო, თემური, ლია და სხვები აღჭურვილნი არიან იმ ეპოქის ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისე-

ბით — სიბეჭითით, პატიოსნებით, თავდადებით, პატრიოტობით, ზრდილობით, საქვეყნო საქმეებისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებით, მაღალი იდეალებით და ა. შ. ისინი რომანში მოქმედებენ — სწავლობენ, იბრძვიან, გამირობას სჩადიან და თუ ეს საჭიროა, სიცოცხლესაც სწირავენ. ახალგაზრდობისადმი ლეო ქიაჩელის დამოკიდებულება საერთოდ ცნობილია. მწერალმა ეს გამოამჟღავნა თავის თითქმის ყველა ნაწარმოებში — „ტარიელ გოლუა“, „სისხლი“, „გვალი ბიგვა“ და აგრეთვე საბავშვო ნაწარმოებებში. ამ მხრივ, „მთისკაციც“ არ არის გამონაკლისი.

რომანში ძლიერად არის დახატული საბჭოთა ხალხების ძმური ურთიერთობა, ერთ ოჯახად მათი ცხოვრების რეალური სურათი. აფხაზეთის თუნდაც ერთი სოფლის მაგალითზე ეს აშკარად ჩანს. ამ სოფლის წინამძღოლი კირილე გორაკოვი ეროვნებით რუსია, მაგრამ იგი სოფლის ღვიძლ შვილად ქცეულა. ის არის მოწინავე, პატიოსანი, გამრჩვე, აზრიანი ხელმძღვანელი. მას ყველა პატივისცემით ეპყრობა, მისი სჯერათ, რადგან საქმით დაამტკიცა თავისი ღირსება. ასევე დიდი სიმპათიით არიან დახატულნი ამ რომანში რუსი ჯარისკაცები, რომელთაც დაჭრილი ამხანაგი მიჰყავთ და მანუჩა მათ გზას უჩვენებს. ხოლო, როცა ის დაჭრილი მებრძოლი გამთენიისას გარდაიცვლება, მწერალი დიდი სითბოთი და სიყვარულით გვიჩვენებს მანუჩას მონაწილეობას მის დასაფლავებაში, მის მიერ დადებულ პირობას, რომ ამ მებრძოლის საფლავს პატრონობა და ყვავილები არასოდეს მოაკლდებაო. ეს ეპიზოდი ქვეშარითი ძმობისა და სხვადასხვა ერის შვილთა მეგობრობის უტყუარი საბუთია. ნაწარმოებში, როგორცაც, თავისთავად იგულისხმება ქართველი და აფხაზი ხალხების შვილთა განუყოფლობა და ერთიანობა, ერთ ოჯახად მათი ცხოვრება. ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს ურთიერთობა, ამ ორი ხალხის ერთიანობა რომანში იმდენად ბუნებრივად არის დახატული, რომ ცალკე ამისი გამოყოფა თითქოს არცკი არის აუცილებელი.

რომანის ცენტრალური ფიგურაა მთისკაცად წოდებული ბათუ ქარლუა. რომელიც ახალი ეპოქის ტარიელ გოლუად შეიძლება მივიჩნიოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტარიელს დიდი სამამულო ომის წლებში რომ ეცხოვრა, ალბათ ასეთი იქნებოდა. ბათუ ქარლუას პიროვნებაში ერთად და ერთდროულად მოცემულია ქართველი კაცის ყველა საუკეთესო თვისება. მისი სიდარბაისლე, ჰკუა-გონება, საქვეყნო საქმეებით დაინტერესება. პატიოსანი შრომა, სიმამაცე, სამშობლოს უებრო სიყვარული და მისთვის თავდადება არის ის თვისებები, რომელიც ამკობს მას.

მწერალი საღებავებს არ ზოგავს. რათა თანდათან და ახალ სიტუ-

აციებთან მიმართებაში გამომელავნდეს ბათუს დამამშვენებელი ყველა ადამიანური თვისება. რომანის ავტორი მიმართავს ე. წ. უკუფენის ხერხს, რის მეშვეობითაც გამოჩნდება გმირის წარსული საქმეებიც, მაგრამ პროექტორის მთელი შუქი მიმართულია ამჟამინდელ ბათუზე და ამიტომ გმირს კაშკაშა შუქზე ვხედავთ. როცა ომი დაიწყება, როცა ბრძოლები ქარდუას სოფელს უახლოვდება და შემდეგ უშუალოდ სოფში გაჩაღდება, ბათუ ქარდუას ყველა ვაჟკაციური ძალა ერთიანად გამობრწყინდება — იბრძვის თანასოფლელებთან და წითელი არმიის მებრძოლებთან ერთად და სოფელში ფაშისტების შემოსვლას თავისი გმირობითა და სიცოცხლის განწირვით გზას გადაუღობავს. ძალზე ლამაზია დაჰრილი ბათუს ზმანება, როცა იგი თითქოს ხედავს, თუ როგორ მოფრინდა მისი სათაყვანო შვილი ჯოტო და თავისი გამანადგურებლით როგორ ეკვეთება მომხდურთ. დაწყებული პირველი სიზმრიდან, რომელიც რომანში ომის დაწყების მიმნიშნებლად არის მოხმობილი, გათავებული მომაკვდავი ბათუს ზმანებით, მელავნდება ამ დევგმირის, ამ უსპეტაკესი მამულიშვილის განუყოფლობა ქვეყნის ბედთან. მკითხველი მას აღიქვამს სამშობლოს ორგანულ ნაწილად. თავისი: ხალხის ორგანულ ნაწილად. ეს მართლაც მთისკაცი ასე მიმზიდველი და ხიბლიანი იმიტომ არის, რომ იცის ოჯახის, სოფლის, ახლობელთა, ქვეყნის ერთგულება და არა ოდენ სიტყვით, არამედ საქმით ამქლავნებს ყოველივე ამას, ის მთელი არსებით არის ამგვარი, მისთანების ზურგზე და ნამუსზე დგას ქვეყანა.

რომანში დახატულია სოფლის (ე. ი. ქვეყნის — ტ. კ.) ერთსულოვნება მომხდური მტრისადმი სიძულვილსა, მის წინააღმდეგ ცხარე ბრძოლაში. მართალია, მსხვერპლის ფასად, მაგრამ ფაშისტებმა სოფელ სოფში ფეხი ვერ მოიკიდეს. წითელი არმიის ნაწილების მხარდამხარ სოფლის მცხოვრებთა გმირული ბრძოლით მწერალმა გვიჩვენა ჩვენი ხალხის მასობრივი პატრიოტობაც და, ამასთან ერთად, ხალხისა და არმიის ერთიანობა, მონოლითურობაც.

„მთისკაცი“ არის მრავალი ისეთი ეპიზოდი, რომელიც სიმართლით გვიხატავს ომის დროის ვითარებას ჩვენს ქვეყანაში — სიძულველბსაც, შემართებასაც, უკანდახვევის სიმწარესაც, ხალხისა და პარტიის სიმტკიცესა და დარაზმულობასაც, მტერზე გამარჯვების სიხარულსაც, ხალხისა და არმიის გმირობასაც, ფრონტისა და ზურგის შეკავშირებულობასაც, ხალხთა ძმობასა და ინტერნაციონალობასაც, ყველაფერს, რამაც, ერთად აღებულმა, გამოჰქედა მტერზე ჩვენი გამარჯვება. რომანის ავტორის დიდი დამსახურებაა სინამდვილისა და სიმართლისადმი ერთგულება.

ყოველივე იმის გამო, რაც „მთისკაცს“ ახასიათებს, შეიძლება მი-

ვიჩნით, რომ ეს რომანი არის მხატვრული ტილო, რომლის მიხედ-
ვითაც არა მარტო თანამედროვე, არამედ მომავალი ეპოქების მკითხვე-
ლებსაც შეუძლიათ უტყუარად აღადგინონ 1941—1945 წლების დიდი
სამამულო ომის სურათი და წარმოიდგინონ ქვეყნის, ხალხის, არმიის
განწყობილება და ცხოვრება, მოქმედება, ბრძოლა და გამარჯვების მი-
ზეზები. ეს კი დიდი საქმეა.

ლეო ქიაჩელისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის აქ განხილული
ნაწარმოებები გამონაკლისი როდია. ისინი ტიპიურია ომის თემაზე
შექმნილ ქართულ ლიტერატურაში და თუ საუბრისათვის მხოლოდ
ისინი შევარჩიეთ, ეს მოხდა წერილის მცირე მოცულობის გამო. სი-
ნამდვილეში ქართულმა ლიტერატურამ შექმნა ზღვა მასალა, რომელ-
შიც ომი და მისი ყველა წახნაგი ჩანს დიდი სიმართლითა და მხატ-
ვრული დამაჯერებლობით. ქართული პოეზია, პროზა, დრამატურგია,
პუბლიცისტიკა ვალში არ დარჩენილა ომის თემის წინაშე. თვით ომის
ცხარე დღეებში, ზურგსა თუ ფრონტზე. ომის შემდგომ წლებშიც და
დღესაც იქმნებოდა და იქმნება მრავალი ნაწარმოები, რომელიც მკი-
თხველს ზრდის მაღალი პატრიოტული გრძნობით, ომისადმი სიძულვი-
ლით, მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლის
სულისკვეთებით. ეს მაღალი მისია ქართულმა მწერლობამ პირნათლად
შეასრულა და ამ საქმეს კვლავაც განაგრძობს.

ეთერ თათარაიძის ქართულის გამო

ბოლო ხანებში გახშირებული და მოღაღად ქცეული ფოლკლორული
საღამოების ავ-კარგზე საუბარს ამჯერად არ ვაპირებთ, ვიტყვიტ მხო-
ლოდ, რომ ყველაფერში ზომიერება აჯობებდა. ასეთი საღამოების გახ-
შირებამ ისიც გამოიწვია, რომ ზოგ მონაწილეს საღერღელი აეშალა,
თავი ნამდვილ პოეტად წარმოადგენინა და ლექსების ბეჭდვა მოანდო-
მებინა. ის კი დაავიწყდათ, რომ ფოლკლორი ზეპირსიტყვიერებაა და,
მამასადამე, ზეპირადვე უნდა ვრცელდებოდეს ხალხში და არა ბეჭდუ-
რი გზით. სხვა ამბავია, როცა სპეციალისტები ხალხური მთქმელების
ნიმუშებს შეიტანენ კრებულებში, როცა ამას მეცნიერული ინტერესე-
ბი მოითხოვს. ცხადია, არსებობს გამონაკლისებიც, როცა რომელიმე
პირი ჯერ ხალხური მთქმელი იყო, მაგრამ მერე შეიძინა განათლება,
გამომამყვანა ნიჭიერება და პროფესიულ ლიტერატურაში შევიდა.

ასეთებს გზას ვინ გადაუკეტავს, მაგრამ რაც გამონაკლისია, ის წესად
ჰქცევა.

ეთერ თათარაიძის სახელიც ფოლკლორული სადამოებით გახდა
ცნობილი. მას იქ მოწონება ხვდა. შემდეგ იგი უნივერსიტეტში შევი-
და, დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი და, მაშასადამე, ლიტერა-
ტურის სპეციალისტიც გახდა. ეთერი სტუდენტი იყო, როცა უნივერ-
სიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს ესწრებოდა, განხილ-
ვებში მონაწილეობდა, მაგრამ თანატოლთა სამსჯავროზე თავისი ნაწე-
რების გამოტანას ერიდებოდა. სწორედ იმ წლებში საჭიროდ მივიჩ-
ნით ეთერისთვის გვერჩია, რომ ახლა მან სხვა გზა უნდა აირჩიოს
პოეზიაში, რომ, რაც ხალხური მთქმელისთვის საპატივებელი და ეგებ
მოსაწონიც კია, ის პროფესიონალ პოეტს არ ეპატიება და ა. შ. სხვა-
თა შორის, ძალზე გაგვახარა იმან, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში დაახ-
ლოებით ანალოგიური აზრი გამოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი
აბაშიძემ.

ეთერ თათარაიძე ახლა უკვე წიგნის ავტორია, ამას წინათ კი მისი
ლექსები დაიბეჭდა ქურნალ „მნათობის“ 1984 წლის მე-10 ნომერში.
ადრე ჩვენ მოლოდინის გზას ვადექით, ვუცდიდით რას იზამდა ე. თა-
თარაიძე, შეცვლიდა თუ არა თავის ადრინდელ გეზს, მაგრამ „მნათობ-
ში“ გამოქვეყნებულმა მისმა ლექსებმა საბოლოოდ გადაგვაწყვეტინა,
რომ თათარაიძის ლექსების, განსაკუთრებით მისი ქართულის გამო
ვინმემ სიმართლე უნდა თქვას, რადგან, როგორც ჩანს, ის ჭიუტად
აგრძელებს თავის ძველ გზას.

ჩვენს წერილს სათაურად კინალამ მივეცით ე. თათარაიძის ერთი
ლექსის ასეთი სტრიქონი — „ჩვენს უბანსაც უარ-ჩუარ“ ან „ზოგჯერ
ჩვილებს დუბნელ მზიან“, მაგრამ თავი შევიკავეთ, რათა ირონიული
ტონი არ გამოგვესვლოდა. ეთერი სავსებით ახალგაზრდაა და მას ირო-
ნიულად კი არ უნდა ველაპარაკოთ, არამედ მეგობრულად ვუთრჩიოთ.
როცა ასაკით უფროსი დარიგებით მიმართავს უმცროსს, ამით ის თა-
ვის მოვალეობასაც ასრულებს და ფიქრობს, რომ საქმისთვისაც სასარ-
გებლოდ იქცევა. სხვა საქმეა, თუ რამდენად მიიღებს რჩევას უმცრო-
სი მეგობარი.

და, აი, ეთერ თათარაიძის ენის შესახებ.

მაგრამ სანამ ამ საკითხს შევხებოდეთ, ზოგადად ერთ პრინციპზე
უნდა შევთანხმდეთ: პოეტი თანამედროვე სალიტერატურო ენით უნდა
წერდეს თუ რომელიმე დიალექტზე? მაგრამ ეს საკითხი იმდენად ნა-
თელია, რომ ასეთი საკითხი აღარც კი უნდა ისმებოდეს. ამის მიუხე-
დავად, რეალური ვითარება ზოგჯერ სხვაგვარია. თუმცა გენიალურ გა-
ყასთან ფშაურის ელემენტები მხოლოდ მარგალიტებად იყო მიმობნე-

ული, მას მაინც შეჰკადრეს — „ენას გიწუნებ, ფშაველოო“. მით უფრო ეს შეუწყნარებელია რიგითი პოეტისათვის, თანაც იმ დოზით და ისე მოტანილი კუთხური მეტყველებით, როცა მკითხველს ლექსიკონი სჭირდება ან თავზე ძალდატანება, რომ წაკითხულის რაღაც აზრს მიხვდეს. სინათლეზე ლაპარაკი ხომ ასეთ ნაწერებში სავსებით ზედმეტია.

ეთერ თათარაიძე თუ წერს ქართული ენის თუშურ დიალექტზე და ამიტომ მისი ლექსები სავსეა გაუგებარი სიტყვებითა და ფორმებით, მაშინ უნდა განვაცხადოთ, რომ მას ამისი უფლება არა აქვს, მას არც იმის უფლება აქვს, რომ ხელყოს სალიტერატურო ქართული, გააწამოს მკითხველი, საფრთხე შეუქმნას მშობლიური ენის მომავალს, ასე დავიწყოს შესანიშნავი პოეტის შეგონება, რომ „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“...

თუ ეთერ თათარაიძე წერს თუშურ ენაზე (არსებობს ასეთი ენა, რომელიც ქართველური არაა, იგი ადიღეურ-ჩეჩენულია, თუმცა ნახევარზე მეტი ქართული ლექსიკა აქვს), მაშინ იგი არაა ქართული ლიტერატურის კუთვნილება. მაგრამ ვისი კუთვნილებაა ე. თათარაიძის შემოქმედება? თუშური ლიტერატურა ხომ არ არსებობს. ცხადია, ჩვენი ახალგაზრდა პოეტი ფიქრობს, რომ იგი ქართველი პოეტია და წერს ქართულად. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ის მართლა ქართულად წერდეს. ანდა ხომ არ ფიქრობს ეთერი, რომ ის განსაკუთრებულია და ამიტომ მისთვის გამოწაკლისი უნდა დაეუშვათ? მაშინ ჩვენ მის წინაშე ასეთ კითხვას დავაყენებდით: რა გუნებაზე დადგებოდა თვითონ ე. თათარაიძე, ანა კალანდაძეს გურულ დიალექტზე რომ ეწერა (თუმცა ის უფრო გასაგები იქნებოდა ყველასათვის)? რატომ მას არ დაებადა განსაკუთრებულობის პრეტენზია, თუმცა ის მართლაც განსაკუთრებულია? ასევე შეიძლებოდა გვეკითხა მედეა კახიძის, ნაზი კილასონიას, თამარ ერისთავის, მარია ბარათაშვილის, ლია სტურუას, იზა ორჯონიკიძის, სხვა მრავალი ქართველი პოეტი ქალის შემოქმედების გამო — რა იქნებოდა, რომ ყოველ მათგანს თავ-თავის დიალექტზე ეწერა? ის იქნებოდა, რომ ქართული სალიტერატურო ენა — ჩვენი ეროვნულობის ეს დულაბი და მისი მყარი ბურჯი — საფრთხეში აღმოჩნდებოდა. ერთი სიტყვით, ეთერ თათარაიძეს არავითარი ჯანსაყუთრებულობის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს, ის გამართული ქართულით უნდა წერდეს.

სინამდვილეში კი აი რა ხდება, რა გვაქვს (მოგვაქვს „მნათობის“ 1984 წლის მე-10 ნომერში დაბეჭდილი ეთერ თათარაიძის ერთი უსათაურო ლექსი მთლიანად):

ჩვენ უბანსაც უარ-ჩუარ
 მიქელ გაბრიელის სიამ,
 ზოგ სახლითა ბერნ გარეკად
 ზოგთ ჭეილებს დუბნელ მზიან,
 ზოგს პატარზალ გაწირვიად,
 ზოგს პატარა შვილ, პირზიან,
 ზოგს თეოზე არგინ სიკვდილ,
 შინ მაყვანი შეენაბლიან,
 ზოგის ალაზანს ხკიდ ცოდვაჲ,
 თავქვე ჩამაჩინ შეე ამბიან,
 ზოგს მტერ გულალ, ხევში გადაგვდ,
 შინ მაყვანი თვალნამიან,
 ზოგს სულ მოსტაც საობრის დროს,
 გზა მისც სულეთს ბლნარიან,
 ზოგს საწამლავ მიაწვდადად,
 შარა გუშალ შეე ნარიან,
 ზოგს არ არგინ ძე-ძირ მზეზე,
 სახლ-კარ გუწირ შეენაბლიან...
 ჩვენ უბანსაც უარ-ჩუარ
 მიქელ გაბრიელის სიამ.

(ხაზი ყველგან ჩენია — ტ. კ.)

მთელი ამ ლექსიდან მკითხველი, ალბათ, როგორღაც მიხვდება, რომ ამ ლექსის ავტორი ედავება სიკვდილს, მიქელ გაბრიელს, მათ დაუნდობლობას და ა. შ. ეს პრობლემა, ეს ნაღვლიანი საკითხი ჩვენმა წინაპრებმა დიდი ხანია პოეზიაში შემოიტანეს და დაამუშავეს, თუმცა მასზე დაჩივლებას დღევანდელ პოეტსაც ვერაფერ აუკრძალავს. მაგრამ, როგორია აქ ეს ნათქვამი, რა სიტყვიერი მასალა და ფორმებია გამოყენებული ავტორის მიერ? მივყვეთ ტექსტს:

„უარ-ჩუარ“ — ალბათ უნდა ნიშნავდეს აუვლი და ჩაუვლი.

„სიამ“ — ამისი მნიშვნელობა ვერ გავიგეთ.

„ბერნ გარეკად“ — ალბათ ნიშნავს ბერნი, მოხუცი გარეკაო.

„დუბნელ მზიან“ — ალბათ მზიანი დღე დაუბნელაო.

„პატარზალ გაწირვიად“ — ალბათ პატარძალი გასწირეო.

„პირზიან“ — ვერ გავიგეთ.

„შინ მაყვანი“ — ალბათ შინ მოიყვანო.

„ხკიდ“ — ალბათ ჰკიდიო.

„თავქვე ჩამაჩინ“ — თავქვე — ალბათ თავქვე, „ჩამაჩინ“ კი ვერ გავიგეთ.

ვიგეთ.

„გულალ“ — ალბათ გაულადეო.

„გადაგდვ“ — ალბათ გადააგდეო თუ რალაც...

„მაყვანი“ — ალბათ მოიყვანო თუ რაღაც...

„მოსტაც საობრის დროს“ — ალბათ საუბრის დროს მოსტაცებო.

„მისც“ — ალბათ მისცემ ხოლმეო.

„მიაწვადად“ — ალბათ მიაწვდი ხოლმეო.

„გუშალ შავ ნარიან“ — გაუგებარია.

„სახლ-კარ გუწირ“ — ალბათ გაუწირეო თუ რაღაც...

და ბოლოში ისევე „უარ-ჩუარ“ და „სიამ“.

ნუთუ ეთერ თათარაიძე ან რომელიმე მისი მხარდამჭერი სერიოზულად ფიქრობს, რომ ასეთი ენით, ასეთი რებუსებით, დამახინჯებული ფორმებით უნდა იქმნებოდეს თანამედროვე ჩვენი პოეზია? ნუთუ ლიტერატურისთვის მოსათმენია ენის ასეთი ხელყოფა? სხვა რომ არაფერი, ზომ უნდა ვიკითხოთ, თუ ვინ არის ასეთი ლექსის წამკითხველი? თუ მხოლოდ თუშური დიალექტის მცოდნე იგულისხმება, ასეთნი ზომ ძალზე ცოტანი არიან. თუ ჩვენთვის, ქართველი მკითხველისათვის იწერება ასეთი ლექსები, მაშინ რას გვერჩიან, რად გვაწვალებენ, თუშური დიალექტის ლექსიკონს რად გვაძებნიებენ...

ალიო მირცხულავას რომ მეგრულად ეწერა, რევაზ მარგიანს — სევანურად, გალაკტიონს — იმერულად, გიორგი ლეონიძეს — კახურად, რა კარგი იქნებოდა, რას ავშენდებოდით! არ ავაყვავებდით ქართულ ენასა და ლიტერატურას!?

მკითხველმა არ იფიქროს, რომ აქ მოტანილი ლექსი და მისთვის დამახასიათებელი თუშური დიალექტური მეტყველება გამონაკლისი იყოს ე. თათარაიძის შემოქმედებაში, არა, ეს არის მისი სისტემა, დამახასიათებელი თავისებურება. ამიტომ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია წერილის გადატვირთვა სხვა საილუსტრაციო მასალით. მკითხველმა აიღოს 1984 წლის „მნათობის“ მე-10 ნომერი, ან 1979 წელს გამოცემული ე. თათარაიძის ლექსების კრებული და ამაში ადვილად დარწმუნდება.

არსებობს დადგენილი წესი, რომ მხატვრულ ლიტერატურაში მწერალი შეიძლება ვარკვეული დოზით იყენებდეს დიალექტს პერსონაჟთა მეტყველებაში, ან მაშინ, როცა დიალექტიდან შემოაქვს ქართულზე სიტყვა, რომელიც ამჯერად სალიტერატურო ენაში აღარ გვხვდება და ამ შემოტანით ამდიდრებს ქართულს. ეს წესი გამოყენებული აქვთ ჩვენს დიდ მწერლებს და ამის საწინააღმდეგო არავის აქვს. მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევებია და არა სისტემა, გატაცება. ე. თათარაიძე კი ასე როდი იქცევა. ის თითქმის მთლიანად თუშურით ცდილობს პოეტური ნაწარმოების შექმნას, ამაში ამკლავებს თავის „ორიგინალობას“, ეფექტის გამოწვევას. მაგრამ მთელი ხმით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს მოჩვენებითი ეფექტია, პოეზიისთვის და ენიისთვის საზიანო,

და, შესაძლოა, ამის გამო ეჭვიც კი შეგვეპაროს ეთერის პოეტურ შესაძლებლობაში, მივიჩნიოთ, რომ რაკი ის სხვა გზით მაღალ პოეტურ დონეს ვერ წვდება, ცდილობს ამ გზით გავიდეს ფონს. თუ ეს ასე არაა, მაშინ მან უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენი ეჭვი უსაფუძვლოა, ქართულით დაწეროს კარგი ლექსები, გამოამჟღავნოს პოეტური აზროვნებისა და ხატვის მაღალი დონე. თუ ეს მოხდება, მას პირველი ჩვენ მივესალმებით.

კიდევ გვინდა დავაფიქროთ ე. თათარაიძე ასეთი შეკითხვით: ანა კალანდაძეს თავის ლექსებში „პწკალა“, „ელანძე“, „ბოლი“ (ტოტი), „აბდალი“ და მისთანები რომ შემოეტანა, ასეთი ენით რომ ეწერა, თვითონ ეთერს თუ მოეწონებოდა? არა გვგონია, რომ მოსწონებოდა. ანა კალანდაძემ ჩვენ გაგვაოცა და აღგვაფრთოვანა საოცრად მეტყველი ქართულით, მისი ახალ-ახალი შესაძლებლობების გამოძხეურებით, ქართული ცის სიღრმის აღმოჩენით და ა. შ. ცხადია, მაღალი პოეტური დონით, მაგრამ ახლა მხოლოდ ენის კუთხით ვუდგებით საკითხს.

ისიც კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ რაკი მხატვრული ლიტერატურის საშენი მასალა სიტყვაა, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ მის ხარისხზე, რადგან უხეირო მასალისაგან კოშკისა და სასახლის აგება არ მოხერხდება. სხვათა შორის, ამ ბოლო წლებში, ქართულ პროზაშიც მოგვეძალა ქართული ენისადმი „ლალი“ დამოკიდებულება, ხელოვნური სინტაქსური, მორფოლოგიური და ლექსიკური ფორმების შემოტანა, არარსებული „ქართულის“ ხელოვნური გამოგონების ცდები, რაც ზოგჯერ ერთგვარ მანქვამიც კი გადადის. ეს სერიოზული სატიკვარია და საგანგებო მსჯელობას საჭიროებს, მით უფრო, რომ ეს ეხება ზოგიერთ ნიჭიერ მწერალსაც; ჩვენი ეროვნული ლიტერატურის სერიოზულ ძალებსაც. ამდენად ეს საკითხი უფრო დასაფიქრებელია.

რაც შეეხება ე. თათარაიძის ლექსის თუნდაც ისეთ კომპონენტს, როგორც არის რითმა (როცა რითმიან ლექსს წერს), აქაც გამარტივებულად გვაქვს საქმე. მაგალითად, „მნათობის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულ სხვა უსათაურო ლექსში („თოვს. ჭანაობს ჩემ ხსოვნაში“) ერთმანეთს ერთიმება მხოლოდ ასეთი სიტყვები: „მთაჲ, „ფრთაჲ, „გზაჲ“, „ბზაიჲ“ და სულ ეს არის. აქ ჩვენი საყვედური მხოლოდ იმის გამო კი არ უნდა ვუთხრათ ავტორს. რომ ყოველ ამ სიტყვაში „ა“ ხელოვნურად მიუმატებია, არამედ იმიტომაც, რომ, ამის გარეშეც, ეს რითმები ძალზე მარტივი, ათასგზის ნახმარი. მაშასადამე. გაცუეთილია. ამით დიდ პოეტურ მწვერვალებს ვერავინ მიაღწევს. მოდი და ასეთი რითმები მოიწონე იმ ეროვნულ პოეზიაში. სადაც დიდი ხანია გვაქვს შერითმული „სილაში ვარდი“ და „სილაყვარდე“. რაც. მარ-

თლაც პოეტური ზეიშია. არც ლექსია გამონაკლისი რითმის თვალსაზრისით. „მნათობის“ იმავე ნომერში სხვა ლექსებიც ანალოგიურად გამოიყურება. მაგალითისათვის ავიღოთ კიდევ ერთი უსათაურო:

სადიდხნო აღარაა, — იციან,
დედისძმათე სუფრა მაქვა, — იციან,
ხელში სანთელ მიეცათა, — იციან,
სულეთისმ გზას მზე გაქვა, — იციან,
კაი გულად ხარიაა, იციან...

სულ ასე გრძელდება მთელი ეს ლექსი. აქ ავტორი კვლავ ჯიუტად ხმარობს თუშურ ფორმებს. ამით ის თითქოს ცდილობს სალექსო სტრიქონის ბოლოსწინა სიტყვაშიც შექმნას რითმა („... ააე“ — „მაქვა“ და მისთანები), ხოლო ყოველი სტრიქონი დაბოლოვდეს სიტყვით „იციან“. კარგია ეს თუ ცუდი? ძალიან ცუდი? რატომ? იმიტომ, რომ პირველი ცდა („... ააე“) ენობრივი დამახინჯების ხარჯზე მიღწეული, ხოლო მეორე კი — საერთოდ არაფერია, რადგან აღებულია ერთი სიტყვა („იციან“) და ის მეორდება მთელი ლექსის მანძილზე. ასე წერა, ასეთი გართმევა, მგონი, ძნელი არ უნდა იყოს.

ჩვენ არ ვაპირებდით ე. თათარაიძის ლექსის პოეტური მხარეების განხილვას, მხოლოდ ენას ვეხებოდით, მაგრამ მცირე რამ მაინც ვთქვით, უბრალოდ, თავი ვერ შევიკავეთ. ეგებ ასე იმიტომაც გამოგვივიდა, რომ დაგვესვა კითხვა: თუ ლექსს არც ენა უფარგა, არც რითმა, მაშინ მისი ღირსებები საექვო ხომ არ ხდება? საერთოდ კი ვიტყვით, რომ ე. თათარაიძის ლექსის პოეტიკაზე ცალკე მსჯელობაა საჭირო.

ღრმად გააზრებული წიგნი

გასულ წელს, სახელოვანი თარიღის სამი წლით ადრე, შეიქმნა სამთავრობო კომისია დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის ჩასატარებლად. თვით ამ ფაქტმა და იმანაც, რომ მთელი ამ საქმიანობის გაძღოლა ვალად იღო საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია. ამას ისიც უნდა დავამატოს, რომ საიუბილეო კომისიის პირველი სხდომის მაუწყებელ ინფორმაციაში, რომელიც გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ლაკონურად, მაგრამ ზუსტად და დიდებულად არის

მოცემული ილიას შეფასება, — როგორც სხვამ ვერაინ, ილიამ უზარ-
მაზარი ღვაწლი დასდო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართვე-
ლოს, მისი ხალხის გამოღვიძებას, ერის ხსნასა და გადარჩენას, რომ
მისი ტიტანური გონებისა და სიბრძნის შუქი მომავალ საუკუნეებსაც
მისწვდება. მადლობის მეტი რა ეთქმის ყოველ პატიოსან და სამშობ-
ლოსათვის დაფიქრებულ ქართველს.

იუბილესათვის მზადებულ დაწყებულია და ჩვენ მოველით, რომ ყვე-
ლაფერი ღიადღებულად წარიმართება.

ასეთ ვითარებაში ვართ და „ნაკადულმა“ 1984 წლის ბოლოს გა-
მოსცა აკაკი ბაქრაძის წიგნი ილიაზე. მას ეწოდება „ილია ჭავჭავაძე,
წიწამური“. წიგნის ტირაჟი 20.000-ია, მაგრამ მას ვერსად იშოვი. ორი-
ოდე დღით ძლივს ჩავიგდე ხელში, რომ წამეკითხა. წავიკითხე და მო-
ვიხიბლე. მის ავტორს ამთავითვე ვულოცავ მშვენიერი წიგნის დაწე-
რას, შრომის წარმატებულ დაგვირგვინებას. ასე იშვიათად გამოსდით
ავტორებს.

რით არის ეს წიგნი ღირსშესანიშნავი და ფრიად მნიშვნელოვანი?
პირველ რიგში იმით, რომ მისმა ავტორმა აირჩია ყველა სხვა მკვლევა-
რისაგან განსხვავებული გზა. თუმცა იგი „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვ-
რების“ სერიითაა გამოცემული და, მამსადაამე, მოსალოდნელი იყო,
რომ ახალგაზრდა მკითხველთათვის გამიზნული წიგნი პოპულარული
საკითხავი უნდა ყოფილიყო, მწერლის ცხოვრების ამბავი უნდა გაეც-
ნო, მაგრამ ავტორი ამაზე ძუნწად ყვება, მხოლოდ უმთავრესსა და
აუცილებელს გვაცნობს, მთავარი კი აქ არის ილიას ნაღვაწის მნიშ-
ვნელობის გააზრებული მოწოდება. საკითხის ასეთი გადაწყვეტა შე-
დევინად და ბრძნულად მიგვაჩნია. ერთი სიტყვით, წიგნში ისაა ნაჩე-
ნები, რითაც ილია ჭავჭავაძე არის საქართველოს ბრძენი მამა, გამორ-
ჩეული და გასაღმერთებელი შვილი თავისი ერისა.

ავტორი რომ არასოდეს გამოეკიდება ილიას ცხოვრების წვრილმა-
ნებს, მხოლოდ არსებითსა და უმნიშვნელოვანესს გვაწვდის, ამაში აღ-
ვილად დავრწმუნდებით, თუნდაც ასეთი მაგალითით: ილიას ბავშვო-
ბისა და ჭაბუკობის, მისი ოჯახური გარემოს გასაცნობად ა. ბაქრაძე
მოკლედ აღნიშნავს აუცილებელ თარიღებსა და ფაქტებს, შემდეგ ყუ-
რადღება გადააქვს სამ გარემოებაზე:

1. ილიას წინაპრის გამირობაზე, როცა მან ყვარელში შემოვარდნილ
ლექთა მარბიელი ლაშქრის გასარეკად თავი მოუყარა ყვარლის მცხოვ-
რებთ, შეაიარაღა ისინი, სათავეში ჩაუდგა ამ სახელდახელოდ შედგე-
ნილ გუნდს და მტერს მამაცურად შეუტია და იფრინა კიდეც. არ დაგვა-
ვიწყდეს, რომ ეს ფაქტი მაშინ ხდება, როცა ყვარლის ციხეში უკვე
იდგა რეგულარული ჯარის გარნიზონი თავისი უფროსით, რომელსაც

ევალეზობდა, მაგრამ თითოც კი არ გაატოკა მოთარეშეთა უკუსაგდებად. მისი სიმხდალით იყო ეს, თუ სხვა მიზეზით სულ ერთია. ამ ფაქტში ამჯერად მთავარი ისაა, რომ ჰავკავადის გმირობა წარმოჩინდა და გავიხსენეთ, თუ „ვისი გორისაა“ ილია.

2. წიგნის ავტორი საკმაოდ ჩერდება ილიას სწავლების ამბებზე. ყვარლის პერიოდიდან მხვეილი გადატანილია ე. წ. „მთავრის სკოლასა“ და თვით მთავრის სწავლების მეთოდზე. შემდეგ მოდის თბილისის პერიოდი, ჰაკეს სასწავლებელი და თვითონ ჰაკე, ვისაც შემდგომში დიდი მწერალი ასე გულთბილად იგონებდა მისი პატიოსნების, წესიერებისა და მომთხოვნელობის გამო. პეტერბურგის უნივერსიტეტში ილიას სწავლის შესახებ კი ლაპარაკია იმ მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებზე, რაც იმ პერიოდში ხდებოდა და რამაც ილიას გონებაზე, სულზე. მსოფლმხედველობაა და იდეალების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა. ამათი ჩვენება ხდება მიზანსწრაფულად.

3. ილიას ბავშვობისა და სიჭაბუკის პერიოდიდან ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს ილიას დამოკიდებულებას ახლობლებთან — მშობლებთან, დ-ძმებთან, აღმზრდელ მამიდასთან, მეგობრებთან. ყოველივე ამაში ვლინდება მომავალი მწერლის ხასიათი და ბუნება — კეთილშობილება, სითბო, სიყვარული, სათნოება, მადლიერების გრძნობა და ზნეკეთილი ადამიანის ყველა საუკეთესო თვისება.

მთავარი და უპირველესი აკაკი ბაქრაძის წიგნში ილია ჰავკავადის მოღვაწეობის. საქართველოს ხსენისათვის მის მიერ გაწეული ტიტანური შრომის ჩვენებაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 24 წლის ასაკში ილია ჰავკავადემ მოხვევის პირით ყველას გასაგონად განაცხადა — ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო. ეს იყო ჰაბუკი მწერლის მომავალი მოქმედების პროგრამა. ეს რომ არც შემთხვევით წამოსროლილი სიტყვები იყო და არც დასავიწყებელი, ამაზე ილიას მთელი შემდგომი მოღვაწეობა ლაღადებს. მაგრამ მაინც გავიხსენოთ ზოგი რამ. „ივერიის“ 1881 წლის ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში იგი გაიშიფრა, დაკონკრეტდა და გაშლილი სახე მიიღო. აკაკი ბაქრაძე თავის წიგნში, ცხადია, ამას მშვენივრად გვიხატავს. თერგდალეულთა მოღვაწეობის მიზნები ილიამ ასე ჩამოაყალიბა:

1. „ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“.

2. „ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს... სკოლაა, ბანკია, თუ თეატრია. ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად. თუ მასწავლებ-

ლად, თუ სადმე სხვად — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავ-
წონოთ“.

3. „ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჭითისა და ზედმიწევნილ
ცოდნითა...“

ხოლო ოცი წლით ადრე, 1861 წელს დაწერილ სახელგანთქმულ
სტატიაში „ორიოდე სიტყვა...“ ილია კატეგორიული პრინციპულ-
ობით წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან:
მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ეუპატრონეთ, რა კაცები
ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და
ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის
მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება,
მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს“. მოწოდებასავით
ელერს ეს სიტყვები.

ილიას სამოქმედო პროგრამის საილუსტრაციოდ ბევრის თქმა შე-
იძლება, მაგრამ ამჯერად ამას დავჯერდეთ.

დასახული პროგრამის განსახორციელებლად ბევრი რამ იყო სა-
ჭირო, მათ შორის მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა თვით ილიას ხა-
სიათის გამოწრთობას, საზოგადო მოღვაწის ახალი ტიპის ჩამოყალიბ-
ებას. ამაზე წიგნში კარგად არის ნათქვამი. შემდგომ საჭირო იყო
მთელი თაობის შემოკრება, თანამზრახველთა და თანამებრძოლთა და-
რახმვა, ძალების გაერთიანება და გამიზნული მოქმედება, რათა სა-
ნუკვარი ოცნება — საქართველოს ეროვნული და სოციალური განთა-
ვისუფლება, ქართველი ხალხის ღირსების აღდგენა, მისი ენისა და
კულტურის გადარჩენა-განვითარება — ყოველივე ეს რეალობად ქცე-
ულიყო. ილიას ცხოვრება და ეს წიგნიც გვარწმუნებენ იმაში, რომ
ილიამ შეუძლებელი შეძლო, თავი გასწირა ამ იდეალებისათვის, თა-
ვისი სიბრძნით, რკინისებური ნებისყოფით, დაუღალავი შრომით, სა-
ხელმწიფო მოღვაწის ყველაზე საუკეთესო თვისებებითა და უნარით
დალუპვის პირას მისული საქართველო ახალ გზაზე გამოიყვანა.

წიგნში ჭეროვანი ყურადღება ეთმობა ილიას, როგორც ადამიანისა
და როგორც მოღვაწის ბუნების ჩვენებას. ეს კი ხდება მწერლის სა-
ზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი ფაქტების, პუბლიცისტური
წერილების ანალიზისა და მხატვრული შემოქმედების განხილვა-შე-
ფასების საფუძველზე. ა. ბაქრაძე წერს: „ილია ბუნებით აქტიური
ადამიანი იყო, მისი ზღვა ენერჯიის სასოწარკვეთის ჩარჩოში მოქცევა
არავითარ ძალას არ შეეძლო, თუმცა სინამდვილე, რომელშიც აღი-
ზარდა და მოღვაწეობა დაიწყო, უპერსპექტივობის გარდა, სხვა გრძნო-

ბას ვერ გაუჩინდა (გვ. 61-ე). ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს ციტატა მოაქვს „ელეგიიდან“:

ვალექ მარტოკა... და მთების ჩრდილა
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძალი, ძილი,
როსლა გველირსოს ჩვენ გავლიძება.

ილიას პიროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ბუნებრივია, ზემოქმედებას ახდენდა როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ბედუყუდმართი მდგომარეობა, როცა საქმე იქამდე იყო მისული, რომ „მრავალწლიან მონობას ქართველი ხალხის სიმტკიცე გაეტეხა. იგი კმაყოფილი იყო, ფიზიკურად რომ არსებობდა. თავდახსნის ყველა ცდა მარცხით იყო დამთავრებული... სისხლით დაცლილი, გულგატეხილი საქართველო დუმდა. ყველა საკუთარ ნაჭუქში ჩაეტილიყო“ (გვ. 62-ე).

ილიას პოეტური შემოქმედების ანალიზით აკაკი ბაქრაძე მიდის დასკვნამდე, რომ მწერალი ძლიერი პიროვნების ტრფიალია. შექმნილ ვითარებაში საქართველოს ძლიერი პიროვნებები სჭირდება. მაგრამ რა ზნეობრივი იდეალი უნდა იყოს ასეთი პიროვნების საზრდო? ადამიანს ორი გზა აქვს — ღვთიური და ეშმაური. ამ ორივე გზას მხოლოდ ძლიერი პიროვნებები ირჩევენ, სუსტი კი არც ერთს ეკუთვნის და არც მეორეს, იგი არაფრობაა. თუ ძლიერი პიროვნება ღვთიურ გზას დაადგება, იგი ქვეყანას ააშენებს და პირუკუ — თუ ეშმაურს, მაშინ ქვეყანას დააქცევს. ამიტომ აქვს ზნეობრივ იდეალს განმსაზღვრელი მნიშვნელობა. მხოლოდ რჩეულნი მისიწრაფვიან ზნესრულობისაკენ. ილია თავისი შემოქმედებით ასეთი პიროვნების აღზრდას ცდილობს, რადგან უბედურებაში ჩავარდნილ სამშობლოს მხოლოდ ასეთი შვილები თუ უშველიან.

მაგრამ დიდი მიზნის მისაღწევად მხოლოდ სიტყვა ან მისწრაფება არ კმარა, საჭიროა იცოდე კიდევ, თუ რა გზით იარო ამ იდეალისაკენ. წიგნში ნაჩვენებია ილიას მიერ არჩეული გზაც. მიგნებულია აზრი, რომ ზნესრული ადამიანის აკენ მიმავალი გზა საქმით მეტყველი სული ყოფილა. „საქმით მეტყველი სული“ წიგნის ავტორის აღმოჩენაა. შემდგომ წიგნი იმაშიც გვარწმუნებს, რომ ილია თვითონ არის ზნესრული, მაშასადამე, საქმით მეტყველი სული. ამიტომაც იგი თავის შემოქმედებაში ეძებს ზნესრულს, საქმით მეტყველ გმირს. პოეზიიდან ეს იდეები ილიას გადააქვს პროზაშიც, სადაც პიროვნების არაფრობა განსახიერებულია ლუარსაბ თათ-

ქარიძეში, საქმით მეტყველი სული კი — ოთარაანთ ქვრივში. ეს დასკვნები გამოაქვს აკაკი ბაქრაძეს ილიას პოეზიისა და პროზის ანალიზის საფუძველზე.

ილიას ნააზრევის განსჯის შედეგად ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ილიასთვის ქვეშარიტებას წარმოადგენდა დებულება: დამონებული ერის განთავისუფლება ბუნების დარღვეული პარამონიის აღდგენაა. აღსანიშნავია, რომ ილიას ამ დროს მხოლოდ მშობელი ერი როდი ჰყავდა მხედველობაში, იგი ასევე ფიქრობდა გარბილადის ერზე, თურქთაგან შევიწროებულ ბერძნებზე, რევოლუციურ საფრანგეთზე და ა. შ. ამ ფაქტშიაც ვლინდებოდა ილიას ინტერნაციონალიზმი, რომლის ნამდვილი აზრი იმაშია, რომ ერები თანასწორნი, მეგობარნი უნდა იყვნენ, რომ არც ერთი ერი არ უნდა იმონებდეს მეორეს, ძალით თავს არ უნდა ახვევდეს თავის დიქტატს, არ უნდა ართმევდეს მიწა-წყალს, ენას, კულტურას და ეროვნულობის მთავარ ნიშანს — თავისუფლებას.

ილია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განთავისუფლებისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. ჭერ საჭიროა იმის ახსნა, თუ ქვეყანა რატომ და როგორ ჩავარდა ამ ყოფაში, შემდეგ კი მოქმედება განთავისუფლებისათვის. ყველაფერი გარეშე მტერთა შემოსევებს რომ დააბრალო, ცხადია, ეს არის ცრუ თავისმართლება. ილიამ პირველმა, და თანაც ღრმად, ჩაიხედა ერის სულში და იქ დაინახა თავისუფლების დაკარგვის მიზეზები. აქ კი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა თვით ერის სულიერი წყობა. აქედან მოდის ილიას მამხილებელი ნაწარმოებების შექმნა, სატირული პათოსის მომარჯვება.

ამიტომ იწერება „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ და სხვანი, რომლებშიც განხორციელებულია დევიზი — „მოყვარეს პირში უძრახე...“ აკაკი ბაქრაძე ერს ადარებს პიროვნებას. როგორც პიროვნებას აქვს კარგი და ცუდი თვისებები, ასევე ერსაც. როგორც პიროვნებას უნდა მიუთითო ნაკლები, სარკე მიუტანო და შიგ ჩაახედო, თუ მისთვის სიკეთე გსურს, ასევე ერსაც. ასე მოიქცა ილია ზემოთ მითითებულ და ზოგ სხვა ნაწარმოებში.

ილიამ იცოდა, რომ წარსულის მანკიერებათა მხილებით, დღევანდელი სატივიარის სწორი დიაგნოზით შეიძლებოდა მკურნალობა და ამიტომ ასე გაბედულად თქვა ყველაფერი ლექსში „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში...“

როცა ერი თავისუფალია, ის უფრო ადვილად ებრძვის და თრგუნავს ბოროტებას, მაგრამ როცა ის დამონებულია, მაშინ პირუკუ ხდება — იჩაგრება კეთილი და პარპაშებს ბოროტება. ამას ხელს უწყობს დამპყრობელიც, რადგან, როცა ერს ბოროტი სული დაეუფლება, მისი

დამორჩილება გაცილებით ადვილია. სწორედ ამიტომ დამპყრობელი ხელს უწყობს დამონებულ ერში ბოროტების გავრცელებას. წიგნის ავტორი იძლევა რა „ბედნიერი ერის“ შეფასებას, წერს: „ათასხუთასწლიან ქართულ ლიტერატურაში „ბედნიერი ერის“ ბადალი სატირული ლექსი არ არსებობს. არ არსებობს არც გაბედულებისა და გულახდილობის, არც სულიერი ტკივილისა და ტანჯვის თვალსაზრისით. თითოეული სტრიქონი დაწერილია სისხლით. თითოეულ ფრაზას დავით აღმაშენებლის მოქნეული ხმლის ძალა აქვს“ (გვ. 73-ე).

ერისა და ცალკეულ პირთა მანკიერების მხილების შემდეგ ბუნებრივად იბადება სურვილი მათი გარდაქმნა-აღზრდისა. ეს კი სამომავლო ამოცანების განსახორციელებლად უპირველესი საქმეა. ამ თანმიმდევრობით გამოიკვეთა ილიასთან პრობლემა — მომავლის შექმნა. ახლა დგება კითხვა, თუ ვინ უნდა განახორციელოს ეს დიდი ამოცანა. ა. ბაქრაძე ამ კითხვაზე ასეთ პასუხს გვათავაზობს: ილიასთან „სქემა ასეთია: ქართველ ერს მანკიერება დაეუფლა (გარდა ზემოთ მითითებული ლექსებისა. ეს „აჩრდილშიც“ მძაფრად არის ნათქვამი). ილია ამხელს მანკიერებას. ითხოვს მის უარყოფას, დათრგუნვას. დაეძებს მხსნელს, რამეთუ მან უნდა შექმნას მომავალი“ (გვ. 74-ე). ამის ლოგიკური გაგრძელებაა „ბაზალეთის ტბა“, რომლითაც პოეტმა გვიჩვენა ტბის ძირში ჩადგმული ოქროს აკვანი, რომელშიც წვეს ყრმა, ვინც ქვეყანას მხსნელად უნდა მოველინოს. ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ „ქართველის დედას“, რომელსაც პოეტმა ეპიგრაფად წარუძღვარა ლეიბნიცის სიტყვები — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის შშობელი მომავლისა“. მაშასადამე, აუცილებელია აწმყოს გარდაქმნა-გაუმჯობესება, რათა უფრო უკეთესი მომავალი მოვიპოვოთ. ამის გარეშე ოცნება ფუჭია. მაგრამ ისევ და ისევ იბადება კითხვა — ვინ უნდა ჰქნას ეს? პასუხი ნათელია — ზნეკეთილად აღზრდილმა ადამიანმა, საქმით მეტყველმა სულმა, რომელიც უნდა აღვზარდოთ. ამის შემდეგ უფრო ნათელი ხდება ილიას სტრიქონები:

დედავ! ისმინე ქართლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჰემმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათებულო.

შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას...

წიგნის მომდევნო ფურცლებზე აკაკი ბაქრაძე ცალკე განიხილავს „კაცია-ადამიანს“ და მიდის დასკვნამდე, რომ მასში მოცემულია „არა-

ფრობის უარყოფა“. ეს დებულება ავტორს დამაჭერებლად აქვს დასაბუთებული. აქ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ავტორის ასეთ დასკვნებზე:

„უნებლიედ იბადება კითხვა — სიზარმაცის, ცრუსაქმიანობის, ტყუილის, თვითკმაყოფილების, კვენისა და პირფერობის ატმოსფეროში რა უნდა აკეთოს კაცმა? ჭამოს. სხვა აღარაფერი დარჩენია მას. და ლუარსაბიცი და დარეჯანიც ჭამენ“ (გვ. 83-ე).

„თათქარიძეობა არის ზარმაცობა, ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობა, თვითკმაყოფილება, ბაქიობა, მატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელობა და უნაყოფობა“ (გვ. 84-ე).

„ოთარაანთ ქვრივის“ ანალიზის შედეგად აკაკი ბაქრაძე მიდის დასკვნაზე, რომ ოთარაანთ ქვრივი (და მისი შვილი გიორგიც) არის საქმით მეტყველი სული. თუ არ ვცდებით, აქამდე ჩვენ ანალოგიური შეფასება არ შეგვხვედრია. ავტორის ეს დასკვნა და მთელი მოთხრობის განხილვა ჩვენ სანიმუშოდ მიგვაჩნია.

„განდევლის“ განხილვისადმი მიძღვნილ მონაცემთს ავტორმა „გზახსნისა“ უწოდა. აქ ჯერ მოცემულია პოემის შეფასების რამდენიმე უკვე არსებული ვარიანტი, შემდეგ კი შემოთავაზებულია საკუთარი, ორიგინალური, სხვათაგან განსხვავებული ახსნა. ეს საინტერესოა, მაგრამ პოემაში პოეტის მიერ დასმული პრობლემის ბაქრაძისეული გაგება სადავოდ გვესახება. საქმე ისაა, რომ მთელი წიგნის მანძილზე ავტორს, სავსებით სამართლიანად, ილია მონოლითურ პიროვნებად, ერთ მიზნად და ერთ გაუბზარავ სულად შეკრულ კაცად ჰყავს დახატული, „განდევლის“ ბაქრაძისეული ახსნა კი ამ პრინციპს უპირისპირდება. ჩვენი აზრით, ილია ამ პოემაშიც თავისი მრწამსის ერთგულად უნდა დავტოვოთ — საჭიროა მოქმედება და არა განდგომა! გავიხსენოთ თერგისა და მყინვარის, ბაირონისა და გოეთეს. დღისა და ღამის დაპირისპირება, გავიხსენოთ ბევრი სხვაც ილიას ნაწერებიდან და ყველაფერი ნათელი გახდება. „განდევლის“ კიტა აბაშიძისეული განხილვა ძალას არ კარგავს.

აკაკი ბაქრაძე წერს, რომ „ილიას გამოყენებული აქვს ცოდვით დაცემის კლასიკური სიუჟეტი. მაგრამ ამჯერად დაცემა გამოწვეულია რწმენის ღალატით. ამდენად, „განდევლი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის ღალატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა“ (გვ. 108-ე). წიგნში ისიცაა ნათქვამი, რომ „განდევლის“ ალეგორიული ხასიათი პირველად მარჯორი უორდროპმა შეამჩნია და აღნიშნა, რომ პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლური ასახვააო. ეს, მართლაც, ასეა! (გვ. 108-ე). ეს არ ეწინააღმდეგება წინამორბედთა და ჩვენს მოსაზრებას, რომ „განდევლის“ აზრი და დანიშნულება

მოქმედებისაკენ მოწოდებაა, ცხოვრების, ხალხის სამსახურში ყოფნის აუცილებლობის მოთხოვნაა.

ავტორი იხსენებს „საქართველოს მოამბეში“ ილიას მიერ ჩამოყალიბებულ საპროგრამო დებულებას — „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. ამ ამოსავალი წერტილიდან განხილულია „აჩრდილი“, რომელშიც დახატულია მაშინდელი მწარე სინამდვილის მკაფიო სურათი, როცა მცხეთაც და თბილისიც წამხდარან:

აწ აღარა სჩქევს წყარო ცხოველი,
ბე ცხოვრებისაც, იგი დამკვარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიჯივნო დაბად გამხდარა...

სამიჯივნო დაბად ქცეული მცხეთის ხილვა პოეტს უდიდეს ტრიავილს აყენებს. ეს სიტყვები, მართლაც, გულში ჩაქცეული სისხლით არის დაწერილი...

ანდა თბილისი, სადაც „ყრმასაც და ბერსაც, ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსა, დიდსა, პატარას, თაყადასა, გლეხსა, მე უხილავი ყურსა ვუგდებდი, მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა, მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი“. ვაგლახ, ყველგან და ყველაში უაზრობას გაუღდამს ფესვი. დაცემა ამაზე შორს ვერ წავა! სადაა ხსნა, როგორია ხსნის გზა? აქ ილია გვიხატავს დიად მოხუცს, რომელიც აცხადებს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“. როგორც ვხედავთ, გამირის ძიებას, ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანში ჩაწვენილი ყრმის დახატვას „აჩრდილში“ მიემატა საქართველოს უკვდავი სულის მკაფიო სახე. ისინი ერთმანეთს ავსებენ. ჩვენი გაგებით, იმ ყრმამ ეს უკვდავი სული უნდა ჩაიდგას... მართალია, აკაკი ბაქრაძეს ეს პოემა სხვა ასპექტში და სხვასთან პოლემიკაში აქვს განხილული და აქ მოტანილი თვალსაზრისი ჩვენი ინტერპრეტაცია უფროა, მაგრამ წიგნში ეს მაინც იკითხება.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მრავალ მხარეთაგან ერთ-ერთი უმთავრესია ქართველთა ეროვნული თვითმყოფლობის შენარჩუნებისათვის გაწეული ღვაწლი. ეს კი გამოწვეული იყო პრაქტიკული აუცილებლობით. საქმე ის არის, რომ დიდ მწერალს მოღვაწეობა მოუხდა მეტად რთულსა და დაძაბულ ვითარებაში, როცა ცარიზმის დიდმპყრობელური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით, კატოვებისა და ჩუდეცეების მსგავს მოხელეთა ხელით, ქართველი ხალხის, როგორც ერის. არსებობა სასწორზე იყო შედებული, ბეწვზე ეკიდა. ამას ემატებოდა ზოგიერთი ქართველის სასოწარკვეთილება და ნიპილიზმი, მა-

თი ზეპირი თუ წერილობითი გამოსვლები იმ აზრის გასავრცელებლად, თითქოს ქართველი ხალხი დაიღალა, მისი სასიცოცხლო ძალები ამოიწურა, მას დამოუკიდებელი არსებობა აღარ შეუძლია, ის დიდ ერში უნდა გაითქვიფოს. მას უნდა შეერწყას... ეს დამღუპველი „თეორია“ იყო.

აკაკი ბაქრაძის წიგნში სათანადოდ არის ნაჩვენები ეს ვითარებაც და ილიას ოპტიმიზმიც, მისი გალაშქრება ნიჰილისტების წინააღმდეგ, ხალხში იმედის გაღვიძება, ეროვნული თვითმყოფობის გადასარჩენად გაწეული ბრძოლაც.

ნიჰილისტური აზრი იყო გატარებული, მაგალითად, გიორგი მუხრან-ბატონის მიერ 1872 წელს გამოცემულ ერთ ნარკვევში და 1889 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიასში „წერილები საქართველოზე“, რომლის ავტორიც ივანე ჯაბადარი იყო. ცნობილია, რომ სწორედ ამის გამო დაწერა ილია ქაჭკავაძემ მწვავე და ბრძნული ნაშრომი „აი ისტორია“.

პირდაპირ გასაოცარია, ნუთუ ამ ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ დედამიწაზე არსებობდა და არსებობს საქართველოზე გაცილებით პატარა ქვეყნები. ე. წ. ჭუჭა სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა და რესურსები საქართველოზე ასჯერ და ათასჯერ ნაკლებია, მაგრამ თავისუფლად არსებობენ და კაცობრიობის ფერხულში დამოუკიდებლად არიან. ჩაბმულნი! ნუთუ მათ არც ლუქსემბურგი გაეგონათ და არც მასზე პატარა სახელმწიფოები? თუ მათი ცოდნა ასეთი შეზღუდული იყო, მაშინ რაღა ეთეორიებოდათ?

ეროვნული ნიჰილიზმის საკითხს აკაკი ბაქრაძე განიხილავს თავისი წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს...“ ავტორი იძლევა გიორგი მუხრან-ბატონისა და ივანე ჯაბადარის მოსწრებულ დახასიათებას:

„გ. მუხრან-ბატონი მონარქისტი იყო. უხელმწიფოდ არსებობა ვერცკი წარმოედგინა.

ივ. ჯაბადარი კი — ხალხოსანი, „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი. სძულდა მონარქია და მის დამხობაზე ოცნებობდა“. და ორივემ, მათი განსხვავებულობის მიუხედავად, ერთნაირი დასკვნა გააკეთეს ქართველი ერის მომავალ ბედზე — უიმედო, ნიჰილისტური. წიგნის ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ორივე ისინი „ეროვნული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, სასოწარკვეთილი ადამიანები იყვნენ... ამ სასოწარკვეთამ შვა მათი ნიჰილიზმი... მათ მარადიულ ეროვნულ ტანჯვას, მარადიულ ქვეშევრდომობას, ნაციონალური სიკვდილი ამჯობინეს.

საშინელი და შემზარავი იყო სიკვდილით მოპოვებული ხსნა“ (გვ. 47-ე).

ილიამ კი თავისი სატირული ლექსებით თუ სხვა ნაწერებით, ცალკეულ შეცდომათა მხილებითა თუ მთელი ნიჰილისტური კონცეფციის უარყოფით, ყველას უჩვენა, რომ უსაფუძვლოა, მცდარი და ავადმყოფურია ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. შემდგომმა ეპოქამ დაამტკიცა, რომ ილია ცამდე მართალი იყო. მაგრამ ეს შემდგომში მოხდა. მაშინ კი ილიას დიდი ომი გადახდა, რომ ეს დამღუპველი აზრი სახალხოდ უარეყო, ხალხის გულში ჭერ იმედი ჩაესახა, შემდგომ კი მოქმედებისაკენ მოეწოდებინა.

ძალზე მეტყველი და დამუხტულია ილიასგან მოტანილი ეპიგრაფი, რომელიც წიგნის ამ თავს აქვს წამძღვარებული:

„რა არ გადაგვხვდა თავს, რა მტრები არ მოგვსევნიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრქენა კბილთა არ გამოგვივილია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევიწახებ ჩვენი თავი, შევიწარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანავეს და მაინც გადავრჩით და გამოვეცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჭინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით. მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, მოგველიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრითა და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ. არავის წავალებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის. ეს დროშა ეხლა ჩრჩიომა შექამოს, თავგმა დაგვიხრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის...“

უკეთესად არავის უთქვამს!

ხალხს სწორედ გაჭირვებისას უნდა იმედიანი სიტყვა და სავალი გზის ჩვენება. წიგნი გვარწმუნებს, რომ ეს მისია ილიამ ითავა და შესასრულა კიდევ.

სასვებით ბუნებრივია, რომ წიგნში უყურადღებოდ არაა დატოვებული მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი დიდი საკითხები, რომელთაც განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ბანკის დაარსება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა და მოღვაწეობა, ეროვნული თეატრის აღორძინება და სათანადო საზოგადოების ჩამოყალიბება-საქმიანობა. ჩვენი მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ პირდაპირ განსაკვიფრებლად მიგვაჩნია ქართველ მოღვაწეთა სიბრძნე და გამჭირაბობა. როცა ამ დაწესებულებებს აარსებდნენ და ქართველი ერის სამსახურ-

ში აყენებდნენ. მართლაც, რა ხდებოდა? აღარ იყო საქართველო, როგორც სახელმწიფო, იგი რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ორი პატარა გუბერნია გახდა, ამიტომ მას აღარ გააჩნდა არავითარი ეროვნული სახელმწიფო დაწესებულება. ასეთ ვითარებაში იქმნება ბანკი, რომელიც, ფაქტიურად, ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებს ასრულებდა; შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც განათლების სამინისტროს ფუნქციებს წარმატებით ასრულებდა; დაარსდა სათეატრო საზოგადოება, რომელიც კულტურის სამინისტროს მოვალეობას ეწოდდა! მაშასადამე, ფაქტიურად, შეიქმნა სამი სამინისტრო! ეს კი ხდებოდა ცარიზმის გაძლიერებული რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, როცა ყოველგვარი ქართული იდეენობა და ისპობოდა. ალტაცებისა და მადლიერების გარეშე როგორ უნდა ვილაპარაკოთ ჩვეს იმ წინაპრებზე, ვინც ასე ბრძნულად, მოქნილად და გონივრულად იღვაწა ერისთვის! მათ შორის ხომ ილია ჭავჭავაძე უპირველესი და უდიდესი იყო. ნებისმიერი დამონებული ერისათვის, ვისაც თავისუფლების სურვილი არ დაჰქარგვია, საუკეთესო მაგალითია ყოველივე ზემოთ თქმული.

მაგრამ აღფრთოვანების გვერდით დიდი გულისტკივილით უნდა ითქვას იმაზეც, რომ ყოველ სასიკეთო წამოწყებას ხელს უშლიდა და აფერხებდა არა მარტო ცარიზმის მოხელეთა უხეში შოვინიზმი, არამედ ქართველთა ნაწილის სიბეცე თუ ბოროტება, ეგოიზმი თუ სხვა ქვენა გრძნობების მომძლავრება. რაოდენ დასანანია ყოველივე ეს. ამის აღმაშფოთებელ მაგალითად თუნდაც ის კმარა, რომ გავიხსენოთ მევანთა და მევანთა მოწადინება ორი შესანიშნავი მამულიშვილის — ილიასა და ივანე მაჩაბლის გადასამტერებლად. საუბედუროდ, მათ ეს შეძლეს. ამაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ თავის წიგნში ა. ბაქრაძე საკუთარ თვალსაზრისს გეთავაზობს, რაც ძალზე საინტერესოა. დამაჯერებლად, ფაქტებსა და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ის გვიჩვენებს, რომ ბანკის დაარსების წამოწყება თუმცა სხვას ეკუთვნოდა, მაგრამ ილიამდე ვერაფერს შეძლო ამ იდეის განხორციელება. სწორედ ილია ჩავიდა პეტერბურგში, იქ რამდენიმე თვეს იტანჯა და ჭვარს ეცვა. რათა გადაეღახა ათასი დაბრკოლება, რომელიც წინ ელოდებოდა წესდების დამტკიცებას. ცხადია, იმპერიის ფინანსთა სამინისტროს ხელს არ აძლევდა ქართული ბანკის არსებობა, მას ერჩია პეტერბურგის ბანკებზე ყოფილიყო დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა, ეს უფრო დააჩქარებდა საქართველოს შთანთქმას... მხოლოდ ილიას გონებას, მის თმენას, ნებისყოფას, მანევრირებისა და დარწმუნების უნარს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ყინული გადნა და რამდენიმე თვის ტანჯვისა და ბრძოლის შედეგად ბანკის წესდება დაამტკიცეს. განსაკვიფრებელი

ილიცაა, რომ ეს თვეები ილიამ პარალელურად სხვა დიდი საქმისთვისაც გამოიყენა — ინგლისური იმდენად შეისწავლა, რომ იქ მყოფ ივანე მაჩაბელთან ერთად შექსპირის „მეფე ლირი“ თარგმნა. ასე რომ, საქართველოში ილია დაბრუნდა ბანკის დამტკიცებული წესდებითა და „ლირის“ მშვენიერი თარგმანით.

ასე აღმოაჩინა ილიამ მაჩაბლის ნიჭი, მერე ხელი შეუწყო, ასპარეზზე გამოიყვანა და ზრუნვა არ მოაკლო ამ ჰუმბარტად ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს. ივანე მაჩაბელი დიდხანს მადლიერი იყო ილიასი, თავის უფროს მეგობარს აღმერთებდა კიდევ. მაგრამ როცა ილია ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს, მაჩაბელი კი მის მოადგილედ, რამდენიმე ხნის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა თანდათან ცივდებოდა და იძაბებოდა. საამისოდ რაიმე პრინციპული მიზეზი არ არსებობდა, რადგან ორივე თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს, ორივე უმწიკვლო და დიდებული მოღვაწე იყო.

ილიამ პეტერბურგში გატარებული თვეების განმავლობაში ზედმიწევნით შეისწავლა ფინანსების საქმე, მისი საიდუმლოებანი. ძირითადი წესი ის იყო, რომ თუ გინდა ბანკმა წარმატებით გაართვას თავი თავის მოვალეობას, იგი მომგებიანი უნდა იყოს. ამ დებულებას ვერავინ შეარყევს, იგი ცივი გონებითა და პრინციპულობით უნდა სრულდებოდეს! ბანკის თავმჯდომარე ილია სწორედ ამ პრინციპს ეერთგულებოდა, ჩვენს ზოგიერთ ბედოვლათ თავადსა თუ აზნაურს კი, რომლებიც ხალხით აგირავებდნენ თავიანთ მამულებს ბანკში და დიდ სესხს იღებდნენ, შემდეგ არ ეწადათ სესხის გადახდა, ან მის გადავადებას მოითხოვდნენ. ბანკის წესდება კი მკაცრად მოითხოვდა, რომ მოვალეს დათქმულ ვადაში უნდა გადაეხადა იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი გაკოტრდებოდა და, მაშასადამე, მრავალი ეროვნული საქმე — ქართული სკოლები, თეატრი და ა. შ. საფრთხეში აღმოჩნდებოდა. ქარაქუცა მევალე თავადები ბანკის თავმჯდომარისაგან გადავადებაზე უარს რომ მიიღებდნენ, თავმჯდომარის მოადგილესთან გარბოდნენ, რადგან იცოდნენ. რომ მას უფრო ლმობიერი, დამყოლი ხასიათი ჰქონდა. ივანე, თავისი გულჩვილობით, ვერ უძლებდა მათ შემოტევას და ხშირად მათ მხარეს იჭერდა, რაც, ფაქტიურად, ბანკის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამაში ილია და ივანე ვერ თანხმდებოდნენ, მათ შორის წინააღმდეგობა ჩნდებოდა. მექაღვინე თავადები კი ივანეს უსისინებდნენ, ილიას წინააღმდეგ გესლს აწვეთებდნენ, ის შენ თავზე გაზისო, არაფრად გთვლისო და ათას რაღაცას უჩიჩინებდნენ. სამწუხაროდ, მაჩაბელს შემოტევისთვის ვერც ამაში გაუძლია, ის ანკესზე წამოგებულა, საღი გონება დაზარალებულა... აკაკი ბაქრაძე თავის წიგნში ამის ნიდაგზე ხსნის ილიასა და მაჩაბელს შორის წარმოშობილ კონფლიქტს,

რაც ამ ორი შესანიშნავი მოღვაწის ადამიანური ხასიათების განსხვავებულობიდან იღებდა სათავეს. ამას მოყვა გამაოგნებელი ფაქტი: ივანე მაჩაბელმა ილიას წინააღმდეგ დაწერა სალანძღავი წიგნი, რომელშიც ერის მამის ღვაწლი ნულამდე იყო დაყვანილი, მეტიც, ილია თითქმის ხელისშემშლელადაც კი იყო გამოყვანილი. ეს იყო ივანე მაჩაბლის დიდი შეცდომა. ამან აღაშფოთა ილია და ცხარე პოლემიკაც ამას მოჰყვა. ... და როცა ივანე მაჩაბელი უკვალოდ დაიკარგა, ეს დიდი დანაკლისი ყველაზე მეტად ისევ ილიამ განიცადა. წიგნის ავტორის ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ ყოველივე ეს დოკუმენტურად, ობიექტურად, პირუთვნელად და სიმართლით განგვიმარტა. ბურჟუთ მოცული მრავალი საკითხი ნათლად აიხსნა. ამიტომ ავტორს აქაც მადლობა ეკუთვნის.

საინტერესოა, რომ წიგნში მოტანილია ილიას ერთი მოწინააღმდეგის ასეთი დახასიათება: „ილია ჭვჭვავაძე ერთი მთლიანი ქვისაგან გამოჭრილი კაცი იყო, ქედ-მოუხრელი, შეუდრეკელი. ის ტიპიური ნამუსის კაცი იყო. იმისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო. ის პირნათლად ასრულებდა თავის ერთხელ ნაკისრ მოვალეობას. მაგრამ თავის უფლების დარღვევასაც იგი არავის შეარჩენდა“. ამის გვერდით აკაკი ბაქრაძე თვითონ იძლევა ივანე მაჩაბლის შემდეგ დახასიათებას: „ივანე მაჩაბელს უფრო რბილი, დამყოლი, ნერვიული ბუნება ჰქონდა. მძიმე, ძნელი და რთული საქმიანობაა ბანკირობა. ფულსა და ლმობიერებას ერთმანეთი არ უყვართ. თუ გინდა ფული შეინარჩუნო და მოიგო კიდევ (ფულს ფული მიუმატო), მაშინ ქვის გული უნდა ჩაიდგა. თორემ ლმობიერების გზას თუ დაადექი, ფული მყისვე გაიპარება და ხანამშრალს დაგტოვებს“. აქ ორი შესანიშნავი მოღვაწის კონტრასტული ბუნებაა ნაჩვენები. საკითხი ნათელია. ილია იმიტომ იყო „გულქვა“ და შეუდრეკელი ბანკის საქმეში, რომ საქართველოს ინტერესებს ძალდაყენებდა ზოგიერთი ქარაფშუტა თავადის ინტერესებზე.

თავისთავად ცხადია, რომ წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა წიწამურის ტრაგედიის ახსნას. ილიას მკვლევლობამდე დიდი ხნით ადრე იქმნებოდა ბინძური ცილისწამება, ლანძღვისა და შეურაცხყოფის აღმოსაფერო პრესის ზოგიერთ ორგანოში, მავანი და მავანი უღირსი კალმოსნის ხელით. აკაკი ბაქრაძე ამ ამბებს ფრთხილად და თანდათანობით განიხილავს, იშველიებს პრესის ფურცლებზე ილიას წინააღმდეგ გამოქვეყნებულ მტრულ, განგებ შეთითხნილ მასალებს, იძლევა მათ ახალიზს, მათ უპირისპირებს რეალურ ფაქტებს, მოგონებებს, რეალური ვითარებას და მკითხველს არწმუნებს, რომ ეს ცილისწამებანი და ბოროტი „ბრალდებანი“ სავსებით უსაფუძვლო ყოფილა, რომ, პირიქით,

მხოლოდ არამზადებს შეეძლოთ პატიოსანი კაცისათვის ასეთი საძაგლობანი დაეწამებინათ, რათა იდეური მოწინააღმდეგისათვის ჩირქი მოეცხოთ, მისი უზარმაზარი ავტორიტეტი შეებღალათ, ხალხის თვალში დაემკირებინათ, გლეხობისთვის ილია შეეძულებინათ. და ყოველივე ეს ხდებოდა უკადრისი, აკრძალული ხერხებით.

აბა, წავიკითხოთ წიგნში ერთ-ერთ ეპიგრაფად მოტანილი ნოე ჟორდანაის სიტყვები ილიაზე, მის მკვლევლობაზე: „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტი ცვივა“. იქვეა მეორე ეპიგრაფიც, რომელიც კიტა აბაშიძეს ეკუთვნის: „თუ ილია ნაფოტია, რაღა უნდა იყოს ნოე ჟორდანია?...“ სადამდე უნდა მისულიყო უგუნურება და ზიზღი, რომ ილიასათვის ნაფოტი ეწოდებინათ! მაგრამ განა მარტო ეს? „კვალისა“ და „მოგზაურის“ ფურცლებზე ილიას წინააღმდეგ იმდენი სიბინძურება დაბეჭდილი, რომ მიკვირს ქალაქი როგორ უძლებდა. 1896 წელს „კვალის“ პასუხისმგებელი მდივანი გახდა ფილიპე მახარაძე, ხოლო იგივე პირი 1905 წლის დასაწყისიდანვე ხელს ჰკიდებს ყოველკვირული ჟურნალის „მოგზაურის“ გამოცემას. ეს ორი ჟურნალი თითქოს ერთმანეთს ეჯობებოდა ილიას ლანძღვაში, სწამლავდა ატმოსფეროს, საზოგადოებრივ აზრს და ამით მწერალს აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა. ისიც ცნობილია, რომ ძნელია თავის მართლება პატიოსანი კაცისათვის.

აკაკი ბაქრაძე კვალდაკვალ მისდევს „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ შეთითხნილ მასალებს, ილიასადმი წაყენებულ „ბრალდებებს“, განიხილავს მათ და საპირისპირო დოკუმენტების მოშველიებით თუ ლოგიკური მსჯელობით გვარწმუნებს, რომ არც ერთი „ბრალდებისათვის“ საფუძველი არ არსებულა, ყველაფერი ნაყალბევია, ყველაფერი ცილისწამება და სიბინძურება! წიგნის 136—144-ე გვერდების წაკითხვით მკითხველი ამაში ადვილად დარწმუნდება.

როცა თვით წიწამურის ტრაგიკულ ფაქტს, 1907 წლის 30 აგვისტოს (ძველი სტილით) ჩადენილ ბოროტმოქმედების ფაქტს ძუნწად აღწერს, ავტორი ჩამოთვლის ილიას მკვლელებს (რომლებიც, ცხადია, სხვათა წაქეზებით მოქმედებდნენ, ისინი ბრმა იარაღად იყვნენ გამოყენებულნი...). აი მათი სია და შემდგომი ბედი: თედო ლაბაური (ჩამოახრჩვეს 1909 წლის 21 აგვისტოს), გიორგი (იგივე ლომა) ხიზანიშვილი (ჩამოახრჩვეს 1909 წლის 21 აგვისტოს), ივანე ინაშვილი (ჩამოახრჩვეს 1909 წლის 21 აგვისტოს), პავლე ფშავლისშვილი (იგივე აფციური) — მოკლეს 1908 წელს სოფელ მამკოლასთან ყაჩაღების გუნდის ამოწყვეტის დროს, გიგლა ბერბიჭაშვილი (გაასამართლეს 1941 წელს და მიუსაჯეს სიკვდილი), ვილაც იმერელი, რომლის ვინაობა დღესაც დაუდგენელია... (გვ. 157-ე). ამ „იმერლის“ გამო წიგნის იმავე გვერ-

ღზე, სქოლიოში, ავტორი ასეთ განმარტებას იძლევა: „აქ «იმერელი» გულისხმობს საერთოდ დასავლელ ქართველს. მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ საქართველოში გლენობა ყველა ლიხთიმირ ქართველს იმერელს უწოდებს. ამ «იმერელს» მკვლელთაგან არაფერ იცნობდა, ბერბიჭაშვილის გარდა. იგი მკვლელობის წინა ღამეს ჩავიდა წიწამურში. ბანდიტები მის სადაურობას მხოლოდ მეტყველების კილოთი მიუთითებენ“.

სქოლიოში ჩატანილი ამ განმარტების გამო ორი მოსაზრება უნდა გამოვთქვათ. პირველი ისაა, რომ იგი „იმერლის“ მინიშნების გამო გზას უხსნის უსაფუძვლო ეჭვს, ბადებს მკითხველის დაბნევის შესაძლებლობას. ჭორის დონეზე აქი ხალხში გავრცელებული ერთი ვერსიაა, მართლაც, წარმოშობით იმერელს ასახელებდა. ეს კი სიმართლის წინააღმდეგ ხდებოდა. მეორე და უფრო არსებითი ისაა, რომ 1941 წელს, გ. ბერბიჭაშვილი რომ დააპატიმრეს და გაასამართლეს, დაკითხვისას მან წამქეზებლის გვარი და სახელი აშკარად დაასახელა, მას „იმერლის“ შესახებ არაფერი უთქვამს. დაკითხვისა და პროცესის მასალები დაცულია არქივში. აქ ის აზრია გატარებული, რომ საგურამოში მოდიოდნენ აგიტატორები, ტყეში აწყობდნენ გლეხების ფარულ კრებებს, იქ ზოგით იხსენიებდნენ იმ მიდამოების თავადებს, რომლებიც გლეხებს სისხლს სწოვდნენ. მოსაკლავად გამეტებულ თავადთა სიაში ილია პირველი იყო. აგიტატორები არაფერს ეუბნებოდნენ გლეხებს იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძე, პირველ რიგში, დიდი მწერალი და თანაც გლეხების ქომაგი იყო, ისინი მსმენელებს უჩიჩინებდნენ, რომ სწორედ თავადი ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ. ასე აბრმავებდნენ უბირ აღამიანებს. იმ მასალებში სწორედ ერთ ყველაზე ცნობილ აგიტატორს ასახელებს ბერბიჭაშვილი. აქ ისიც არის მითითებული, რომ ის ცნობილი აგიტატორი ყურნალ-გაზეთებიდან თავისსავე წერილებს გვიკითხავდა, სადაც თავადი ჭავჭავაძე გაღანძვლილი იყო. ძნელია ვამტკიცოთ გ. ბერბიჭაშვილის სიტყვების ჭეშმარიტება. მაგრამ აშკარაა, რომ მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სხვათა შორის, ბერბიჭაშვილის ჩვენებას მოჰყვა ერთი უეცარი ფაქტი, მაგრამ ვარაუდები უადგილოა.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ამ სქოლიოს გამო.

ამ წიგნზე რომ ვსაუბრობთ, უნდა შევეხოთ მის აღნაგობას და პროლოგ-ეპილოგს. ორივე თვალსაზრისით ავტორი ქებას იმსახურებს.

წიგნი დაყოფილია მონაკვეთებად. რომელთაც აქვთ მეტყველი სათაურები. ისინი მოხდენილად მიგვანიშნებენ მომდევნო ტექსტის არსზე. ზოგი სათაური ციტატაა ილიას ან სხვათა ნაწერებიდან. ზოგი კი წიგნის ავტორისაა. საქმე ამით არ მთავრდება. ა. ბაქრაძე ზოგი სათაურის შემდეგ გვთავაზობს ერთ ან რამდენიმე ეპიგრაფს სხვადასხვა

ავტორებიდან. ეპიგრაფები ისეა შერჩეული, მათ იმდენი დატვირთვა აქვთ, რომ დიდად ავსებენ მომდევნო ტექსტის შინაარსს, მკითხველს გარკვეულ კვალზე აყენებენ. მაგალითების მოტანით მკითხველს არ შეეაწუხებთ.

რაც შეეხება პროლოგსა და ეპილოგს, რომლებიც ირემს უკავშირდება და ლამაზ ლეგენდასავით იკითხება, ეს არის ამ წიგნის საუკეთესო ადგილები, ბევრის მთქმელი, ბევრის მიმნიშნებელი და, ამავე დროს, საოცრად მშვენიერი. ასეთი რამ დიდ ბელეტრისტებსაც იშვიათად გამოუვათ ხელიდან.

ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნის თავფურცელზე მოტანილი არჩილ ჯორჯაძის ციტატა მთელ წიგნს მატებს აზრს, იგი ლაიტმოტივად გასდევს მთელ ამ წიგნს. აქ მოცემულია როგორც ილია ჭავჭავაძის, ასევე მისი ეპოქის შეფასება.

დაბოლოს, თუ შევეცდებით აკაკი ბაქრაძის წიგნის ზოგად შეფასებას, ობიექტურად და სიმართლით უნდა ითქვას, რომ ეს არის ღრმად გააზრებული წიგნი, რომელშიც ილიას ცხოვრება ორგანულად არის დაკავშირებული ეპოქის უმთავრეს მოვლენებთან და ნაჩვენებია, რომ არ დარჩენილა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფაქტი თუ მოვლენა, არ წამოჭრილა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებთანაც ილიას მჭიდრო კავშირი არ ჰქონოდა, ერის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში ილიას უპირველესი, ენერგიული, წარმატებული მონაწილეობა არ მიეღოს.

ილია ჭავჭავაძე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი რომ იყო, ამით ზოგადადაც გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ეტაპის წინამძღოლი გახდა.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ჩემთვის უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა აზრი, რომ მსგავსად მოსე წინასწარმეტყველისა, ვინც ებრაელები იხსნა ეგვიპტელთა ტყვეობიდან, ილია ჭავჭავაძემაც ქართველი ხალხი გაათავისუფლა სულიერი მონობისაგან და დაძაბუნებისაგან, ამას მოჰყვა ჩვენი ერის სულიერი ამაღლება, თავისუფალი სულის წარმოშობა, რაც შემდეგში ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვების ძლიერი ფაქტორი გახდა. ილიას სიბრძნე და ტიტანური ენერჯია საქართველოს მოხმარდა. ამაშია მისი უკვდავება.

ორი რომანი ცხრაასხუთის თემაზე

ოთხმოცი წელიწადი გვაშორებს იმ ბობოქარი და მღელვარე ამბებიდან, დიდი პოლიტიკური მოვლენიდან, რომელსაც 1905 წლის რევოლუცია ჰქვია და რომლის მნიშვნელობაც გენიალურად განისაზღვრა ცნობილი ფორმულით: ეს იყო ოქტომბრის რევოლუციის გენერალური რეპეტიციაო. ამით ყველაფერი ითქვა.

საქართველოსათვის რუსეთის პირველ რევოლუციას გაორკეცებულნი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მის გამარჯვებაზე დიდ იმედს ამყარებდნენ ერის საუკეთესო შვილები. მათი ვარაუდით, იმ რევოლუციას ქართველი ხალხისათვის უნდა მოეტანა არა მხოლოდ სოციალური, არამედ ნაციონალური განთავისუფლებაც. ამ აზრმა და რწმენამ აამოძრავა მთელი ქართველი ხალხი — სოფელიც და ქალაქიც, ამავე აზრმა და რწმენამ გაააქტიურა მაშინდელი ქართული მწერლობა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ რევოლუციის ცხელ კვალზე გამოდიოდნენ იმდროინდელი ცოცხალი კლასიკოსებიც, — ილია, აკაკი, ვაჟა, — და ლიტერატურული ახალგაზრდობაც — ირ. ვედლოშვილი, ჰ. ლომთათიძე, შ. არაგვისპირელი, შ. დადიანი, მ. ჯავახიშვილი და თითქმის ყველა ქართველი მწერალი.

მ. ჯავახიშვილმა 1905 წელს დაწერა და მაშინვე გამოაქვეყნა მოთხრობა „ჩილო“, რომელშიც რევოლუციური თბილისი, ქუჩის ბრძოლები, მუშათა კლასისა და ცარიზმის ჭარბკაცების სისხლიანი შეტაკება არის ნაჩვენები. იმავე პერიოდში დაწერა მწერალმა „ოჯახი“, რომლის მთავარი აზრია „მრავალპარტიული ოჯახის“ წევრთა დაპირისპირებისა და შეხლა-შემოხლის დახატვა, მთელი მაშინდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ვნებთაღელვის გადმოტანა ერთ ოჯახში და აქედან საქვეყნო ამბების ჩვენება. ეს მოთხრობა ერთგვარი სასინჯი ქვა გახდა 30 წლის შემდეგ დაწერილი რომანისათვის, რომელსაც მწერალმა „ქალის ტვირთი“ უწოდა.

1905 წლის რევოლუციის თემაზე საქართველოში დაწერილია იმდენი ლექსი, პიესა, მოთხრობა, პუბლიცისტური წერილი თუ სხვა ჟანრის ნაწარმოები, რომ ერთ საგაზეთო წერილში კი არა, მოზრდილ წიგნშიც მისი სრული წარმოჩენა გაჭირდება. ამიტომ ჩვენ არჩევანი გაუაკეთეთ მხოლოდ ორ რომანზე — ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუასა“ და მ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთზე“, რადგან, ჯერ ერთი, მათში ყველაზე ვრცლად, საფუძვლიანად და უტყუარად აისახა ეს დიდი მოვლენა, მეორეც, ისინი როგორღაც ერთმანეთს ავსებენ იმ მხრივ, რომ პირველი ასახავს რევოლუციის ამბებს ქართულ სოფელში, მე-

ორე კი — თბილისში, საქართველოს დედაქალაქში. ვფიქრობთ, ეს ანგარიშგასაწევი გარემოებაა.

ორივე რომანის ავტორებისათვის ერთი რამაც არის საერთო — ისინი 1905 წლის რევოლუციის შორიდან მეთვალყურენი არ ყოფილან, მისი უშუალო მონაწილენი და ამის გამო დევნილნიც იყვნენ. ლეო ქიაჩელიმ დასავლეთ საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში ისეთი აქტიური, ერთ-ერთი ხელმძღვანელი როლი შეასრულა, რომ ამ „დანაშაულისათვის“ ქუთაისის ციხეში აღმოჩნდა. პოლიტიკური პატიმრების გამოსახსნელად ამ ციხეში საიდუმლო გვირაბი რომ არ შეეყვანათ და ამ გზით პატიმრები არ გაეპარებინათ, ვინ იცის, ლეონ შენგელაიას (ლეო ქიაჩელის) ცხოვრება როგორ წარიმართებოდა. ციხიდან გაქცეული ახალგაზრდა ლეო ქიაჩელი წლების მანძილზე მოსკოვში არაღვალურად ცხოვრობს, იქ ეწაფება ლიტერატურას, შემდეგ შვეიცარიაში მიდის ემიგრანტად, ეწაფება განათლებას და იქვე წერს „ტარიელ გოლუას“.

არც შეეხება მ. ჯავახიშვილს, ის თავისი მგზნებარე რევოლუციური, მთავრობის საწინააღმდეგო პუბლიცისტური წერილებით, აქტიური და გაბედული ჟურნალისტური მოღვაწეობით იმდენად გამოირჩეოდა, რომ 1903—1906 წლებში არ დარჩენილა ქართული გაზეთი, რომელშიც ახალგაზრდა მწერალს რევოლუციური ცეცხლი არ შეეტანოს. ხოლო მის მიერვე დაარსებული და გამოცემული „გლეხის“ რევოლუციური სულისკვეთება, მასში დაბეჭდილი მასალების გაბედული ტონი იმდენად აშკარა იყო, მ. ჯავახიშვილი სასამართლო პასუხისგებაში მისცეს და ციხეს თუ გადაურჩა, მხოლოდ მეგობრების დახმარებით. ამას მოჰყვა მწერლის ემიგრანტობა, სორბონის უნივერსიტეტში განათლების მიღება. ნიშანდობლივია, რომ სამშობლოში დაბრუნებულ მწერალს 1910 წელს მეტეხის ციხე მაინც არ ასცდა და შემდეგაც იგი დიდხანს იყო დევნილი, თვით ცარიზმის დამხობამდე.

ამ ორი მწერლის ბიოგრაფიების მსგავსება, მათი საერთო განცდებისა და საერთო გატაცებების, საერთო შთაბეჭდილებების არსებობა, ბუნებრივია, თითოეული მათგანის შემოქმედებაშიც რაღაც საერთოს გამოიწვევდა. ასე მივიდნენ ისინი 1905 წლის რევოლუციასთან, რომლის ყოველ პერიპეტეიას, აღმავლობას თუ დაღმავლობას, ისინი საკუთარი, პირადი ცხოვრებით იცნობდნენ. ეს ამბები მათთვის იმდენად ახლობელი და ნაცნობი იყო, რომ არც პროტოტიპების ძებნა სჭირდებოდათ სადმე, არც ამბების შეთხზვა-გამოგონება, ყველაფერი ცოცხლად ედგათ თვალწინ. ბუნებრივია, რომ, ნიჭიერებასთან ერთად, ამ გარემოებაშიც დიდად შეუწყო ხელი მათს წარმატებას ამ რომანების შექმნაში.

„ტარიელ გოლუა“ 1915—1916 წლებში დაიწერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხდარი ამბებიდან თითქმის ათი წელი იყო გასული. ამ წლების განმავლობაში მწერალმა ბევრი რამ ახალი თვალით დაინახა, ბევრი რამ ახლებურად შეაფასა, მაგრამ ის რევოლუციური რომანტიკა, რითაც ასე ამალღებული იყო 1905 წლის რევოლუცია, მისთვის მუდამ ინარჩუნებდა თავის სურნელებას, ფერს, გემოს... ამიტომ ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება და თვისება ამ რომანისა სწორედ რევოლუციური რომანტიკულობაა, რაც ამ ნაწარმოებს გამორჩეულს ხდის არა მარტო ამბისა და სიუჟეტის განვითარებით ან პერსონაჟთა ხასიათების გამოძერწვით, არამედ მთელი სულისკვეთებითაც. სწორედ ამ რომანტიკულობით, ამალღებულობით არის „ტარიელ გოლუა“ XX საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები.

ერთობის შემოსვლას რომ გვიჩვენებს, ავტორი ცდილობს აქაც რეალური ფაქტების დახატვისას რომანტიკული ელფერის გამოყენებას, რაღაც იდუმალი და ამალღებული განწყობილების შექმნას. ასეა, მაგალითად, ნაჩვენები ქალაქიდან დაბრუნებული მეზუხრე ლევან გოლუა, მისი ფარული ავტაცია, მეგობრების შემოკრება. თინასთან სასიყვარულო ურთიერთობა და მერე მისი გატაცება, რასაც კინლამ მსხვერპლი მოჰყვა და ა. შ.

რომანის მთავარი გმირიც, ტარიელ გოლუაც, მიუხედავად მისი ჰუმანიტარული „მიწიერებისა“, პრაქტიკული ჰკუისა და მოზომილი მოქმედებისა, მაინც ამალღებული და რომანტიკული ტიპია. მასში განივთვებულია ყველა ეპოქის ქართველი გლეხის საუკეთესო თვისებები — სიბრძნე, სიმამაცე, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, ოჯახისმოყვარეობა, სინდის-ნამუსი და ა. შ. და თუმცა იგი უბრალო მიწის მუშაა, თავისი თანამოძმეებისაგან მაინც გამორჩეულია. ამას გრძნობენ მისი თანასოფლელებიც და ვგრძნობთ ჩვენც, მკითხველებიც. მაგრამ ეს რომანტიკულობა ახალი ბუნებისაა, იგი მიწიდან აღმოცენებული რომანტიზმია, რომელსაც რევოლუციური პათოსი და ხიბლი ამშვენებს. და თუმცა ტარიელი რევოლუციასთან, ე. ი. „ერთობასთან“, უფრო გუმანით მივიდა და არა თეორიულ-იდუური მრწამსით, მაინც იგი უფრო ბუნებრივი და ხალასია, შინაგანი რწმენით გაშუქებული და განათებული.

თითქმის შეუუმჩნეველია „ტარიელ გოლუას“ კიდევ ერთი თავისებურება: მასში მოწინააღმდეგეც, მტერიც ინარჩუნებს ისეთ თვისებებს, რომელიც ადამიანს მხოლოდ ამშვენებს. მხედველობაში გვყავს. მაგალითად, გაიოზ გადალენდიას სახე. ის ნაყაჩაღარი და დიდი ვიგინდარაა, მაგრამ მას უყვარს თინა, უყვარს გულწრფელად, ადამიანურად. არ მეგულება მკითხველი, რომ ამის გამო გადალენდიას მისამართით საყვედური დასცდეს. მართალია, მკითხველი ლევანის მხარეზეა, იგი არ

დაუშვებს, რომ თინა გაიოზისა გახდეს, მაგრამ სიყვარულის უფლება ამ ნაყაზარსაც რომ აქვს, ესაც სავსებით დასაშვებად მიაჩნია. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ასე ინება ავტორმა. ხოლო მან ინება იმიტომ, რომ ე. წ. უარყოფითი ტიპი არ ყოფილიყო სწორხაზობრივი. ისიც რთულია, ისიც ატარებს ადამიანურ თვისებებს, თუმცა მასში უარყოფითი სქარბობს.

„ტარიელ გოლუაზე“ რომ ვლაპარაკობთ, უეჭველად უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი სოფლის ამბების დახატვით ცდილობს მწერალი მთელი საქართველოს ამბების განზოგადებულ ჩვენებას. ეს არის ავტორის ერთგვარი ხერხი, რომელიც მწერალს მოგვიანებითაც აქვს გამოყენებული, მაგალითად, „მთისკაცში“, სადაც ერთი სოფლის ფონზე გვიჩვენა დიდი სამამულო ომი ქვეყნის მასშტაბით. ამ ხერხზე იმიტომ მიეუთითებთ, რომ მწერალს საყვედური ავაცილოთ, რატომ მთელი საქართველო არ გვიჩვენაო. გვიჩვენა, როგორ არ გვიჩვენა.

„ტარიელ გოლუაში“ ნაჩვენებია ისტორიული სიმართლე — რევოლუციის აღმავლობა, როცა სოფელ N-ის გლეხები თვითონ განაგებენ თავიანთ საქმეებს, რადგან მეფის მოხელეები გადააყენეს და ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღეს, და რეაქციის დაწყებაც, როცა ცარიზმი ძალას იკრებს, სოფელს არბევს, ტარიელს სახლ-კარს უწვავს, მას აპატიმრებენ და ა. შ. და თუმცა რეაქციის ძალების ეს შემოტევა მრისხანე და დაუნდობელია, მსხვერპლს იწირავს, მაგრამ რომანი მთლიანად მაინც ინარჩუნებს ოპტიმისტურ ხასიათს. ეს ოპტიმიზმი მომავლის რწმენაზეა დაფუძნებული. იგი მოჩანს არა მარტო ფინალური სცენიდან. როცა სტუდენტი ავტორით შეკრებილთ ბრძოლისაკენ მოუწოდებს და მათში მხნედ ჩამდგარა ტარიელიც, არამედ ეს განწყობილება მთელი რომანისთვის არის დამახასიათებელი. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ დიდ ამბებში მთავარი ძალა ახალგაზრდობაა — ბეჟანა, გიო, სტუდენტი, მიტინგზე შეკრებილი ახალგაზრდები — ხოლო ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალია, ხვალინდელი დღეა. ასე გაიაზრება რომანისეული ოპტიმიზმი, იმედიანობა, რევოლუციის საბოლოო გამარჯვების ავტორისეული რწმენა. ისტორიამ დაგვანახა, რომ მწერალი მართალი იყო.

ლევ ქიაჩელის რომანის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მასში რევოლუცია განზოგადებულად არის ნაჩვენები, ცალკეული დეტალებისა და ნამდვილად მომხდარი კონკრეტული ფაქტების, ისტორიულად კონკრეტული პირების დახატვის გარეშე.

როგორც აღინიშნა, მ. ჭავჭავაძის „ქალის ტვირთი“ ძირითადად თბილისის რევოლუციურ ამბებს გვიხატავს, თუმცა ავტორის თვალს დედაქალაქიდან მთელ საქართველოსაც სწვდება: კითხვა რომ დავსვათ,

რა არის ამ რომანის უპირველესი თავისებურებაო, პასუხი უყოყმანოდ შეიძლება გავცეთ — ესაა ისტორიული ფაქტების, ნამდვილი ამბების, კონკრეტულად და ფაქტობრივად მომხდარი ამბების მხატვრულ-განზოგადებული ჩვენება.

რომანში ნაჩვენებია 1905 წლის რევოლუციის ისეთი კონკრეტული ფაქტები, როგორცაა ბოლშევიკების დამრავლავი როლი რევოლუციაში, მუშათა კლასის ორგანიზებული ბრძოლა ბოლშევიკთა წინამძღოლობით, თბილისში „ისკრის“ არალეგალური შემოზიდვა და ლენინის იდეების გავრცელება, მოსწავლეთა და მშრომელთა დარბევა გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის საბჭოს შენობაში მიტინგის მონაწილეთა ვერაგული დახვრეტა, მეფის მანიფესტი და მასზე სხვადასხვა პარტიის რეაგირება, შერაზმელთა გამძვინვარება და მრავალი სხვა. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული სიმართლისა და ფაქტობრივი თვალსაზრისით „ქალის ტვირთი“ განსაკუთრებული მხატვრული ტილოა. მასში ჩართულია ბევრი ისეთი ეპიზოდი, რომელზეც თვით რევოლუციის პერიოდში მიხეილ ჭავჭავაძის მწვავე კრიტიკულ კორესპონდენციებს აქვეყნებდა იმდროინდელ ქართულ პრესაში და ამხილებდა ცარიზმის უმსგავსობას. ამ კორესპონდენციებმა მხატვრულად გარდაქმნილი სახით რომანში გადმოინაცვლეს.

„ქალის ტვირთში“ ნაჩვენებია ბევრი ისტორიული პირი, რომლებიც იმ პერიოდში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ამთგან განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა სახეები. მათ შორის კი გამორჩეული ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ავტორმა რომანში საოცარი სიცხადითა და მიზიდველად შემოიყვანა. მხედველობაში გვაქვს ქართული საზოგადოების კრება, რომელზეც ილია დაგვიანებით მოვიდა, ანდრო ახატნელს ფერი აცვლევინა, ტრიბუნაზე ავიდა და წარმოთქვა ძლიერი სიტყვა, რომელიც ამხელდა მეფის ხელისუფლების ოინებსა და სისასტიკეს, რეაქციულად განწყობილი ქართველი თავადების სიბეცეს და მოუწოდებდა ხალხს, იარაღი ავისხათ და დასარბევად გამეტებული რევოლუციური გურიის დასახმარებლად წავიდეთო. ეს ეპიზოდი რომანში განსაკუთრებული სიცხადითა და მკითხველზე დიდი ემოციური ზემოქმედების ძალით გამოირჩევა.

რომანში გამოძერწილია რევოლუციონერთა დაუვიწყარი სახეები. ისინი არიან ბოლშევიკები, მუშები, მშრომელი ადამიანები, რომელთაც იდეურად და რევოლუციურად აწრთობენ და წინ მიუძღვიან თბილისისა და საქართველოს პარტიული კომიტეტები. რომანში ნაჩვენები კრებები, მიტინგები, ქუჩაში გამოსვლები — ყველაფერი, რაც რევოლუციურია, რაც ცარიზმის ნგრევისა და მშრომელთა გამარჯვებისათ-

ვის კეთდება, პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება. რევოლუციონერთა ერთ-ერთი მკაფიო წარმომადგენელია ზურაბ გურგენიძე, მეტსახელად ჭიჭი, რომელიც თავისი გაბედულებით, ენერგიით, უშიშრობით, საზრიანობითა და რევოლუციური შეგნებით გამოირჩევა. მას გვერდში უდგანან მებრძოლი ამხანაგები — მუშები, მებრძოლი ინტელიგენტები, მგზნებარე ადამიანები. თბილისი ბობოქრობს, ზღვასავით ღელავს...

„ქალის ტვირთი“ უტყუარად გვიჩვენებს იმ ეპოქის ნამდვილ სახეს — პარტიებს შორის უთანხმოებას, ბოლშევიკების მოქმედების ტაქტიკასა და სტრატეგიას. მათს კონკრეტულ საქმეებს. ამის გვერდით ნაჩვენებია მოწინააღმდეგე ბანაკიც — ცარიზმის მოხელენი, ჟანდარმერია, ოხრანკა, დიდმოხელენი და მათი ერთგული ქვეშევრდომნი, რომლებიც ზოგჯერ შავრაზმული ლოზუნგებითა და ბინძური ხელეობით ქუჩაშიც კი გამოდიოდნენ. ამის შედეგი იყო, მაგალითად, გოლოვინის პროსპექტზე მოსწავლეთა და მათი მასწავლებლების, უდანაშაულო ადამიანების სისხლის ღვრა, რამაც მთელი მოწინავე საზოგადოება აღაშფოთა.

შავი ძალების ერთი ტიპური წარმომადგენელია ავშაროვი, ეს გაიძვერა და ბინძური სულის მოხელე, რომელიც რევოლუციას ებრძვის, ქეთოსაც, საკუთარ ცოლსაც კი გაიმეტებს დასაღუპად. ეს უზნეო არსება ერთგული მსახურია წყობილებისა, რომელიც თავად უზნეობასა და ამორალურობაზეა დამყარებული.

რომანის ცენტრალური საკითხია ქალის მდგომარეობის ვარკვევა რევოლუციაში. ეს საკითხი მწერალმა ორიგინალურად დააყენა და გადაჭრა კიდევ. წინა პლანზე წამოწეულია ორი სხვადასხვა კლასის, შეგნების, აღზრდის, რწმენის მქონე ქალი — ქეთო და მართა. ისინი სხვადასხვა გზითა და მიზნით მივიდნენ რევოლუციასთან. თუ მშრომელი ოჯახიდან გამოსული მართასთვის თავისი კლასის სხვა ათასებთან ერთად, რევოლუცია სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელი იყო, თუ რევოლუციის გარეშე მართას სიცოცხლეს აზრი არც ექნებოდა, სამაგიეროდ, ქეთო რევოლუციასთან მივიდა შემთხვევით, მისი გაბატონებული კლასისათვის არაბუნებრივ გარემოებათა გამო. ციხიდან გამოქცეული ზურაბ გურგენიძე ქეთოს ბინაზე რომ არ დამალულიყო, შემთხვევით ქეთოს ასეთ რომანტიკულ ვითარებაში რომ არ გაეცნო ეს ახალგაზრდა კაცი, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ქეთო რევოლუციას არც გაეკარებოდა. ქეთოს ზურაბი შეუყვარდა, შემდეგ მისგან. შვილიც ჩაესახა, მეოცნებე ქალიშვილი ცაში დაფრინავს, მაგრამ მიწაზე მომხდარი ბევრი რამ მისთვის ბოლომდე გაურკვეველი და გაუგებარი რჩება. მერე, როცა ქეთო ავშაროვზე გათხოვდა და ივ-

დითობა გადაწყვიტა, არც ეს გამოუვიდა, რადგან საამისოდ მას არც ძალა ჰყოფნიდა, არც რწმენა და სულის სიმტკიცე. მშრომელი და თანმიმდევრული მებრძოლი მართა იმარჯვებს. ის პარტიულ დავალებებსაც გონივრულად და გაბედულად ასრულებს, გადასახლებაამისჯილ ზურაბთან ციხის ეკლესიაში ჯვარს იწერს და, დეკაბრისტების ცოლები-ვით მას შორეულ ციმბირშიც თან მიჰყვება. არისტოკრატიულ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი ქეთოს მხრები კი ყველაფრისათვის სუსტი აღმოჩნდა, მან ქარიშხალს ვერ გაუძლო და დაიღუპა. ასეთია რევოლუციაში ქალის ტვირთის მწერლისეული გააზრება, რაც ისტორიულ სინამდვილეს სავსებით უპასუხებს.

რომანში ერთმანეთს ენაცვლება ფაქტობრივი მასალის „პროზაული“ ჩვენება და ამაღლებული, რომანტიკული ეპიზოდები. რომლებიც გამოიხატება არა მარტო სასიყვარულო ან სხვა ინტიმურ ამბებში. არამედ თვით რევოლუციურ, დაძაბულ, სისხლისღვრამდე მისულ ბრძოლებშიც. ასეთი მონაცვლეობა რომანს, ერთი მხრივ, დოკუმენტურ დამაჯერებლობას სძენს და, მეორე მხრივ, ამაღლებულ მხატვრულ ქმნილებადაც აქცევს. და აქვე ვიტყვით, რომ ეს ერთგვარი „დოკუმენტურობა“ და მასთან შეზავებული მაღალი მხატვრულობა ამ რომანის ერთ-ერთი გამორჩეული თავისებურებაა.

იმის მიუხედავად, რომ რევოლუციური ამბებიდან ამ რომანის დაწერამდე მთელი ოცდაათი წელიწადი იყო გასული, მაშასადამე, ის რევოლუცია უკვე ისტორიის კუთვნილება იყო, მ. ჯავახიშვილისათვის, რევოლუციის მონაწილისათვის, ეს ისტორიული მოვლენა მუდამ ცოცხალი, ახლობელი და საკუთარი რჩებოდა. ამიტომ ასე უტყუარად, ასე თანმიმდევრულად და ისტორიული სიმართლით არის გაცოცხლებული ამ რომანში ის ქარიშხლიანი დღეები, მისი ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და მომენტი, ამიტომაც მასში ორგანულად შეხამებული კონკრეტული ფაქტობრიობა რევოლუციურ რომანტიკასთან. ამაში, ჩვენი აზრით, მწერალს ხელი იმანაც შეუწყო. რომ 1936 წელს, როცა ეს რომანი დაიწერა, პარტიის ისტორიის ეს მონაკვეთი უკვე მეცნიერულად იყო შესწავლილი და შეფასებული. ამას ავტორისთვის სწორი ორიენტირისა და კომპასის როლის შესრულება შეეძლო.

ზემოთ ვთქვით, რომ „ქალის ტვირთში“ არა მარტო თბილისის ამბებია დახატული, არამედ აქედან მთელი საქართველოც ჩანსო. ბევრ სხვა რამესთან ერთად, აქ მხედველობაში გვაქვს სოფლებიდან ქალაქად გამოქცეული მემამულეების შეშფოთება, შიში. იმის მოთქმა, რომ მათ მამულებს გლეხები შეესივნენ, სახლებს უწვავენ, ქონებას იტაცებენ. იმ სოფლების რევოლუციური ექო თბილისს სწვდება. რაც შეეხება გურიის ამბებს, ეს ხომ რომანში ცხადად და მეტყველად არის

ნაჩვენები. ამის მიუხედავად, ნაწარმოებში უმთავრესია თბილისი, მისი მუშათა კლასი, ბოლშევიკები, მლეღარება, ნამდვილი რევოლუცია.

როგორც დაეინახეთ, ცხრასხუთის თემაზე დაწერილი ორი ქართული რომანი ერთმანეთს ავსებს. ისინი განსხვავებულ კონკრეტულ მასალაზე, განსხვავებულ სტილითა და მანერით არის შესრულებული, მაგრამ მათ შორის საერთო ისე ბევრია, რომ მათი ერთად განხილვა გადაწყვეტიტ. საერთოა რევოლუციური პათოსი, საერთოა მეზბრძოლ რევოლუციონერთა მხარეზე ორივე ავტორის დგომა, საერთოა ისტორიული სიმართლისადმი ერთგულება, საერთოა საქართველოს მშრომელთა სიმპათიებით დახატვა და ბევრი რამ სხვა.

ჩვენი ღრმა რწმენით, თუ ოდესმე მომავალში ვინმე 1905 წლის რევოლუციის ამბების გაგებას მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით მოიწადინებს, იგი უეჭველად მიმართავს ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუასა“ და მიხეილ ჭავჭავიშვილის „ქალის ტვირთს“. სწორედ ეს ორი რომანი ამომწურავად, მიმზიდველად და მართლად ყველას უჩვენებს 1905 წლის რევოლუციით აბობოქრებულ საქართველოს, მის სოფელსა და ქალაქს, მის გლეხობასა და მუშათა კლასს თავისი ავანგარდით, ბოლშევიკებით. ამ თვალსაზრისით ეს ორი რომანი თავისუფლად შეგვიძლია გვერდში ამოუყუენოთ მაქსიმ გორკის „დედას“, რომელშიც დიდმა პროლეტარულმა მწერალმა დაგვიხატა რუსეთის პირველი რევოლუცია, მისი მეზბრძოლი მუშათა კლასი ბოლშევიკების წინამძღოლობით, დაგვიხატა მიმზიდველი სახეები პავლე ვლასოვისა და პელაგია ნილოვნასი.

1905 წლის რევოლუციის უდიდეს ისტორიულ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ მის მიმართ გულგრილი არ დარჩენილა მწერლობის საუკეთესო ნაწილი. მისი უდიდესი წარმომადგენლები თავიანთ ლექსებში, მოთხრობებში, რომანებში, პიესებში არაერთხელ მიბრუნებიან ამ თემას და სიყვარულით უჩვენებიათ ის მღიჯარე და მიმზიდველი დღეები.

ჩამჭრალი პარსკვლავი

(ჩავეი ნოღარ ღუგაძე)

ყველას თავისი ნოღარ ღუმბაძე ჰყავს. მე ჩემს ნოღარ ღუმბაძეზე ვწერ ამ მოგონებას. ძნელია ამის დაწერა, ძალიან ძნელია, რადგან მე

მასზე უფროსი ვარ და მასზე ადრე მე უნდა წავსულიყავი, ჩემზე მას უნდა დაეწერა. უკეთესადაც დაწერდა. სავალალოდ, სიკვდილის საქმე უკუღმართია, ის არც რაიმე წესს ექვემდებარება და არც კანონზომიერებას... ვის როდის და სად მოუწევს, არავის ეკითხება. მისი ეს უწესობა და უკანონობა ნოდარ ღუმბაძეზეც გავრცელდა. წავიდა, ალარა გვეყავს ჩვენი ღიმილიანი, მზიანი, შუქიანი ნოდარი... უდროოდ წავიდა, ახალგაზრდა გამოგვეცალა, ბევრის შემძლე დაკარგეთ.

1984 წლის 14 სექტემბერს სოფელში ვიყავი. სალამო იყო. რადიო ჩავრთე და ელდა მეცა. მთავრობის სამგლოვიარო განცხადებას გადმოსცემდა საქართველოს რადიო, ნოდარ ღუმბაძე გარდაიცვალაო. გაოგნებული, აზრისაგან დაცლილი დიდხანს ხმას ვერ ვიღებდი. მერე და მერე მოვედი გონს. პირველი ფიქრი ის იყო, რომ გავიოცე, როგორ შეიძლებოდა მისი სიკვდილი... პირველ და ოთხ სექტემბერს ხომ მასთან ვიყავი საავადმყოფოში. პირველ რიცხვში ვითარება მძიმე იყო, მისი მეუღლე ნანული და და ლეილა თითქმის უიმედოდ იყვნენ. დიდხანს დაყავი მათთან საავადმყოფოს ოთახში. ნოდართან პალატაში არავის უშვებდნენ. ვერანდაზე კი ჭანსულ ჩარკვიანი და რამდენიმე სხვა ამხანაგი იდგა და ყველა შეშფოთებული იყო, მაგრამ მეორე დღიდან მდგომარეობა გაუმჯობესდა. ოთხ სექტემბერს კი ნოდარის და ლეილა, რომელიც თვითონ არის ექიმი, მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდა, ნანულიც უკეთეს გუნებაზე იყო. ნანულიმ მითხრა, პირველ სექტემბერს ნოდარმა პალატაში მიმიხმო, ნამტირალევი შევედი, შემამჩნია და მითხრა — რაო, ჩემო ნანული, ამდენი ინფარქტები გადავიტანე, რამდენჯერ ვიყავი მძიმედ და ცრემლი არ გადმოგვარდნია, ახლა მართლა ხომ არ ვკვდებიო. ნუ გეშინია, სიკვდილი ვერ მომერევოა.

მეც დამშვიდებული და იმედიანი დავბრუნდი შინ. მერე სოფელშიც წავედი... ეს 14 სექტემბერი კი რა მუხანათი გამოდგა... ლამის არის ცრუმორწმუნე გავხდე. ნოდარი ხომ 14 რიცხვშია დაბადებული, ივლისის 14-ში. ახლა სექტემბერის თოთხმეტია... რას არ იფიქრებს გამწარებული კაცი.

ნოდარი აღარ არის...

სოფლიდან თბილისში წამოვედი. პანაშვიდები, დასაფლავება, „მზიურის“ შერჩევა სამუდამო განსასვენებლად, მითქმა-მოთქმა ამ საკითხზე, გლოვა, ტირილი, მთელი საქართველოს დამწუხრება.

ახლა, როცა ნოდარ ღუმბაძის საფლავთან მივდივარ და იქ მუდამ ცოცხალი ყვავილები მხედება, როცა საფლავთან ხშირად დგანან მოზრდილნიც და მოზარდნიც, კმაყოფილებით მევესება გული. ნოდარი სწორედ აქ უნდა დამარხულიყო, მისი ჩანაფიქრით დაარსებულ და მო-

მაგალში უფრო დამშვენებულ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“.

მოდრი და ახლა მოგონება დაწერე იმ ადამიანზე, რომელიც ასე გიყვარდა. სისულელეა, უაზრობაა, თითქოს სიტყვას ყველაფრის გადმოცემა შეეძლოს; რამდენი ფიქრი, გრძნობა, განცდა, ქვეცნობიერი თუ გაცნობიერებული მდგომარეობა არ ემორჩილება, არ ექვემდებარება სიტყვაში გამოხატვას. მაგრამ მაინც უნდა დაიწეროს ამ შესანიშნავ კაცსა და მწერალზე. დღევანდლებმაც და მომავალმა თაობებმაც უნდა იცოდნენ ცოცხალ ნოდარ ღუმბაძეზე. მართალია, მისი ნაწარმოებები გაცილებით მეტს იტყვიან ყოველთვის, მაგრამ ახლობელთა შთაბეჭდილებების გაზიარებასაც თავისი აზრი აქვს.

მახსენდება ნოდარ ღუმბაძე სტუდენტი. ის სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. მაშინ უნივერსიტეტში ეს ფაკულტეტი ერთი იყო. პირველ, მეორე და მეოთხე კორპუსებში ჰქონდათ სტუდენტებს ლექციები. ნოდარი პირველი კორპუსისა და უნივერსიტეტის ბალის განუყრელი ბინადარი იყო. ბინაც ხომ იქვე ჰქონდა, უნივერსიტეტის მოპირდაპირე მხარეს, გაჩერებასთან. ამიტომ სულ იქ ტრიალებდა. როცა 1947 წელს რექტორმა, ბატონმა ნიკო კეცხოველმა, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე დააარსა. დამფუძნებელ წევრთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული წევრი ნოდარიც იყო. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ის იმთავითვე გამოირჩეოდა იუმორით, რომელსაც გულუხვად იყენებდა უნივერსიტეტის ბაღში ჭგუფ-ჭგუფად შეყრილ, ლიტერატურით გატაცებულ სტუდენტებთან საუბრებსა და ლაღობაში. სადაც ნოდარი იყო, იქ არავინ მოიწყენდა, მსმენელთა ხარხარი ბაღს ახმიანებდა. მართალია, მას მაშინ „კონკურენტიც“ ყავდა ქართლოს კასრადის სახით, რომელიც აგრეთვე სტუდენტი იყო და იმიტაციის საოცარ უნარს ამჟღავნებდა, მისი მსმენელებიც ბევრჯერ იმორალებდნენ თვალეზზე სიცოლის ცრემლებს, მაგრამ ნოდარის იუმორი სხვა „კლასისა“ იყო, ქართლოსისა კი — სხვანაირი. წრე რომ შეიქმნა, ბალიდან აუღირობიაში გადავიდაცვლეთ. ბესო ელენტიის ხელმძღვანელობით წარმართულ სხდომებზე ნოდარ ღუმბაძეს არაერთხელ გამოუმჯღავნებია იუმორის საოცარი ნიჭი, რომლითაც არაერთხელ განუმუხტავს დაძაბული სიტუაცია, რომელიც კამათის დროს წარმოიშობოდა ხოლმე. ამაზე სიტყვას არ გაავარძილებ. რადგან თვითონ ნოდარმა ეს მომენტები კარგად და მართლად დახატა თავის ცნობილ ნაწარმოებში, რომელიც შემდეგ თეატრის სცენიდან და კინოს ეკრანიდანაც ნახეს მაყურებლებმა.

მაშინ ნოდარი ლექსებს წერდა, იუმორს იგი მხოლოდ საუბარში იყენებდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ყურებამდე გაცილებული სახე, შავი. მზინავი, დატალღული ქოჩრის რხევა სიცილის დროს, მოჭუტუ-

დღი თვალეზი, სიღრმიდან რომ გიყურებდნენ, რაღაცნაირი ტაშის შე-
შოკერა, მთელი სხეულით სიცილსა და ხუმრობაში მონაწილეობა.

მაგრამ ნოდარმა მწუხარებაც განსაკუთრებული იცოდა, მთელი არ-
სებით ეძლეოდა დარღსა და სევდას, რომელიც მას ცოტა როდი შეხ-
ვედა. მაგალითად, რა დამავიწყებს ნოდარის სასოწარკვეთას, განადგუ-
რებამდე მისვლას, ხუთი წლის ბიჭი რომ დაელუბა და თავზარდაცემუ-
ლი კინალამ თვითონაც გადაჰყვა ამ მწუხარებას. მაგონდება, რომ მას
შვილის პანაშვიდზე დგომაც კი არ შეეძლო, მეორე ოთახში იყო,
ძლივს ვაბრუნებდით, გული მისდიოდა, გონება ეკარგებოდა. ძალით
ვაწვევდით ან ძალით ვასმევდით წამალს. ასეთი ძლიერი განცდა მწუ-
ხარებისა იშვიათად მინახავს, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი შემხვედრია
საკუთარი თუ სხვათა საწუხარი. „მარადისობის კანონში“ ბაჩანა რამი-
შვილის ინფარქტების მიზეზებზე რომ არის მინიშნებული, თუ დავეუშ-
ვებთ, რომ ბაჩანა იგივე ნოდარია, მაშინ ნოდარის ინფარქტების ერთ-
ერთ მიზეზად უეჭველად ხუთი წლის ვაჟიშვილის დაკარგვაც უნდა მი-
ვიჩნოთ. ამ სულიერი ტრავმიდან ნოდარ ღუმბაძე ძალიან გვიან და
ძლივს გამოვიდა, ძლივს ჩადგა კალაპოტში.

ნოდარი მარტო ვერ ძლებდა, სულ მეგობრებსა და ამხანაგებში
ტრიალებდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, ისიც იყო, რომ მშობლების რეპ-
რესირების შემდეგ უდემამოდ დარჩენილ ბიჭს უჭირდა სიმარტოვეში
ყოფნა. მართალია, პირველ ხანებში მე ნოდართან ძლიერ დაახლოვე-
ბული არ ვიყავი, რადგან ის უნივერსიტეტში სკოლის მერხიდან იყო
მოსული, მე კი ნაფრონტალი დაეუბრუნდი უნივერსიტეტს, ეს კი ასა-
კობრივი განსხვავების გარდა სხვაგვარ განსხვავებასაც ქმნიდა იმხა-
ნად. მაგრამ მერე და მერე ამას ჩვენი მეგობრობისათვის ხელი არ შე-
უშლია. მთავარი აქ ის არის, რომ მისი ლალი ბუნებიდან გამომდინა-
რე, მისი უღვევი იუმორის წყალობით, მისკენ ყველა მიილტვოდა, რო-
გორცაც ეს ლტოლვა ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა და ამან ნოდარს
ამხანაგები და მეგობრები გაუმრავლა.

როცა მისმა მოთხოვნილებამ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ უეც-
რად გაითქვა სახელი, ხოლო მალე მარჯანიშვილის თეატრში ამ სპექ-
ტაკლმა ტრიუმფალური წარმატება მოიპოვა, ჩვენ ყველანი ვხარობ-
დით. ასეთ ვითარებაში, თავბრულდამხვევი წარმატების ვითარებაში,
ბევრი შემოქმედი ვერ ასცდება ხოლმე გაამაყებას, გაყოყოჩებას, რაც
სხვადასხვა გამოხატულებებში იჩენს თავს და ამის შედეგად, ასეთ
კაცს ბევრი ზურგს აქცევს, ბევრს კი თვითონ გაყოყოჩებული პირი
ივიწყებს ხოლმე. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ნოდარ ღუმბა-
ძეზე წარმატებას ცუდი გავლენა არ მოუხდენია. ის ისევ ისეთი საყვა-
რელი, უშუალო, უბრალო, და მოსიყვარულე დარჩა, როგორც ადრე

იყო. მერეც, როცა ნოდარი საქვეყნოდ ცნობილი, დიდი პრემიების მფლობელი, მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებული მწერალი გახდა, როცა მისი ნიჭი მილიონობით მკითხველისა და მთავრობის მხრივაც ერთიანად დაფასდა, საქართველოს მწერალთა კავშირსაც ჩაუდგა სათავეში და სხვა მწერლების ბედზეც ჰქონდა უფლებრივი ზეგავლენა, მაშინაც კი ნოდარი უბრალო, უშუალო და კეთილი დარჩა. მაღალმა მდგომარეობამ მისი ხასიათი და სულიერი კეთილშობილება ვერ შეცვალა. ეს დიდი ადამიანური ღირსება იყო მისი.

მახსენდება 1951—1953 წლები, როცა იმხანად დაარსებული უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი ვიყავი და ნოდარ ღუმბაძე ჩვენი გაზეთისათვის ხალისით წერდა ფელეტონებს. მან პირველად აქ გამოიყენა ფსევდონიმი „ჭვებე ღუმბაძე“, რომელიც მერე „ნიანგშიც“ გამოჩნდა. ნოდარს ამხანაგები დიდხანს მიემართავდით ან „ჭვებედ“, ან „ღუმბაძედ“. ერთხანს სახელს აღარც კი ვეძახდით. ისიც იცინოდა გემრიელად და მთელი არსებით. ამ გაზეთში გამოქვეყნებული ნოდარის ფელეტონები შეეხებოდა უნივერსიტეტისა და სტუდენტთა ქალაქის ნაკლოვანებებს, რომელთა მიმართ მაშინ დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა ყველა საშუალებით. ამ საქმეში ფელეტონსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა. იმ ხანებში გამოჩნდა საუნრვერსიტეტო კედლის გაზეთი „ჰინჭარი“, რომელსაც უძღვებოდნენ ნოდარ ღუმბაძე და ჯიმი დიდმელაშვილი (ამჟამად თელავშია, გვარად კი რჩეულიშვილი აქვს). ნოდარისა და ჯიმის სატირული ნაწერები ამ გაზეთს ძალზე მწვეავეს ხდიდა. „ჰინჭარმა“ სახელი გაითქვა. მის წინ ხალხი ჭგუფდებოდა, რათა ყველას წაეკითხა სუსხიანი სტრიქონები. ჭვებე ღუმბაძემ „ახალგაზრდა სტალინელსა“ და „ჰინჭარში“ გაშალა ფრთები, მისი იუმორი და სატირა პირველად აქ გამომჟღავნდა, მერე კი „ნიანგში“ გადაინაცვლა და გაიშალა.

ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო ჩვენი ურთიერთობიდან, რომელშიც ნოდარის იუმორი და ხასიათი გამოჩნდება. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში შვილები პატარები მყავდნენ. ექიმმა სვიმონ მაჩაბელმა მირჩია ზაფხულობით ბავშვები წყნეთში დაასვენე და გამოკეთდებიანო. მეც გავიქირევი და ცეცხლის ფასად დაიქირავე ერთი ბატარა ოთახი სოფელ წყნეთში. მერე, როგორღაც ვიზოვე საბარგო მანქანა, ზედ დავაყარე ბარგიბარხანა, დავსვი ცოლ-შვილი და წყნეთში ავედი. აავიდა ხანი და ნოდარ ღუმბაძე მესტუმრა. მთხოვა. მის ნათესავს დავხმარებოდი. იმ დღეს, ბედზე, ლაგოდებიდან გამოგზავნილი ბევრი და კარგი საზამთრო გქონდა ოჯახში. ნოდარს ვუმასპინძლე და საზამთროც ვემოზე მიირთვა. წავიდა და თხოვნა დამიტოვა. ისე მოხდა, რომ თხოვნა ვერ შევუსრულე. გავიდა ხანი, თბილისში ჩამოე-

ზრუნდით. შემხვდნენ ჩემი და ნოდარის საერთო მეგობრები და მეუბნებოდნენ: როგორ იყო, დახმარების მაგივრად საზამთროს რომ აჰქვეყნებდით? გამეცინა, ისინიც იცინოდნენ. თურმე ნოდარს ყველასთან იუმორით ულაპარაკია — საზამთროს ჭამა თუ გინდათ, ტარიელ კვანჭილაშვილს მიაკითხეთ, პროტექციის ნაცვლად მეგობრებს საზამთროთი უმასპინძლდებაო. რამდენიმე წლის განმავლობაში ამაზე თვითონ ნოდარიც „გაფორმებით“ ყვებოდა და სხვა ამხანაგებიც ხშირად იხსენებდნენ მის ნაამბობს. გული კი დასწყდა, რომ ვერ დავხმარებ, მაგრამ კი არ იწყინა, იუმორსა და სიცილში გაატარა. ამაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ჩვენი ძვირფასი ნოდარ ღუმბაძის ხასიათის ერთი დიდებულის მხარე — სიკეთე, დიდსულოვნება. ზოგნი კი მსგავს სიტუაციაში ლაშის მტრად გაგვიხდნენ.

ნოდარ ღუმბაძესთან ურთიერთობის ერთი ნათელი ფურცელიც მინდა გავიხსენო: „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე წერილი: „ჰელიოტროპიზმი მწერლისა“, რომელშიც შევეცადე წარმომეჩინა ის მზიურობა, რაც მის შემოქმედებას ახასიათებს. წერილში ვაკეთებდი ერთგვარ ექსკურსს, ვასაბუთებდი, რომ ჰელიოტროპიზმი ქართულ ლიტერატურაში რუსთაველიდან იღებს სათავეს, მერე ერთგვარად გრძელდება, ხოლო მზის სიმბოლიკასა და მზიურობას ნოდარ ღუმბაძესთან სავსებით გამოკვეთილი, ახალი აზრი ეძლევა. ლიტერატურის ინსტიტუტში კრიტიკის წლიური პროდუქციის შეფასებისას ორ ლიტერატორს სხდომაზე ჩემი აზრის საწინააღმდეგოდ უთქვამს, რომ ნ. ღუმბაძესთან არავითარი ჰელიოტროპიზმი არ არის და თითქოს ეს მე გამომეგონოს. ამ ამბავმა ჩემამდეც მოაღწია და ნოდარსაც გაეგო. იმ სხდომის შემდეგ რაღაც თვენახევარი იყო გასული, რომ რუსთაველის პროსპექტზე წიგნის მაღაზიასთან მხვდება ბადრი ჭოხონელიძე და მეუბნება: ნახეთ, დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ ნოდარ ღუმბაძის მოთხრობაა დაბეჭდილი, მას „მზე“ ეწოდება და ბიჭებმა იგი აღვიქვეთ თქვენი წერილის საპასუხოდ, თქვენი აზრის დასტურად. მე გაზეთი ჯერ არ მენახა და მოთხრობაც არ წამეკითხა. ბადრის მაღლობა ვუთხარი. შინ რომ დავბრუნდი, წავიკითხე და ძალიან გავიხარე. მეც ასე აღვიქვი ეს მოთხრობა. ეს ფაქტი ჩემთვის, როგორც კრიტიკოსისათვის, ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ეს ნიშნავდა ჩემს გამარჯვებას. მერე, როცა ამაზე ნოდარს ჩამოვუგდე სიტყვა, მან თავისებურად გაიცინა და მითხრა: „აბა, რა ეგონა, მაგენს, ძამა!“ სიტყვა „მაგენს“ კოლორიტისთვის იხმარა, რაღაც განსაკუთრებული, ქვეტექსტური დატვირთვით. ეს ფაქტი მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს და ნოდარის დიდი მაღლობელი ვარ.

არ არის და არ ყოფილა მწერალი, მასზე განსხვავებული აზრი რომ

არ ჰქონდეს მრავალ რიგით მკითხველსა თუ ლიტერატორს. რა დასამა-
ლია, რომ ნოდარსაც არ ასცდენია ასეთი რამ. ზოგი იმასაც კი ამბობ-
და, — რა იუმორია მაგის იუმორი — ჩავა, ჩაჯდება გურულებში, ალა-
პარაკებს მათ და მერე მათი ხუმრობა ნაწარმოებებში გადმოაქვსო.
ცხადია, ეს არასერიოზული და უმწიფარი მოსაზრებაა, მაგრამ როცა
ამას ისმენ, ხომ უნდა გასცე პასუხი, ხომ უნდა გამოთქვა შენი აზრი
ასეთ სიტუაციაში რომ მოგხვედრილვარ, თავი არ შემეკავებია და მი-
თქვამს — ნოდარამდე გურიაში არავინ ჩასულა, გურულთა ენამოს-
წრებული საუბარი სხვას არავის მოუსმენია? მაშ, რატომ მოხდა, რომ
მხოლოდ ნოდარი ქმნის ასეთ ნაწარმოებებს, განა გურულები მარტო
მას „კარნახობენ“ თავიანთ იუმორს? ცხადია, ამაზე პასუხი არ არის
და ვერც იქნებოდა. ერთხელ, როცა თამაზ ჭილაძესთან საუბარში (ეს
დიდი ხნის წინათ იყო) ვთქვი, რომ ნოდარ ღუმბაძის ნიჭიერება თვით-
ნაბადი ოქროს ზოდს შეიძლება შევადაროთ-მეთქი, ძალიან მომიწონა
და მითხრა, ეგ მეც ბევრჯერ მიფიქრიაო.

ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ ნოდარ ღუმბაძის წარმატებების უმთავ-
რესი მიზეზი მისი დიდი ნიჭიერება იყო, თვითნაბადი, ბუნებრივი, ხა-
ლასი ნიჭიერება. მაგრამ არა მარტო ეს. ამერიკაში მოგზაურობიდან
რომ დაბრუნდა, ნოდარი ერთხანს შეუძლოდ იყო და ბინაზე მოვიწა-
ხულე. ბევრი ვისაუბრეთ, ეს საუბარი ჩაწერილიც მაქვს და ჩემთან
ინახება. როდესმე საჯაროდაც ვიტყვი ამის შესახებ, ახლა კი იმას დაე-
ჯერდები, რომ მე გამაკვირვა ნოდარის ნაკითხოვამ. ხოლო როცა ნიჭი-
ერება და ერუდიცია ერთადაა, მას წინ ვერაფერი დაუდგება. უბრალო-
ება და სისადავე ნოდარის შემოქმედების მშვენიერებაა, ოღონდ არა გა-
უბრალოების ხარჯზე.

ნოდარ ღუმბაძე ჩვენს შორის აღარაა... მოდით და გულწრფელად
ვთქვათ, მისი წასვლის შემდეგ დარჩა თუ არა ჩვენს თანამედროვე ლი-
ტერატურაში დიდი სიცარიელე? დარჩა და როგორ დარჩა... ჩვენ
გვეყავს რამდენიმე კარგი და ზოგიც შესანიშნავი მწერალი, ეს ჩვენი
სიმდიდრე და ბედნიერებაა, მაგრამ ნოდარ ღუმბაძეს იმდენად გამო-
კვეთილი და საკუთარი ადგილი ეკავა ამ თანავარსკვლავედში, რომ მის
ადგილს ვერავინ დაიკავებს. ჩაქრა ვარსკვლავი და თან წაიღო საკუთა-
რი სიკაშკაშე. ახლა და მომავალში ნოდარ ღუმბაძის ნაწერები გამოს-
ცემენ ციალს, შუქს, მაგრამ ეს ხომ ჩამქრალი ვარსკვლავის ციალი
იქნება...

ახლოვდება ქართველი ხალხის სწორუბოვარი შვილის, დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილე, რაც ეროვნულ ზეიმად და უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენად იქცევა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ილიაზე ბევრი ითქმება და დაიწერება. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ილია ჭავჭავაძის ნააზრევი და ნაღვაწი იმდენად ღრმა და უსაზღვროა, რომ მისი ამოწურვა შეუძლებელიც კი არის.

ილია ჭავჭავაძე არც მხოლოდ პოეტია და არც მხოლოდ პროზაიკოსი, ილია ჭავჭავაძე არც მხოლოდ პუბლიცისტი და არც მხოლოდ საზოგადო მოღვაწე. ის არის ქართველი ხალხის მხსნელი და ახალ გზაზე გამყვანი. ის არის კოლონიად ქცეული, ორ გუბერნიად გაყოფილი, მკვდარი საქართველოს გამცოცხლებელი, ხალხში ეროვნული გრძნობის გამღვივებელი, მიძინებული, მოღუნებული ხალხის გამღვიძებელი, ერთიან ძალად შემკვრელი, ამამალლებელი და სასწაულმოქმედი.

დავუკვირდეთ თუნდაც ასეთ ფაქტებს: აღარ იყო საქართველოს სახელმწიფო და, ბუნებრივია, მას აღარ ჰქონდა საკუთარი მმართველი ორგანოები. ილიამ თავისი სიბრძნით შეუძლებელი შეძლო — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დააყისრა განათლების სამინისტროს ფუნქცია და შესანიშნავად შეასრულებინა ეს მოვალეობა; ილიამ სათავადაზნაურო ბანკს დააყისრა ფინანსთა სამინისტროს ფუნქცია და შესანიშნავად შეასრულებინა ეს მოვალეობა; ილიამ თეატრალურ საზოგადოებას დააყისრა კულტურის სამინისტროს ფუნქცია და აგრეთვე შესანიშნავად შეასრულებინა ეს მოვალეობა... ახლა შევხედოთ მის მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებს და გავიხსენოთ „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ დიდი ღვაწლი ეროვნული თავისუფლების იდეალების გავრცელებაში, განათლების, პროგრესის, ჰუმანიზმის გავრცელებაში.

შეუძლებელია, ერთ წერილში კი არა, საერთოდაც ილია ჭავჭავაძის ღვაწლის ამომწურავი შეფასება. ამიტომ, ჩვენი ფიქრით, უმჯობესია თითოეული ავტორი განიხილავდეს ილიას ღვაწლის ცალკეულ, კონკრეტულ მხარეებს და, თანაც რამდენადაც ეს შესაძლებელია, ილიას ნააზრევს უკავშირებდეს ჩვენს დღევანდელობას, რათა დიდი მასწავლებლის, ბრძენი მამისა და საქართველოს მხსნელის აზრებს თანამედროვეობის სამსახურში ვაყენებდეთ.

ამ მოსაზრებით იწერება ჩვენი ეს წერილიც, რომელშიც ილიას ერთ ლექსში გატარებული შესანიშნავი პრინციპის — პარადულობისა და ხმაურის, ე. ი. ზედმეტი ტაშის წინააღმდეგ მიმართული პრინციპის დღევანდელ გააზრებას ვიძლევი. ძირითადი დასკვნა, რომელიც განსა-

ხილველი ლექსიდან უნდა გამოვიტანოთ, ის არის, რომ ყოველმა ადამიანმა უხმაუროდ, პოზებისა და ზიზილ-პიპილების გარეშე უნდა იმუშაოს, აკეთოს საქმე, ემსახუროს ხალხს; თავის ერს. მერე გამოჩნდება, ამას თვით ხალხი განსაზღვრავს, ვიმსახურებთ თუ არა „ტაშს“, გვეკუთვნის თუ არა დაფნის გვირგვინები.

მკითხველს მოეხსენება, რომ სათაურად მოტანილი ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსიდან არის ამოღებული. მომდევნო თაობები თავიანთი სათქმელის მეტი დამაჭერებლობისათვის ხშირად მიმართავენ ხოლმე ბრძენ წინაპართა აჩრდილებს, მათ მოიშველიებენ, მათს ავტორიტეტს მყარ საყრდენად იყენებენ და ამით საქმეს უფრო წარმატებით შველიან. ვის, თუ არა ილიას, ამ ბუმბერაზს, სიტყვისა და აზრის ღვთიური ძალის მპყრობელს, ერის მამასა და მხსნელს უნდა მიმართო ასეთ შემთხვევაში? ჩემი ნება რომ იყოს, ილიას ნაწერებს ყოველწლიურად გამოვცემდი, ხოლო მათ კითხვას ყოველდღიურ სავალდებულო საქმედ დავაწესებდი, როგორც ძველი მორწმუნენი ყოველდღიურად ლოცულობდნენ.

ჩვენი წერილი სადღეისო საქიროებას ეხება და ამიტომ, ამჟამად ილიას მხოლოდ ამ ერთ ლექსს მივმართავთ, რათა დღევანდელი საბჭოელები ამით უფრო გავამყაროთ.

ილია ამბობს: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“ ლექსის მომდევნო სტრიქონები საესებით ნათელს ხდიან, რომ აქ არ არის კეკლუცობა, აქაო და ტაშის უარყოფით უფრო თავი მოვიწონო და თავმდაბალი გამოვჩნდეო. არა, ეს არის რწმენის გამჟღავნება. მომდევნო სტრიქონებში სწორედ ერთგვარი ახსნაა იმისა, თუ რატომ უარყოფს ილია ტაშს — ქვეყანას უნდა ემსახურო ერთგულად, საქმით და არა ტაშისათვისო... „რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურებთ“. ამის ქვემოთა სტრიქონი კი იძლევა იმის ახსნას, თუ რას ემსახურებოდა ილია: „ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრადა მოვფინოთ ხალხში“. ყველაფერი ნათელია: მწერლის ბრძოლის იარაღი სიტყვაა, მისი უშიშრად მოფენა ხალხში ბრძოლის საშუალებაა. მაგრამ რისთვის იბრძვის უშიშარი სიტყვით ილია? ეს იქვე წერია: „ბოროტთა საკლავად...“ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყენებს ილია „უშიშარ სიტყვას“. ამასაც დაუფკვირდეთ, ილია ყოველგვარ სიტყვაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ მხოლოდ უშიშარ სიტყვაზე. ეს ძალზე მნიშვნელოვანი „დეტალია“. მაგრამ უფრო დიდ იდეალს, ბრძოლის უფრო დიდ მიზანს ილია ქვემოთ გვიმხელს: „აკვიოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა“... საქართველოს ბედი და უბედობა არის ის მიზეზი; რამაც ილია საბრძოლველად გაიყვანა და თავდავიწყებით ჩააბა საქართველოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მაგრამ; რაკი ყოველი ოიდი

საქმისათვის მებრძოლთ იქვე გაუჩნდებათ ხოლმე მტერი და მოქილიკე, დამძრახავი და დამგესლავი, ამიტომ პოეტი აცხადებს — „დაეგძრახონო“.

რაიმეს წინააღმდეგ ბრძოლა ხომ თავისთავად გულისხმობს იმ რაიმეს კრიტიკას, მის უარყოფას, თუნდაც ეს იყოს საზოგადოებრივი ან ეროვნული მნიშვნელობის ნაკლის დაგმობა, ამიტომ, იმავე ლექსში ილია იძლევა ასეთი კრიტიკისადმი ბრძნული დამოკიდებულების კონცეფციას:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრძენი ამბობენ, — კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!

მაშასადამე, ვისაც ჰგონია, რომ საზოგადოების ან ერის ნაკლოვანებათა მხილება საზოგადოების ან ერის სიძულვილია, ილიას ისინი ბრძენებად მიაჩნია. „სიძულვილში“ სიყვარულის დანახვა კი კარგი გულის მქონეთ შეუძლიათ. ესაა ილიას მრწამსი.

ილიამ მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა ერთგულება ამ მრწამსისადმი. გავიხსენოთ, რომ ზემოთ განხილული ლექსი ილიამ დაწერა 1861 წელს, როცა ის მხოლოდ 24 წლისა იყო.

უნდა გავიხსენოთ, რომ „ტაში“ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გვესმოდეს არც ილიასთან და არც ჩვენი წერილის მიზანია ყოველგვარი ტაშის დაგმობა. აქ ტაში ზედმეტ ქებას, ხმაურს, დაფნის გვირგვინებისაყენ მისწრაფებას გულისხმობს.

ცნობილია, რომ ილიამ უარი თქვა საკუთარ იუბილეზე, რაც მას შესთავაზეს და დაუინებთაც სთხოვეს, დათანხმებოდა, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო ეს წინადადება. სამაგიეროდ, თვითონვე დასვა სხვისი იუბილეს გამართვის საკითხი. ილიამ თანამებრძოლნი და საზოგადოება დაარწმუნა, რომ რაფიელ ერისთავი, „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი, არის ის კაცი, ვისი იუბილეს გადახდაც სჯობია, მისი იუბილე ეროვნულ ზეიმად იქცევა, ქართველთა შორის გამაღვიძებლად იმოქმედებსო. მართლაც, რაფიელ ერისთავის იუბილე დიდებულად ჩატარდა და იგი იქცა მნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენად.

ახლა ვნახოთ, დღეს ყველას ახსოვს ილიას ეს სიბრძნე და ასრულებენ მას, თუ მავანს და მავანს საკუთარი „სიბრძნე“ ყოფნის და ილიას ივიწყებს...

რაკი იუბილე ვახსენეთ, ბარემ განვაგრძოთ აზრი და ვნახოთ, დღეს როგორაა ეს საკითხი. ზოგჯერ გაზეთს ვერ გადაშლი, ტელევიზორს

ვერ ჩართავ, ჟურნალს ვერ წაიკითხავ ისე, რომ ვინმეს იუბილეს არ ეთმობოდეს ვრცელი ადგილი. მერედა რამდენი წერილი იბეჭდება თითოეულ იუბილარზე. ზოგს მთელი გვერდები და მეტიც ეთმობა. ახლა იუბილარების პორტრეტები ნახეთ, რა პოზაში, რა ზომის, რამდენი... ხომ არ გგონიათ ერთ გახეთს დასჯერდეს იუბილარი! ახლა ისეთი აზრი დამკვიდრდა, რომ თუ ყველა გახეთმა და ჟურნალმა, ტელევიზიამ თა რადიომ — ინფორმაციის ყველა საშუალებამ — არ აუწყა ხალხს, რომ მავანი და მავანი 50 ან 60 წლისა გამხდარა, უამისოდ იუბილარი დამცირებულად გრძნობს თავს. ამ დროს კი ხალხში მითქმამოთქმამა, თითქოს ზოგჯერ ასეთი ზარ-ზეიმის ორგანიზატორი თვითონ იუბილარიაო. თუ ეს მართლა ასეა, რაღა ფასი აქვს ასეთ იუბილეს? განუკითხაობა ყოფილა და ეგ არის. ერთი დაფიქრდეს ასეთი კაცი, რა არგო თავის ხალხს, რა კრილობა მოუშუშა, ცრემლი ვის შეუშრო, გული ვის გაუთბო, რომელი წაქცეული წამოაყენა, რა ციხე-სიმაგრე აიღო, რომ თავს ასე იწონებს? საღ წავიდა კაცის დამამშვენებელი თავმდაბლობა და მოკრძალებულობა? ნუთუ ვერ გრძნობენ, რომ ასეთი გახშირებული და გაჭიანურებული იუბილეები ფასს და ღირსებას უკარგავს ამ საქმესაც და არცთუ იშვიათად, თვით იუბილარსაც? დედაქალაქიდან ასეთი იუბილეები რაიონებში გადადის, იქ ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრტყელი სიტყვების თქმაში, ცდება ხალხი, იხარჩება სახსრები... საზოგადოება ამით მრავალნიარად ზარალდება, ზნეობრივადაც კი. იშრომონ, იღვაწონ, ბატონო, და ხალხი თვითონ მიხვდება, ვის რა ეკუთვნის. კარიერას, მანქანებს, „ღუბლიონკებს“, კეთილდღეობას გამოდევნებული „მოღვაწე“, ბევრსაც რომ ეცადოს ძალით თავის გაუქვდავებას, მაინც ვერაფერს გახდება. დრო და ხალხია ყველას და ყველაფრის მსაჯული.

ახლა სახელდობრ ტაშზე უნდა ვთქვათ.

ნამდვილი ტაშის წინააღმდეგ, დამსახურებული აღიარების წინააღმდეგ რომელი ჰქუათმყოფელი წავა. ისმენ პოეტის მშვენიერ ლექსს და ტაშით აჩილოებ ავტორს; უყურებ მსახიობის ნაღ თამაშს და აღტაცებას ტაშით გამოხატავ! უყურებ კარგად გატანილ ბურთს, ფეხბურთელის ვირტუოზულ თამაშს და არა მარტო ტაშს უკრავ, მთელი ხმითაც გამოხატავ შენს ემოციებს... ასე მრავალი რამის ჩამოთვლა შეიძლებოდა. ალალია ასეთი ტაშიც და ოვაციაც.

საქმე მარტო იუბილეებს რომ ეხებოდეს, რა გვიჭირდა. ე. წ. „ტაშში“, მამასადამე, პარადული ხმაური, ძალიან მოგვეძალა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და ეს უფრო დიდი ზიანის მომტანია.

მოდით და შევიხედოთ რომელიმე კრებაზე, დაგაკვირდეთ, განა ყოველთვის გულწრფელ ტაშს უკრავენ? დანიშნეს ახალი ღირებუ-

რი ან რომელიმე ხელმძღვანელი და ტაშით ხედებიან, ცოტა ხანში იგივე კაცი საქმეს წახდენს და მოხსნიან, ამ გადაწყვეტილებასაც ისევე ტაშით ხედებიან. სად არის ლოგიკა? ან იმ კაცის დანიშვნის დროს დაკრული ტაში იყო ყალბი, ან მისი განთავისუფლების დროს დაკრული ტაშია გაუმართლებელი. რატომ ხდება ასე? ამას მრავალი ახსნა აქვს. ზოგი სხვისი წამხედურობით უკრავს ტაშს, ზოგი უფროსთა რიდით, ზოგი გამორჩენის მოლოდინით, ზოგი შიშით, ზოგი მიამიტობით, უპრინციპობით და ა. შ. როგორ ეწინააღმდეგება ყოველივე ეს იმ მორალურ ნორმებს, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა 1920 წელს ახალგაზრდობასთან საუბრისას.

ზოგჯერ მიფიქრია: რამდენ ენერჯიასა და დროს ჩვენ ტაშის დაკრავში ვხარჯავთ, ის რომ სასარგებლო შრომისათვის მოგვეხმარებინა, რამდენი დოვლათი შეიქმნებოდა-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ასე მართლმე არ ვფიქრობ.

დიდი ხნის წინათ ერთმა ბრძენმა კაცმა ტაშის გამო ასეთი აზრი გამოთქვა: ტრიბუნაზე სხვა იდგა, იგი ბრძენის საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა. სიტყვა რომ დაამთავრა, ხალხმა ტაში დასცხო. როცა ბრძენის ჭერი მოვიდა და სიტყვა მას მისცეს, ხალხმა მასაც ტაში დაუკრა. თუმცა ჭერ არათფერი ეთქვა. ამიტომ ბრძენმა ხალხს ასე მიმართა: თუ ჩემს წინა ორატორს ტაში დაუქარით და თანაც იცით, რომ მე მისი მოწინააღმდეგე ვარ, მაშ მე რატომღა მიკრავთ ტაშს? რა ფასი აქვს ასეთ ტაშს და ვის სჭირდება იგი? ავი და კარგი ვერ გაგირჩევიან და ამიტომ ორივეს ტაშით ხედებითო.

ვაცალოთ, ბატონო, ახლად დანიშნულ კაცს მუშაობა, ჭერ დაგვანახოს საქმე, დაგვარწმუნოს, რომ ის ნამდვილად ღირსია, მან დაიმსახურა ქება და მერე ვაქოთ და ვადილოთ, წინასწარ რა ავანსებს ვარიგებთ? ამ ცრუ ტაშის გამოა, რომ ზოგჯერ ღირსეულსა და უღირსს ერთნაირად ვუდგებთ, მათ შორის განსხვავება იშლება. ამის წყალობით უღირსი წინ მიძვრება, კარიერას იკეთებს და პარპაშობს. ეს კი დიდად საზიანოა საზოგადოებისათვის.

დალოცვილი დავით გურამიშვილი მართლის თქმის პრინციპს რომ აყენებდა და აცხადებდა — „... ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერადო“, რატომ დაევიწყეთ? ან რა მოვიგეთ მისი დავიწყებით?

ერთი კუროზული ამბავი მიაშვეს ამასწინათ. თურმე ეს ფაქტი საკმაოდ გახმაურებული ყოფილა, მე კი გვიან გავიგე. ერთი დაწესებულების დირექტორთან კადრების განყოფილების უფროსს შეუყვანია სამსახურში ახლად მისალევი კაცი და დადებითად დაუხასიათებია.

დირექტორისათვის ურჩევია — ეს კაცი ავიყვანოთ თავისუფალ ადგილზეო. დირექტორს განყოფილებების უფროსისათვის თავაზიანი მადლობა უთქვამს და ორივე გაუსტუმრებია. გადიოდა ხანი, საკითხი კი ღიად რჩებოდა. კადრების განყოფილების უფროსს მობეზრებია ღიად და კვლავ დირექტორთან შესულა — რას იტყვით, ის კაცი ავიყვანოთ თუ არაო. დირექტორმა უარი სტყიყა. კადრების განყოფილების უფროსს ეწყინა — თქვენ დამავალეთ კანდიდატურის შერჩევა, მე ბევრი ვეცადე, რომ ღირსეული კაცი შემერჩია, ეგ კაცი ყოველმხრივ სანაქებოა, უარს რალაზე ამბობთო. დირექტორმა არც აცია, არც აცხელა და კადრების უფროსს უთხრა — მე ცალხელა არ მჭირდებაო.

— როგორ გეკადრებათ, მაგას მარცხენა ხელი აკლია, ისიც სამამულლო ომში დაკარგა, მარჯვენა სალი აქვს და მუშაობაში სულაც არ უშლის.

— თქვენ თვითონ როგორ გეკადრებათ, მე ტაშის დამკვრელი მჭირდება და მაგან ცალი ხელით ტაში როგორ უნდა დაუკრას?

გაწიბლებული და გაოგნებული კადრების განყოფილების უფროსი დირექტორის კაბინეტიდან უკანმოუხედავად გაქცეულა.

შესაძლოა ეს კურიოზული ფაქტი გამონაკლისი იყოს, მაგრამ ძალზე დამაფიქრებელი კი არის: იშვიათი როდია, როცა ადამიანს აფასებენ არა საქმიანი ნიშნის მიხედვით, არამედ პირადი ერთგულების ან წარმოთქმული სიტყვის მიხედვით, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რამდენად თვინიერი და დამჭერია, საკუთარი აზრი ხომ არ გააჩნია, ე. ი. ყველას და ყველაფერზე ტაშს უკრავს თუ არა... განა ასეთი ტაშით საზოგადოება არ ზარალდება? ვის სჭირდება ასეთი ტაში? მხოლოდ გაყოყონებულ ხელმძღვანელს, რათა მოჩვენებითი წარმატებების შეთითხვნით გაიხანგრძლივოს თბილ და რბილ სავარძელში ჯდომის დრო.

ტაში დიდი ძალაა პატიოსანი მუშაკის წასახალისებლად, მაგრამ ტაში დამლუპველია, როცა მას დაუმსახურებლად ვუძღვნით მავან და მავან ცრუმგირს, მსხვილი თუ წვრილი ყალიბის ყვარყვარებებს.

პირდაპირ მახინჯ სახეს იღებს ზედმეტი ქება-დიდება, ზედმეტი ხობტა, ყველაფრის ვარდისფრად დახატვა, პარადულობა და მამამბლობა, ფარისევლობა და სამართლისადმი ღალატი. მივიხედ-მოვიხედლოთ, დავაკვირდეთ, რამდენი რამაა ჩვენს ირგვლივ, რასაც გამოსწორება სჭირდება, რაც ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. განა მათ მოგვარებას გულმოდგინე შრომა და გარჯა არ სჭირდება, განა შეიძლება ტაშისკვრით მათი ვაკეთება?

ვიმეორებთ, რომ ილია ერის დიდი მასწავლებელია, ის გვასწავლის, თუ როგორნი უნდა ვიყოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რა ზნეობას უნდა ვუერთგულოთ, რა უნდა ვაკეთოთ, რას უნდა ვემსახურებოდეთ.

შევითვისოთ და შევასრულოთ დიდი ილიას ანდერძი, მართლაცდა, რად გვინდა ტაში?..

დაკვირვება და დასკვნა

XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამორჩეულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა უმალლეს განათლებას და პროფესიულ დაოსტატებას დაეუფლა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ცენტრებში.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზოგი მათგანი და მივუთითოთ იმ სიახლეებსა და მონაპოვრებზე, რითაც მათ გაამდიდრეს ჩვენი ეროვნული კულტურა.

ნიკო ლორთქიფანიძემ უმალლესი განათლება მიიღო ავსტრიაში, იქ გაეცნო საუკუნის დასაწყისში გავრცელებული ლიტერატურული მიმართულებების მრავალსახეობას, მათგან უპირატესობა მიანიჭა იმპრესიონიზმს, რომლის ათვისებითა და რეალიზმთან შენივთების საფუძვლად მივიღეთ ამ გამოჩენილი მწერლის წერის თავისებური სტილი და მანერა, რაც ასე ხიბლავს მკითხველს. ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე, ავსტრიაში რომ არ ყოფილიყო წლების განმავლობაში, იქ რომ არ გაემდიდრებინა თავისი ცოდნა, უშუალოდ რომ არ ეტრიალა იქაურ შემოქმედებებს გარემოში. თხრობის ლაკონურობა, ფრაგმენტული სტილი და გაფაქიზებული ფსიქოლოგიზმი, რითაც ასე გამოირჩევა ამ შესანიშნავი მწერლის მკირე ფორმის ნაწარმოებები, ალბათ, უავსტრიოდ არ გვექნებოდა. ამის გამო კი ჩვენი ქართული ლიტერატურა ბევრს დაჰკარგავდა, გაღარიბდებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია სწავლობდა გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტში და, ბოლოს, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის კურსი. ამ ქვეყანაში განსწავლულობის ჟამს ჩვენი მწერალი გაეცნო და დაუახლოვდა მრავალ გერმანელ მწერალს, მათ შორის თომას მანს, შეითვისა გერმანულენოვანი ლიტერატურის მიღწევები. რაც შემოქმედებითად გადმოიტანა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე და შექმნა თავისი. საკუთარი სტილი, კონსტანტინე გამსახურდიას სტილი. „დიდოსტატის მარჯვენისა“ და „ხოგაის მინდიას“ ავტორისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა გოეთეს ქვეყანაში განსწავლა. ის სიღრმეები აზ-

როვნებისა. ის სიმრავლე ფერებისა, ის სიუხვე გამოსახვის ხერხებისა, ის ძალა თხრობის მომხიბვლელობისა, რაც კ. გამსახურდიას მთელს შემოქმედებას ახასიათებს; საზოგადოებრივი მოვლენებისა და ფაქტების, პერსონაჟთა ცხოვრების გადმოცემის გაუმარტივებელი, რთული, მრავალპლანიანი ჩვენება, რომელიც „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“ გვაქვს, ექვს გარეშეა, გერმანელ კორიფეთა შემოქმედებიდან იღებს სათავეს. შეგირდობიდან ოსტატობისაკენ განვლილი გზა ჩვენი გამოჩენილი მწერლისა, გერმანული კულტურული გარემოდან იწყება და საქართველოში წარმატებით იღებს გასრულებულ სახეს.

დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი წლების განმავლობაში პარიზის სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა. პარალელურად ის ეცნობოდა იტალიის, გერმანიის, ინგლისის, ავსტრიის და ვეროპის სხვა ქვეყნების დედაქალაქთა კულტურას, ათვალთვარებდა მუზეუმებს, გამოფენებს, ისმენდა ამ დედაქალაქებში გამოჩენილი მეცნიერების მიერ წაკითხულ გამორჩეულ ლექციებს, შეხვედრები და პირადი კონტაქტები ჰქონდა იმ დროის გამოჩენილ მწერლებთან, ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლებთან. რეალიზმის ის ელვარება და ახალი სიმაღლე, თხრობის სტილის ის სიღაღე და გენიალური სისადავე, ტიპების ძერწვის გასაოცარი უნარი, თემატიკის ასეთი მრავალფეროვნება — პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ინტიმური, ისტორიული, საკაცობრიო და ქართული ეროვნული თემების მხატვრულ-შემოქმედებითი დამუშავების უჩვეულო ძალა, მრავალი სხვა წარმატება, რასაც მ. ჯავახიშვილმა მიაღწია თავის შემოქმედებაში, ჩვენი ღრმა რწმენით, შეუძლებელი იქნებოდა ევროპაში მიღებული სულიერი და გონებრივი საზრდოს გარეშე. ცხადია, ის მაინც იქნებოდა მწერალი, რადგან ეს გზა მან ევროპაში წასვლამდე აირჩია, შაგრამ არ იქნებოდა ასეთი დიდი მასშტაბისა, ასეთი ღონისა. არ იქნებოდა ასეთი დიდოსტატი და განუმეორებელი. ბალზაკის, ჰიუგოსა და მოპასანის ქვეყანაში მიღებულმა ცოდნამ და შეთვისებულმა განათლებამ დიდად შეუწყო ხელი მ. ჯავახიშვილის დიდოსტატობას.

ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურას ამშვენებს გერონტი ქიქოძის სახელი. მან, ალბათ, პირველმა ჩვენს სინამდვილეში, დაამკვიდრა ესეის ჟანრი, მან ახლებურად გაიაზრა ლიტერატურული კრიტიკის ახალი კულტურა, ის ახლებურად გაიაზრებდა და აანალიზებდა მხატვრულ ნაწარმოებებს... ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველივე ეს სათავეს იღებდა შვეიცარიისა და საფრანგეთში შექმნილი ფართო განათლებიდან, რომელიც ასე ამშვენებდა და მიმზიდველს ზღიდა გერონტი ქიქოძეს. თუ ზემოთ ნათქვამს დაეუმატებთ მის მშვე-

ნერ თარგმანებსაც, სურათი ერთგვარად შეივსება. დაბეჭოთებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპული განათლების გარეშე გერონტი ქიქოძე არ იქნებოდა ის გერონტი ქიქოძე. რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და რომელიც მართლაც ამშვენებს ჩვენი ეპოქის ქართულ ლიტერატურას.

წერილი მაგალითებით რომ არ გაგვიგრძელებდეს, ვიტყვი, რომ ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ რამდენიმე სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალზეც. მაგალითად, ლეო ქიაჩელზე, რომელმაც განათლება მიიღო შვეიცარიაში; სანდრო შანშიაშვილზე, რომელიც ავსტრიასა და გერმანიაში სწავლობდა და ა. შ.

ახლა ამავე თვალთ შევხედოთ ჩვენი საუკუნის მხატვრობისა და ქანდაკების ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორიც არიან იაკობ ნიკოლაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე და სხვ.

წლების განმავლობაში პარიზში როდენთან განსწავლისა და შეგირდობის გარეშე იაკობ ნიკოლაძე განა ამ მასშტაბისა და დიპაზონის მოქანდაკე გახდებოდა? პარიზის შემოქმედებითს ატმოსფეროს ხომ მთელი მსოფლიოდან აქ შეკრებილი ხელოვანნი ქმნიდნენ და მათ შორის იაკობ ნიკოლაძეც ტრიალებდა. ამას ხომ უკვალოდ არ ჩაუვლია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ყოველივე ამის გარეშე ჩვენი მოქანდაკის შემოქმედება ასეთი ნატიფი ყოფილიყო.

ასევე ითქმის ლადო გუდიაშვილის ვირტუოზულ ოსტატობაზე, ელენე ახვლედიანის განსაკუთრებულ კოლორიტულობაზე, დავით კაკაბაძის ფერადოვნებაზე და ხელოვნების მრავალი სხვა ოსტატის წარმატებაზე. სადავო არ უნდა იყოს, რომ პარიზმა, იქაურმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ და გარემომ, იქ მიღებულმა ცოდნამ, დიდოსტატებთან შეხვედრებმა გაამდიდრა ქართველ ხელოვანთა შემოქმედება, ამაღლა და ახალ დონეზე აიყვანა იგი.

ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა შესახებაც. იმ მეცნიერებზე, ვინც განათლება ევროპის ცენტრებში მიიღო. განსწავლული დაუბრუნდა საქართველოს და თავდადებით ემსახურა მას. მათი რიცხვი საქმაოდ დიდია და ჩამოთვლას არ შეუვდგებით. ფაქტი ისაა, რომ ევროპის სამეცნიერო ცენტრებმა დიდად შეუწყობ ხელი ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების აღზრდასა და მეცნიერად ჩამოყალიბებას.

დაუვიწყარია ის როლი, რომელიც შეასრულა პეტერბურგის (შემდეგ ლენინგრადის), მოსკოვის, ტარტუსა და სხვა უნივერსიტეტებმა ქართველი ახალგაზრდების გონებისა და სულის გავარჯიშებაში, გამოჩენილ ადამიანებად მათს აღზრდაში. ამ მხრივ განსაკუთრებულია

თერგდალეულთა თაობა, ბევრიც სხვა. ამ ფაქტებს ჩვენ მხოლოდ მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ. ცხადია, მაშინ საქართველოში სხვა ვითარება იყო, უმაღლესი სკოლა არ გაგვაჩნდა და რუსეთის ცენტრებმა დიდი ამაგი დაგვდეს. მაგრამ დღესაც, როცა ორი ათეული უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, მაინც აუცილებელია გამორჩეულად ნიჭიერი, ბეჯითი და წესიერი ახალგაზრდების გაგზავნა უცხოეთში.

არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენ ვაყინებდეთ საკუთარ ქვეყანაში განათლების მიღების როლს, მაგრამ „გარეთ გახედვაც“ რომ აუცილებელია და სასარგებლო, ამას დიდი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს.

ნურც გამოწვევებს ვილაპარაკებთ. ვიცით, რომ შ. დადიანს სკოლაში საერთოდ არ უვლია, ხოლო გ. ტაბიძეს უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ეს გამოწვევებია და მათი მაგალითით განზოგადებული აზრის გამოტანა, დასკვნის მიღება გაუმართლებელია.

ახლა შორსაც გავიხედოთ. ავიღოთ რუსთაველი. ჩვენ არ ვიცით იყალთოს აკადემიის გარდა ის სხვაგანაც სწავლობდა თუ არა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია აზროვნების ის სიღრმეები. პოეტური გამოსახვის ის სიმალეები, რაც მის პოემას განადიდებს, მხოლოდ იყალთოში მიღებული ცოდნით იფარგლებოდეს. ცხადია, აქაც საქმე გვაქვს გამოწვევის შემთხვევასთან, გენიოსთან და ამიტომ დასაშვებია, რომ წესიდან გადახვევასთან გვეკონდეს საქმე, მაგრამ მაშინდელი მსოფლიოს, კაცობრიობის ცოდნის დონე ვეფხისტყაოსანში ასე ხელშესახები რომ არის, ცხალზე უცხადესია. კი, ვიცით, რომ კანტიც არ ვასულა თავისი მშობლიური კენიგსბერგიდან, მაგრამ მისმა გონებამ არა მარტო დაიტია საკაცობრიო ფილოსოფიური აზრი, არამედ თვითონაც გაამდიდრა კაცობრიობა თავისი ნააზრევით. მაგრამ ესეც გამოწვევისია.

მთავარი ისაა. რომ აუარება მაგალითი მხოლოდ ერთ სწორსა და აუცილებელ აზრს გვეარსახობს: თუ გვინდა, რომ არ ჩამოვრჩეთ კაცობრიობის ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარების დონეს, ერის ყველაზე ნიჭიერი ძალები, თანაც სხვადასხვა დარგიდან, განსწავლისა და დაოსტატებისათვის უნდა იგზავნებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე დაწინაურებულ ცენტრებში.

რევოლუციამდე ეს კეთდებოდა კერძო ინიციატივით, ცალკეულ მეცენატთა თაოსნობით, სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ საზოგადოების მეშვეობით და იგი გარკვეულ შედეგს იძლეოდა.

ჩვენს პირობებში ეს საქმე სახელმწიფოს ხელშია. მაგალითად, ქართველი ახალგაზრდები, გეგმაზომიერად, უმაღლეს განათლებას ეწაფებიან არა მარტო საბჭოთა კავშირის ქალაქების უმაღლეს სასწავ-

ლებლებში, რესპუბლიკისათვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებზე, სადაც კონკურსის წესით ჩაირიცხებიან, არამედ სოციალისტური ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებშიც. ეს ცნობილი ფაქტია. ღია კარის მტკრევას არ ვაპირებთ.

მაგრამ არის გარემოებანი, რომელთა შესახებ დაფიქრება და დასკვნების გამოტანა მეტად დროულად და საჭიროდ გვეჩვენება.

გვინდა დავაყენოთ ასეთი კითხვა: რა მიზეზია, რომ ამდენი წლის განმავლობაში გაცვლის წესით ან სტაჟირებაზე სოციალისტური ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად ვაგზავნით ამდენ ახალგაზრდას, მაგრამ, რამდენიმეს გარდა, სამოღვაწეო ასპარეზზე მათ განსაკუთრებით არ გამოუჩენიათ თავი? უნდა დავძინოთ, რომ ლ. გუდიაშვილი, ლ. ქიაჩელი, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია და სხვები ჯერ კიდევ უცხოეთში განსწავლულობის წლებში უკვე ქმნიდნენ და სამშობლოში აგზავნიდნენ თავიანთ ნახატებს თუ ნაწერებს, რომლებიც მაშინვე ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში. ჩვენ ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ევროპიდან დაბრუნებისთანავე მათ ძალზე ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა გაშალეს. მაშ რატომაა, რომ ახლა ჩვენი წარგზავნილები ასე მკრთალად ჩანან ან სრულიადაც არ ჩანან ასპარეზზე?

სიმართლე უმეტესად უსიამოვნოდ აღიქმება, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ არც მწარე აბია სასიამოვნო, თუმცა მკურნალობისათვის იგი აუცილებელია. სიმართლე კი ის არის, რომ უცხოეთში, თუნდაც საბჭოთა კავშირის ქალაქებში, სასწავლებლად გასაგზავნად ახალგაზრდების შერჩევა ყოველთვის არ ხდება ელვარე ნიჭის მიხედვით. არცთუ იშვიათად ამ საქმეში თავს იჩენს სხვა გარემოებანი — ნაცნობობა, მშობელთა და ახლობელთა მცდელობა, ერთი სიტყვით, პროტექციონიზმი. ეს კი აზარალებს კარგ საქმეს.

როგორც ჩანს, დადგა დრო და მომწიფდა აზრი, რომ გადაისინჯოს ის წესები და მეთოდები, რომლებიც ამ საქმეში ამჟამად მოქმედებს და გამოირიცხოს ერთადერთი სწორი პრინციპიდან, მხოლოდ და მხოლოდ ნიჭის მიხედვით შერჩევის პრინციპიდან ყოველგვარი გადახვევის შესაძლებლობა. ურიგო არ იქნებოდა, გაკვეთვალისწინებინა წინაპართა გამოცდილება, რომელსაც საუკეთესო შედეგი მოჰქონდა.

მეორე გარემოება, რომელიც ამ კეშმარტად დიდ საქმესთან დაკავშირებით არის გასათვალისწინებელი, ის გახლავთ, რომ ამჟამად უცხოეთში სასწავლებლად ან სტაჟირებაზე ძირითადად იგზავნებიან სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ქვეყნებს აქვთ დაწინაურებული მეცნიერება, ტექნიკის დარგები, ლიტერატურა და ხელოვნება. ამიტომ, ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს

იქ ბევრი რამის შესწავლა და შეძენა შეუძლიათ. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში, უდიდესი ტრადიციებისა და მიღწევების ქვეყნებში, მეცნიერება, ტექნიკა, ლიტერატურა, წელოვნება არათუ ნაკლებ არ არის განვითარებული, არამედ ბევრ რამეში წინ უსწრებს სხვებს. დღეს ხომ ანაქრონიზმად აღიქმება საკითხის ისეთი დაყენება, თითქოს საკაცობრიო კულტურის განვითარება მხოლოდ კლასობრივი პრინციპით ხდებოდეს. თვალს ხომ ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის საოცარი წინსვლისა და განვითარებისა, ჩვენში მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების უჩვეულო დაწინაურებისა, მთელი რიგი დარგები კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტად არის განვითარებული და მათი შესწავლა, შეთვისება და გადმოღება ძალზე სასარგებლოა. თანამედროვე ლათინური ამერიკის ლიტერატურა, იტალიის, ესპანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ძველი ხელოვნება, შეერთებული შტატების; იაპონიის, გერმანიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები უდიდეს სივრცეებს გადაშლის ცოდნამოწყურებული კაცისათვის. მათი შესწავლა და შეთვისება ნებისმიერი ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი ნიჭიერთათვის მეტად სასარგებლოა. ამით ისინი თვითონაც ამალდებიან და სამშობლოს ამადლებასაც შეუწყობენ ხელს. რატომ უნდა დავკარგოთ ასეთი შესაძლებლობა, რატომ უნდა გავიღარიბოთ თავი, რატომ უნდა მოვწყდეთ კაცობრიობის ფერხულს, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ მსოფლიო მიღწევებს?

საუკუნეთა გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ თუნდაც მხოლოდ საქართველოში ერის საუკეთესო შვილები განუწყვეტლივ ცდილობდნენ ახლო ურთიერთობა და კონტაქტები ჰქონოდათ უცხოეთის კულტურის ცენტრებთან, კერებთან, იქ მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებთან. ის კი არა და, უცხოეთში თვითონაც აარსებდნენ კულტურის კერებს, სადაც არა მარტო თარგმნიდნენ სხვათა საუკეთესო თხზულებებსა თუ ნაშრომებს, არამედ კომენტარებსაც ურთავდნენ და საკუთარსაც, ორიგინალურსაც ქმნიდნენ. ამით ხელს უწყობდნენ საქართველოს წინსვლასა და განვითარებას, მის დაწინაურებას, მინიმუმამდე დაჰყავდათ ჩამორჩენის საფრთხე. ამ მხრივ რაოდენ ბევრის მოქმედია თუნდაც მარტო ათონელების, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და სხვათა მრავალთა მაგალითი და ნაღვაწი. დღეს საამისო ასპარეზი გაცილებით ვრცელია და ჩვენ იგი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენი მოსაზრებების საარგუმენტაციოდ შეგვეძლოს ბევრი ფაქტის, მაგალითის, ციფრების მოტანა, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ

ვხედავთ. გვჯერა, რომ ამ წერილში დასმული საკითხი ისედაც სავსებით ნათელი და გასაგებია. ქვეყნის ინტერესები და მომავალი მოითხოვს ამ საქმის შეუმღვრეველ და პრინციპულ დონეზე გადაჭრას. ამისათვის კი საჭიროა როგორც სათანადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გულწრფელი მოქმედება, ასევე მთელი საზოგადოების დაინტერესებაც.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენი ნათქვამი გულგრილად არ დატოვებს ამ საკითხით დაინტერესებულ არც ერთ ადამიანს.

ფაქტებს უნდა ვეყრდნობოდეთ

ბოლო წლებში რამდენიმე გამოჩენილი ქართველი მწერლის იუბილემ გადავიხადეთ და გამოვხატეთ ჩვენი დიდი მადლიერება მათ მიმართ. ბევრი დაიწერა და ითქვა მათ დამსახურებაზე და კარგადაც ითქვა.

ამავე დროს შეიმჩნევა, რომ ზოგი ორატორი ან ავტორი, ექსტაზის გამო თუ სხვა მიზეზით, უზუსტობას ამჟღავნებს ამათუიმ მწერლის შეფასებაში, ხშირად მათ ისეთს რამეს მიაწერენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

მაგალითისათვის ავიღოთ სულ ახლახანს ჩატარებული დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას იუბილე. საიუბილეო საღამოზეც და ზოგ წერილშიც იგი გამოაცხადეს ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის მამამთავრად, ფუძემდებლად. კ. გამსახურდიას დამსახურება და ადგილი ჩვენს ლიტერატურაში იმდენად დიდია, რომ მასზე სალაპარაკო ამოუწურავია. თუნდაც ამიტომაც მას ზედმეტი, სხვისი დამსახურების მიმატება არ სჭირდება. ცნობილია, რომ შალვა დადიანმა 1916 წელს დაიწყო და 1926 წელს დაამთავრა ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“, ხოლო კ. გამსახურდიას პირველი ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ დაიწერა მხოლოდ 1932 წელს. ხომ არაეინ გახდის სადავოდ, რომ 1926 წელი წინ უსწრებს 1932 წელს? ან იქნებ სიტყვა „მამამთავარი“, „ფუძემდებელი“ გვესმის სხვადასხვაგვარად? არა, ფუძემდებელი ისაა, ვინც დაიწყებს რაიმე ახალ საქმეს, ვინც საძირკველს ჩაუყრის. ასეა თუ ისე, ხარისხი კი არ იგულისხმება ამ ცნებაში, არამედ უფრო ქრონოლოგიური ნიშანი ივარაუდება. გარდა შალვა დადიანისა, როგორც ყველას მოეხსენება, ჩვენს საუკუნეში გვყავდა ერთი მეტად გამორჩეული და საინტერესო

მწერალი, რომელმაც სწორედ ისტორიული რომანებით გაითქვა სახელი. ესაა ვასილ ბარნოვი. მან „გიორგი რუსის“ შექმნამდე რამდენიმე წლით ადრე გამოაქვეყნა არაერთი ისტორიული რომანი. ვ. ბარნოვისგან, მისი რიტმული პროზისგან, საქართველოს წარსულით დაინტერესებისგან ბევრი მომდევნო მწერალია დავალებული.

ასეთია ფაქტები. რატომ უნდა ვივიწყებდეთ და არ ვითვალისწინებდეთ მათ, როცა რაიმე დებულებას ვაყენებთ? სხვათა შორის, არასწორ მოსაზრებას რაც უფრო ავტორიტეტული და მოხდენილად თქმის უნარიანი პირი გამოთქვამს, მით უფრო საშიშია, რადგან მასა მას უჯერებს, ხოლო სიმართლე იჩაგრება.

განა მარტო კ. გამსახურდიას ეხება ასეთი რამ?

ავიღოთ ჩვენი საყვარელი მწერლის ლეო ქიაჩელის მაგალითი. გინდა თუ არა, მას მიაწერენ საქართველოში სოციალისტური რეალიზმის დაწყებას. არც ესაა სწორი. საქმე ისაა, რომ მისი „ტარიელ გოლუა“ 1917 წელს გამოქვეყნდა პირველად, ხოლო გაცილებით ადრე დაიბეჭდა სხვა მწერლების ნაწარმოებები, რომლებშიც აშკარად და უტყუარად არის მოცემული სოციალისტური რეალიზმის ნიშნები, რასაც „ტარიელ გოლუაშიც“ ვამჩნევთ. რომ არაფერი ვთქვათ 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში შექმნილ და გამოქვეყნებულ ირ. ევდოშვილის რევოლუციურ პოეზიაზე, რომელშიც ასე მკაფიოდაა გამჟღავნებული ყოველივე ის, რაც მაქსიმ გორკის „დედაშია“, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმავე 1905 წელს დაიწერა და მაშინვე გამოქვეყნდა მ. ჭავჭავაძის მოთხრობა „ჯილდო“, რომელშიც დახატულია ქუჩის შეტაკებები თბილისელ მუშებსა და ცარიზმის ჯარებს შორის, ნაჩვენებია პროლეტარიატის ბრძოლა სოციალისტური წყობილებისათვის. ამ ფაქტს ვერსად გავექვეყნებთ, ანკი რატომ უნდა გავექვეყნებთ?

ქართული საბჭოთა კომედიის მამად პ. კაკაბაძეს ასახელებენ შაშინ, როცა ფაქტი სხვას გვეუბნება. ფაქტი კი ისაა, რომ შ. დადიანმა 1928 წელს შექმნა პირველი ქართული საბჭოთა კომედია „კაკალ გულში“, რომელიც წლებით წინ უსწრებდა კაკაბაძისას. სხვისი სხვას რად უნდა მივაწეროთ? განა პ. კაკაბაძის როლი დაკნინდება, თუ დამწყებად არ მოვნათლავთ? განა „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“ ისედაც შედევრები არაა?

განმოჩინო ქართველ მწერალ ნიკო ლორთქიფანიძეზეც წასცდებთ ხოლმე, ქართული ნოველის მამამთავარი, მაგრამ არც ესაა სწორი. საქმე ისაა, რომ მასზე ადრე ნოველებს წერდა შიო არაგვის-პირელი და კიდევ უფრო ადრე — გენიალური ვაჟა-ფშაველა.

ლამაზი სიტყვა კარგია და ეს ნიჭის გამოვლინებაა, მაგრამ ფაქტი უფრო უტყუარია და მას უნდა ვეყრდნობოდეთ.

ბევრი ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე დაინტერესებულა მე-20 ს. შესანიშნავი ქართველი მესტიყვის ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით. დაწერილი და გამოქვეყნებულია არცთუ ცოტა სტატია, ნარკვევი, მონოგრაფია, რომლებშიც გარკვეულია ამ მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტი. მათ რიცხვს მიემატა ელისო აბრამიშვილის ნაშრომიც, რომელშიც ავტორი მიზნად ისახავს ნ. ლორთქიფანიძე წარმოგვიდგინოს როგორც მცირე ჟანრის ოსტატი. ნაშრომში განხილულია საკითხთა ასეთი წრე: ნოველის საკითხის ისტორია, ნოველის კონკრეტულ სახეთა სხვადასხვაობა, ნიკო ლორთქიფანიძის ნოველისა და მოთხრობის შეპირისპირება („ტრაგედია უგმიროდ“ და „შეგირდი“), ნოველის გაგებისათვის, ლირიზმი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ლირიზმის ბუნებისათვის, ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებები, სუფთა ლირიკული ნაწარმოებები, ლირიზმი პატრიოტული თემის დამუშავების ფარგლებში, ლირიზმის სათავეები ფეოდალური ურთიერთობის ამსახველ ნაწარმოებებში; სატირა და იუმორი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში; სატირისა და იუმორის ბუნებისათვის, ნიკო ლორთქიფანიძის სატირული და იუმორისტული ნაწარმოებების შეპირისპირება („რუმბი“ და „ფეოდალები“), ნიკო ლორთქიფანიძის ორი იუმორისტული ნაწარმოები — „ეპისკოპოსი ნადირობაზე“ და „ბუმბერაზი“. ლირიკისა და იუმორისტულის ურთიერთმიმართება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში; ლეგენდარულ-ზღაპრული ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

ყველა ამ საკითხის განხილვის დროს მკვლევარი თეორიული და ზოგადი მოსაზრების განვითარებისა და მსჯელობისას მიმართავს ნიკო ლორთქიფანიძის ამა თუ იმ ნაწარმოებს, განიხილავს მათ როგორც რომელიმე დებულების ილუსტრაციას კი არა, არამედ თავისთავად. ამ გზით ელისო აბრამიშვილი შეეხო როგორც ე. წ. მცირე ჟანრის თხზულებებს, ისე სხვებსაც. თუ არ ვცდებით, ამ თვალსაზრისით გამო-ნაკლისია მხოლოდ „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, რომელიც ნ. ლორთქიფანიძის ერთ-ერთი მრავალმხრივ საინტერესო ვრცელი ნაწარმოებია, რომელსაც ავტორი არც კი ახსენებს.

ეს შენიშვნა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: თუკი ნაშრომში მოიძებნა ადგილი და კუთხე, რომ განხილულიყო „რაინდები“, „მრისხანე ბატონი“, „ჟამთა სიავე“ და სხვები, თუმცა ისინი მცირე ჟანრს არ განეკუთვნებიან და ამიტომ, ნაშრომის თემიდან გამომდინარე, არც

უნდა განხილულიყო, მაშინ „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ რატომ დარჩა ე. აბრამიშვილის თვალთახედვის გარეთ?

წინასიტყვაში ავტორი აცხადებს, რომ ნ. ლორთქიფანიძეზე დაწერილია ოციოდე წერილი და ორი მონოგრაფია. ვთქვათ, ეს რიცხვი სწორია, მაგრამ რას გვაძლევს ამის მართო აღნიშვნა? საჭირო იყო ამ ოცზე მეტი ავტორის მოსაზრებლათა განხილვა, გასაზიარებელის გაზიარება და მიუღებლის კრიტიკა. მაშინ, ერთი მხრივ, ის მოგვაწვდიდა საკითხის ისტორიას, რაც აუცილებელია სამეცნიერო ნაშრომისათვის, მეორეს მხრივ, გამოკვეთდა საკუთარ პოზიციას და წარმოაჩინდა იმ ახალს, რაც მას გაუკეთებია ნ. ლორთქიფანიძის კვლევაში. ცხადია, აუცილებელი იყო ამ მონაკვეთის გავრცობა და საკითხის ისტორიის სრულფასოვანი გაანალიზება.

შესავალი ნაშრომის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია. მასში ავტორი წარმოგიდგება ერუდირებულ და გემოვნებიან ლიტერატორად, რომელსაც შეუძლია ანალიზიც და განზოგადებაც. აქ მითითებულია ნიკო ლორთქიფანიძის ქართულ წინამორბედებზე მცირე ჟანრში, იმ ტრადიციებზე, რომელიც ამ თვალსაზრისით ქართულ მწერლობას ახასიათებს და გამოაქვს მართებული დასკვნა, რომ „ნ. ლორთქიფანიძემ არა მარტო განეჭრძო თავისი წინამორბედი მწერლების მიერ დაწყებული გზა, არამედ სრულიად განსხვავებული ნიუანსებიც შეიტანა მხატვრული პროზის ამ სახეობაში და ხელი შეუწყო ამ ჟანრის შემდგომ განვითარებას ჩვენს სინამდვილეში“. მართებულია მკვლევარის დასკვნა, რომ „წამყვანი მისთვის (ნ. ლორთქიფანიძისთვის — ტ. კ.) რეალისტური მეთოდია და არა იმპრესიონისტული“. საინტერესოა ავტორის დაკვირვება, რომ ნ. ლორთქიფანიძემ „განსახიერების მთავარ საგნად ცხოვრების ემოციური ასპექტი დაისახა“. მართალია, აქ აზრი მკაფიოდ არ არის გამოთქმული, მაგრამ შემდგომ მსჯელობაში ნათელი ხდება ავტორის თვალსაზრისი. გასაზიარებელია ე. აბრამიშვილის დებულება, რომ „ნ. ლორთქიფანიძე შესანიშნავად იყენებს მინიატურის ჟანრულ შესაძლებლობას“, რომ „მინიატურა მისი მხატვრული პროზის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია“, რომ „ტექსტი იმ მინიატურებისა, რომლებშიაც გრძნობებია ვაცოცხლებული, რიტმიზებულია“, რომ „პოეტურ აღმაფრენას ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში ინტენსიურს ხდის აგრეთვე ინტონაციური მახვილების ხაზგასმა“, რომ „ლექსისებურ განწყობილებას იწვევს აგრეთვე ნ. ლორთქიფანიძის მინიატურათა არქიტექტონიკაც, რაც პირველ რიგში ტექსტის საგნების დანაწევრებასა და თითქოსდა საგანგებოდ დაკბილულ აბზაცთა სიუხვეში გამოიხატება“.

საინტერესოა ავტორის დაკვირვებაც, რომელშიც იგი ამბობს:.

„ნ. ლორთქიფანიძის სიუჟეტთან ნაწარმოებთა უმეტესობა. მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს მოთხრობასა და ნოველას შორის“.

ქოლა ლომთათიძის პროზის ლირიზმისა და ნ. ლორთქიფანიძის პროზის ამავე თვისების შედარებისას ავტორი ასკვნის, რომ „ეს უკანასკნელი უფრო მეტი ნაირსახეობის შემცველია“.

ვიზიარებთ მკვლევარის დასკვნას, რომ „ესთეტიკური ტიპობის მთავარ წყაროს ნ. ლორთქიფანიძის ლეგენდარული და ზღაპრული შინაარსის მქონე თხზულებებში ფანტასტიკურისა და რეალურის, სასწაულებრივისა და ჩვეულებრივის ჰარმონიული მონაცვლეობა შეადგენს“.

საყურადღებოა აგრეთვე ე. აბრამიშვილის მიერ ნ. ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედების დაყოფა ლირიკულ, ლირიკულ-ეპიკურ, სატირულ, იუმორისტულ, ლეგენდარულ-ზღაპრულ შინაარსის მქონე ნაწარმოებებად. მთელი ნაშრომი სწორედ ამ კლასიფიკაციის აღიარებას ემყარება და მწერლის შემოქმედების განხილვაც ნაშრომში ამაზეა აგებული. სხვა საქმეა, რომ ეს დაყოფა ეგზე სადავო იყოს, მაგრამ უდავოა, რომ იგი სიახლეა ნ. ლორთქიფანიძის შესწავლაში.

ნაშრომის იმ ქვეთავში, სადაც ნოველის ისტორიაზეა საუბარი. კონსპექტურად მიმოხილულია უცხოელ, რუს, ქართველ სპეცი-ალისტთა და გამოჩენილ მწერალთა მოსაზრებები ნოველის ჟანრულ თავისებურებებზე. ცნობილია, რომ მათი ერთი ნაწილი მოთხრობას აიგივებს ნოველასთან, ნაწილი საერთოდ უარყოფს ნოველის ცალკე ჟანრად არსებობას, უმეტესობა კი ნოველას მიიჩნევს გამოკვეთილი სპეციფიკის მქონე პროზაულ ჟანრად, რომელსაც ახასიათებს რამდენიმე საკუთარი ნიშანი. მართალია, ამ ნიშანთა მითითებისას ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან, მაგრამ მათ შორის საერთოც ბევრია. ამ ზოგადი მოსაზრებებიდან, სადაც ავტორი არ ამკვლევებს საკუთარ პოზიციას, იგი გადადის მომდევნო ქვეთავზე, რომელშიც განიხილავს ნოველის კონკრეტულ სახეთა სხვადასხვაობას.

აქ განხილულია პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“, გი დე მონპასანის „მთვარის შუქი“, ო ჰენრის „ხელოვნებისადმი სიყვარული-სათვის“, ა. ჩეხოვის „საჩივრის წიგნი“, ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფ-რიანი დედაკაცი“. გამოჩენილი მწერლების ამ ნიმუშების დეტალური ანალიზის შედეგად ავტორს გამოაქვს დასკვნები, რომ ყველა ნოველას არ ახასიათებს ის ნიშნები, რომლებიც საყოველთაოდ გაზიარებულია ნოველის ჟანრული სპეციფიკის დადგენისას.

იმის მიუხედავად, რომ ნაშრომის ამ ვრცელ მონაკვეთში გამომ-ქვადებულია კონკრეტული მასალის ცოდნა და ანალიზის მშვენიერი

უნარი, ლიტერატურული მსჯელობისა და მახვილი დაკვირვებების ნიჭი, მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ბევრი შენიშვნა დაგვებადა. ჯერ ერთი, სრულიად ზედმეტია ზემოდსახელბული ნოველების მოკლე შინაარსების გადმოცემა. ნუთუ ავტორი არ ენდობა მკითხველს და ეჭვობს, რომ ეს ნაწარმოებები მან არ იცის? მაშინ საკითხავია, ვინ ეგულება მკვლევარს თავისი ნაშრომის მკითხველად? მეორე, კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ თითო ნიმუშის მიხედვით არ შეიძლება რაიმე გადაჭრილი დასკვნის გამოტანა. ყოველი დებულების ან მოსაზრების საილუსტრაციოდ ყოველთვის შეიძლება გამოიყენოს მაგალითის მოძებნა, მაგრამ განზოგადებისათვის ერთი კერძო შემთხვევა არასოდეს კმარა. შენიშვნა უფრო გასაგები რომ იყოს, მივმართოთ ფაქტს. ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის“ განხილვის შემდეგ ავტორს გამოაქვს დასკვნა: „არ უნდა იყოს მართალი, რომ ნოველაში მაინცდამაინც განხორციელებული უნდა იყოს „გაუგონარი“ თუ „არნახული“ შემთხვევა, რადგან „თავსაფრიანი დედაკაცი“ სწორედ ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ ამბავზეა აგებული. არც ის ტრადიციულად გამტკიცებული შეხედულება უნდა იყოს სავსებით სწორი, რომლის მიხედვითაც ნოველაში აუცილებლივ ერთი შემთხვევა, ერთი ეპიზოდი, ცხოვრების ერთი მოწაკვეთი უნდა იყოს გამოხატული.

გამოდის, რომ ავტორი იღებს ერთ ნებისმიერ ნაწარმოებს, მისი მოსაზრების გამმართლებელს, და, მისი ანალიზის შემდეგ, მოგვაწვდის მისთვის სასურველ დასკვნას. ეს მეთოდი სწორი არ არის.

რაც შეეხება, კერძოდ, „თავსაფრიან დედაკაცს“, აქ ავტორმა მოხსნა ნოველისათვის საყოველთაოდ აღიარებული ორი დამახასიათებელი ნიშანი — უჩვეულო ამბის თხრობა და გმირის ცხოვრების ერთი ეპიზოდის ჩვენება — მერე გააკეთა დასკვნა, რომ ეს ნიშნები ნოველის ჟანრისათვის აუცილებელი არ ყოფილაო. ახლა ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: სწორედ ამიტომ, რომ ამ ნოველაში გმირის მთელი ცხოვრება, მისი თავგადასავალი, მთელი ამბებია მოთხრობილი, თუმცა მოკლედ, მაგრამ სრულადაა ნაჩვენები გმირის ახალგაზრდობა, გათხოვება, შვილების გაჩენა, დაქვრივება, ობლების დაზრდა, მათი დაოჯახება, განაწყენება, გაქცევა, სიკვდილი, სოციალური გარემო, სწორედ ამის გამო ეს ნაწარმოები ეგებ არც არის ნოველა და მოთხრობაა? განა თქვენ დაამტკიცეთ, რომ იგი მაინცდამაინც ნოველაა და არა მოთხრობა, რომელშიც გმირის თავგადასავლის თხრობა ბუნებრივია?

ერთი სიტყვით, გამოიყენებოდა დებულებათა აგება გაუმართლებელია და ამიტომ არადამაჯერებელიც.

სამწუხაროდ, ეს ეხება არა მარტო „თავსაფრიან დედაკაცს“.

მკვლევარმა აიღო ორი ფრანგული, ერთი ამერიკული, ერთი რუსული, ერთი ქართული ნოველა და მათი მაგალითის მიხედვით მოხსნა ნოველის ზოგიერთი სპეციფიკა. საქმე ისაა, თუ რა პრინციპით შეარჩია ეს ნოველები, ხომ არ არსებობს ამ სახის საწინააღმდეგოდ ასეულობით ნოველა, რომელთა მაგალითზე მიღებულა საყოველთაოდ გაზიარებული დასკვნები? სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ განხილული ნოველები გამონაკლისი ხომ არ არის და ამიტომ განზოგადებული დასკვნებისათვის უკმარისი?

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომ ზოგ ნოველაში თავს იჩენს ესა თუ ის თავისებურება, ესა თუ ის ნიშანი და არა ყოველი მათგანი, ან ჭარბობს ესა თუ ის ნიშანი, ხოლო ზოგი მათგანი მკრთალად ახასიათებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო ნოველებში, არამედ ლიტერატურის სხვა ჟანრებშიც. აქ სიახლეს ადგილი სრულიადაც არ აქვს.

ზოგადად სწორია ე. აბრამიშვილის დებულება, რომ „ნოველის არსებითი ნიშანი უნდა ვეძიოთ მისი მიზანდასახულობის ხასიათსა, მასალის გარკვეულ თავისებურებებსა და იმ გზებში, რომლითაც მწერალი ახერხებს ნაწარმოების დედააზრის გამოხატვას (გვ. 114). მაგრამ განა ეს მხოლოდ ნოველაზე ითქმის? ყველა ჟანრზე ზოგადად ასევე შეიძლებოდა თქმა. ამიტომ ჯობდა კონკრეტულად გამოეკვეთა, თუ სახელდობრ, რომელი „თავისებურებები და გზები“ გამოიყენება ნოველის თხზვისას.

ავტორი ნაშრომის რამდენიმე გვერდს უთმობს ნ. ლორთქიფანიძის ერთი ნოველისა და ერთი მოთხრობის შეპირისპირებას („ტრაგედია უგმიროდ“ და „შეგირდი“). მოსაწონია ამ ორი ნაწარმოების ტექსტობრივი ანალიზი. მკვლევარი ამტკიცებს, რომ პირველი ნაწარმოები ნოველაა, მეორე კი მოთხრობა. დებულება სწორია, მაგრამ საფუძველი, რომელსაც ავტორი ეყარება, საფუძველად არ უნდა კმაროდეს. საქმე შემდეგშია: პირველი ნაწარმოები ავტორს ნოველად იმიტომ მიუჩნევია, რომ იქ თხრობა დინამიურია, მეორე კი მოთხრობაა, რადგან მასში თხრობა დინამიური არ არის. განა ეს საფუძველი კმარა მათი ჟანრული გამიჯვნისათვის? არ კმარა, რადგან დინამიური თხრობით არა მარტო ნოველები, არამედ მოთხრობები და რომანებიც იწერება. ეს ხომ მწერლის სტილსა და წერის მანერაზეა დამოკიდებული და არა მაინცდამაინც ჟანრზე. მეტის თქმაც შეიძლება: შეიძლება ნოველაც არ იყოს ე. წ. დინამიური თხრობით შესრულებული.

ნაშრომში ხაზგასმით წერია, რომ „ნოველაში დასმული მიზანი მკითხველამდე ემოციური ეფექტის გზითაა მიტანილი. ეს არის ის არსებითი, რაც მას

გამოყოფს მოთხრობის აგან“ (ეხება „ტრაგედიის უგმი-
როდ“ — ტ. კ.). მომდევნო ტექსტში კი განზოგადებულად წერს ავტო-
რი ისევე ხაზგასმით „ნოველაში ამავე დროს აუცილებელ-
ია განუწყვეტელი დაძაბულობის, დინამიკუ-
რობისა და მწვავე, გამძაფრებული ემოციების
არსებობაც“. აქ მახვილს ვაკეთებთ სიტყვებზე „მწვავე, გამძა-
ფრებული ემოციების არსებობაც“, რადგან მეორდება წინა გვერდი-
დან მოტანილი ციტატის აზრი. ცხადია, ემოციების გამძაფრება ნოვე-
ლას სრულიადაც არ ავენებს, მაგრამ განა ეს თვისება საერთოდ არ არის
მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი თვისებათაგანი? თუ მხატ-
ვრულ ნაწარმოებს მკითხველში ემოციების გამძაფრების ძალა არ
შესწევს, ის არც არის სრულყოფილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ
მხატვრული ლიტერატურა, ჟანრების მიუხედავად, მოქმედებს ადამი-
ანის გონებაზეც და ემოციებზეც ერთდროულად. ამაშია მისი ძალა.
მაგრამ სწორი არ არის, როცა ემოციების გამძაფრებას მხოლოდ ნო-
ველის ნიშან-თვისებად მივიჩნევთ. განა შექსპირის ტრაგედიებს ემო-
ციათა გამძაფრება აკლია იმის გამო, რომ ისინი ნოველები არ არის?

წინააღმდეგობრივად მიგვაჩნია ნაშრომში განვითარებული ორი
თვალსაზრისი. პირველ აბზაცში წერია: „ნ. ლორთქიფანიძის თხზუ-
ლებათა უმეტესობა არ შეიძლება კლასიკურ ნოველად ჩავთვალოთ.
ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო გარდამავალ საფეხურს წარ-
მოადგენენ მოთხრობასა და ნოველას შორის“. მეორე აბზაცის ბოლო-
ში კი ავტორი წერს, რომ „... ნ. ლორთქიფანიძის ნოველის ოსტატად
მიიჩნევენ“. თუ ამ მწერლის თხზულებათა უმეტესობა არ არის ნოვე-
ლა, რაღაც საშუალოა ნოველასა და მოთხრობას შორის, მაშინ ნოვე-
ლის ოსტატად მისი მიჩნევა საექვო გახდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ
ან წინა დებულება არ არის გამართული, ან ბოლო დასკვნა ხდება სა-
ექვო. სხვათა შორის, ამით ეკვის ქვეშ დგება ნაშრომის სათაურში გა-
მოტანილი დებულებაც „ნიკო ლორთქიფანიძე — მცირე ჟანრის ოს-
ტატი“. რისი ოსტატი ყოფილა მწერალი მცირე ჟანრში, მხოლოდ მი-
ნიატურისა?

ამით ამოიწურა ნაშრომის პირველი თავი, რომელიც უშუალოდ
უპასუხებს სადისერტაციო ნაშრომის მიზანდასახულებას. შემდეგ
მოდის თავი, რომელსაც ეწოდება „ლირიზმი ნიკო ლორთქიფა-
ნიძის შემოქმედებაში“. აქ ჯერ გამოყოფილია საკითხი „ლირიზმის
გაგებისათვის“, შემდეგ კი მსჯელობა გადატანილია ე. წ. ლირიკულ-
ეპიკურ ნაწარმოებებზე. მაგალითად, „თავსაფრანხი დედაკაცი“ მიჩნე-
ულია ასეთად (გვ. 149). 150-ე გვერდიდან იწყება და რამდენიმე

გვერდზე გრძელდება ნიკო ლორთქიფანიძის რიგი ნაწარმოების მოკლე შინაარსის გადმოცემა. ვფიქრობთ, რომ ამისი აუცილებლობა ძნელი დასამტკიცებელია.

ნაშრომში „კომიუტრს“ (დ. კლდიაშვილთან) უპირისპირდება „ლირიკული“ (ნ. ლორთქიფანიძესთან). ვფიქრობთ, ასეთი დაპირისპირება ისევე არ შეიძლება, როგორც, ვთქვათ, „ცხელი“ არ შეიძლება დაუპირისპირდეს „მაღალს“. იქვე „დანგრეული ბუდეები“ გამოცხადებულია „პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშად“. რატომ პოეტური პროზისა? საჭირო ხომ არ იქნებოდა ამისი დამტკიცება? ანდა ხომ არ იკმარებდა მისი მიჩნევა, უბრალოდ, პოეტურის გარეშე, პროზის ნიმუშად?

„თუ ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებების წერისას ნ. ლორთქიფანიძე, ჩვეულებრივ, მოთხრობებსა და ნოველებს მიმართავს, სუფთა ლირიზმს ის ისევე, როგორც მოსალოდნელი იყო, უფაბულო მინიატურებში ახორციელებს“. ესაა ამოსავალი დებულება ქვეთავისა, რომელსაც „სუფთა ლირიკული ნაწარმოებები“ ჰქვია. დებულება სწორად გამოხატავს საქმის ვითარებას. იგი მკვლევარის მიერ დასაბუთებულია რამდენიმე მინიატურის განხილვის გზით („რა გენაღვლება მე რომ მიყვარდე“, „ის“, „საშინელი მდგომარეობა“).

ე. აბრამიშვილს დაკვირვება უწარმოებია იმაზეც, რომ ნ. ლორთქიფანიძე პატრიოტული თემის დამუშავებისასაც მიმართავს ლირიზმს. ავტორი კარგად ანალიზებს შესაბამის მინიატურებს, მწერლის იდეური ჩანაფიქრის მხატვრული განაღვლების ფორმებს და ხერხებს განიხილავს მშვენიერად. განსაკუთრებით გამოირჩევა სიტყვიერი მარაგის შერჩევით მიღებული ემოციების ცხადად ჩვენება. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ მინიატურებს „რეკვა“, „გული“. კარგია მათი ანალიზი და შეჯამებული ფინალი.

ნაშრომში მსჯელობა ეძღვნება ლირიზმის სათავეებს ფეოდალური ურთიერთობის ამსახველ ნაწარმოებებში. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხის დასმა თავისთავად ხელოვნურია. რადგან ასე რომ გავყვეთ, ლირიზმი ყოველგვარ ნაწარმოებში შეიძლება შევამჩნიოთ რაიმე დოზით. ამასთანავე ამ ქვეთავში გვხვდება რამდენიმე უზუსტობა, რომელიც ავტორს არ უნდა გაპარვოდა. მაგალითად, ლაპარაკია „მრისხანე ბატონზე“, „ჟამთა სიავეზე“. „რაინდებზე“ და განცხადებულია, თითქოს „არც ერთ მათგანში არ ვხვდებით ისტორიულად ცნობილ პიროვნებას“. „რაინდების“ მიმართ ეს დებულება სწორი არ არის. ბოლოს კი ავტორი ავითარებს აზრს, რომ „... ნ. ლორთქიფანიძე ჩვენს სინამდვილეში ერთ-ერთი პირველი მწერალია, რომლის შემოქმედებაში ისტორიული საქართველო წარმოდგენილია მხოლოდ უარ-

ყოფითი მხარეებით...“ ეს დებულება სწორი არ არის, რადგან „რან-დებშიც“, „ჟამთა სიავეშიც“, „დანგრეულ ბუდეებშიც“ ამ აზრის საწინააღმდეგოს ცოტას როდი შევხვდებით.

საერთოდ, ამ ქვეთავის მიმართ მრავალი შენიშვნა გვაქვს. ამათგან ორი მაინც უნდა დავასახელოთ: მასში გვხვდება განსახილველ ნაწარმოებთა შინაარსების გადმოცემა და მათი იდეური ანალიზი უფრო მეტია, ვიდრე „ლირიზმის სათავეების“ ჩვენება, რაც ამ ქვეთავის მიზანი იყო. ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, სრულიად ზედმეტია ამ დიდი ნაწარმოებების განხილვა, რადგან ნაშრომი ეძღვნება „მცირე ჟანრს“ და არა ამ ვრცელ ნაწარმოებებს.

მესამე თავში განხილულია სატირა და იუმორი ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. აქ იგულისხმება მთელი შემოქმედება, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, მოსალოდნელი იყო მხოლოდ „მცირე ჟანრზე“ მსჯელობა. საერთოდ, ამ თავში განხილული ნაწარმოებების ანალიზი უდავოდ მოსაწონია. ცალკეული პერსონაჟები მოხდენილად არის დახასიათებული, გახსნილია მწერლის უნარი ტიპებისა და სიტუაციების ხატვისა, იუმორის მომარჯვებისა.

მთავარი შენიშვნა ამ თავის მიმართ იმაში გამოიხატება, რომ „რუმბი“, „ფეოდალები“, „ეპისკოპოზი ნადირობაზე“ და „ბუმბერაზი“ მკვლევარს ხელაღებით მიუჩნევია სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებად, რაზედაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით. სატირისა და იუმორის გამოყენება მწერლის ნებისმიერ ნაწარმოებში განა მას ყოველთვის სატირულ ან იუმორისტულ ნაწარმოებად აქცევს? ასე რომ იყოს, მაშინ დ. კლდიაშვილის მოთხრობებიც იუმორისტული ყოფილა. მაგრამ, განა დ. კლდიაშვილი იუმორისტულ მოთხრობებს წერდა? როგორ, „ნიანგის“ სერიით გამოცემული მოთხრობები და დ. კლდიაშვილის მოთხრობები ერთ პლანში უნდა განვიხილოთ? ასევე ითქმის ნ. ლორთქიფანიძის ზემოთ აღნიშნულ თხზულებებზეც.

პრობლემატურობით გამოირჩევა ნაშრომის მე-4 და მე-5 თავები, რომლებშიც განხილულია ლირიკულისა და იუმორისტულის ურთიერთმიმართება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ამ პრობლემების შესწავლა, საკითხთა ამ კუთხით განხილვა უდავოდ ახალიც არის და საინტერესოც.

ძალზე დასაანანია, რომ ნაშრომს არ აქვს დასკვნები, რომელშიც შეჯამდებოდა კვლევის შედეგები. მართალია, დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ ზოგი დებულება გატანილია ნაშრომის შესავალში, მაგრამ იქ მაინც სხვა ფუნქცია ხორციელდება, ვინემ დასკვნებში.

ჩვენთვის გაუგებარია აგრეთვე ავტორის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნოველის ისტორიას და ამ ქანრის ბუნების გაგებას ნაშრომში მიეძღვნა ორი ქვეთავი, ხოლო ისეთ მცირე ქანრს (რომელიც ნ. ლორთქიფანიძის ერთ-ერთი საყვარელი ქანრია), მინიატურას, რასაც ჩვენი მკვლევარიც განიხილავს, ავტორი თითქმის უყურადღებოდ ტოვებს მისი ისტორიისა და თეორიის შესწავლის თვალსაზრისით. განა ეს ქანრი საერთოდ უფრო მეტადაა შესწავლილი, ვინემ ნოველა და ამიტომ ზედმეტი იქნებოდა მისი ისტორიისა და თეორიის წარმოჩენა? არა, სწორედ პირუკუ. საკითხი ასე დგას: ან ნოველის ისტორია და ბუნებაც სპეციალურად არ უნდა განეხილა ავტორს, ანდა მინიატურებიც უნდა განეხილა, რადგან მცირე ქანრში, საერთოდ, და ნ. ლორთქიფანიძისთან კერძოდ, ორივე ეს ქანრი თანაბრად არის გამოყენებული. სამწუხაროა, რომ დავკარგეთ შემთხვევა მინიატურის და კიდევ სხვა მცირე ქანრების შესახებ მიგველო მწყობრი თვალსაზრისი.

ასეთია ელისო აბრამიშვილის ნაშრომის ავკარგის თუმც არასრული, მაგრამ ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

როგორც ამ რეცენზიიდან დაინახეთ, ნაშრომის ღირსებები და ნაკლოვანებები, ჩვენი აზრით, ერთმანეთს აწონასწორებენ.

ქართული საბჭოთა კომედია, განვითარების ძირითადი თავისებურებანი

კვლევის საგნად აღებული პრობლემა — ქართული საბჭოთა კომედიის განვითარების ძირითადი თავისებურებების შესწავლა-დადგენა — უაღრესად საინტერესო და საჭიროა. ჩვენში უკვე შესწავლილია ქართული საბჭოთა რომანი, გამოკვლევები დაიწერა ლირიკაზე, პოეტურ ეპოსზე და ა. შ. განსახილველი ნაშრომი კი ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას გააჩნია, კერძოდ, კომედიის შესწავლაში. მართალია, დრამატურგიას კარგა ხანია მიეძღვნა სპეციალური გამოკვლევები, მაგრამ სარეცენზიო ნაშრომი, ჭერ ერთი, კერძოდ კომედიას ეხება, მეორეც, უფრო ღრმად და ყოველმხრივად იკვლევს საკითხს.

დიმიტრი იოვაშვილს თავისი შრომა შემდეგნაირად აუგია: შესავალი, შემდეგ ნაწილი პირველი, რომელშიც განხილულია კომედიის ქანრობრივი სპეციფიკის საკითხები; მეორე ნაწილი ეძღვნება ქართულ საბჭოთა კომედიას. აქ გამოყოფილია ორი თავი: პირველში ლა-

პარაკია ქართული საბჭოთა კომედიის განვითარების ძირითად ტენდენციებზე, ხოლო მეორე თავში სპეციალურად არის განხილული ქართული საბჭოთა კომედიის ღირსშესანიშნაობანი, ე. ი. საუკეთესო კომედიები.

რეცენზენტს პირველ რიგში თვალში მოხვდება ამ ნაშრომის მდიდარი შინაარსი და საყიბების ღრმა ანალიზი, კომედიის ისტორიის, ამ ჟანრის თეორიის ზედმიწევნითი ცოდნა მეცნიერების მიღწევათა დღევანდელ დონეზე და ამ ფართო ცოდნის მარჯვე გამოყენება კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზისას. ამას დაუვმატოთ მკვლევარის ზედმიწევნითი კეთილსინდისიერება სხვა მკვლევართა ნაშრომების შესწავლა-გამოყენებაში, ყველა წინამორბედის მოსაზრების გათვალისწინება და ძნელი არ არის მივხვდეთ, რომ შედეგიც სასურველი და სასიამოვნო მივიღეთ.

შესავალში დ. იოვანავილი ეხება საქართველოში კომედიის სათავეებს და შემდეგ იძლევა მოკლე ექსკურსს, რომელიც საკმაო სისრულით ამოწურავს ქართული კომედიის განვითარების ისტორიას. მინიატურული სცენებით იწყება ქართული დრამატურგია. ასეთებია იასე მიქაძე-ბარათაშვილის, თ. ბატონიშვილის, ალ. ამილახვარის, ავთ. თუმანიშვილის დრამატული თხზულებები, რომლებიც შექმნილია XVIII ს. სამოციანი წლებიდან XIX ს. ორმოციან წლებამდე.

მინიატურული სცენებით გამოჩნდა ასპარეზზე გ. ერისთავიც, რომელმაც 1839-40 წლებში სახელი გაითქვა ტრაგიკომიკური ხასიათის პოემა „შეშლილით“ და საყოფაცხოვრებო კომედია „დავით“. ეს იყო მე-19 ს. ქართული კლასიკური კომედიის განვითარების წინა ეტაპი. ამ დროს შეიქმნა აგრეთვე ოქ. წერეთლის „ქორწილი იმერეთის თავადისა“, რაც საკმაოდ ვრცელი კომედიაა.

ნაშრომში შემდეგ საუბარია გ. ერისთავის კომედიებზე, რაც საფუძვლად დაედო 1850 წ. აღორძინებულ ქართულ თეატრს. ამ კომედიების მნიშვნელობას მკვლევარი იმაშიც ხედავს, რომ მათ საფუძველი მოუზნადეს ქართულ რეალიზმს. სწორად მიგვაჩნია ავტორის დებულება, რომ გ. ერისთავი იყო ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე აღმართული ფიგურა — პოეზიაში რომანტიკოსი, ხოლო კომედიებით რეალისტი. დ. იოვანავილი შემდეგ სწორად განიხილავს „გაყარას“, შენიშნავს მის რეალისტურ პოზიციას და იმ სიახლეს, რომ ავტორმა მოქმედების ასპარეზი სოფლიდან ქალაქად გადმოიტანა.

ზ. ანტონოვის კომედიებიც ავტორს ამავე ასპექტში განუხილავს. მკვლევარს ისინი მიუჩნევია ჩვენში დამწყებად კომედიის იმ ფორმისა, რომელსაც ვოდვეილი ეწოდება, — მაგალითად, „განა ბიძამ ცოლი

შეერთო?“ , კ. მარჯანიშვილს კი „მზის დაბნელება“ ვოდევლილად მიუღია.

ამის მომდევნო მსჯელობა ეძღვნება სამოციანელთა დამსახურებას კომედიის განვითარებაში. აქ პირველი ადგილი ეთმობა ა. წერეთელს, რომლის კომედიებისა და ვოდევლილების განხილვასაც აქვე გვთავაზობს ავტორი.

შემდეგ მკვლევარი ეხება ილიას „დედა და შვილს“, „კაკო ყაჩაღს“ და მერე უფრო ვრცლად არის განხილული კომედიები „გლახა ჭრი-აშვილი“ და „მაჰანკალი“. აქ ხაზგასმულია სიახლე, რაც ვლინდება ილიას მიერ ხასიათის განსაკუთრებულ გამოკვეთაში.

აქვს. ცაგარელის ღვაწლს დრამატურგიაში, კერძოდ, კომედიაში ავტორი მალალ შეფასებას აძლევს და სწორად აღნიშნავს, რომ მის პიესებს („ხანუმა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ციმბირელი“) დღესაც ხალისით დგამენ თეატრსა თუ კინოში.

დ. იოვაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს ვაჟა-ფშაველას „ტყის კომედიას“, რომელიც დიდი პოეტის ერთადერთი კომედიაა.

დ. კლდიაშვილის „დარისპანის ვასაჰირი“ ავტორს დახასიათებული აქვს ტრაგიკომედიად. რაც სწორია.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ 80-იანი წლებიდან ჩვენში თავი იჩინა ტრაგედიისა და დრამის განვითარებამ, რასაც ბიძგი მისცა ვ. მაჩაბლის მიერ შექსპირის ტრაგედიების თარგმნამ. ეს და მომდევნო პერიოდი აღინიშნა ისეთი დრამებით, როგორცაა დ. ერისთავის „სამშობლო“, ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“, ალ. ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი“ და „არსენა“, შ. არაგვისპირელის „თავადი შიო“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „უბედურება“, ვაჟას „მოკვეთილი“ და ა. შ.

კომედიისადმი ინტერესი კვლავ განახლდა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში. მკვლევარის აზრით, ამას ხელი შეუწყო კ. მარჯანიშვილის მიერ ნიჟიერად დადგმულმა კომედიებმა „დევა“, „გაყრა“, „ხანუმა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გააზნაურებული მდაბიო“ და ა. შ. ამ დადგმებმა სტიმული მისცა ორიგინალური ქართული კომედიების შექმნას. მაგრამ ქართული საბჭოთა კომედიის განვითარების ყველაზე საგულისხმო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ერთგვარი დაბნეულობა, რაც გამოიწვია ნების შემოღებამ.

ოციანი წლების კომედიებიდან ავტორს გამოყოფილი აქვს შ. დანიანის „კაკალ გულში“, ს. ეულის, გ. ბუხნიკაშვილის. ს. ერთაწმინდელის, ა. მირცხულავას მცირე ფორმის პიესები.

ოცდაათიანი წლებიდან კვლავ წამყვანია შ. დადიანი და პ. კაკაბაძე, რომლებსაც გვერდში ამოუდგა ახალი თაობა (კ. ბუაჩიძე, ვალ. კანდელაკი, ვ. პატარაია, მ. ბარათაშვილი, გ. ქელბაქიანი).

ამ მიმოხილვის ბოლოს მკვლევარი ენება დრამატურგთა დღევანდელ თაობას — ო. იოსელიანს, ნ. დუმბაძეს, ა. სულაიაურს, თ. ქილაძეს, აკ. გეწაძეს და ა. შ.

მკვლევარი უყურადღებოდ არ ტოვებს ჩვენში კომედიის შესწავლის საკითხს — როგორც თეორიის, ისე ისტორიის თვალსაზრისით. აქ მითითებულია მ. დუდუჩავას, გ. ციციშვილის, დ. ბენაშვილის, გ. ლომიძის სპეციალური გამოკვლევები და მათთან ერთად მრავალი სხვა ნაშრომიც, რომლებშიც გაკვრით მაინც არის ლაპარაკი კომედიაზე.

როგორც ზემოთ ითქვა, შესავალი შეიცავს 64 გვერდს და ეს არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ მწყობრად შეიძლება ჩამოყალიბდეს ქართული კომედიის განვითარების გზა, სხარტად და ამომწურავად ითქვას მასზე.

ნაშრომის პირველი ნაწილი, რაც შესავალს მოსდევს, ეთმობა კომედიის თეორიას. აქ მოცემულია კომედიის ქანრული სპეციფიკის დახასიათება.

დ. იოვაშვილი განმარტავს, რომ „კომედია სასაცილოს ამსახველი ქანრია“ და შემდეგ სავსებით ამომწურავად და მართებულად მსჯელობს ქანრის ბუნებაზე, განიხილავს ყველა საყურადღებო მოსაზრებას ამ ქანრზე — დაწყებული ძველი ბერძნებიდან და შემდეგ ჰეგელის, კანტის, ჩერნიშევსკის და სხვა მრავალი ავტორის თვალსაზრისის გათვალისწინებით. მკვლევარი სწორად გამიჯნავს სასაცილოს ორ მხარეს: ვისაც დასცინიან და ვინც იცინის. აქვე სწორადაა შენიშნული, რომ სიცილი თავისთავად უკვე არის დამოკიდებულების გამჟღავნება ვინმეს ან რაიმესადმი. ამავე დროს დაიცინვის ობიექტიც სხვადასხვაგვარია: ან ისეთი, რომელზე უპირატესობასაც გრძნობს მოციხარი, ან გაუგებრობაში მოხვედრილი პირის მიმართ და ა. შ. ისიცაა გათვალისწინებული, რომ სასაცილოს მიმართ ისტორიული მიდგომაა მოსამარჯვებელი. ამავე დროს კლასობრივიც, რადგან რაც ერთისათვის სასაცილოა, მეორესთვის იგივე შეიძლება სატირალიც კი იყოს. მაგალითისათვის აქ მითითებულია ნიკოლოზ პირველის მდგომარეობა, როცა მან გოგოლის „რევიზორი“ ნახა და განაცხადა: ყველაზე მეტად მე მომხვდაო. ცხადია, მას არ გაუცინია.

შემდეგ ინგლისური, ფრანგული, ესპანური, ნორვეგიული, რუსული და ქართული კომედიების გაანალიზების საფუძველზე მკვლევარს გამოაქვს შესაბამისი მოსაზრებები კომედიის ქანრულ თავისებურებებზე, რის საფუძველზეც მიდის სათანადო დასკვნებამდე.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო საილუსტრაციო მასალების სიუხვე, არამედ მსჯელობის ძალა, გააზრების სიღრმე და ლოგიკური დასკვნები, რაც მრავალმხრივ საინტერესოა და დასმული პრობლემის ირგვლივ ამომწურავი პასუხის შემცველია.

ნაშრომის ამ პირველ ნაწილზე ჩვენი მალაღი აზრის მიუხედავად ავტორს უნდა მივაწოდოთ ორი უმნიშვნელო შენიშვნა: 1. არა გვეკონია, „ვეფხისტყაოსანში“ ქაჭეთის ციხის აღების წინ, სამი გმირის ცნობილი თათბირიდან, ავთანდილის თათბირი კომიკურის მაგალითად გამოდგეს იმის გამო, რომ იგი შეპარვის გეგმას სთავაზობს შეგობრებს. 2. იმის მიუხედავად, რომ ნაშრომის ამ ნაწილში კომიკურის წარმოშობის მრავალი ვარიანტია განხილული და, ამდენად, ამომწურავადაა წარმოჩენილი კომედიის სახეები, მაინც სასურველი იქნებოდა ბოლოს მოკლედ ჩამოყალიბებულიყო ყველა ეს სახე — კომპაქტურად, ერთად, ხელშესახებად. ამის საჭიროება იმიტომ იგრძნობა, რომ ტექსტში ეს სახეები მიმოხილულია.

ნაშრომის მეორე ნაწილს ეწოდება „თანამედროვე ქართული კომედია“. აქ პირველ თავად გამოტანილია ქართული საბჭოთა კომედიის განვითარების ძირითადი ტენდენციები. მათ შორის წინა პლანზე გამოტანილია კრიტიკული რეალიზმის თანამედროვე ტენდენციები ქართული საბჭოთა კომედიის განვითარებაში (ოციანი წლები). ამ კუთხით განხილულია ნ. აზიანის „დეზერტიკა“ (ლომგულაძეების გასაჭირი, ნიეთებისა და სინდისის გატანა ბაზარზე...); ირ. რამიშვილის „გაჭირვების ტალკვესი“ (1925 წ. აქ პირველადაა ნაჩვენები მსხვილი ბურჟუაზია — მექარხნე სირისკუდოვი, რომელიც ნუპის პერიოდში ცდილობს ქონების შენარჩუნებას, მაგრამ ახალი ადამიანი ვ. პირტახია მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს): აქვე განხილულია ნიკო შიუკაშვილის ორი კომედია, რომელიც მან მ. ჭავჭავიძის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მიხედვით შექმნა. ესენია „ამერიკელი ძია“ და „ძიას გასაბჭოება“. აგრეთვე ლაპარაკია თვითონ მ. ჭავჭავიძის ცდაზე, რომ დაეწერა კომედია.

აქ დასახელებულ ნ. აზიანისა და ნ. შიუკაშვილის კომედიებს ჩვენი მკვლევარი, სავსებით სამართლიანად, დიდ მხატვრულ ღირებულებას არ ანიჭებს, მაგრამ, აგრეთვე სამართლიანად, აღიარებს მათ როლს, რაც მდგომარეობს ახალი კომედიის დამკვიდრებისათვის ნიადაგის მომზადებაში.

შ. დადიანის კომედია „კაკალ გულში“ განხილულია მართებულად და სწორად არის შენიშნული, რომ ეს იყო პირველი ქართული საბჭოთა კომედია, რომელშიც სასაცილოდ გამოტანილი იყო ახალი ცხოვ-

რებისათვის ხელის შემშლელი გარემოებანი — ყუყუჩობა, მექრთამეობა, რაც ახალს ძველიდან გადმოჰყვება, აგრეთვე საბჭოთა აპარატში შემძვრალი გაიძვერების გამოაშკარაება, ახალი, დადებითი ტიპის დაპირისპირება ძველთან. ავტორს მიაჩნია, რომ კ. მარჯანიშვილის დადგმით ეს კომედია მოვლენა იყო.

დ. იოვაშვილი მალალ შეფასებას აძლევს პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“ და მიაჩნია, რომ იგი არის სწორთუპოვარი არა მარტო პროფესიონალური თვალსაზრისით, არამედ რევოლუციასთან მიტმასნილი ტიპის აღზევებისა და დაცემის ჩვენების თვალსაზრისითაც; კომედიაში ნაცარქექიობის მოტივის ჩვენებისა და, საერთოდ, ფოლკლორის მოტივების გამოყენების თვალსაზრისითაც.

მკვლევარი ვეთავაზობს იმ მთავარ აზრს, რომ ოციან წლებში კრიტიკული რეალიზმის ტენდენციები ყოფილა ერთ-ერთი ყველაზე საგულახსმო ნიშანი, თუმც სოციალისტური რეალიზმი უკვე მკვიდრდებოდა. კრიტიკული რეალიზმის ასეთ გაგებაზე ჩვენ განსხვავებული აზრისა ვართ და სათანადო შენიშვნას ქვემოთ გამოვთქვამთ.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია შემდეგი კომედიები: ხოზიკას „ხოჭოების დოლი“, კ. კალაძის „სახლი მტკვრის პირას“, ს. კლდიაშვილის „გრატის ქვრივი“ და „უქანასკნელი რაინდი“.

ნაშრომის მომდევნო ნაწილი ეთმობა სოციალისტური სინამდვილის დადებითი საწყისებისა და გმირის განხილვას ქართულ საბჭოთა კომედიაში (ოცდაათიანი და შემდგომი წლები). მთავარი დებულება აქ ის არის, რომ ოცდაათიანი წლებიდან და შემდეგ დადებითმა გმირმა მკვეთრად დაიკავა ადგილი ქართულ საბჭოთა სინამდვილეში. ამის მაგალითად მითითებულია პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, კ. ბუაჩიძის „მეცარი ქალიშვილები“, მ. ბარათაშვილის „პრიჭინა“ და სხვ.

აქ შენიშვნას იმსახურებს ავტორის უხერხული მსჯელობა, სადაც იშველიებს თავორის მოსაზრებას ქალის როლზე საზოგადოებაში, აქედან კომედიაში. ეს ნეგატიური აზრი ქვემოთ თითქოს შერბილებულია, მაგრამ ამით უხერხულობა თავიდან აცილებული არ არის.

მკვლევარი სწორად მსჯელობს ე. წ. უკონფლიქტობის „თეორიაზე“ დრამაში და მის დაძლევაზე (ომისშემდგომი პერიოდი).

მომდევნო მსჯელობა ეთმობა ტრაგიკულ ნაკადს დრამატურგიაში. ამის შედეგია ტრაგიკომედიების წარმოშობა ჩვენში, რასაც სათავე დაუდო დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჰირმა“, შემდეგ გაგრძელდა შ. დადიანის „გუშინდელნი“ და დ. კლდიაშვილის მოთხრობათა ინსცენირებებში. ვფიქრობთ, აქ ყველაფერი სწორია. აქვე განხილულია ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, მიჩნეულია იგი

ტრაგიკომედიად და გამოტანილია დასკვნა, რომ თანამედროვე სინამდვილე მასალას იძლევა ამ უნარის განვითარებისათვის, რაზეც უარი არ უნდა ვთქვათ. უნდა ვიზრუნოთ კომედიის ამ სახეობის შემდგომ განვითარებასა და მხატვრულ რაფინირებაზე.

პოეტური კომედიის განვითარების თანამედროვე ტენდენციების განხილვას ავტორი უძღვნის სპეციალურ თავს. რომელშიც ბევრი საყურადღებო და გასაზიარებელი მოსაზრება არის გამოთქმული. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ერთ-ერთი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქართული პოეტური კომედიები უხვად საზრდოობენ ხალხური შემოქმედებით. იქიდან იღებენ პროტოტიპებს და ტიპებს. კომედიების გმირთა მსგავსება ხალხური შემოქმედების გმირებთან ხშირად ხელშეისახებია (მაგალითად, ყვარყვარე თუთაბერი და ნაცარქექია...) და ა. შ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაჭირდება მკვლევარის იმ აზრის გაზიარება, თითქოს ყვარყვარე თუთაბერის, კომედიის ამ მთავარი გმირის, სასაცილო მდგომარეობა უნდა აიხსნას მისი ჭკუანაკლებობით, მისი გონებასუსტობით, ვფიქრობთ, ამგვარი ახსნა არ გამოდგება, სოციალური გარემოს გამორიცხვა არ შეიძლება. ამაზე დაფიქრება არის საჭირო.

ქართული საბჭოთა კომედიის ღირსშესანიშნაობანი უწოდებია ავტორს თავისი ნაშრომის მეორე თავისათვის. ამ თავში ცალ-ცალკე განხილულია საუკეთესო კომედიები, ისინი ქვეთავებად არის გამოყოფილი. პარასკიდი, გოჩოლავა, რინკველი და სხვანი. აქ მსჯელობაა შალვა დადიანის კომედიაზე „კაკალ გულში“. ნაცარქექიობის სოციალური არსის ახსნა „ყვარყვარე თუთაბერში“. აქ განხილული და შეფასებულია პოლიკარპე კაკაბაძის ბრწყინვალე კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. ორი ეპოქის დაპირისპირება კომედიურ სიტუაციაში. აქ განხილულია პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, დახასიათებულია მისი უარყოფითი და დადებითი გმირები.

სასაცილო გოგონა სერიოზულმა საქმემ გაიტაცა. აქ მშვენიერი ანალიზია მ. ბარათაშვილის კომედიისა „ჭრიჭინა“. ავი კაცის კომიკური სახე. ეს ნაწილი ეძღვნება კ. ბუაჩიძის კომედიას „ეზოში ავი ძალი“.

ნაშრომის მეორე თავზე, რომელიც ხუთი ქვეთავისაგან შედგება, შეგვიძლია ის ვთქვათ, რომ განსახილველი კომედიები სწორად არის შერჩეული, ე. ი. ისინი მართლაც გამოსარჩევი ნიმუშებია, მათი ანალიზიც სწორია და ამომწურავი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ყველაფერი ეს წინა თავებში უკვე ითქვა, ნაწილობრივ მაინც, და აქ ცალკე თავად გამოტანით განმეორების საფრთხე შეიქმნა.

ხომ არ ჯობდა, ან ადრე, ან წინა თავებში მათზე მსჯელობა უფრო გავრცობილიყო და ბოლოში ცალკე აღარ გამოეტანა ავტორს, ან პირ-
უკუ — ზევით საგრძნობლად შეკვეცილიყო და მაშინ ეს სპეციალური
თავი გამართლებული იქნებოდა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომის აღნაგობა
კრიტიკულად განგვაწყობს. რით არის გამართლებული ნაშრომის და-
საწყისში ჯერ „ნაწილი პირველისა“ და „ნაწილი მეორეს“ გამოყოფა,
ხოლო შემდეგ „თავი პირველისა“ და „თავი მეორეს“ შეტანა, თანაც
ყოველ ამ თავში 5—6 ქვეთავის არსებობა? ეს საკითხი უბრალოდ
შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო — დაყოფილიყო იმდენ თავად, რამ-
დენიც ნაშრომს შეეფერებოდა. ცხადია, ეს ტექნიკური ხასიათის შე-
ნიშვნაა და არა არსებითი.

ზოგიერთი შენიშვნა ჩვენ ზემოთ გამოვთქვით, ახლა კი ერთი არ-
სებითი შენიშვნა გვინდა მივაწოდოთ ჩვენს ავტორს და მასზე პასუხი
საინტერესოდ მიგვაჩნია. როცა დ. იოვაშვილი 20—30-იანი წლების
კომედიებში კრიტიკული რეალიზმის საწყისებზე ლაპარაკობს, მხედ-
ველობაში აქვს კრიტიკული პათოსი, ნაკლოვანებათა მხილება. მაგრამ
ამისი ახსნა კრიტიკული რეალიზმით გასაზიარებლად არ მიგვაჩნია.
საქმე ის არის, რომ კრიტიკული რეალიზმის კრიტიკული პათოსი
პრინციპულად განსხვავდება სოციალისტური რეალიზმის კრიტიკული
პათოსისაგან: პირველი ძირს უთხრის არსებულ საზოგადოებრივ წყო-
ბილებას, მეორე კი ნაკლის მხილებით ეხმარება სოციალიზმის განვი-
თარებას. დასახელებულ კომედიებში ნაკლის საცინლად აგდება მი-
მართულია არა სოციალიზმის წინააღმდეგ, მისი საფუძვლების დასან-
გრევად, არამედ გზის გასაწმენდად, განვითარების გასაადვილებლად.
თუ ამ აზრს დავადგებით, მაშინ კრიტიკული რეალიზმის საკითხი უნ-
და მოიხსნას 30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში საერთოდ და
კომედიაში, კერძოდ. ვიმეორებთ, ამ საკითხზე ავტორის განმარტება
ჩვენთვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ბოლოს უნდა დავ-
ძინოთ, რომ დ. იოვაშვილის ნაშრომი არის საყურადღებო გამოკვლე-
ვა, რომელშიც ამომწურავად არის შესწავლილი ქართული კომედიის
განვითარების გზა, კომედიის თეორიის საკითხები და ქართული საბ-
ჭოთა კომედიის განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობ-
ლემები. სარეცენზიო ნაშრომი ადასტურებს მისი ავტორის როგორც
ზოგად ერუდიციას, ისე საკვლევი საკითხების ღრმა ცოდნას. კეთილ-
სინდისიერებას, კრიტიკულ აღღოს, კვლევის შედეგად მწყობრი დას-
კვნების გამოტანის უნარს. ეს ნაშრომი უდავოდ ავსებს იმ ხარვეზს,
რომელიც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას გააჩნდა კომედიის შე-
სწავლის საქმეში.

გამოჩენილი ქართველი მარქსისტი რევოლუციონერის ალ. წულუკიძის უდიდესი დამსახურება საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. შეუძლებელია ვინმემ ხელი მოჰკიდოს საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და განვითარების ისტორიის შესწავლას და გვერდი აუაროს რევოლუციის ამ თავდადებული რაინდის სახელს. აღნიშნულის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ალ. წულუკიძეზე დაწერილ სტატიებსა და ნაშრომებში ეს ნათელი პიროვნება ნაჩვენებია უმეტესად პრაქტიკოს-რევოლუციონერად, ხოლო მას, როგორც თეორეტიკოსს, როგორც შესანიშნავ მოაზროვნეს, შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობოდა. გარკვეულ პერიოდში, შესაძლებელია, ამ ცალმხრივობას კიდევ ჰქონდა ერთგვარი გამართლება, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ეს უკვე შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ პ. რატიანის წიგნს. რომელიც გვიჩვენებს ალ. წულუკიძეს — მოაზროვნეს, განსაკუთრებული ფასი და ღირებულება აქვს.

წიგნის ავტორს მის წინაშე დასმული ამოცანისათვის შესანიშნავად გაურთმევია თავი და შეუქმნია ისეთი ნაშრომი, რომელიც ამომწურავად და მოხდენილად გვიხატავს თეორეტიკოს ალ. წულუკიძეს, რომელიც არის თანმიმდევარი, შემოქმედებითი მარქსისტი, ღრმა და გამჭრიახი მოაზროვნე.

ნაშრომის ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან მკაფიოდ გვიჩვენა ალ. წულუკიძის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის არა მარტო ღრმა შესწავლა და ამ განძის სრული დაუფლება. არამედ, ამასთანავე, დაგვანახა, რომ მან ეს ცოდნა შესანიშნავად მიუყენა საქართველოს ცხოვრებას, მისი ისტორიისა და თანამედროვეობის ფაქტებისა და მოვლენების თავისებურებებს და რომ ალ. წულუკიძეს მექანიკურად კი არ გადმოჰქონდა მარქსისტული დებულებები, არამედ შემოქმედებითად მოიმარჯვებდა ადგილობრივი მოვლენების ახსნა-გააზრებისა და შეფასების დროს. ეს არის, ერთი მხრივ, ალ. წულუკიძის როგორც მოაზროვნის უდიდესი ღირსება და, მეორე მხრივ, პ. რატიანის დამსახურება, რადგან მან მკაფიოდ გამოკვეთა ალ. წულუკიძის აზროვნების ეს პრინციპული თავისებურება, დამახასიათებელი თვისება.

პ. რატიანი სავესებით სწორად იქცევა, როცა გაუბრძის ალ. წულუკიძის შრომების აღწერას, მათი სათაურებისა და შინაარსის აღნუსხვას. განსახილველი წიგნის ავტორი გვიჩვენებს ალ. წულუკიძე-მოაზროვნეს ისე, რომ მთლიანი და სრული წარმოდგენა შეგვექმნას ამ საკითხზე. ამიტომ ალ. წულუკიძის მთელი თეორიული მემკვიდრეობა

წიგნში განხილულია პრობლემათა მიხედვით, რაც ღრმა გააზრების საუკეთესო საშუალება და ფორმაა.

წიგნის პირველი თავი ეძღვნება საკითხებს, თუ რა ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემებს ალ. წულუკიძის ნაშრომებში, თუ როგორ განსაზღვრა ამ გამოჩენილმა მარქსისტმა სავაჭრო და სავაზმო კაპიტალის ისტორიული როლი. ამ საკითხებზე მსჯელობისას პ. რატიანი დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ დასმული პრობლემების სწორად გაგებასა და ჩვენებაში ალ. წულუკიძეს ხელს უწყობდა როგორც მარქსიზმის ზედმიწევნით ცოდნა, ასევე ცხოვრების შუაგულში ყოფნა და კვლევის სწორი მეთოდი, რითაც იგი ბევრისაგან განსხვავდებოდა.

მარქსიზმის შემოქმედებით მომარჯვების მეოხებით, საქართველოსადმი ამ მოძღვრების სწორი მიყენებით შეძლო ალ. წულუკიძემ უტყუარად შეფასებისა საქართველოში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესი და ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი თავისებურებანი.

ალ. წულუკიძის ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია საქართველოს სოციალური განვითარების საკითხებს, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკას. ამიტომ პ. რატიანი თავის წიგნში დიდ ადგილს უთმობს და სწორად წარმოაჩენს ალ. წულუკიძის დამსახურებას. ამ პრობლემათა კვლევასა და გარკვევაში. წიგნში საგანგებოდ არის გამოყოფილი საკითხები, თუ როგორ ესმოდა ალ. წულუკიძეს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებები და ეროვნული ბურჟუაზიის როლი. ცალკეა გამოტანილი ალ. წულუკიძის ბრძოლა ლიბერალიზმის წინააღმდეგ და „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის კრიტიკა. აგრეთვე წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური თეორიის კრიტიკაც. წიგნში სათანადოდ არის გაშუქებული ალ. წულუკიძის თვალსაზრისი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ, შეფასებულია ეს იდეა.

პროკოფი რატიანი თავის წიგნში სათანადო ადგილს უთმობს ალ. წულუკიძის ნაშრომებში ეროვნულ საკითხს და მემკვიდრეობის პრობლემების მარქსისტულ-ლენინურ გადაწყვეტას. შესაბამის თავში ცალ-ცალკე არის გამოტანილი შემდეგი საკითხები: ეროვნული საკითხის მარქსისტული დაყენება. ნაციონალიზმი და მისი ორი ნაირსახეობა, სოციალური და ეროვნული საკითხების ურთიერთდამოკიდებულება, ეროვნული ავტონომიის პრობლემა. წარსულის მემკვიდრეობის პრობლემა. წიგნის ავტორი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ალ. წულუკიძე ყველა ამ საკითხს განიხილავს მარქსისტული პოზიციიდან და მუდამ სწორ დასკვნამდე მიდის.

წიგნის ავტორს ზომიერად მოაქვს ადგილები ალ. წულუკიძის ნაშრომებიდან, რათა დასმული საკითხი თუ პრობლემა უფრო თვალნათლივ და თვალსაჩინოდ დაგვანახოს. ავტორი მშვენივრად წარმოაჩენს ალ. წულუკიძის ჩინებულ თეორიულ მომზადებას, მსჯელობისა და დასაბუთების ძლიერ უნარს, საჭიროების შემთხვევაში პოლემიკის საშუალებათა მომარჯვების ძალას, თანმიმდევრულობასა და ლოგიკურობას პრობლემათა მტკიცების პროცესში.

წიგნი დაწერილია მოხდენილად, მიმზიდველად და დამაჯერებლად. ავტორი ამჟღავნებს არა მარტო ალ. წულუკიძის მემკვიდრეობის ზედმიწევნით ცოდნას, არამედ, საერთოდ, ფართო ერუდიციასაც. რაც ასე ეხმარება მას პრობლემათა გარკვევაში და მკითხველებისათვის სწორი წარმოდგენის შემუშავებაში.

ნათელი მეტყველება და მოხდენილი ქართული ფრაზა პროკოფი რატიანის ამ წიგნს კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

ნათელი, გზიური სახელი

26 დეკემბერს ნიკო კეცხოველი 90 წლისა გახდებოდა. 5 წელია, ის ჩვენს შორის აღარ არის, დიდუბის პანთეონში განისვენებს. მაგრამ მისი საქმე და სულისკვეთება ცოცხალია ათასობით მოწაფისა და თაყვანისმცემელთა ხსოვნაში, რადგან ის იყო ადამიანი, რომელიც შეიძლება შეადარო ვარსკვლავს, ჩაქრობის შემდეგაც დიდხანს რომ ანათებს და სიკაშკაშეს ინარჩუნებს.

ნიკო კეცხოველი ჩვენი ეპოქის რჩეულ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება. ის იყო გამოჩენილი მეცნიერი-ბოტანიკოსი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა საქართველოში არსებული ყველა მცენარის სულ პაწაწა ბუსუსიც კი, ბოტანიკოსი, რომელმაც მრავალი ნაშრომი შექმნა თავის დარგში და მრავალი ორიგინალური თეორია შეიმუშავა მეცნიერების ამ სფეროში. მაგრამ ამაზე თავს შევიკავებთ. რადგან ჩვენს კომპეტენციას სცილდება.

ნიკო კეცხოველი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, როგორც 16 დამფუძნებელ აკადემიკოსთაგანი, პრეზიდიუმის წევრი და დარგის თავმჯდომარე.

ნიკო კეცხოველი 8 წლის მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეგენდარული რექტორი, რომელმაც ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი თვისებრივად სრულიად ახალ მიჯნებზე გა-

იყვნა, აამალა მისი ავტორიტეტი და ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის პირველ სამეულში მოაქცია.

ნიკო კეცხოველი იყო მწერალი, რომელმაც შექმნა წიგნების მთელი ციკლი, ჩვენს მოზარდებს გულით რომ აყვარებს საქართველოს, მის წარსულს, მის მთასა და ბარს, მის ბუნებას, ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებს და ტაძრებს, მათ შემქმნელ ადამიანებს და ყოველივე ამით ახალგაზრდებში ზრდის და აღვივებს მამულიშვილურ გრძნობას, რომლითაც ფასობს ადამიანის სიცოცხლე.

ნიკო კეცხოველი იყო დიდი ერისკაცი, დაუცხრომელი მოღვაწე, საქართველოს ყველა წარმატებისა და ტკივილის არა მარტო გამზიარებელი, არამედ სამშობლოს წინსვლის ერთ-ერთი თავგამოდებული მუშაიც, ვინც არ იცოდა დაღლა, თავის დაზოგვა ამ დიდი იდეალის განხორციელებაში.

ნიკო კეცხოველი არა მარტო თვითონ იყო მწერალი, რომელმაც ბოლოს კუსთაველის პრემიაც დაიმსახურა, არამედ ის იყო მრავალი ახალგაზრდა მწერლის დამკვალიანებელი, ქომაგი, მათზე მზრუნველი, გზის მაჩვენებელი. მარტო ის ფაქტი, რომ რექტორობის დროს, 1947 წელს, მან დააარსა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე, ხოლო სამი წლის შემდეგ შექმნა ამ წრის ბექდუერი ორგანო ალმანახი „პირველი სხივი“, ბევრს მეტყველებს ნიკო კეცხოველის ღვაწლზე ახალგაზრდა მწერალთა აღზრდაში.

ნიკო კეცხოველი იყო სრულიად საქართველოს ქომაგი და მოჭირნახული. მან პირველმა მიაქცია ყურადღება საქართველოს განაპირა მხარეებისათვის ადგილობრივი კადრების აღზრდას და სინგილოდან, ფშავ-ხევსურეთიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, აჭარადან, აფხაზეთიდან ჩამოჰყავდა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები, რომელთაც, შეღავათიანი ჩარიცხვის შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე უქმნიდა სასურველ პირობებს, მან დაწვრილებით იცოდა ყოველი მათგანის გაჭირვებაც და დალხინებაც, თითოეულ მათგანს იცნობდა პირადად, თვითონაც ზრუნავდა მათზე და სხვა-საც აქეთკენ მოუწოდებდა.

ნიკო კეცხოველი იყო კრისტალური პატიოსნების, სამართლიანობის, ობიექტურობის ნიმუში, ეტალონი. იგი სხვებშიც ამ თვისებებს აფასებდა და აქედან გადახრას დაუნდობლად ებრძოდა.

მაგრამ ნიკო კეცხოველის მოღვაწეობის, მისი საქმეების ამ უმთავრესი მომენტების ჩამოთვლით მასზე სრულ წარმოდგენას მაინც ვერაინ შეიქმნის. ამიტომ გავიხსენებ ზოგიერთ ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან. ვფიქრობ, ასე უფრო დაინახავს მკითხველი ნიკო კეცხოველს.

რექტორის სამუშაო დღე დილის შვიდ საათზე იწყებოდა. მოვი-

დოდა, ბალს დაივიღოდა, მეზალე ამბაკოს მითითებებს მისცემდა, ყოველ ხესა და ბუჩქს დაათვალიერებდა, ყვავილებს მიეფერებოდა და ამის შემდეგ შევიდოდა უნივერსიტეტის შენობაში. იქაც პირდაპირ თავის სამუშაო ოთახში კი არ შევიდოდა, ჯერ დერეფნებს, აუდიტორიებს, კაბინეტ-ლაბორატორიებს შემოვიღოდა, ყველას გამოეღაპარაკებოდა, ყველას მითითებას მისცემდა და ამის შემდეგ შევიდოდა თავის კაბინეტში. ასე იწყებოდა მისი ყოველი სამუშაო დღე, რომელიც ღამის პირველ საათზე მთავრდებოდა. რვა წლის განმავლობაში მას კუთვნილი შევებულებით არ უსარგებლია. უნივერსიტეტს არ სცილდებოდა. მხოლოდ უმაღლესი განათლების სამინისტროში დაძახების მიზეზით ჩადიოდა მოსკოვს (მაშინ საქართველოში ეს სამინისტრო არ არსებობდა) და მალევე უკან ბრუნდებოდა, რათა კვლავ უნივერსიტეტს თავს შემოვლებოდა. მისმა ასეთმა თავდადებულმა მუშაობამ უნივერსიტეტის თანამშრომლებს მაგალითი უჩვენა და ამითაც იყო გამოწვეული, რომ მისი რექტორობის წლებში უნივერსიტეტი მთლიანად გამოიცვალა. სახელი გაითქვა, ამაღლდა. სწორედ მაშინ დაარსდა უნივერსიტეტში მრავალი ახალი კათედრა, რომლებიც მეცნიერების ახალი დარგების განვითარებას ჩაუდგა სათავეში, მაშინ შეიქმნა რამდენიმე ახალი ფაკულტეტი, აშენდა უნივერსიტეტის მეორე კორპუსის დიდი ნაწილი, განმტკიცდა სასწავლო პროცესი, გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ერთ ასეთ ფაქტს დავასახელებ. თუ 1945 წელს, როცა ბატონი ნიკო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება იყო 35%, 1950 წელს იგი გახდა 98%. თანაც ეს გამოხატავდა საქმის რეალურ ვითარებას, რადგან სიმკაცრე და მომთხოვნელობა მაშინ ჩვეულებრივი, ბუნებრივი ნორმები იყო.

ნიკო კეცხოველმა საბუნებისმეტყველებო დარგების განვითარების გვერდით დიდად შეუწყო ხელი მეცნიერების ე. წ. ეროვნული დარგების განვითარებას. 1949 წელს მე და არჩილ სულაკაური ასეთი ფაქტის მომსწრენი გავხდით: შავი ზღვის ნაპირზე ერთ სანატორიუმში ვისვენებდით. იქ მთელი საბჭოთა კავშირიდან იყვნენ ჩამოსული დამსვენებლები. ერთ დღეს მოგვიახლოვდა ორი აზერბაიჯანელი შუახნის კაცი და გვკითხეს, თქვენ თბილისის უნივერსიტეტიდან ხართ? ჩვენ დადებითად ვუპასუხეთ. მაშინ მოვიდნენ, გადაგვეხვივნენ და ალტაცებით გვითხრეს — დიდი მოკითხვა და მადლობა გადაეცით კეცხოველს, რომელმაც ბაქოს უნივერსიტეტში აზერბაიჯანის ისტორიის კათედრა გაუქმებას გადაარჩინაო. ჩვენი გაკვირება რომ ნახეს, განგვიმარტეს, რომ ყველა რესპუბლიკის უნივერსიტეტში ადგილობრივი, ეროვნული ისტორიის კათედრის გაუქმებაზე მოსკოვში ბრძანება უკვე დაწე-

10. ტ. კვანჭილაშვილი

რილი იყო. ეს რომ კეცხოველმა გაიგო, ჩავიდა მინისტრ კატხანოვთან, იბრძოლა და ბრძანება გააუქმებინა. ამით თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაც გადაარჩინა გაუქმებას, ჩვენიც და სხვებისაცო. მე და არჩილი ამას რომ ვისმენდით, ძალზე ბედნიერად ვგრძნობდით თავს, თავი მოგვწონდა, რომ ეს გმირობა ჩვენმა რექტორმა ნიკო კეცხოველმა ჩაიდინა.

მასხენდება ასეთი ფაქტი. უნივერსიტეტის ოთხი ასპირანტი მოსკოვს გაიგზავნა მეცნიერების ახალი დარგების შესასწავლად. ასპირანტურის ვადა სამწლიანი იყო. ამიტომ მათ სტიპენდია სამი წლის მანძილზე ეძლეოდათ. ნიკო კეცხოველმა კი ერთი წელი დაუმატა რუსული ენის კარგად შესწავლის მიზნით. ამ ერთი წლის მანძილზე მოსკოვში მყოფ ოთხ ასპირანტს ნიკო კეცხოველი სტიპენდიას უხდიდა თავისი ხელფასიდან ისე, რომ იმ ახალგაზრდებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, ეგონათ, რომ ისახელმწიფო უხდიდათ. მათგან ოთხივე შემდეგ პროფესორი გახდა და არ ვიცი, დღეს მაინც თუ იციან ამ სიკეთის შესახებ.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში გაერთიანებულთ ნიკო კეცხოველი თავს გვევლებოდა. ის ჩავგვამდა თავის „პობედაში“ ხან ოთხ, ხან ხუთ ახალგაზრდას და მთელ საქართველოს შემოგვატარებდა, გვიჩვენებდა ქვემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ადგილებს, გვიხსნიდა მათ ისტორიასა და გაპარტახების მიზეზებს, გვაყვარებდა საქართველოს. ამას დიდი აღმზრდელობითი როლი ევისებოდა. არც იმას ჰქონდა ნაყლები მნიშვნელობა, რომ ჩვენ, ნახევრადმზიერ ბიჭებს სადმე წყაროსთან, ტყის პირას ნიკო კეცხოველი სუფრას გაგვიშლიდა და დაგვაპურებდა... მისი მუდმივი მძღოლი ისაკა მულამ მზად იყო, გაეხსნა მანქანის საბარგული და იქიდან ამოელაგებინა მოხარშული დედლები, ყველი, პური, ხილი და ათასი რამ, რაც ბატონი ნიკოს ერთგული მეგობრის, მისი მეუღლის ქალბატონ ოლიას ხელით იყო დამზადებული და საბარგულში ჩალაგებული. ამ პურობასაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენი მცირე სუფრაც მართლა აკადემიის როლს ასრულებდა. ამ მოგზაურობის დროს ჩვენ მისგან ბევრ ახალს, ჩვენთვის უცნობს ვიგებდით და ვიხსომებდით. სურათებს თვითონ ბატონი ნიკო იღებდა, მერე თვითონვე ბეჭდავდა და გვირიგებდა. რა ბედნიერად ვგრძნობდით თავს!.. ეს ექსკურსიები ჩვენც ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ გვაკავშირებდა და ქვეყნის ინტერესებთანაც, ბატონ ნიკოს ხომ ვალმერთებდით და ვალმერთებდით.

ახალგაზრდებზე ზრუნვის ნიმუშად ერთი კონკრეტული ფაქტიც მინდა გავიხსენო. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის პირ-

ველ წევრთა შორის რეზო ინანიშვილიც იყო. მან წრეში ერთი მოთხრობა წაიკითხა. ნიკო კეცხოველს ის მოსწონებია, ამ დამწყებ მწერალში ნიჭი დაუნახავს. გავიდა ხანი და ბატონმა ნიკომ რეზო ინანიშვილი მოიკითხა, სად არის, არა სჩანსო. ამ დროს შენდებოდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელსაც ივრის წყლით სამგორის გადაბუგული ველები უნდა მოერწყა და მხარე აუყვავებინა. რეზო ინანიშვილს უნივერსიტეტი მიეტოვებინა და ამ მშენებლობაზე წასულიყო სამუშაოდ. რექტორმა ბრძანა, როგორმე მომიყვანეთო. სად გვეძებნა? როგორც იქნა, მის კვალს მივაგენით, მოტყუებით უნივერსიტეტში მოვიყვანეთ და ასევე მოტყუებით რექტორს შევახვედრეთ... ბატონმა ნიკომ რეზოს დაუყვავა, მოეფერა და დააჩუქუნა, რომ უნივერსიტეტს უნდა დაბრუნებოდა. რეზო ასეც მოიქცა. რამდენი სხვა სიკეთე აქვს ჩადენილი ნიკო კეცხოველს, ამის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

ნოდარ დუმბაძემ თავის „მზიან ღამეში“ კარგად დახატა მზრუნველი რექტორის ნათელი სახე და ამას დამატება აღარ სჭირდება.

ბატონი ნიკო იყო გაბედული და შეუპოვარი კაცი, მას თავისი მყარი პრინციპები ჰქონდა და მას იოლად არავის დაუთმობდა. მახსენდება ასეთი ეპიზოდი: რექტორის კაბინეტის კარი შევალე და იქვე გავშეშდი. ის წამოჭარხლებულიყო, გამეხებული სახე ჰქონდა და მთავრობის ტელეფონით ვილაცას ელაპარაკებოდა. შევატყე, რომ ჩემი იქ ყოფნა უადგილო და უდროო იყო და უკან გამოსაბრუნებლად ფეხი გადმოვდგი. ხელით მანიშნა, არ წახვიდო, შემოდიო. შევედი და კართან ატუზული გავჩერდი. ყურმილში გაბრაზებით უსმენდა ვილაცას, ხანდახან საწინააღმდეგოს ეუბნებოდა, ბოლოს მკუხედ უთხრა: „არა, არა, კანდიდ, მე მაგას არ გავაკეთებო!“ და ყურმილი დადო. მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი იყო და მთავრობის ტელეფონით თურმე მას ელაპარაკებოდა. მე დღესაც არ ვიცი, რა საკითხს შეეხებოდა მათი საუბარი, მაგრამ ეს კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ასე გაბედულად და მტკიცე ტონით სხვა არცერთი რექტორი ცეკას პირველ მდივანს ვერ დაელაპარაკება.

ნიკო კეცხოველი დიდად აფასებდა ქართული სიტყვის მადლს. ის მოხიბლული იყო არა მარტო დიდი ქართველი მწერლებით. ვანსაკუთრებით ილიათი, არამედ შეყვარებული იყო ქართულ ზეპირსიტყვიერებაზეც, რაც მას ერის დიდ სიმდიდრედ მიაჩნდა. ერთხელ პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ ეს ფაქტი დიდი მადლიერების სიტყვებით აღნიშნა კიდევ. მაგრამ მე ახლა სხვა რამე მინდა მოვიგონო. ერთხელ რექტორის კაბინეტში შევედი და ძალზე გახარებული დამ-

ხედა. ვაცალე. თვითონვე მიაშობო: ეხლა ჩემთან ერთი მეტად საინტერესო ხევისური იყო. მან ისეთი სიტყვა მითხრა, რომ მოვიხიბლეთ. მე შეკითხვა ვერ შევბედე და თვითონვე განაგრძო: დავით გოგოჭურს თუ იცნობო. ვიცნობ-მეთქი. ხოდა მისი მამა იყო. იცი, რა მითხრაო? არა-მეთქი. იმ მთის შვილმა, უბრალო გლეხმა ასე პოეტურად მითხრაო. „მე შენ ჩემი ხმალი გასალესად მოგაბარე, შენ გამილესე და გამიფხიანე. ეხლა უკან მიბრუნებ და მეუბნები, ქარქაშში ჩააგე და დააჯანგეო. აბა ეს რა საქმენელიაო.“ თურმე დავითს უნივერსიტეტი დაემთავრებინა, განაწილებით ხევისურეთში აგზავნიდნენ, მამამისს კი სდომებია, რომ მისი შვილი უნივერსიტეტში დარჩენილიყო და კიდევ მეტად „გაფხიანებულიყო“. ეს აზრი იღო მის სიტყვებში. რექტორმა ლაბორანტის ადგილი მართლა გამოძებნა, დავითი უნივერსიტეტში დატოვა და დღეს ის ცნობილი ფოლკლორისტია. დავითის მამას ასეთი მარილიანი სიტყვით რომ არ მოეხიბლა რექტორი, დარწმუნებული ვარ, ის ამ ნაბიჯს არ გადადგამდა და განაწილების წესს არ დაარღვევდა.

ბატონი ნიკოს დიდბუნევენობისა და ყურადღებიანობის ერთი მაგალითიც მინდა გავიხსენო. მართალია, ის მე მეხება და ერთგვარად უხერხულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია და რად დავმალო. 1953 წლის პირველ მარტს მამაჩემს ვასაფლავებდით ლავოდნის რაიონის სოფელ შრომაში. ნიკო კეცხოველის ჩამოსვლა რომ გაიგეს, მთელი რაიონის ხელმძღვანელობა ჩემთან გაჩნდა თუმცა მე ერთი რიგითი ახალგაზრდა ვიყავი და არავისგან განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვიმსახურებდი. მთელ რაიონს გაუგია ბატონი ნიკოს ჩამოსვლის ამბავი და ამაზე მერეც დიდხანს ლაპარაკობდნენ. ჩემდამი ასეთი ყურადღება და გაკვირებაში თანადგომა ხომ ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. იმ დღეს მზიანი დღე იდგა. ჩვენს ეზოში ბევრი ხალხი ირეოდა. წლინახევრის ჩემი მალხაზიც იქვე დაბაჯბაჯებდა. მეზობლის ქალები მას ეფერებოდნენ და ამავე დროს დაუფარავად ამბობდნენ: რა კარგი ბიჭია, მაგრამ ფერმკრთალი არისო. ამ საუბარს ნიკო კეცხოველმაც მოჰკრა ყური და ქალებს გამოეპასუხა, თუმცა, ჩანს, ჩემს გასაგონად თქვა: არა უშავს, მალე მაგისი მამა კარგ ბინას მიიღებს და ბიჭს ფერიც მოუვავო. მე სახტად დავრჩი, არც მიფიქრია, რა ბინაზე იყო ლაპარაკი. მე მაშინ ცოლითა და შვილით კუკიის უბანში ვცხოვრობდი ერთ პაწაწინა ბნელ ოთახში და ბიჭი მართლა ფერმკრთალი იყო, მაგრამ ბინაზე ოცნებაც არ შემეძლო. ამ დღიდან ორი თვე გავიდა და რექტორმა დამიბარა: დაჯექი და განცხადება დაწერე, ჭავჭავაძის პროსპექტზე თანამშრომლებისთვის სახლი ავაშენეთ და ბინა იქ უნდა მოგცეო. მე სახტად დავრჩი. ჩემზე მეტად დამსახურე-

ბულ ადამიანებსაც უჭირდათ საბინაო პირობები და მე როგორ გავივლედბდი გულში ასეთ აზრს. ნიკო კეცხოველმა ყოყმანი რომ შემატყო, ერთი ფურცელი ქალაღდი მომაწოდა, სკამზე მიმითითა, ძალით დამსვა და განცხადება ძალითვე დამაწერინა. იმავე წლის მაისის დასაწყისში ჰავკავაძის პროსპექტის № 24 სახლში შეგვასახლეს. ეს დიდი ღეთისწყალობა იყო. ამას რა დამავეიწყებს...

ნიკო კეცხოველის ცხოვრების წესი და უბრალოება განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. მარტო ის რად ღირს, რომ ლექტორობაში აღებული ხელფასი მიჰქონდა ოჯახში. რექტორის ხელფასი კი ისევ უნივერსიტეტს, მის სტუმრებს და გაჭირვებულ სტუდენტებს, ასპირანტებს, თანამშრომლებს ხმარდებოდა. ალბათ ამის გამოც იყო რომ მის ბინაში ისეთი სისადავე და სიღარიბე შეიმჩნეოდა, რომ ძნელად ვინმე თუ დაიჭერებდა. ერთხელ გაცივდა და ავად გახდა. გადაუღებელი საქმე იყო და წინასწარი დარეკვის შემდეგ ბინაზე ვესტუმრე. ეს იყო ჩემი პირველი მისვლა მის ბინაზე. ბატონი ნიკო ერთ პატარა ოთახში იწვა ძველ, ჯარისკაცულ რკინის საწოლზე, რომლის მსგავსი მე არსად მენახა. ბრტყელი რკინის სარტყლებისაგან შეკრულ ამ უბრალო საწოლს სხვაგან სად ნახავდით. ამხელა ადამიანი თუ ასეთი მცირედით კმაყოფილდებოდა, ნამდვილად არ მეგონა. გაცეებული და მოხიბლული წამოვედი, გზაში რას არ ვფიქრობდი. მერე სხვების და სხვების ბინებიც რომ ვნახე და ანტიკვარული ნივთებით გატენილი ოთახები, პირდაპირ მაღიზიანებდა მათი მიღრეკილება ფუფუნებისადმი, მათი ფუყე ყოყლოჩინობა და სულიერი სიცარიელე. ან საიდან, რა გზით იქენდნენ ამდენ ფუფუნების საგნებს? ეს ღღესაც არ ვიცი. ნიკო კეცხოველის მთელი ავლადილება, როგორც მერე დავრწმუნდი, მისი ბიბლიოთეკა იყო, საკმაოდ დიდი ოთახი ჰქერამდე რომ იყო სავესე ათასობით წიგნით. ამ მხრივაც ნიკო კეცხოველის ცხოვრება სანიმუშო, მაგალითის მიმცემი იყო. ეს ყველამ უნდა იცოდეს.

ერთი მომენტიც მინდა ვუთხრა მკითხველს. ერთხელ თბილისის რეკონსტრუქციის საბაბით ღღის წესრიგში დადგა რამდენიმე ხის მოჭრის საკითხი. ბატონმა ნიკომ ეს რომ გაიგო, მივიდა მთავრობის თავმჯღომარესთან და ამ გადაწყვეტილების შეცვლა მოსთხოვა. თანამდებობის პირი გაცეებული დარჩა. მაშინ ბატონმა ნიკომ მას ასეთი ამბავი უამბო: ქალაქ პრაღის მერს ჩეხოსლოვაკიის მაშინდელ პრეზიდენტთან დოქტორ ბენეშისთან წერილობითი თხოვნა შეუტანია, რომ ერთ-ერთი ქუჩის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა იქ მდგარი ერთი ხის მოჭრაო და ნება დაგვრთეთო. პრეზიდენტს ამ თხოვნაზე ასეთი რეზოლუცია დაუწერია: თუ პრაღის მერს იმდენი არ ესმის, რომ ქალაქში ხის მოჭრა არ შეიძლება, მაშინ ასეთი მერი უნდა გა-

დადგესო. ამ „არაკმა“ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ისე დააფიქრა, რომ ის განწირული ხეები მაშინ მოსპობას გადაუტრია. (სამ-წუხაროდ, მერე კი მოსპვეს თბილისში მრავალი ხე, მაგრამ ნიკო კე-ცხოველი ცოცხალი აღარ იყო და ისინი ვერაფერს დაიცვა).

ნიკო კეცხოველმა თავისი დაუღალავი და თავდადებული მუშაო-ბით რექტორის პოსტზე ისეთი ავტორიტეტი და აღიარება მოიპოვა, რომ მას მთელ საქართველოში განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდნენ.

ეს აღიარება ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ალბათ ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ როცა 1953 წელს ერთმა მზაკვარმა იმარჯვა და, პირადი ანგარიშის გასწორების მიზნით, მიღწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალუ-რი კომიტეტის ბიუროზე რექტორის პოსტიდან ნიკო კეცხოველის გაუმართლებელ, მოულოდნელ განთავისუფლებას, მრავალი თვის მან-ძილზე საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი მისი გან-თავისუფლების ბრძანებას არ წერდა, თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის რექტორად არავის ნიშნავდა... მაგრამ, ძალა აღმართს რომ ხნავს, მაშინაც გამოჩნდა.

იმ ძნელ დღეებშიც გამოჩნდა ნიკო კეცხოველის ბუნებისა და ხა-სიათის საუკეთესო თვისებები. მას წუწუნი და მოთქმა კი არ დაუწყ-ყია, იყო თავისთვის გაჩუმებული, არაფერს იმზნევდა, უკეთესი დღე-ების დადგომის იმედი არ სტოვებდა. ჩვენში ხშირად ხდება, რომ წაქეულ კაცს ზურგს უჩვენებენ. ბატონმა ნიკომაც იწვინა მაშინ უმადურთა ასეთი საქციელი, მაგრამ არც ამას გაუტეხია ბატონი ნი-კო და ამასაც დიდსულოვნად იტანდა. იმ მძიმე დღეებში მასთან რამ-დენიმე ერთგული ადამიანი კვლავ ძველებურად განაგრძობდა ურ-თიერთობას, მაგრამ მათ უფლება არ ჰქონდათ გამამხნეველი სიტყ-ვა ეთქვათ, ეს თავისთავად იგრძნობოდა. ამ შემთხვევაში ბატონმა ნიკომ ბევრი რამით გამოამჟღავნა ოთარაანთ ქერივის ხასიათი. მერე, როცა ნიკო კეცხოველისადმი დამოკიდებულება უკეთესობისაკენ შეი-ცვალა, მას კათედრაც დაუბრუნეს და ბოტანიკის ინსტიტუტის დირექ-ტორადაც მუშაობდა, როცა მისი წიგნები გამოდიოდა და რუსთავე-ლს პრემიაც მიენიჭა, ბატონი ნიკო კვლავ ძველი სიმხნევით, ახალგაზრდული შემართებით, თავდაუზოგავად მუშაობდა და ყველას გვაკვირვებდა, რომ ის თვით სიბერესაც ასე ვაუკაცურად ამარცხებდა.

ბატონი ნიკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ ზოგიერთი ვპი-ზოდის გახსენება, ცხადია, სრულ სურათს ვერ შექმნის ამ დიდი ადა-მიანის შესახებ, მაგრამ დამახასიათებელ შტრიხებს კი დაანახებებს მკითხველს.

ნიკო კეცხოველის სახელი დიდად ძვირფასია ქართული ლიტერა-

ტურისტების. საქმე მარტო მისი შესანიშნავი საყმაწვილო წიგნები როდია, მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს ამ საკითხს სხვა მხრივაც მივუდგე. ნიკო კეცხოველმა ათეულობით ახალგაზრდა მწერალს იმდენი გულის სითბო გაუზიარა, მათ მიმართ იმდენი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა, რომ ძნელია ამის შეფასება.

მე ამ საკითხთან მუდამ ახლოს ვიყავი და თავს უფლებას მივცემ ვიკითხო: რა გზით წავიდოდა ნოდარ დუმბაძის, არჩილ სულაკაურის, რეზო ინანიშვილის, რეზო ჭავჭავაძის, გიგლა ხუხუაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის, ძმები ქილაძეების, ჯანსუღ ჩარკვიანის, აკაკი გეწაძის, თამარ ერისთავის, ნაზი კილასონიას, ეთერ ბასილაშვილის, ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახიშვილის, გივი გეგეჭკორის, თამაზ ბიბილურის, თამაზ ჩხენკელის, რეზი თვარაძის, სარგის ცაიშვილის, ზურაბ ჭუმბურიძის, მაგალი თოდუას და სხვა მრავალი ქართველი მწერლის ცხოვრება, თავის დროზე ბატონ ნიკოს ისინი რომ არ დაეკვლიანებინა, მათზე ზედმიწევნით კეთილისმყოფელი გავლენა რომ არ მოეხდინა? ეს ისეთი ფაქტია, რომ მას დიდად უნდა ვაფასებდეთ. ზოგი იტყვის, ნიკო თავისას იზამდაო, ასეც არაა საქმე, ნიქსაც პირობების შექმნა სჭირდება, გამხსნევება, გვერდში დგომა და წახალისება. ყოველივე ამას კი ბატონი ნიკო საოცარი ხიბლით აკეთებდა.

ახლა ავიღოთ ამავე საკითხის სხვა მხარეც. ბატონმა ნიკომ 1950 წელს ალმანახი „პირველი სხივი“ რომ დააარსა, მაშინ საქართველოში მხოლოდ ორი ლიტერატურული ორგანო არსებობდა — „მნათობი“ და „ლიტერატურული გაზეთი“. აქ ახალგაზრდებს თითქმის არ უბეჭდავდნენ. მათი ნაწერების დაბეჭდვა ოცნებად იყო ქცეული. და აი, „პირველი სხივი“ გამოვიდა. მე კარგად მახსოვს, დღეს ცნობილი ქართველი მწერლების, მაშინ ამ ალმანახის ახალგაზრდა ავტორების დიდი სიხარული და აღფრთოვანება, რაც მათი ნაწარმოებების დაბეჭდვამ გამოიწვია. ამით მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენა მოემატათ, შემოქმედებითი მუშაობის ხალისი გაუჩნდათ.

მეტის თქმაც შეიძლება. შვიდი წლის შემდეგ, 1957 წელს ეურნალი „ცისკარი“ რომ გამოვიდა, ამ დიდ მოვლენას ნიადაგი სწორედ „პირველმა სხივმა“ და პირველსხიველებმა მოუშზადეს. ეს ხომ ფაქტია, რომ რედაქტორის გარდა (მწერალი ვახტანგ ჭელიძე) „ცისკრის“ ყველა თანამშრომელი ყოფილი პირველსხიველი იყო. სხვათა შორის, ეს ტერმინიც საგულისხმოა: მოგვიანებით ცისკრელებად წოდებულ თაობას ადრე პირველსხიველებს უწოდებდნენ. მაშ ასე, ახალგაზრდული ეურნალ „ცისკრის“ დაბადებას ნიადაგი მოუშზადა „პირველმა სხივმა“, მასში დაფრთიანებულმა ახალგაზრდა შემოქმედთა ძლიერმა

თაობამ. ისტორიულად ცნობილია, რომ ჟურნალი ვერ დაიბადება, თუ შემოქმედთა საკმარისი ძალები არ არსებობს. ეს კი „პირველი სხვის“ დამსახურებაა.

ასე დიდა ნიკო კეცხოველის როლი ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის გაღონიერების საქმეში. ამის დავიწყება არ შეიძლება.

... ხუთი წელია, რაც ნიკო კეცხოველი ფიზიკურად ჩვენს შორის აღარ არის. რა უცბად წაიქცა... საავადმყოფოში ხომ თავისი ფეხით მივიდა. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი ახოვანი, შემართული, გამჭრიახი გონებისა და საოცარი მეხსიერების, გონებით დახუნძლული, დაბრძენებული კაცი, ვისაც ამდენი გეგმა და ჩანაფიქრი ჰქონდა, ვინც დღე და ღამ კვლავ ჭაბუკური ენერგიით მუშაობდა, ასე მოულოდნელად წაიქცეოდა... ის ჩვენს შორის ფიზიკურად აღარ არის, მაგრამ მისი სული გამოსცემს ისეთ შუქს, რომ იგი დღესაც გვინათებს და მომავალშიც გაგვინათებს ცხოვრების გზას, რომელიც ყოველმა ჩვენთაგანმა ისე ნაშუსიანად უნდა გავიაროთ, როგორც მან თვითონ გაიარა, ისე თავდადებით უნდა ვემსახუროთ ძვირფას საქართველოს, როგორც ის ემსახურებოდა. ეს ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

ნიკო კეცხოველის ღვაწლი იმდენად დიდი და მრავალწახნაგოვანია, მან ჩვენი, ეპოქის ცხოვრებაში ისეთი ნათელი კვალი დატოვა, რომ მისი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა.

გვიან ნათქვამი

რამდენიმე თვის წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა სადისკუსიო ხასიათის წერილი, რომელშიც ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვაზეც“ იყო ნათქვამი. აქ შემოთავაზებული თვალსაზრისი უპირისპირდებოდა მრავალი წლის განმავლობაში დამკვიდრებულ აზრსა და შეფასებას ამ რომანზე. გარემოებათა გამო, მაშინ ჩვენი აზრის გამოთქმის საშუალება არ მოგვეცა, ამიტომ ახლა, გვიან მაინც, გვინდა ვთქვათ ამის შესახებ.

ყოველი ნაწარმოების და მისი ავტორისადმი ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი დამოკიდებულება და თვალსაზრისი. ამას ვერვინ აკრძალავს და არც არის ამისი საჭიროება. მაგრამ, როცა რომელიმე ავტორი თავის განსხვავებულ აზრს მაღალი ტრიბუნიდან, ან პრესის მეშვეობით გამოთქვამს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მას

სწადია სხვადასხვა გაიზიაროს მისი მოსაზრებები, რომლებიც მანამდე შემუშავებული და დამკვიდრებული მოსაზრებებისაგან პრინციპულად განსხვავდება. აზრის საჯარო გამოთქმას კი მეტი დასაბუთება და საფუძვლიანობა უნდა ახლდეს. ლ. ნ. ტოლსტოისაც ჰქონდა განსხვავებული აზრი შექსპირზე, რომელიც დიდ რუს მწერალს არ მოსწონდა, მაგრამ ამას იგი მეგობართა წრეში ამბობდა და არა საჯარო გამოსვლებში. როცა უმრავლესობის მიერ გაიზიარებულ და საზოგადოებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს საჯაროდ უპირისპირდებიან, მაშინ საზოგადოება იტოვებს იმის უფლებას, რომ გაიზიაროს, ან არ გაიზიაროს შემოთავაზებული ორიგინალური თვალსაზრისი, ან საჯაროდვე უარყოს იგი.

ლეო ქიაჩელიც და მისი რომანი „გვალი ბიგვაც“ ვერ ასცდა განსხვავებული გაგების ტალღას, რამაც საკმაო ხმა გამოსცა. მართალია, ჩვენს პრესაში ამის საპირისპირო გამოსვლებიც იყო გამოქვეყნებული, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნით ორიოდ სიტყვით ჩვენი თვალსაზრისიც გამოვთქვათ. რათა საკითხი ცალმხრივად არ წარმოიდგინონ.

„გვალი ბიგვას“ შეფასებისას, მისი მთავარი გმირის გაგებისას ერთადერთი კრიტერიუმი უნდა მოვიმარჯვოთ. ეს არის სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მოთხოვნილებები, რადგან სწორედ ეს მეთოდი საფუძვლად უდევს არა მარტო ამ რომანის შექმნას არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს ნაწილსაც. ამ მეთოდის გარეშე „გვალი ბიგვას“ სწორად ვერ გავიგებთ.

ამიტომ უადგილო არ იქნება სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თუნდაც უმთავრესი საყრდენების გახსენება.

სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური საფუძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობაა, რომელიც თავისი არსით მატერიალისტური და დიალექტიკურია. იგი ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს განიხილავს მატერიალისტური პოზიციიდან და დიალექტიკური განვითარების ნიშნით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მსოფლმხედველობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმია. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი სწორედ ამ მსოფლმხედველობას ემყარება და არა რომელიმე სხვას, როგორცაა იდეალიზმი, მეტაფიზიკა და ა. შ. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

სოციალისტური რეალიზმი ემყარება პარტიულობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი ყველა შესაძლებლობით იღვწის პარტიის იდეალების ხორცშესხმისათვის. ეს დიდი საკითხია. იგი ხშირად გაუხდიათ სადისკუსიოდ როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც. შესაძლოა ეს პრინციპი ვინმეს არ

მოსწონდეს, მაგრამ ამით სოციალისტური რეალიზმისა და. მაშასადამე, საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი არ შეიცვლება.

სოციალისტური რეალიზმი დამკვიდრების მეთოდია. იგი ყველა ძალით ხელს უწყობს არსებული სოციალისტური წყობილების გაძლიერებას, ე. ი. სოციალიზმის დამკვიდრებას. მაშინაც კი, როცა სოციალისტური რეალიზმით შექმნილ ლიტერატურაში (ნაწარმოებში) მიმართავენ ე. წ. კრიტიკულ პათოსს, კრიტიკული პოზიციიდან ასახვევს ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ნაკლოვან მხარეებს, ნეგატიურ მოვლენებს, მაშინაც კი სოციალისტური რეალიზმი ხელს უწყობს სოციალიზმის დამკვიდრებას, რადგან ებრძვის სოციალიზმის გაძლიერების წინააღმდეგ მიმართულ, სოციალიზმის შემაფერხებელ ძალებსა და მოვლენებს.

ამ ნიშნის მიხედვით სოციალისტური რეალიზმი დიამეტრალურად განსხვავდება მისი წინამორბედი მეთოდისაგან, კრიტიკული რეალიზმისაგან, რომელიც მის დროს არსებულ წყობილებას აკრიტიკებდა მისი მოსპობის მიზნით. კრიტიკული რეალიზმის მეთოდით შექმნილ ნაწარმოებში გაკრიტიკების საგანი იყო არა კერძოდ აღებული რომელიმე ნეგატიური მოვლენა ან ფაქტი, არამედ თვით წყობილების საძირკველი. ამიტომ ის მეთოდი უარყოფის მეთოდი იყო.

ქართული კრიტიკული რეალიზმის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძეა. მის ნაწარმოებებში, როგორცაა „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ და სხვები მთელი სისავსით გამოვლინდა კრიტიკული რეალიზმის არსი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ილია გვიჩვენებს ზაქროს რეგვენ მებატონეს ან გაბრიელის დაუნდობელ ბატონს — დათიკოს, ან ყყყჩი ლუარსაბ თათქარიძეს, საქმე არც მარტო ის არის, რომ ზაქრო და გაბრიელი თოფით ჰკლავენ თავიანთ მჩაგვრელ ბატონებს, ხოლო ლუარსაბი ილია სიცილის იარაღით ჰკლავს, აქ მთავარი ის არის, რომ ყველა ეს ბატონი, მათი არაადამიანური თვისებები, საზოგადოების მიერ მათ თვის მინიჭებული განუზომელი უფლებები — ყოველივე ეს თვის ბატონყმობის ბუნებას გამოხატავენ და, მაშასადამე, ილიაც, როგორც კრიტიკული რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული მწერალი, თვის ბატონყმობის საძირკველებს აზანზარებს. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს რომ „კაკო ყაჩაღში“ ავტორს გვიჩვენებს არა მარტო ზაქროს უბედურებას, არამედ კაკოს გაყაჩაღების მიზეზსაც და ორივე ერთად ამხსენებს „იმ მხნე არსენას...“ მაშასადამე, ზაქროს თავგადასავალ კერძო შემთხვევა კი არ არის, არამედ ბატონყმობის პირობებში

ჩვეულებრივი რამაა, ამ წყობილების თანამდევით თავისებურებაა.

ილია საღებავებს არ ზოგავს იმისათვის, რათა გვიჩვენოს ზაქროს ბატონი — აჯამი, რეგენი, გულქვა და ამით მკითხველი აღაშფოთოს მის წინააღმდეგ, შეაძულოს ბატონიცა და ბატონყმობაც. ამავე დროს, ავტორი ზაქროს გვიხატავს ისეთი ფერებით, მას ჩაადენინებს ისეთ მოქმედებას, რომ მკითხველი მისდამი სიყვარულით აივსება, მის მხარეზე დგება. ამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზეა — ბატონყმობას განაჩენი აქვს გამოტანილი.

ამ რიგად, კრიტიკული რეალიზმი უარყოფის მეთოდით იყო.

ახლა განვიხილოთ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილი ნაწარმოები „გვადი ბიგვას“. როგორც ზემოთ ითქვა, სოციალისტური რეალიზმის მეთოდი დამკვიდრების მეთოდია. რას ამკვიდრებს იგი? სოციალიზმს. როგორ, რა საშუალებით? სინამდვილის იმ პოზიციიდან ჩვენებით, მკითხველში იმ აზრისა და რწმენის გაღვივებით, რომ სოციალიზმი სამართლიანობის, პატიოსანი შრომის, მშრომელთა კეთილდღეობის ამალგების წყობილებაა და ამიტომ ვისთვისაც ამ ღირებულებას ფასი აქვს, არ შეიძლება სოციალიზმის მშენებელთა რიგებში არ ჩადგეს და თვითონაც არ გაისარჩოს სოციალიზმის გაძლიერებისა და წინსვლისათვის. სწორედ ამ ტენდენციას ეერთგულება ლეო ქიაჩელი თავისი რომანით.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვისაც „გვადი ბიგვასა“ და მისი პერსონაჟების მიმართ რაიმე უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება, ის ან არ სცნობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ან მთელი სიგრიძითა და სიგანით არ აქვს გააზრებული ეს მეთოდი, მისი მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

ახლა კი თვით „გვადი ბიგვას“ შესახებ.

წარსულის ყოველი ფაქტისა და მოვლენის შეფასებისას უნდა ვემყარებოდეთ ისტორიზმის თვალსაზრისს, ე. ი. უნდა ვითვალისწინებდეთ იმ ისტორიული ეპოქის ვითარებებს, გარემოებებს, თავისებურებებს, როცა ის ფაქტი ან მოვლენა მოხდა. დღევანდელი განწყობილებებისა და შეხედულებების მექანიკური გადატანა წარსულის მოვლენებზე ვერაფერ სამსახურს გაგიწევს, სიმართლის გზას აგვაცდენს. ასევე უნდა ვიყენებდეთ ისტორიზმის პრინციპს ლიტერატურული ფაქტის (ნაწარმოების) შეფასების დროსაც, რათა მხედველობიდან არ გამოგვრჩეს იმ ეპოქის უმთავრესი თავისებურებანი, რაც მწერალმა თავის ნაწარმოებში ასახა. ამ თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ „გვადი ბიგვასაც“.

ახლა ვიკითხოთ, რა ეპოქა ასახა ლეო ქიაჩელმა თავის ამ რომანში და როგორი იყო იმ მომენტის ძირითადი თავისებურებები, რა გარემოებაში უხდებოდათ ადამიანებს ცხოვრება, შრომა, არსებობა? ეს იყო ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისი, როცა მთელი ქვეყანა ცხოვრობდა სოფლის კოლექტივიზაციის ღონისძიებით და მთელი ძალღონე (პარტიისა და ხალხისა) ხმარდებოდა ამ ღონისძიების განხორციელებას. ეს იყო მწვავე ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, გლეხის შეგნებისა და ფსიქიკის გარდაქმნისათვის, მასში ახალი, კოლექტიური, სოციალისტური შეგნების აღზრდისათვის. ყოველივე ეს ახლა სათქმელად არის ადვილი, თორემ მაშინ ეს ძალზე ძნელი, წინააღმდეგობებით სავსე, გაუქვალავ გზაზე სიარულისათვის დამახასიათებელი სიძნელეებით დახუნძლული ცხოვრება იყო. მაშინ სოფლის კოლექტივიზაცია ფასდებოდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის ტოლფასოვან მოვლენად და ამით ძალზე ბევრი იყო ნათქვამი. ახლა ზოგი იმასაც კი აცხადებს, თითქოს ჩვენში კულაკობა არ არსებობდა. ეს ჰაერზე დაკიდებული სიტყვებია, მაშ ვინ ხოცავდა საკოლმეურნეო მიწდერებზე სამუშაოდ გასულ კოლმეურნე გლეხებს, ვინ სწავდა მათი შრომით მოყვანილ მწიფე პურის ყანებს, ბელეებს, ვინ ეწეოდა საბოტაჟს და ათას უმსგავსობას? ვისაც ყოველივე ეს თავისი თვალთ არ უნახავს, მან იმ დროის გაზეთები მაინც უნდა გადაფურცლოს და ამოიკითხოს, რა ხდებოდა, კლასობრივი ბრძოლა როგორი გამწვავებული იყო, სოფლად სოციალიზმის შენება რა წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ამ ეპოქას გვიხატავს ლეო ქიაჩელი თავის „გვადი ბიგვაში“ და სავსებით გამართლებულია, რომ მან რომანში მოგვცა არჩილ ფორიას მზაკურული სახე, დაგვიხატა კაცი, რომელიც კოლმეურნეობაში გაიძვერობით შემძვრალა და მას შიგნიდან უთხრის საძირკველს.. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ის არა მარტო ფლიდია და ქურდი, არამედ სოფლის ქონებაზეც აღმართავს ხელს და სახერხის დაწვას: განიზრახავს. ეს არის ლოგიკური დასასრული ფორიას, როგორც კლასობრივი მტრის, ცხოვრებისა.

მაგრამ რომანში მთავარი ეს როდია. მთავარია თვით საკოლმეურნეო ცხოვრების შენების პათოსი, მასების ამოქმედება, კოლექტიური შრომის ზეიმის ჩვენება, ამ შრომის უშუალო შედეგის — საუკეთესო ოდეების შენების, ამ საქმეში სოციალისტური შეჯიბრის გაშლის ამადლებული დახატვა. აქ ლეო ქიაჩელი დიდ ტაქტს, შემოქმედებითს ტალანტს, სინამდვილისადმი ერთგულების გრძნობას და ეპოქის თავისებურებათა ღრმა ცოდნას ამჟღავნებს.

მწერალი არ სჯერდება კოლექტიური შრომის საერთო სურათის დახატვას, ის კონკრეტულ პერსონაჟებს წამოსწევს ავანსცენაზე, მათი მოქმედებით, მათი საქმეებით, მათი განცდებისა და თავგადასავლების დახატვით. მკითხველს თვალწინ უყენებს ცოცხალ ადამიანებს, ეპოქის შვილებს, რომლებიც ახალ ცხოვრებას ამკვიდრებენ. ასეთები არიან კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე გერა ბიგვა, პარტუჯრედის მდივანი გიორგი, ბიბლიოთეკარი ელიკო, მოწინავე კომკავშირელი ნაია, მოწინავე პიონერი ბარდღუნია, დამკვრელი კოლმეურნე ქალი მარიამი და სხვა გლეხები, რომლებიც თავდადებით შრომობენ და იღვწიან. ფაქტიურად, ესენი ახალი ადამიანები არიან, იმ საოცარი ეპოქის ღვიძლი შვილები, სოციალიზმის შენებისათვის მებრძოლნი. ეს არის მათი საერთო ნიშანი და თვისება, თორემ ყოველი მათგანი ინდივიდუალურ პიროვნულ თავისებურებებს ატარებენ, ისინი სავსებით გამოკვეთილი ინდივიდები არიან.

რა გარემოში მქლავდება დასახელებულ პერსონაჟთა ბუნება და ხასიათი? კოლექტიურ შრომაში, მაღალ სოციალისტურ შეგნებაში, სანარიელებსა და ორკეთელებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრების ეინში, ზნეობრივ სიწმინდეში და ა. შ. ყოველივე ეს იმ ეპოქის ძირითადი და განმსაზღვრელი ნიშანთვისებებია.

მილიონობით მკითხველი „გვადი ბიგვას“ მეშვეობით იგებს, რომ ორკეთელების უდიდესი ნაწილი, — უმეტესობა წინათ სილატაკესა და სიღუბჭირეში ცხოვრობდა, მათ უბადრუკი ქონმახები ჰქონდათ, ტანზე არ ეცვათ, საჭმელი არ გააჩნდათ, მათში უმეცრება ბატონობდა, მათი განათლებისათვის არავინ ზრუნავდა, ერთი სიტყვით, საშველი არსაიდან იყო. ეს მათი გასაცოდავება ძველი ცხოვრების პირდაპირი შედეგი გახლდათ და ამიტომ მკითხველი იმ ცხოვრებისადმი ზიზღით ივსება. რამ უშველა ორკეთელებს? რამ გამოასწორა მათი უბადრუკი მდგომარეობა? როდის აშენებენ შესანიშნავ ოდებს, როდის შრომობენ ხალისით, როდის გრძნობენ ისინი თავს ბედნიერად? ახალი ცხოვრების პირობებში, სოციალისტური საზოგადოების შენების პროცესში. ასეთია ერთადერთი პასუხი, რომელიც მკითხველს უჩნდება. აქედან ერთი ნაბიჯის გადადგმადა არის საჭირო, რომ მილიონობით მკითხველმა გულით შეიყვაროს სოციალიზმი, რომელსაც ძველი ცხოვრების მიერ გატანჯული, დაბეჩავებული და შეწუხებული ადამიანებისათვის სიკეთე, სიხარული და ბედნიერება მოაქვს. ამ გზით ამტკიცებს ლეო ქიაჩელი სოციალიზმის უპირატესობას, ასე ამკვიდრებს ავტორი სოციალიზმს, ასე გადაყავს მწერალს მკითხველის შეგნება სოციალიზმისაკენ მის განკარგულებაში არსებული მწერალური საშუალებებით.

ოცდაათიანი წლების დასაწყისის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მართალი და ღრმა ჩვენების გამო იყო. რომ ლეო ქიაჩელმა ამ რომანისათვის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, ამიტომ იყო რომ საქართველოშიც და მთელ საბჭოთა კავშირშიც ეს რომანი ლიტერატურულმა კრიტიკამ, მკითხველმა დიდად აღიარა, ამიტომვე იყო, რომ იგი უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის ენაზე ითარგმნა და იქაც, გამოჩენილმა ლიტერატორებმა რომანის ღირსებები დიდად დააფასეს. ასეთი აღიარება შემთხვევით არ ხდება ხოლმე.

ახლა, რომანის მთავარი გმირის გვადი ბიგვას შესახებაც ვთქვათ. ძველი სიბრძნე გვასწავლის, რომ სანამ კამათს დავიწყებდეთ, ჯერ ტერმინებზე უნდა შევთანხმდეთო. ჩვენც ასე მოვიქცეთ. ქართულში დამკვიდრდა ტერმინი „ლიტერატურული გმირი“, რაც სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგივე „პერსონაჟია“, ე. ი. ლიტერატურული გმირი ყოველთვის როდი ნიშნავს ზოგადად გმირს, რომელიც რაღაც განსაკუთრებულ უნარს ამჟღავნებს და გვანცვიფრებს. არც ლეო ქიაჩელს და არც რომელიმე კრიტიკოსს ჯერ არსად უთქვამს, რომ გვადი რაღაც მისაბაძი გმირია. ამ პერსონაჟის დახატვით მწერალმა მთელი სისრულით შეასრულა მის წინაშე დასახული შემოქმედებითი ამოცანა — ეჩვენებინა ახალი ცხოვრების სასიკეთო ზეგავლენა ძველი ცხოვრების ტვირთით წელგალუნული ადამიანის გარდაქმნაზე, მის ახალ ადამიანად გადაქცევაზე. ვიმეორებ, მწერლის წინაშე ეს ამოცანა იდგა და რომანის ავტორმა მისი განხორციელება წარმატებით შეძლო. ახლა რომ საყვედურს გამოთქვამენ — გვადი არ არის მისაბაძი გმირიო, პირდაპირ გაუგებრობაა! მერედა ვინ და როდი თქვა, რომ ის მისაბაძი გმირიაო? რა საჭიროა ღია კარის მტკრევა? გვადი ბიგვა არის რომანის მთავარი პერსონაჟი, და მისი გარდაქმნის ჩვენებით მწერალმა გვიჩვენა სოციალიზმის სიკეთე, მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენა ძველი ცხოვრებით დაბეჩავებული ადამიანის სულიერ ამაღლებასა და კაცური ღირსების შეგნების პროცესზე, ე. ი. ადამიანის უკულმართი ბედის წალმა შემობრუნებაზე. ცხადზე უცხადესია, რომ ნებისმიერი მკითხველი, რომელსაც სიკეთის მცირე გრძნობა მაინც გააჩნია, თავისდაუნებლიედ დიდი სიმპატიით განიმსჭვალება სოციალიზმისადმი, რომელსაც ადამიანებისათვის ამაღლება მოაქვს. გვადის გარდაქმნა, მისი კაცად ქცევა რომანში ასეა ნაჩვენები, რომ მკითხველს ეჭვიც არ ეპარება, ამისი მიზეზი ახალი ცხოვრება, სოციალისტური სინამდვილეა.

მივმართოთ თვით რომანს.

ვინ და როგორი იყო გვადი, როცა მან პარასკევს უთენია გადმოაბიჯა ჭარგვალის დირეზე და ჩვენს წინ წარმოდგა ბანჯგვლიანი, და-

ხეულ ტანსაცმლიანი, ტყირპისგან მუცელგასიებული უსიმპათიო მამაკაცი, რომელიც შვილებისგან მალულად ოჯახიდან იპარავს თიჯანსა და მანდარინებს და ბაზარში გასაყიდად მიაქვს? ეს არის ძველი ცხოვრებისაგან დაბეჩავებული ადამიანი, რომელსაც აღარც რაიმეს იმედი აქვს, არც ვინმესი სჯერა, არც რაიმე სასიკეთო სწამს. მარიამთან შეხვედრა, ტყუილები, პირმოთნობა, გოჩასთან გავლა, იქაც სიცრუე, ბაზარში არჩილ ფორიასთან დაკავშირება, ნაპარავი საქონლის შინ წამოღება და ამით ქურდობაში ხელის შეწყობა — ყველაფერი ეს გვაძი ბიგვას წარმოგვიდგენს სულიერად დამახინჯებულ, ხელჩაქნეულ, ბნელ ადამიანად. ასეთი იყო ძველი გვაძი.

ახალმა ცხოვრებამ გვაძიზე სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა. მას ოდის აშენებას დაპირდნენ. ის დააფასეს და კომისიაში აირჩიეს, კაცად სცნეს, მის შვილებზეც ზრუნავენ. გვაძი ხედავს, რომ მის ირგვლივ ყველაფერი იცვლება — ადამიანიც, სოფელიც. ცხოვრებაც, გვაძი ხედავს მეზობლების თავდადებულ შრომას, ენთუზიაზმს, საყოველთაო აღმშენებლობას, ხალისს, სიხარულს, სოფლის ხელმძღვანელთა მხრივ ყურადღებას. ნამდვილ ზრუნვას გუშინდელ ლატაკ გლეხზე, ხედება, რომ ეს სიახლეები, ეს ცვლილებები მასზეც სასიკეთოდ მოქმედებს. გვაძის თანდათან თვალი ეხილება, მის სულშიც ცვლილებები იწყება, ერთი ბიძგილაა საჭირო, რომ გვაძიმ ნახტომი გააკეთოს და ეს მომენტიც დგება. კომისიის წევრად მისი არჩევა და კაცად ცნობა გვაძის სულსა და გონებაში იმ ბოლო წვეთის როლს ასრულებს, რომელიც შეგუბებულ მდინარეს გადმოხეთქავს... ამის შემდეგაა, რომ კრებიდან შინ მიმავალი გვაძი თავის ღირსებებსაც „აღმოაჩინს“, შინ მისული დაიბანს, ტანსაცმელსაც გამოიცვლის, მერე მარიამთანაც გადავა და სიყვარულს გაუშეღავნებს, მერე, ფორიასაც გაუწევს წინააღმდეგობას. ეს უკვე შეცვლილი, განკაცებული, გარდაქმნილი გვაძია, რომელმაც იმ პირობებში, იმ სიტუაციაში, კლასობრივი მტრის დანაშაულის აღკვეთის მიზნით, სოფლის ქონების (ე. ი. საკუთარისაც) გადარჩენის მიზნით ახალი სულიერი ძალა მოიკრიბა და სოფლის მტერი უვნებელყო. ასეთია გვაძის მეტამორფოზა.

ვინც ამ რომანის შეფასებისას გამოთქვამს სკეპტიკურ აზრს, რომ ერთ დღეში ადამიანის ასეთი გარდაქმნა როგორ შეიძლებოდაო, მას უნდა ვუთხრათ, რომ გვაძიში ცვლილებები იწყებოდა წინა წლებში, როცა სოფელი თანდათანობით იცვლებოდა და ახალი ცხოვრება მკვიდრდებოდა. რომანში ნაჩვენები ბოლო დღე კი ადრე დაწყებული გარდაქმნის დასასრულს გვიხატავს, გვაძის გარდაქმნის დაგვირგვინებაა.

და მაინც, არის თუ არა გვაძი მისაბადი გმირი? არა, არ არის. ასე-

თი გვადის დახატვა მწერალს არ ეწადა. რომანის ავტორმა უფრო მეტი და რთული ამოცანა დაისახა: ეჩვენებინა სოფლის სოციალისტურ საწყისებზე გადასვლა, ახალი ცხოვრების დამკვიდრება და მისი ზეგავლენა ადამიანის ბედზე. აქ ამ რომანში მისაბაძი გმირი ხალხია, რომელიც სოციალიზმს აშენებს. მწერლის უდიდესი დამსახურება კი ის არის, რომ სოციალიზმის მშენებელი ხალხის (და მისი ცალკეული წარმომადგენლების) ნაღვაწი ასე კარგად დაგვიხატა და დაგვარწმუნა, რომ სწორედ სოციალიზმია ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ხალხისთვის ბედნიერება მოაქვს.

ამრიგად, ლეო ქიაჩელმა სოციალისტური რეალიზმის ერთგულე-ბითა და მისი ბუნების სიღრმისეული გაგებით, შემოქმედებითი გამოყენებით შექმნა სოციალიზმის დამკვიდრების ხელშემწყობი ნაწარმოები „გვადი ბიგვა“, რომელიც მთელი სიმართლითა და ნიჭიერად გვიხატავს ეპოქის უმათავრეს ტენდენციას, მაშინდელ ცხოვრებას და ამიტომ დღესაც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას ჩვენთვისაც და იმ ქვეყნების მშრომელებისთვისაც, ვინც დღეს სოციალიზმს აშენებენ, დიდ დანაშაულებას უწყევს მათ ახალი ცხოვრების აშენებაში.

გ ა რ დ ა ქ მ ნ ა გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა ს ა ტ გ უ ლ ი ს ხ მ ო ზ ს

მთელი ჩვენი ქვეყანა გარდაქმნის პათოსით ცხოვრობს. ეს გამოიწვია აუცილებლობამ, ცხოვრების პირობებმა, დაგროვილმა პრობლემებმა, რომელთა გადაჭრაც სასიცოცხლოდ აუცილებელია. გადასასინჯია ბევრი რამ, რაც ჩვენს ცხოვრებას აფერხებს, უკან ეწვევა. უამისოდ გარდაქმნა შეუძლებელია. გარდაქმნა რაიმეს შეცვლის, გადასინჯვას გულისხმობს.

დღეს არავისთვის არის საიდუმლო, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რაც მოსახლეობას ასე რიგად სჭირდება, არ გვეოფნის, მის ნაკლებობას განვიცდით. ეს გარემოება იმდენად საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს. ბაზრის გაუგონარი სიძვირე, სახელმწიფო მაღაზიებში დახლების სიცარიელე მწვავედ მოქმედებს პატიოსანი მშრომელის, ე. წ. ხელფასით მცხოვრები ადამიანების ოჯახურ ბიუჯეტზე. ეს კი, თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა განწყობილებაზე, მათს ფსიქიკაზე, თუ გნებავთ, მათ რწმენაზეც. ყოველივე ეს ძალზე მნიშვნელოვანია და ამიტომ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ცნობილია, რომ პარტია ზრუნავს ამ პრობლემის გადაჭრაზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თავის დროზე იყო მიღებული სასურსათო პროგრამა, ამის გამო სახალხო მეურნეობაში ინერგება მთელი რიგი სიახლეები—ბრიგადული იჯარა, საოჯახო იჯარა, ანაზღაურება საბოლოო შედეგების მიხედვით და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ დასაწყის ეტაპზეა და პრობლემა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

გვინდა ერთი წინადადება წამოვაყენოთ, რომლის გათვალისწინება და ცხოვრებაში გატარება, ჩვენი რწმენით, შექმნილი ვითარების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მხედველობაში გვაქვს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესი.

ცნობილია, რომ კოლმეურნეობათა შექმნისა და განვითარების პირველ ათწლეულებში კოლმეურნეთა შრომა აღირიცხებოდა შრომადღეებით, რომელთა ოდენობის მიხედვითაც ყოველ კოლმეურნეს ჭირნახულის ადებისა და დაბინავებისთანავე უნაწილდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ნატურალური სახით. ტექნიკური კულტურების მოსავალი კი ბარდებოდა სახელმწიფოს, რომელიც დადგენილი წესით კოლმეურნეობას უხდიდა ფულს. წლის ბოლოს შემოსული ეს ფული ნაწილდებოდა კოლმეურნეობის წევრებზე მათი შრომადღეების ოდენობის მიხედვით.

ასეთი წესის სიკეთე ის იყო, რომ სოფლად მცხოვრებ კაცს, კოლმეურნეობის წევრს, ჰქონდა ნატურალური შემოსავალიც და ფულადი შემოსავალიც. მეტიც, ნატურალური შემოსავალი იმდენი ჰქონდა, რომ თვითონაც ჰყოფნიდა და ნაწილი ბაზარშიც გაჰქონდა გასაყიდად, ამით იქმნებოდა პროდუქტების სიუხვე ბაზრებზე. სიუხვე კი, ბუნებრივია, გაიაფებას იწვევდა.

ბავშვობასა და სიჭაბუკეში ყოველივე ეს ჩემი თვალთ მინახავს. ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა, რომლის წევრები ჩემი მშობლებიც იყვნენ, თავის წევრებს უნაწილებდა ხორბალს, სიმინდს, ღვინოს, არაყს, ზეთს, ლობიოს, ყველს, კარტოფილს, ხორცს — ყველაფერს, რასაც ჩვენი კოლმეურნეობა აწარმოებდა. მხოლოდ თამბაქოს და აბრეშუმის პარკს მთლიანად აბარებდნენ სახელმწიფოს და ამაში აღებულ ფულსაც კოლმეურნეობა შრომადღეების მიხედვით ანაწილებდა კოლმეურნეებზე. სახელმწიფოს ბარდებოდა ხორბალიც, მაგრამ მხოლოდ ნაწილი, დანარჩენი რჩებოდა კოლმეურნეობის ფონდში და აქედან კოლმეურნეობის წევრები იღებდნენ ისევ და ისევ შრომადღეების მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი სოფლის მცხოვრებნი ბაზარში არა თუ არ ყიდულობდნენ პროდუქტებს, არამედ ზედმეტიც ჰქონდათ და ბაზარში მიჰქონდათ გასაყიდად. ეს კი ხელს უწყობდა სიუხვეს და მის პირდაპირ შედეგს — სიიაფეს.

არ ვიცი, ვის და რატომ მოესურვა, რომ ამ ორიოდ ათეული წლის წინათ შემოიღეს ახალი, მაგრამ ჩემი აზრით, გადასასინჯი და გასაუქმებელი წესი, რის ძალითაც კოლმეურნეობის წევრები არავითარ პროდუქტს აღარ იღებენ თავიანთ შრომადღებზე და მათ მხოლოდ ფულადი ანაზღაურება აქვთ. ისინი, როგორც ქალაქის მშრომელები, მოსამსახურეები, იღებენ მხოლოდ ხელფასს. მე არ ვიცი, ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობის წაშლის ღონისძიება მოიტანა ეს უბედურება თუ სხვა რამემ, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ ახალმა წესმა სოფელიც დაამშია და ქალაქიც. ამ წესის გამო გლეხი, რომელიც პროდუქტებს აწარმოებდა და ყიდდა, ახლა თვითონ გადაიქცა შომხმარებლად, მყიდველად, როგორც ყველა ქალაქელი. მას აღარ აქვს პროდუქტები, სამაგიეროდ აქვს ფული, რომლითაც მიდის ქალაქში და აქ ყიდულობს ყველაფერს. განა ყველას არ გვინახავს გლეხები, რომლებიც ქალაქში ყიდულობენ ხახვს, კარტოფილს, ლობიოს, კვერცხს, ხორცს, ყველს, ზეთს— ყველაფერს, რაც ოჯახის გამოსაკვებად სჭირდებათ. ეს ყველაფერი გვინახავს, გაგვეკვირვებია და აღვშფოთებულვართ კიდევ.

მაგრამ ამ საქმეს გაკვირვებითა და აღშფოთებით არაფერი ეშველება. საჭიროა ამის გამომწვევი მიზეზი (შრომის ანაზღაურების ე. წ. ახალი წესი, რომელიც უკვე დაძველდა), ფულადი ანაზღაურების წესი შეიცვალოს და იმ დალოცვილ ძველ წესს დავუბრუნდეთ, ან უკეთესი წესი შევიმუშაოთ. ეს არ არის წარსულისკენ დაბრუნების მოწოდება, ეს არის რეალური ვითარებით გამომწვეული აზრი, ცხოვრებით ნაკარნახევი და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე აზრი.

ძველ თბილისელებს კარგად ესმოდა, როგორი ურთიერთობა იყო სოფლებსა და ქალაქებს შორის. ავიღოთ თუნდაც კახეთი და კახელები. კახელი ქალი თუ კაცი ქალაქში ისე როგორ ჩამოვიდოდა, რომ თავის ახლობლებთან ან ნათესავებთან გრძელ-გრძელი შოთები, ყველი, ხილი, ჩურჩხელები, ღვინო, სხვა სანოვაგე არ ჩამოეტანა. ყველაზე ღატაკად რომ ითვლებოდა სოფელში, ისიც კი ხელდამშვენებული ჩამოდიოდა ქალაქლებთან. ახლა სადღაა ეს წესი. ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ახლა პირიქით ხდება, კახელებიც ქალაქში ყიდულობენ სანოვაგეს და მიაქვთ სოფელში. ქალაქელიც მათთან რომ მიდის სოფელში, ცდილობს თან რაღაც წაიღოს, რათა მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს, რადგან იცის, რომ იქაც არაფერი იშოვება. ვაგონილა, რომ კახელს პურიც კი ქალაქიდან მიჰქონდეს სოფელში?!

წაღება წაღებაა, მაგრამ ამის შედეგია მთავარი. ყოველივე ეს ხომ ქალაქის მცხოვრებლებს აკლდება და ამით გაძვირება მატულობს.

სოფელსაც ვერ გავამტყუნებთ, მასაც ხომ კვება უნდა. რაკი ყველაფერი ჩავბარებინეთ და მას აღარაფერი დაუტოვეთ, ისიც იძულებულია თავისი ფულით ქალაქში შეიძინოს საკვები პროდუქტები. რა გამოვიდა? ერთი ანდაზისა არ იყოს, „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო“. ის ძველი წესი არ სჯობდა? დაგვეტოვებინა გლეხისთვის მის მიერვე წარმოებული პროდუქტების ნაწილი და საერთოც გადაწყდებოდა: არც გლეხი იწვალებდა ქალაქში პროდუქტების საყიდლად სიარულით და ქალაქელსაც სიუხვე ექნებოდა.

რამდენჯერ გამხსენებია ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუქის წლები, როცა კახელების ყველა ოჯახში თონე ხურდებოდა და სურნელოვანი პური ცხებოდა. ამ ცხელი პურის სუნი სოფლის თავიდან სოფლის ბოლომდე აღწევდა, მადის აღმძვრელი და სასიამოვნო. მაშინ ერთი ასეთი წესიც იყო კახეთში: ქალი თონეში პურს რომ აცხობდა, ქუჩაზე ამვლელსა და ჩამვლელისათვის ცხელი პური უსათუოდ უნდა მიეწოდებინა და ეთქვა, მიირთვითო, უამისოდ არ შეიძლებოდა, წესი მტკიცედ სრულდებოდა. ეხლა კახეთის სოფლებში რამდენჯერ მინახავს, რომ სოფლის მალაზიასთან არიან ატუზული ქალები, რომლებიც ელოდებიან ფურნიდან პურის მოტანას, მის გაყიდვას, თუმცა არცთუ იშვიათად, ეს პური ისეთია, რომ პირში ვერ ჩაიკარებ, არ იჭმევა. რამდენჯერ გამბრაზებია კიდევ ამ ქალებზე, გაზარმაცება დამიწამებია, მაგრამ მხოლოდ ეს როდია მიზეზი. გლეხს ხორბალი არ აქვს, რომ დაფქვას, ხოლო იმას რა მტკიცება უნდა, რომ უფქვილოდ პური ვერ გამოცხვება.

რაც აქ პურზე ითქვა, ბევრ სხვა რამეზეც ვრცელდება. ზოგ რამეს მკითხველს ვუტოვებ დასაფიქრებლად.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი წინადადების მთავარ აზრს. ვიკითხოთ, რა მოვიგეთ იმით, რომ კოლმეურნე ხელფასზე დავსვით და მას პროდუქტებს აღარ ვუტოვებთ, ყველაფერს ვაბარებინებთ? არათუ არ მოგვიგია, ბევრიც წაუაგეთ: სოფელიც დავამშოიეთ და ქალაქიც!

ვიცი, ჩვენი მოსაზრების მოწინააღმდეგენი ბლომად გამოჩნდებიან. მათ რიცხვში იქნებიან ისინი, ვინც თავის დროზე „მეცნიერულად დაასაბუთა“ ახალი წესის უპირატესობა და ამით თავიც მოიწონა, მანამაში ბევრი სიკეთეც მიიღო, ეგებ პრემიაც კი. მათ შორის ალბათ ბევრია ეკონომისტი-მეცნიერი, რომელთაც „თეორიულად დაამტკიცეს“, რომ გლეხსაც ხელფასი უნდა მიეცეთ, რომ ისინი უპროდუქტებოდ უნდა დაეტოვოთ და ეს ძალიან კარგი იქნებაო. გვაპატიონ ამ ჭურის ადამიანებმა, რომ იძულებული ვართ შევნიშნოთ, მათმა „თეორიამ“ არ გაამართლა, საქმე წახდა და მის შედეგს ჩვენ მწარედ ვიწვინევთ.

მათმა „თეორიამ“ ის ქნა, რომ გაზარდა მყიდველთა რიცხვი და შეამცირა გამყიდველთა ოდენობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამან თავის მხრივ, გამოიწვია პროდუქტთა სიმცირე და მისი ლოგიკური შედეგი — გაძვირება. განა შეიძლება ამას ვერ ვამჩნევდეთ და ვინმეს ამბიციების გამო ჩვენ თვალს ვხუჭავდეთ, არაფერს ვამბობდეთ? ახლა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დადგა: სიმართლის თქმა ჩვეულებრივ ამბად იქცა, კრიტიკის ჩახშობისათვის ადამიანები ისჯებიან, დემოკრატიზაცია ფართოვდება, ეს კი მანების აზრის გათვალისწინებას გულისხმობს პირველ რიგში. და რაკი მასების ერთი წევრი მეც ვარ, ვბედავ ამ ჩემი წინადადების წამოყენებას, რომ უნდა გადაისინჯოს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესი. მხოლოდ ხელფასზე დასმის წესი, მათი მოწეული ჰირანახულის ნაწილი ნატურალური ანაზღაურების სახით მათვე უნდა რჩებოდეთ.

თქმა არ უნდა, რომ გადასინჯვა უნდა მოხდეს ყოველი რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით. მაგალითად მეჩაიეობის რაიონებში განლაგებული კოლმეურნეობა ჩაის ფოთოლს მთლიანად ჩააბარებს სახელმწიფოს, მეთამბაქოების რაიონების კოლმეურნეობებიც ასევე მოიქცევიან თამბაქოს ჩაბარებისას, მაგრამ იმავე რაიონებში კოლმეურნეობებს ხომ აქვთ სხვა კულტურებიც, რომლის მოსავალი ან მისი ნაწილი შეიძლება განაწილდეს კოლმეურნეობის წევრებზე. რაც შეეხება მეცხოველეობის რაიონებს, ჩემი აზრით, იქაც კოლმეურნეებს უეჭველად უნდა გაუნაწილდეთ შრომადღებზე რძის პროდუქტების, ზორცის, მატყლის გარკვეული ნაწილი. ერთი სიტყვით, ყველგან ანგარიში უნდა გაუწეოთ ადგილობრივ პირობებს, მის თავისებურებებს.

რაც შეეხება ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობის მოსპობას, ეს ლოზუნგი ძალზე ცალმხრივად არის გაგებული. რა დასამალია, რომ ჩვენი სოფლების უმეტესობა კულტურის თვალსაზრისით ჩამორჩება, ყველაფერი ძველებურად დარჩა: ბევრგან არ არის კლუბი ან კულტურის სახლი, იშვიათად უჩვენებენ კინოს, არ აქვთ სპორტული ბაზები, არ მუშაობს სექციები, არ ვარგა ქუჩები, რომლებიც არ ნათდება, არ ვარგა წყალგაყვანილობა, არ მოქმედებს აბანო და ა. შ. ამ თვალსაზრისით ჩვენი სოფელი ქალაქს ვერ წამოეწია და რაღა ხელფასის შემოღებით გვინდა სოფლის ქალაქთან გათანასწოლება? ესაც დასაფიქრებელი საქმეა.

არ უნდა დავივიწყოთ და მუდამ უნდა გვახსოვეს ერთი ისტორიული გამოცდილებაც. როცა ომის წლებში ქალაქს ძალიან გაუჭირდა, როცა ერთი კილოგრამი შავი პურის შოვნა ოცნებად იქცა, მაშინ სწორედ სოფელმა იხსნა ქალაქი. რამდენი თბილისელი გამოჩენილი ადამიანი — მეცნიერი, მსახიობი, სხვა დარგის მუშაკი — კახეთის ბაზ-

რებზე ან სოფელ-სოფელ დადიოდა და თავის ნახმარ ტანსაცმელსა თუ თეთრეულს ცვლიდა ხორბალზე ან სიმინდზე, რაც ქალაქში ჩამოჰქონდა, აქაურ წისქვილებზე ფქვავდა და ოჯახს ამით არჩენდა. აბა დავფიქრდეთ, სოფელსაც რომ არაფერი ჰქონოდა, რა ეშველებოდა ქალაქის მოსახლეობას? აქედანაც მხოლოდ ერთი გონივრული დასკვნა გამოდის — სოფელი ძლიერი უნდა იყოს, მას სარჩო-საბადებელი უხვად უნდა ჰქონდეს და მაშინ ქალაქსაც არ გაუჭირდება. სოფლის მოღონიერებისთვის საჭიროა მოფიქრებული, ბრძნული ღონისძიებების გატარება. როგორც ჩანს, ამ საქმეშიც იყო დაშვებული შეცდომები, რაც ახლა მაინც უნდა გამოვასწოროთ.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი წინადადების განხორციელებით სავსებით და უცებ გადაიჭრება სასურსათო პროგრამა, მაგრამ ის კი გვჯერა, რომ ამით საგრძნობლად გაუმჯობესდება მდგომარეობა.

ს ა რ ჩ ე მ ე ი

რევოლუციისა და სამშობლოს უერთგულესი პოეტი	3
მიხეილ მრეველიშვილი	9
ანა კალანდაძე	27
ეპოქის მართალი მხატვარი	40
ქეშმარიტი მამულიშვილი	43
დიდი გიორგი	48
რევაზ მარგიანის ფრონტული ლექსები	52
აღდგომა და ამადლება დიდი მწერლისა	56
ომი და მწერალი	65
ეთერ თათარაიძის ქართულის გამო	74
ღრმად გააზრებული წიგნი	80
ორი რომანი ცხრაასხუთის თემაზე	97
ჩამქრალი ვარსკვლავი	104
„რად გვინდა ტაში...“	111
დაკვირვება და დასკვნა	117
ფაქტებს უნდა ვეყრდნობოდეთ	123
ნიკო ლორთქიფანიძე — მცირე ჟანრის ოსტატი	125
ქართული საბჭოთა კომედია, განვითარების ძირითადი თავისებურებანი	133
„ალექსანდრე წულუკიძე როგორც მოაზროვნე“	141
ნათელი, მზიური, სახელი	143
გვიან ნათქვამი	152
გარდაქმნა გადასინჯვასაც გულისხმობს	160

მხატვარი გ. დლონტი
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიშკინიძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორი თ. ფირცხალავა
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. 4620.

ჩაბარდა წარმოებას 15.03.88 წ. ხელმოწერილია საბეჭდოდ 25. 08. 88 წ. უე 06818. ფორმატი 60×84¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი №1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 9,77. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 9, 22. პირობითი საღებავგატარება 10. ტირაჟი 3 000. შეკვეთა №659.

ფასი 75 კაპ.

КВАНЧИЛАШВИЛИ ТАРИЕЛ СОЛОМОНОВИЧ
НОВЫЕ ПИСЬМА

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1988

გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, რუსთაველის 42.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
შეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. №
1
Типография № 1 Государственного комитета Грузинской
ССР по делам издательств, полиграфии и книжной
торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

